

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე  
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის,  
არქეოლოგიის,  
ეთნოლოგიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

Series  
of History,  
Archeology,  
Ethnology  
and  
Art History



თბილისი  
Tbilisi

1. 2021

მთავარი რედაქტორი  
Editor-in-Chief

როინ მეტრეველი  
Roin Metreveli

პასუხისმგებელი რედაქტორი  
Editorial Manager

გონელი არახამია  
Goneli Arakhamia

### სარედაქციო კოლეგია:

ზაზა აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ნანა გელაშვილი, ომარ გოგიაშვილი, მარიამ დიდებულისძე, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა, დავით ლორთქიფანიძე, ჰიროტაკე მაედა (იაპონია), ლია მელიქიშვილი, დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჟორდანი, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია, ბერნარ უტიე (საფრანგეთი), კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია.

### Editorial Board:

Zaza Abashidze, Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, David Braund (Great Britan), Mariam Didebulidze, Nana Gelashvili, Omar Gogiashvili, Buba Kudava, David Lordkipanidze, Hirotake Maeda (Japan), Lia Melikishvili, David Muskhelishvili, Bernard Outter (France), Kiazoo Pitskhelauri, Gocha Saitidze, Jaba Samushia, Kakha Shengelia, Sergo Vardosanidze, Otar Zhordania.

ლიტერატურული  
რედაქტორი:

ვალერიან ასათიანი

Literary editor:

Valerian Asatiani

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა:

პაატა ქორქია

Computer design:

Paata Korkia

© საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2021  
© Georgian National Academy of Sciences, 2021

ISSN-0132-6058

## სარჩევი

### საქართველოს ისტორია

მზია მარსაგიშვილი – “კლიტენი იერუსალაჴმისანი”, რომელთაც ერთხანს ქართველები ფლობდნენ .....	5
მანანა სანაძე - ქართლის მეფე დარჩილი და მისი მეფობის ამსახველი ქრონიკები .....	35
გიორგი სოსიაშვილი - გენერალი ილია მაქარაშვილი და მისი შთამომავლები პერუსა და საფრანგეთში .....	77
მიხეილ ბახტაძე - 1989 წლის 25 თებერვალი. საზოგადოება და ხელისუფლება .....	111
დომენტი ჩუბინიძე - 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების წინაპირობები საქართველოში ...	125

### ეთნოლოგია, კულტუროლოგია, ანთროპოლოგია

ლია მელიქიშვილი, ნათია ჯალაბაძე - კროს-კულტურული კოდური გადართვა, როგორც უსაფრთხოების სტრატეგია .....	161
--	-----

### წყაროთმცოდნეობა

ჯაბა სამუშია - იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ქართულ-ბერძნული ტექსტები, როგორც საისტორიო წყარო .....	173
--	-----

### კულტუროლოგია

ბექა ჭიჭინაძე - ინსბრუკის ლანგარი, როგორც შუა საუკუნეების ქართული კულტურის ენციკლოპედია .....	194
ირმა ღონდაძე - კულტურისა და ხელოვნების ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის გურიაში (ალეგრობა) .....	209

### ქართველოლოგია უცხოეთში

როინ მეტრეველი, ავთანდილ არაბული - გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი - 80 .....	220
მილოცვა.....	228
გახსენება .....	229

### ქრონიკა და ინფორმაცია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი .....	232
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.....	235
ახალი წიგნები .....	241
მეგზურის ავტორთათვის .....	246

## CONTENT

### Georgian History

Mzia Marsagishvili - The “Keys of Jerusalem” Owned Once by the Georgian Monks .....	5
Manana Sanadze - The king of kartli Darchil and the chronicles describing his life .....	35
Giorgi Sosiashvili - General Ilia Makarashvili and his Descendants in Peru and France.....	77
Mikheil Bakhtadze - February 25, 1989. Society and Government.....	111
Domenti Chubinidze - Preconditions of Coup D’ Etat 1991-1992 December-January in Georgia.....	125

### Ethnology, Culturology, Anthropology

Liana Melikishvili, Natia Jalabadze - The Cultural Code-Switching as a Security Strategy .....	161
--	-----

### Sources

Jaba Samushia - Georgian and Greek Texts of “The Life” of John and Euthymius as Historical Sources.....	173
---	-----

### Culturology

Beka Chichinadze - Innsbruck Plate – Encyclopedia of Medieval Georgian Culture .....	194
Irma Ghonghadze - Some Issues of Cultural Life in Guria in the XIX Century (Alegroba) .....	209

### Kartvelology abroad

Roin Metreveli, Avtandil Arabuli - German Kartvelologist Heinz Fähnrich - 80 .....	220
Congratulation .....	228
Memorys.....	229

### Chronicle and information

Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology .....	232
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts.....	235
New books .....	241
Guide for Authors.....	246

საქართველოს ისტორია

## THE “KEYS OF JERUSALEM” OWNED ONCE BY THE GEORGIAN MONKS

“კლიტენი იერუსალჴმისანი”, რომელთაც ერთხანს ქართველები ფლობდნენ

**Mzia Marsagishvili**

Ph. D. (History)

ORCID ID: 0000-0002-4437-7518

mziamarsagishvili@gmail.com +995 591 94 42 05

### **Abstract.**

An entry made by a traveler Felix Fabri between 1480 and 1483, discovered by Grigol Peradze, states that the Church of Holy Sepulchre in Jerusalem had three entrances and one of them, not long before Fabri’s visit, belonged to the Georgians.

According to a Georgian chronicle “Dzegli Eristavta” (XIV-XV cc.) the Georgians acquired keys of the main Christian church at the beginning of XIV century. To show the importance of this acquisition they were referred to as the “Keys of Jerusalem”.

When working on the manuscripts of the Cross Monastery in Jerusalem Alexander Tsagareli (1883) and Nicolas Marr (1902) paid attention to an interlineation by Beena Cholokashvili, the rector of the Monastery, about the restoration of a door of the Church of Holy Sepulchre which he carried out personally in 1514. That information is confirmed by an Arabic source of the same year found and translated by Gocha Japaridze at the end of XX century.

It is clear that Beena Cholokashvili meant the door which had been in his times still controlled by the Georgian monks: he would never restore someone else’s property in the Church where different Christian denominations defended jealously their right for every square inch of the surface.

It was considered by Georgian historiography that the “Keys of Jerusalem” owned by the Georgian monks referred to the main (southern) entrance of the Church. But using the “hidden information” of the historical sources it became evident that the door under consideration (with “small yard having the bolted gate”) was situated in the western part of the Church from where there was the shortest way to the Greek Orthodox Patriarchy.

As the author hadn’t a possibility to revise personally the correctness of the findings based exclusively on the historical sources, upon her request the Abbot of the Church of the Twelve Apostles at Capernaum (Galilee) Archi-

mandrite Irinarchos, to whom she is most grateful, confirmed with a photograph (fig. 3), that “small yard”, mentioned in medieval sources, still exists, the entrance to the Church is walled up, but the stone frame of the door survived.

According to the record by a monk Lavrenti Gogeladze, he read Georgian inscription on that door made of “cypress tree” in 1806. Most probably the door perished in the fire of 1808 which devastated the Church and the entrance from that side had been walled up during the subsequent restoration.

**Key words:** Church of the Holy Sepulchre, Georgian monks, „Keys of Jerusalem”

**მზია მარსაგიშვილი**

ისტორიის დოქტორი

ORCID ID: 0000-0002-4437-7518

mziamarsagishvili@gmail.com

+995 591 94 42 05

### აბსტრაქტი

„ძეგლი ერისთავთას“ (XIV-XV სს.) ცნობის მიხედვით, ქრისტეს საფლავის ეკლესიის კარს, რომელიც ამზის სიდიადის საჩვენებლად წყაროებში „იერუსალჴმის კლიტედ“ არის მოხსენიებული, XIV საუკუნის დასაწყისში ქართველები ფლობდნენ. გრიგოლ ფერაძის მიერ მოძიებული მოგზაურ ფელიქს ფაბრის მიერ 1480-1483 წლებში გაკეთებული ჩანაწერის თანახმად, ქრისტიანთა ამ უმთავრეს სალოცავს სამი შესასვლელი კარი ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი, მის მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე, ქართველებს ეკუთვნოდა.

ამასთანავე, ბენა ჩოლოყაშვილი, ჯვრის მონასტრის ხელნაწერზე დატოვებული 1514 წლის მინაწერით, საკუთარი ხელით ტაძრის „კარის შებმას“ გვაუწყებს. მინაწერს ალექსანდრე ცაგარელმა (1883 წ.) და ნიკო მარმა (1902 წ.) მიაქციეს ყურადღება. ამზის უტყუარობა განამტკიცა იმავე 1514 წელს გაცემულმა ერთმა არაბულმა ბრძანებულებამ, რომელიც XX საუკუნის დასასრულს პროფ. გოჩა ჯაფარიძემ აღმოაჩინა და თარგმნა.

რამდენადაც სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიები თავგამოდებით იცავდნენ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში დასაკუთრებულ ყოველ მტკაველს, ბენა მხოლოდ სათავისთავო კარის შეკეთების უფლებას მიიღებდა. ამდენად, ქართველთაგან „იერუსალჴმის კლიტის“ პერობის XIV და XVI საუკუნეთა ამბავი, ავტორის აზრით, ერთსა და იმავე კარს ეხება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ქართველები ტაძარში შესასვლელ მთავარ (სამხრეთის) კარს ფლობდნენ. მაგრამ ქართული და სხვა წყაროების „ირიბი ინფორმაციის“ მიხედვით, რომელიც ამ სტატიაშია განხილული, ეს კარი, რომლის „შესასვლელი ჭიშკრით იხურება და ურდულით იკეტება“, შენობის დასავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო განთავსებული.

ავტორს არ ჰქონდა საშუალება თავად ენახა ეს კარი, რათა დარწმუნებულიყო მხოლოდ საბუთებზე დაკვირვებით ნავარაუდები კარის არსებობაში. ამიტომ მან მიმართა კაპერნაუმში (გალილეა) თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესიის ილუმენს, არქიმანდრიტ ირინარხოსს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ფაბრის ჩანაწერში ხსენებული „პატარა ეზო“ დღესაც არსებობს, ხოლო ქვებით ამოშენებული კარის ქვის ჩარჩო ახლაც კარგად ჩანს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერის, ლავრენტი გოგელაძის 1806 წლის მინაწერის ცნობით, ქართველთა კუთვნილ „იერუსალიმის“ ბჭეს ქართული წარწერა ჰქონდა. როგორც ჩანს, ეს „კვიპაროხის კარი“ ან 1808 წლის ხანძარს, ან მის შემდგომ აღდგენით სამუშაოებს შეეწირა.

**საკვანძო სიტყვები:** ქრისტეს საფლავის ეკლესია, ქართველი ბერები, „კლიტენი იერუსალჴმისანი“.

## შესავალი

ქართული წყაროს მიხედვით, XIV საუკუნის დასაწყისში ქართველებმა წმ. საფლავის ეკლესიის კარის გასაღები მოიპოვეს. მოგზაურ ფელიქს ფაბრის ჩანაწერის ცნობითაც, ქრისტეს საფლავის ეკლესიის სამი შესასვლელიდან ერთ-ერთს XV საუკუნის შუა წლებში ქართველი ბერები ფლობდნენ. ამავე დროს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ილუმენი ბენა ჩოლოყაშვილი XVI საუკუნის დასაწყისში წმ. ტაძრის კარს აღადგენს.

ავტორის ვარაუდით, სამივე შემთხვევაში ლაპარაკია ერთსა და იმავე კარზე, რომლის შესახებაც წყაროებში მეტად მწირი ცნობებია და ისიც მხოლოდ ე. წ. „ირიბი ინფორმაციით“.

ავტორის აზრით, ეს კარი არის წმ. ტაძრის არა მთავარი კარი (სამხრეთის), რა აზრიც იყო დამკვიდრებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ სხვა მხრიდან გაჭრილი შემოსასვლელი.

სტატიაში მოცემულია ცდა წყაროებისა და მინაწერების საფუძველზე ქრისტეს საფლავის ეკლესიის იმ კარის მოძებნისა, რომელიც ერთ დროს ქართველებს ეჭირათ.

## მეთოდები

სტატიაში შესწავლილი და გაშუქებულია საკითხი წმ. საფლავის ეკლესიაში მთავარი, სამხრეთის მხრიდან გაჭრილი კარის გარდა მეორე შესასვლელის არსებობისა, რომელსაც ქართველები ფლობდნენ.

კვლევა ეფუძნება წყაროთმცოდნეობით, ისტორიულ-შედარებით და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, ისტორიული წყაროების კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას, საკითხის სხვადასხვა რაკურსით წარმოჩენას.

## შედეგები

1. ისტორიული წყაროების გაანალიზების გზით გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართველი ბერები ჯვაროსნების მიერ XII საუკუნეში აგებულ წმ. საფლავის ეკლესიაში დასავლეთის მხრიდან გაჭრილი კარის მფლობელები იყვნენ.

2. სტატიაში წარმოდგენილია სურათები და ტაძრის გეგმის მონახაზი, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ შესასწავლ საკითხთან.

## მსჯელობა და დასკვნები

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანის, „მეგლი ერისთავთა“ ცნობით, XIV საუკუნის დასაწყისში პალესტინის მფლობელ მამლუქთა სულტანს საქართველოდან წარგზავნილი პიპასა და იოანე პანტაის ძისტვის დიდი წყალობა გაუცია: „მისცნა კლიტენი იერუსალჴმისანი ... ფრიად განიხარა გიორგი მეფემან [გიორგი ბრწყინვალე, მ.მ.], რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“ (მესხია, 1954:350). საუბარია სპარსთაგან დაპყრობილ ქრისტეს საფლავის ეკლესიის შესასვლელ კარზე, რომელსაც მემატეანე, ტაძრის სიდიადის საჩვენებლად, „იერუსალჴმის კლიტედ“ მოიხსენიებს (მეტრეველი, 1962:46).

რამდენადაც XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილი (მესხია, 1954:310; ყაუხჩიშვილი, 1959:037-038) „მეგლი ერისთავთა“ ცნობები სხვა საბუთებითაც დასტურდება და ის სანდო წყაროდ არის მიჩნეული (მეტრეველი, 1962:46), ამბავი უდაოდ უტყუარია.

ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიის კარის საკითხისადმი ქართულ წყაროებში ხელმეორედ ყურადღების მიპყრობა ბეენა ჩოლოყაშვილის [სამეფო კარის მღვდელმთავარი, როგორც ბეენა ჩოლოყაშვილმა ერთ მინაწერში თავად აღნიშნა, “მეფის სახლის უხუცესი“ (ჟორდანი, 1897:329)] სახელს უკავშირდება, რომელიც 1512 წელს იერუსალიმში ჯვარის მამად (ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, რომელიც გოლგოთის ილუმენის მოვალეობასაც ასრულებდა, პალესტინაში მთელ ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელობდა და საქართველოს მეფეს იერუსალიმის პატრიარქთან აკავშირებდა) კახეთის მეფე გიორგი II-ის (ავ-გიორგის) მიერ იქნა გაგზავნილი. ეს ამბავი, ჯვრის მონასტრის



ხმარებაში დაშლილ წიგნთა აღდგენისას, ბენას თვითონვე არაერთგან მიუწერია: „ღო აცხოვნე მეფეთა-მეფე გიორგი და მაცხოვნე მე ცოდვილი იერუბახის ძე ჩოლოყაშვილი ბენა. აქა იერუსალიმს მოვიწიე ქქს:ს“ [1512 წ.] (ჯორდანია, 1897: 328).

ბენას მინაწერები ჯვრის მონასტრის წიგნთა განახლება-მოწესრიგების შესახებ ბევრია, მაგრამ XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულ კრებულზე, წიგნის შეკაზმვასთან ერთად, მეტად საინტერესო ცნობა დაუტოვებია:

„ამა წიგნისა მეორედ შემკაზმავსა ჩოლაყაშვილსა ბენასა შეუნდნეს ღწ. ქქსა სზ შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ღამისსა, შევაბი აღდგომის კარნი ნებითა ღთისათა. შენდობა ყავთ მადლსა ღთისსა, ძმანო“ (მარი, 1955:37).

ეს ამბავი ქორონიკონითაც არის დათარიღებული -- „ქქსა სზ“ (1514წ.) (მეტრეველი, 1962:123; ჯაფარიძე, 2011:128). თვე მითითებული არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ზრუნვა წლის დასაწყისშივე დაუწყია, რადგან იმავე წლის 23 იანვრის ერთ არაბულ საბუთში, რომელიც მოიძია და გამოსცა გოჩა ჯაფარიძემ, დაწვრილებით არის აღნუსხული ქრისტეს საფლავის ტაძრის კარის შებმის მიზეზი:

„ამაღლებული წერილი მოვიდა ჩვენ სამეფო კარზე ქართველთა თემის საკითხზე. და რაც გვაცნობა ჩვენ, შემდეგია: ხსენებულმა ქართველებმა შეატყობინეს ჩვენ სამეფო სადგომებს, რომ მათ კუმამაში [აღდგომის ეკლესია, გ. ჯ.] არის კარები, რომელიც მუდამ იღება და იკეტება ქრისტიანული რელიგიური თემისათვის. მისი ხის ფიცარი უკვე დაიღრღნა, დაიმტვრა და დაუცველია ის ნივთები, რომლებიც მათ ხსენებულ ადგილზეა, მისი [კარების, გ. ჯ.] დამტვრევისა და მისი კიდეების დაშლის გამო. დაე, ამაღლებულმა ღირსებამ გამოსცეს კურთხეული ბრძანება და მოიწვიოს მთავარი ყადი და ისლამის შაიხები, განიხილოს ის, მისცეს მათ ნება კუმამას ხსენებული კარების შეკეთებისა თავისი თანხმობით. იახლოს მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხი, თავისი ხის ფიცრებით. დასრულდეს ის, რასაც საჭიროებს წესისამებრ, სიგრძე-სიგანით, სისქით და დაიკავოს თავისი ადგილი, სადაც არის ამჟამად, მორთულობის გარეშე, გაიღოს და არ გაიღოს წესისამებრ, ყველაფერი ეს კანონიერი გზით, არც ანგარებით, არც ახირებით და არც ქრთამის გათვალისწინებით. დაიყოს, რაც ნახსენებია, თანდასწრებით ამაღლებული ღირსების და ყადიების წარმომადგენლისა და მუსლიმი ხუროთმოძღვრისა, რომელიც შეასრულებს ამ საქმეს, მათი თანდასწრებით. დაიწეროს ამის თაობაზე ოქმი მისი დასრულებისას და გაიგზავნოს ჩვენ სამეფო კარზე, რათა ეცნობოს ჩვენ სამეფო ცოდნას ის. გაცნობებთ ამის თაობაზე და მაღალი ალაჰი იძლევა წარმატებას თავისი წყალობით



სურ. N1. კარი, რომელიც ამ სვეტის უკან მოჩანს, ტაძრის მეორე (დასავლეთის) შემოსასვლელთან დამაკავშირებელ ეზოში გადის (ავტორის ფოტო).

და გულუხვობით, თუ ისურვებს მაღალი ალაჰი. დაიწერა 26 წმინდა ზუ-ლ-კადას 912/1514 წ. 23 იანვარს, თანახმად სამეფო ბრძანებულებისა“ (ჯაფარიძე, 2018:288-9).

როგორც ჩანს, ბრძანების გაცემა მამლუქ მოხელეებს არ დაუყოვნებიათ და არც ბენას დაუგვიანებია კარის შეკეთება. მოპოვებული უფლება მაშინვე სისრულეში მოუყვანია.

ამბავი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის ყველა სამლოცველოსა თუ ეკვდერს (მინაშენს), სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის სახით, თავისი საკუთრების გააფთრებული დამცველი პატრონი ჰყავდა<sup>1</sup>, მითუმეტეს შემოსასვლელ კარს, თავისი კლიტეებითა და საკეტებით.

ასეთ ვითარებაში, კარის განახლების უფლებას სხვის საკუთრებაზე ბენა, რა თქმა უნდა, ვერც მიიღებდა და

ვერც შეასრულებდა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ადგილზე, როგორც არის ყველა ქრისტიანისთვის უმთავრესი ტაძარი - ქრისტეს

1 სხვადასხვა კონფესიათა შორის უსიამოვნებების შესახებ ცნობები არაერთ წყაროშია დაცული. გრიგოლ ფერაძეს თავის დღიურში ერთი მართლმადიდებელი არაბის მონათხრობი ჩაუწერია: „ტაძარში, სადაც თითქმის ყველა ქრისტიანულ აღმსარებლობას თავისი მცირე ნაწილი აქვს, ვის რა ნაწილი ეკუთვნის, ნოტარიუსის მიერ დაწერილი რაიმე ხელშეკრულება არ განსაზღვრავს. ერთადერთ კანონად ტრადიცია მიაჩნიათ“ (ფერაძე, 2016:89). 1907 წელს, მაგალითად, ფრანცისკელებს ეკლესიაში თავის კუთვნილ ადგილზე მეტი დაუსუფთავებიათ, არაბების ფართობზეც შეჭრილან (იქვე). მაშინვე გაჩნდა ეჭვი (ალბათ, მიზეზიც ჰქონდათ, მ.მ.), რომ ფრანცისკელებს მათი ადგილის დაპატრონება და იქ თავისი საკურთხეველის მოწყობა სურდათ. წესის დამრღვევი ბერები არაბებისგან გალახულან (იქვე).

დღესაც, პირობის დამრღვევთ, პასუხს სთხოვენ, რაც ხანდახან ხელის შეხებითაც კი მთავრდება. შეხლა-შემოხლა განსაკუთრებით ხშირად დღესასწაულების წინ ტაძრის დალაგება-დასუფთავების დროს ხდება. საკუთრების დასაცავად მომართულ სიფხიზლეს საკმაოდ აგრესიულად გამოხატავენ.

საფლავისა და აღდგომის ეკლესია<sup>2</sup>. ამავე დროს, ვინმე „იმერელი, ოკრიბელი ბერის“, ლავრენტი გოგელაძის (გოგოლაძის) 1806 წლის მინაწერი<sup>3</sup> გვამცნობს, რომ „იერუსალიმს<sup>4</sup> ხის კარები აზია კვიპაროზის, და ზედ ქართველი გიორგი მეფე სწერია, სცანთ და იძიენით“ (მარი, 1955:44).

ბერი ლავრენტის მიერ ნახსენები მინაწერის წაკითხვას ალექსანდრე ცაგარელი (1883 წ.), მისივე თქმით, აღდგომის ეკლესიის დიდსა და მცირე ბჭეზე ვარაუდობდა (Цагарели, 1888:190). კარნიზებიც დაუთვალიერებია, რომლებიც გრაფი მ. ვოგიუეს მტკიცებით, 1808 წლის ხანძარს გადაურჩნენ, მაგრამ მხოლოდ პილიგრიმების ამოჩხაპნილი სახელები და რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვა აღმოაჩინა (Цагарели, 1888:191).

2 ლითონის დეკორატიულ ფირფიტებზე, რომელიც შემოსასვლელ ცენტრალურ კარზეა დამაგრებული, ქრისტეს საფლავის ეკლესია „მხსნელის საფლავად“, „სიცოცხლის საფლავად“ არის მოხსენიებული (ხურცილავა, 2020:17). არ ვიცი, როდინდელი შეიძლება იყოს არაბულ ენაზე, როგორც ჩანს, ქრისტიანი არაბების მიერ შესრულებული ასეთი ლამაზი წარწერა. თუმცა გრაფ მ. ვოგიუესა (Цагарели, 1888:191) და დღევანდელ მეკლიტურებს თუ დაუუჯერებთ, კარი და მასზე დამაგრებული მეტალის ნაწილები 1808 წლის ხანძარს გადაურჩა (ხურცილავა, 2020:16) და ჯვაროსანთა დროინდელი თუ არა, სელიმ I იაფუზის დროინდელი მაინც იქნება. არანაკლებად მხატვრულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერის ლავრენტი გოგელაძის 1806 წლის მინაწერი, სადაც ის ქრისტეს საფლავსა და აღდგომას „ნათელი მხიარულისავეს“ უწოდებს (Цагарели, 1888:189, 190), ტიმოთე გაბაშვილი კი -- „ცხოვრების მომცემელსა საფლავსა“ (მეტრეველი, 1956:120).

3 ლავრენტი გოგელაძის ეს მინაწერი ცნობილი გახდა ალ. ცაგარელისა (Цагарели, 1888:189) და ნ. მარის (მარი, 1955:44) ექსპედიციების შედეგად. მინაწერებისავე მიხედვით, ბერი ლავრენტი 1805 წელს [ქკ~ს ჩყე] მოსულა იერუსალიმში, 1806 წლიდან [ქკ~ს ჩყე] კი ჯვრის მონასტერშია (Цагарели, 1888: 189; მარი, 1955:43-44). საქართველოში, სავარაუდოდ, 1812 წელს დაბრუნებულა, რაც თედო ჟორდანისა მიერ ჯრუჭში აღმოჩენილი, ჩვენამდე სრული სახით მოღწეული ჯვრის მონასტრის კუთვნილი დიდი სვინაქსარის მინაწერებით ირკვევა (ჟორდანია, 1897:522). ეს წიგნი წარმოადგენს 1155 წლის ხელნაწერთა კრებულს, რომლის ჯვრის მონასტრიდან გამოტანას, თედო ჟორდანისა ვარაუდით, სწორედ ბერ ლავრენტის უნდა ვუმაღლოდეთ (ჟორდანია, 1897:522). მისმა ფურცლებმა, სხვა მეტად მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად, გიორგი-პროხორეს (ჯვრის მონასტრის აღმშენებელი XI საუკუნეში) ცხოვრება და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შენების ამბავი შემოგვინახა (ჟორდანია, 1897: 523-4).

4 „იერუსალიმში“ აქ ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესია იგულისხმება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქრისტეს საფლავის სალოცავს, მისი სიდიადის ხაზგასასმელად, „იერუსალიმისას“ ეძახდნენ. ლავრენტი ბერის მინაწერში ამ ტაძრის უსახელოდ, მხოლოდ მისი იერუსალიმს არსებობით მოხსენიება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიას ქართველები, „მეგლი ერისთავთას“ ავტორის დარად, „იერუსალიმად“ („კლიტენი იერუსალჴმისანი“) მოიხსენიებდნენ.



სურ. N2. ქრისტეს საფლავის ეკლესიის მთავარი (სამხრეთის) კარი (ავტორის ფოტო).



სურ. N3. ქალწული მარიამის თალი, იგივე „კლიტენი იერუსალჴმისანი“ გასაღები დასავლეთის კარი (არქიმანდრიტ ირინარხოსის ფოტო).

მისი აზრით წარწერა ხანძარმა დააზიანა (იქვე). აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამას ტაძრის სამხრეთ მხარეს, მთავარი კარის სიახლოვეს ეძებდა (იქვე). როგორც ჩანს, „დიდსა და მცირე ბჭეში“ ის მხოლოდ ცენტრალური კარის კიდეზე შეჯგუფებული მარმარილოს სამი სვეტით შექმნილ რამდენიმე საფეხურიან ჩარჩოსა და თვით ამ კარს გულისხმობდა.

გიორგი გაგოშიძე, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა ქრისტეს აღდგომის ეკლესიის მთავარი (სამხრეთის) კარისპირა ჩარჩოსა და სვეტებზე ამოკვეთილი წარწერები, მათ ასევე არ მიიჩნევს ლავრენტი გოგელაძის მიერ მოხსენიებულ დასრულებულ ფრაზად (გაგოშიძე, 1992:137). მკვლევარი თვლის, რომ ის „ერთიანი გააზრებული შინაარსის ნაწერი“ ხანძარმა მოსპო და ალექსანდრე ცაგარელის მსგავსად, მხოლოდ სამხრეთის კედელში გაჭრილ მთავარ კარს აღწერს (გაგოშიძე, 1992:136-137).

გოჩა ჯაფარიძის მიერ შემოხსენებული არაბული საბუთის აღმოჩენამდე, ტაძრისთვის „კარის შებმის“ ამბავი მხოლოდ ბენენას მინაწერით

იყო ცნობილი. ეს ამბავი კი იმდენად საეჭვო ჩანდა, რომ მეცნიერი, როგორც თავად აღნიშნავდა, თავდაპირველად, ამ კარში არა ცენტრალურ შესასვლელს, არამედ გოლგოთისკენ ქვემოდან ამოსასვლელი კიბის-თავს, გოლგოთის ქვედა ნაწილის შესასვლელს ვარაუდობდა (ჯაფარიძე, 2011:128)<sup>5</sup>. იგი მამლუქთა მოხელეების ზემოთმოყვანილი ბრძანებულების გამოვლენის შემდეგ დარწმუნდა, რომ საქმე ნამდვილად აღდგომის ეკლესიის კარს ეხებოდა (ჯაფარიძე, 2011:129). ამასთანავე, მისი აზრით, „სწორედ სამხრეთის ფასადიდან სურდა კარების შებმა აღდგომის ტაძრისთვის ბენა ჩოლოყაშვილს“ (იქვე).

ასეთივე თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული თინა ცერაძესა და გიორგი გაგოშიძეს თავის ერთობლივ ნაშრომში. ბენა ჩოლოყაშვილის მიერ აღდგენილ კარში, მათი ვარაუდით, „წმინდა საფლავის ეკლესიაში შესასვლელი დიდი კარები“ იგულისხმება (ცერაძე, გაგოშიძე, 2007:20).

ტაძრის ქართველთა კუთვნილ კარად სამხრეთის ბჭეს მიიჩნევენ ბესიკ ხურცილავაც, რომელმაც უშუალოდ ამ კარის მეკლიტურებს უძღვნა მეტად საინტერესო სტატია. „წმინდა კარის“ ანუ ცენტრალური დიდი კარის იერსახის „ერთ-ერთი ცვლილება“, მისი აზრით, ქართველებს უკავშირდება (ხურცილავა, 2020:11,18).

თავდაპირველად, ბენას განახლებულ კარად, ისევე, როგორც ყველას, მეც ცენტრალური დიდი კარი მესახებოდა. მაგრამ შემდგომ, ამ ამბის შესახებ ქართულ წყაროებში არსებულმა ზოგიერთმა მინიშნებამ აზრი შემაცვლევინა, ე. წ. „ირიბი ინფორმაციის“ მიდევნებამ კი სხვა შემოსასვლელი კარის არსებობა მაფიქრებინა.

მოგზაურთა ჩანაწერები გვამცნობენ, რომ XIV-XV საუკუნეებში, დროდადრო, წმინდა საფლავზე შესასვლელ კართა გასაღებს ქართველები მართლაც ფლობდნენ. მაგალითად, რუდოლფ ზუდჰაიმის 1347 წლის უწყების მიხედვით: „ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეეღებვიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი“ (ფერაძე, 2012:16). ამ მნიშვნელოვანი ცნობის მიხედვით გაურკვეველია თუ ტაძრის რომელი კარის გასაღები ეპყრათ ქართველ ბერებს. უცხოელი მოგზაურის ფელიქს ფაბრის 1480-1483 წლების ჩანაწერში მითითებული ნიშნების მიხედვით კი, კარის ადგილ-სამყოფელის ამოცნობა შესაძლებელია:

„წმინდა საფლავის ეკლესიას, ასე რომ ვთქვათ, აქვს სამი შესასვლელი ... მეორე შესასვლელი ისაა, რომელსაც პატარა ეზოდან

---

5 ამჟამად გოლგოთისკენ მიმავალი კიბის თავსა და ბოლოში ძველი კარის კვალიც კი არ ჩანს. შესაძლოა, ეს აზრი გოლგოთის სვინაქსარზე 1400 წლის მინაწერმა გამოიწვია, სადაც ახსნილია ფრანგთა და ქართველთა უფლებები აღდგომის ეკლესიასა და გოლგოთაზე: „ადამის თხემი და გოლგოთა ... ფრანგთაკენ - მათი, და ამიერ - ჩუენი, ორი კარი აბია“ (მეტრეველი, 1962:122-123).

ტაძრის პირველ ქვაბში მივყავართ. შესასვლელი ჭიშკრით იხურება და ურდულით იკეტება; ამ კარის გასაღებები ამჟამად ლათინი მინორიტების ძმობას [ფრანცისკელთა ორდენის ბერთა სამმო, მ.მ.] ეკუთვნის, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ მათ ქართველები ფლობდნენ“ (ფერაძე, 2012:21).

ტექსტის უკმარობის გამო, არ ჩანს ტაძრის პირველ შესასვლელად რომელი მიაჩნია ფელიქს ფაბრის, მაგრამ, ექვგარეშეა, ატრიუმიდან (ეზო) შესასვლელი ცენტრალური კარი იგულისხმება<sup>6</sup>. ცენტრალური კარიდან ტექსტში ნახსენებ „პირველ ქვაბამდე“ (უთუოდ ქრისტეს საფლავისა და ადგომის წმინდა ადგილი -- კუფუკლია /ბერძ. განსასვენებელი) პირდაპირ, როგორც ტექსტშია მითითებული, ვერ მოხვდებით, გარკვეული მანძილია გასავლელი სხვა პატარა თუ დიდი სამლოცველოების გავლით, რომლებსაც არ ახსენებს. ამასთანავე, ატრიუმს „პატარა ეზოს“ ნამდვილად ვერავინ უწოდებს და არც მისი ჭიშკრითა და ურდულით დაკეტვაა სადმე აღწერილი („შესასვლელი ჭიშკრით იხურება და ურდულით იკეტება“)<sup>7</sup>.

გარდა ამისა, ერთ არაბულ საბუთში (1512 წ. 24 ნოემბრის ბრძანებულება) წერია, რომ „იყოს ქვედა ადგილი მათი [ქართველების, მ.მ.] საკუთრება, ფრანკების რელიგიური თემის გარეშე“ (ჯაფარიძე, 2018:285). საბუთში არ არის მითითებული თუ რა იგულისხმება „ქვედა ადგილში“. რა თქმა უნდა, უფრო საფიქრებელია, რომ გოლგოთის ქვემოთ განლაგებული „ადამის ეკვდერი“ (სამლოცველო გოლგოთის მთის ძირში) ივარაუდებოდეს. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ არა უშუალოდ გოლგოთის ქვეშ, არამედ საპირისპირო მხარეს, ქვემოთ,

---

6 დოკუმენტში ნახსენებ მესამე შესასვლელში („წმინდა საფლავის ეკლესიას ... აქვს სამი შესასვლელი“), საფიქრებელია, იგულისხმებოდა მარიამ მეგვიპტელის სამლოცველოსა და ცენტრალური შესასვლელის ამოშენებულ კარს შორის არსებული კიბე, რომლითაც ჯვაროსნები გოლგოთაზე ადიოდნენ. (სურ. N2-ზე ამ კიბეზე ტურისტები სხედან). ამჟამად ეს გზა გაუქმებულია, სამლოცველო კი ფრანცისკელთა ორდენს ეკუთვნის. დღეისათვის, აქვე, ატრიუმის მარჯვენა კუთხეში განლაგებულ წმ. მიქაელის სახელობის კოპტური სამლოცველოდან შეიძლება ტაძრის ერდოზე მოხვედრა.

7 თავისთავად ატრიუმი, გვიანდელ რომაულ და ბიზანტიურ არქიტექტურაში, წარმოადგენდა სვეტებით გარშემორტყმულ შიდა ეზოს. ქრისტეს საფლავის ეკლესიის ატრიუმი სამი მხრიდან შენობებით არის შემოსაზღვრული, მეოთხე, ღია ნაწილში კი, დღეისათვის ძველი სვეტებიდან მხოლოდ ერთია შემორჩენილი (ატრიუმის დასავლეთ მხარეს, კუთხეში), დანარჩენი ხუთის ბაზისი ოთხსაფეხურიანი ფართო კიბის მეორე საფეხურზე თვალნათლივ ჩანს. ამგვარ ეზოს ვერც ჭიშკარი ექნებოდა და ვერც ურდულით დასაკეტი კარი.

როტონდის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის სვეტებს მიღმა განლაგებული მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველო იგულისხმებოდა<sup>8</sup>.

არაბი მამლუქების მიერ ზემოხსენებული ბრძანების დაწერამდე სულ ცოტა ხნით ადრე, 1507 წელს, „ღვთისმშობლის და იოანე მახარებლის

8 კუვეუკლიდან ჩრდილოეთ მხარეს, როტონდის სვეტებს მიღმა, ორ თაღს შორის (საიდანაც ქრისტეს დილეგისკენ მიმავალი დერეფანი, ე. წ. „ღვთისმშობლის თაღბია“) კედელზე მარიამ მაგდალინელის მაცხოვართან შეხვედრის ამსახველი ჰორელიეფია, მის მოპირდაპირე კედელზე კი იმავე სიუჟეტის ფერწერული ტილო. ამ ორ კედელს შორის გეომეტრიული ორნამენტის იატაკია. ეს ის სავარაუდო ადგილია, სადაც მარიამ მაგდალინელმა იხილა ზეცად ამალღებული უფალი. შეხვედრის ადგილად ეს არეა მიჩნეული და მაგდალინელის ღია სამლოცველოდაც ეს ითვლება: „ხოლო მარიამი სამარხთან იდგა და ტიროდა. და მტირალი დაიხარა სამარხისაკენ, და იხილა თეთრი სამოსით მოსილი ორი ანგელოზი ... უკან შემობრუნდა და დაინახა იქვე მდგარი იესო, მაგრამ ვერ იცნო, რომ იესო იყო ... უთხრა მას იესომ: ნუ შემეხები, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ავსულვარ მამასთან“ (იოანე, 20:11-12,14,17). ზუსტად მის უკან იყო, დღესდღეობით ასევე კათოლიკეთა კუთვნილი, ყოფილი ქართული სამლოცველო. ამჟამად, ამ სხვადასხვა სათავსოებითა და გასასვლელებით დატვირთულ, საკმაოდ მოზრდილ ნაწილში განლაგებულია: 1. ღვთისმშობლის წინაშე მაცხოვრის გამოცხადების კათოლიკურ-ფრანცისკანული სამლოცველო, სადაც ნიშაში გაშოლტვის სვეტის ნაწილია დაცული; 2. მარჯვნივ -- კათოლიკური საკრისტია (სამღვდელოების მნიშვნელოვანი ექსპონატების შესანახი და წარმოსაჩენი საცავი კათოლიკურ ეკლესიაში), სადაც ყველაზე მნიშვნელოვნად გოტფრიდ ბულონელის (1099 წლის ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაური და პირველი მეფე, ე. წ. „უფლის საფლავის მცველი“) მახვილი და დეზები ითვლება; 3. მარცხნივ - მგლოვიარე ღვთისმშობლის ეკვდერი (ბერძნულ-მართლმადიდებელი), სადაც ხანძრისგან მეტად დაზიანებული, აგრემლებული ღვთისმშობლის ხატია დავანებული. როდემდე შეძლო ქართულმა სამომ და სათვისტომომ ამ ადგილის შენარჩუნება უცნობია. პალესტინაში თურქ-ოსმალთა გაბატონების შემდეგ (1516 წლიდან), როგორც ცნობილია, ვითარება მეტად გართულდა. თუმცა ლეონჰარდ როიხვოლფენის ჩანაწერის მიხედვით, 1573 წელს ეს ადგილი კვლავ ქართველების იყო: „სადაც გალობენ და წირვას ასრულებენ [ქართველები, მ. მ.] ... იესო ქრისტეს საფლავის ახლოს, იქ, სადაც იგი პირველად წარუდგა მარიამ მაგდალინელს მეზადის სახით თავისი აღდგომის შემდეგ“ (ფერაძე, 2012:28-29). ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში მარიამ მაგდალინელის სამლოცველო ორია და ორივე მის წინაშე ქრისტეს გამოცხადების ადგილად არის მიჩნეული: 1. როტონდასთან (წრიული დაგეგმარების გუმბათოვანი ნაგებობა) - კათოლიკური, 2. ატრიუმში - ბერძნული. ქართველებს ქრისტეს საფლავის (კუვეუკლიის) გვერდით, როტონდასთან განლაგებული, ამჟამად კათოლიკური ღია სამლოცველო ეკუთვნოდათ. მეორე სამლოცველო ტაძარში მთავარ (სამხრეთის) შემოსასვლელთან, ატრიუმის მარცხენა მხარეს მდებარეობს. მას „წმ. მენელსაცხებლე დედათა ტაძარსაც“ უწოდებენ. ტიმოთე თავის „მიმოსლვაში“ სწორედ ამ მეორე სამლოცველოს აღწერს (მეტრეველი, 1956:72).

სამლოცველო“, იგივე „ადამის ეკვდერი“ ისედაც ქართველებისა ჩანს<sup>9</sup>. მარიამ მაგდალინელის სამლოცველო კი, ბენას იერუსალიმში ყოფნის ახლო ხანებში, სადავო იყო. საბუთების მიხედვით, 1440 წელსაც<sup>10</sup> და, ფელიქს ფაბრის ზემოთმოტანილი ჩანაწერთაც, 1480-83 წლებამდე სულ რამდენიმე წლით ადრე, მას ქართველები ფლობდნენ (ფერაძე, 2012:21)<sup>11</sup>. ვფიქრობ, გოლგოთის სვინაქსარის 1400 წლის მინაწერის ფრაზაც -- „აღდგომისა კარსა ზედა მარჯნით ჩუენია ჯდომა“ (მეტრეველი,

9 ჰერცოგ ბრიგელის 1507 წლის ჩანაწერის მიხედვით, „სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში (ღვთისმშობლის და იოანე მახარებლის სამლოცველო) მათ [ქართველებს, მ.მ.] ეკუთვნის“ (ფერაძე, 2012:26). უფრო ადრინდელ ჩანაწერებშიც (1479-80 წწ., იოჰან ტუხერნი), ქართველებისა სამლოცველო „გოლგოთას მთის ძირში, იქ, სადაც კლდეში, მარჯვნივ ნაპრალი გადის. ამ სამლოცველოს ღვთისმშობლისა და წმ. იოანე მახარებლის სახელი ჰქვია“ (ფერაძე, 2012:20; Цагарели, 1888:58). მისივე ცნობით, „მათ [ქართველებს, მ.მ.] ეკუთვნით ჩვენი საყვარელი ასულისა და წმ. იოანე მახარებლის სახელობის“ ეკლესია (დავიდი, 1976:298). „ადამის ეკვდერი“ არის ადგილი გოლგოთის ქვეშ, სადაც გადმოცემით, ჯვარცმისას ადამის თავის ქალა გადმოვარდა და ამასთანავე ადგილი, საიდანაც ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი თვალს ადევნებდნენ ჯვარცმულ იესო ქრისტეს. ამიტომ ეს სამლოცველო, რომელიც ამჟამად ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიას მიეკუთვნება, ხშირად ამ სახელითაც გვხვდება. ცენტრალური კარიდან მარცხნივ, ქრისტეს საფლავის მიმართულებით მოძრაობისას, კოპტების მომცრო ოთახის გვერდით სომხური ეკლესიის მოზრდილი სამლოცველოა. მის წინ, კუვუკლიისკენ მიმავალ გასასვლელში აღმართულ კიბორჩხისა (პატარა სამლოცველო, ოთხი სვეტით შემაგრებული ქვის, მეტალის ან ხის თაღით) იგივე დატვირთვა აქვს -- ჯვარცმის მომხიარულ ღვთისმშობლისა და იოანეს ადგილად არის მიჩნეული. ამავე დროს, წმ. მენელსაცხებლე დედათა სახელსაც უკავშირებენ. ქართველები ფლობდნენ არა ამ უკანასკნელს (სომხური სამოციქულო ეკლესიის კუთვნილს), არამედ გოლგოთის ძირში განლაგებულ ღვთისმშობლისა და იოანეს სამლოცველოს, იგივე „ადამის ეკვდერს“. 1494 წლის პილიგრიმული ჩანაწერის მიხედვით, ქართველებს „ეკუთვნის ადგილი, სადაც ჯვარი აღმოაჩინეს, აგრეთვე გოლგოთას წმინდა მთაც, ისევე როგორც სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში. ამ სამლოცველოს სახელი ეწოდა ღვთისმშობლისა და წმ. იოანეს მიხედვით“ (ფერაძე, 2012:23). ასევე 1542 წლის ცნობითაც, „ამ ადგილზე, სადაც ღვთისმშობელი და წმ. იოანე ღვთისმეტყველი იდგნენ და ჯვარცმულ ქრისტეს უმზერდნენ, ქართველები ასრულებენ წირვას“ (ფერაძე, 2012:27). აქ „არის აგრეთვე ადამის თავის ქალა“ (ფერაძე, 2012:86).

10 ჰანს და პეტერ როტის ცნობით (1440 წ.): „მარიამ მაგდალინელის სამლოცველო (წმინდა საფლავის ეკლესიაში) ეკუთვნის ქართველებს“ (ფერაძე, 2012:19).

11 იოჰან ტუხერნის ცნობითაც, რომელმაც იერუსალიმში 1479-1480 წლებში იმოგზაურა, მარიამ მაგდალინელის სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდათ (Цагарели, 1888:58).



1962:122-123), სწორედ საფლავისა და აღდგომის ეკლესიაში, კუვეკლიის მარჯვნივ მდებარე მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველოს გულისხმობს.

ბენა კი სწორედ დაკარგული საკუთრების დაბრუნებას ცდილობდა და 1492 წელს წართმეულ გოლგოთასაც ფრანგებსვე ედავებოდა<sup>12</sup>.

ფელიქს ფაბრის აღწერილობას თუ მივდევთ, აღდგომის ეკლესიაში ეს მეორე შესასვლელი უშუალოდ კუვეკლიის მარჯვენა მხარეს, როტონდის სვეტებს მიღმა, დღეისათვის ფრანგთა კუთვნილ ნაწილში უნდა იყოს განთავსებული.

ამჟამად, აქედან ერთი გასასვლელი პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო ეზო-ბაღს უკავშირდება. კარის წინ სამი მაღალი თაღია, რომელთა ბოძებიდან უშუალოდ კარის სიახლოვეს არსებულ სვეტს სადა კაპიტელი (სვეტისთავი) ამკობს. მისი ერთადერთი გარსშემოვლებული ორნამენტი მე შროშანის ყვავილად აღვიქვი („შროშანი ღელეთა“)<sup>13</sup>. ამის გამო კიდევ

---

12 ჯერ კიდევ ელჩის სტატუსით „აღდგომის ეკლესიის გახსნის სა-თხოვნელად“ (ჯაფარიძე, 2011:123) კაიროში ბენას ჩასვლის შემდეგ (1512 წ. ივნისში), ქართველებს პალესტინის ნავსადგურებში გადასახადების გადა-უხდელად შემოსვლისა და აღდგომის ეკლესიაში ლოცვის უფლება დაუბრუნდათ (ჯაფარიძე, 2011:124). ჯვრის მონასტრის კუთვნილ ერთ-ერთ კრებულზე კი მისივე მინაწერის მიხედვით: „აქა, მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმინდისა საყდარზედა, და დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბენასა ძმანო. ნებითა ლ`თისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყულა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმა ბენე, ამინ“ (მარი, 1955:36).

13 შროშანი -- ბევრ სხვა მნიშვნელობასთან ერთად, ქრისტიანულ ცნო-ბიერებაში, ღვთისმშობლის ერთ-ერთი სიმბოლო; ხარების სცენის მანიშნებელი ყვავილი; სოლომონის მცენარე: „მე ვარ ნარგიზი შარონისა და ღელეთა შროშანი“ („ქებათა-ქება სოლომონისა“, II:1); მათესა და ლუკას სახარებებში მათთან შედარებული სოლომონი: „შეხედეთ, როგორ იზრდებიან ველის შროშანი: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ: თვით სოლომონი მთელი თავისი დიდებით არ იყო ისე შემოსილი, როგორც თვითეული მათგანი“ (მათე, 6:28-29; ლუკა, 12:27); XI საუკუნის ესპანეთში მცხოვრები ებრაელი პოეტის, მოშე იბნ ეზრას ჯემალ აჯიაშვილისეული თარგმანის მიხედვით, დევნილი ისრაელის სიმბოლო (აჯიაშვილი, 1994:4):

„კვლავ გაბრწყინდება საქორწინო ქადა-ხმიადი,

ჰანგი სტვირისა აამღერებს ღელის შროშანებს,  
ფრთებშეკეცილი ყორანივით

წავა წყვდიადი

და განთიადი ქედანივით შეიფრთოსანებს.

გაღმა გარდავა მწუხრის მისანი, სადმე ცის პირას ოზლად მიჯდება,  
მზე მობრუნდება ნაყირმიზალი

და ფიალებში ჩანარგიზდება“

(აჯიაშვილი, 1994:87-88).

უფრო მიმზიდველი მეჩვენებოდა, მაგრამ სულ არ მიფიქრია, თუ რა საიდუმლოს ინახავდა მის უკან განლაგებული კარი (სურ.N1). ქუჩიდან, „პატარა ეზოს“ გავლით, მხოლოდ ამ კარიდან არის შესაძლებელი ტაძრის „პირველ ქვაბში“ ანუ ქრისტეს საფლავთან (კუვუკლიასთან) პირდაპირ, სხვა სამლოცველოების გვერდით გაუვლელად მოხვედრა, როგორც აღწერილია ფელიქს ფაბრის ზემოთმოყვანილ ჩანაწერში.

თუკი ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს „იერუსალიმის კლიტე“ შეიძლება ერქვას:

„მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალჴმისანი სპარსთა დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძეშალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ ... მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა<sup>14</sup>, ხოლო მან ... მისცნა კლიტენი იერუსალჴმისანი“ (მესხია, 1954:350), მაშ, არც ის არის გამორიცხული, რომ „აღდგომის ტაძრის გასაღებში“ არა ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიის მხოლოდ ცენტრალური, არამედ ფაბრის მიერ ხსენებული „მეორე კარის“ საკეტიც იგულისხმებოდა.

რამდენადაც ტაძრის ცენტრალური კარის მასიური კლიტე-გასაღები საუკუნეების მანძილზე ორ არაბულ არაქრისტიან ოჯახს აბარია, ბენა თავისი ნებით ღამით დაკეტილ კარს ვერაფრით გააღებდა. მუჰამედის შტოს წარმომადგენელმა ჯუდე ალ-ჰუსეინის შეიხების გვარის ოჯახმა, რომელთაც გასაღების და წმინდა საფლავის ბეჭდის შენახვა ევალებათ<sup>15</sup>, თავის მხრივ, ნუსეების სახლელული დაიყენეს კარის გამღებ-დამკეტავად (ხურცილავა, 2020:13,15).

ნუსეების გვარის უფროსი წარმომადგენელი (ამჟამად, ვაჯიჰ ნუსეიბი) ყოველ დილა-საღამოს აღებს და კეტავს ტაძრის მთავარ კარს. ეს იმდენად მნიშვნელოვან მოვალეობად არის მიჩნეული, რომ დღესაც, სომხური და ფრანცისკელთა ეკლესიის წარმომადგენლები ნუსეების ოჯახის მეკლიტურს ყოველ დილას 25-25 შეკვლს (ისრაელის ვალუტა) უხდიან, ბერძნები კი 500 შეკვლს ( ხურცილავა, 2020:14).

მოვალეობა მამიდან შვილს ან ძმასა და მის შვილებს მემკვიდრეობით თუ რა დროიდან გადაეცემა, ზუსტად თქმა ძნელია. ზოგის აზრით ტრადიციას საფუძველი სალაჰ ად-დინმა ჩაუყარა (1192 წ.), სხვანი სულტან ას-სალაჰ აიუბის მმართველობის ხანას ასახელებენ (1245 ან

---

14 „მისრელად ანუ ნისრელად ქართველნი უწოდებდნენ მეგვიპტეთა, რომელნიც ამ დროს მძლავრობდნენ აღმოსავლეთში და პალესტინეში. შეიძლება აქ ნისრელად იწოდებოდეს მისრეთის ანუ ეგვიპტის სულტანი ნასარ-მელიქი“ (ჟორდანია, 1897:8).

15 ცეცხლის გარდამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე წმინდა საფლავის კარი ბერძენი ბერის მიერ სიმბოლურად, იესოს სამარხის გუშაგობის აღსანიშნავად, ცვილით ილუქება და ზედ ბეჭედი ესმევა: პილატესთან საუბრის შემდეგ, მღვდელმთავრებმა „სამარხის დასაცავად დაბეჭდეს ლოდი და დარაჯი დაუყენეს“ (მათე, 27:66).

1249 წწ), ან სულაც ბენენას მიერ კარის შებმის შემდეგ მალევე, ოსმალეთის სულტან სელიმ I იავუზის მოსვლას უკავშირებენ (1516 წ.) (ხურცილავა, 2020:13-14). თუმცა ბენენას დროს, კარს რომ მეკლიტურები უკვე ჰყავდა, ეჭვგარეშეა, რაზედაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

ცენტრალური კარი, სადაც მას დღეს ვხედავთ, ჯვაროსნებმა მოარგეს თავის აშენებულ, გოლგოთისა და ქრისტეს საფლავის გაერთიანებულ შენობას (XI-XII სს.)<sup>16</sup>. თუმცა მეკლიტურთა მონაყოლის მიხედვით,

---

16 საუკუნეთა მანძილზე განახლებულ-ნაშენები, ჯვაროსნების დროს ცალკეული სამლოცველოების ერთ დიდ ტაძრად შეკრული შენობის გარეგნული იერსახე ფაქტიურად დღემდე აღარ შეცვლილა. 1808 წლის დიდი ხანძრის შემდეგ ეკლესიის აღსადგენად, ძირითადად, შენობის შიდა სამუშაოები ჩატარდა.

ჯვაროსნების დროს გაჭრილი ორი მოსაზღვრე კარიდან (შემსვლელთათვისა და ტაძარმლოცვილთა გამოსასვლელად ცალ-ცალკე ან, შესაძლოა, განკერძოებით ქრისტეს საფლავის მომლოცველთათვისა და გოლგოთაზე ამსვლელთათვის) ერთი ამჟამად ამოშენებულია. მისი კონტური დღესაც სრულიად გარკვევით ჩანს. პეტრე კონჭოშვილის მიხედვით, „სამხრეთის მხრით არის დიდი შესავალი კარები ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში, ხოლო მეორე კარები ამავე მხრით ოსმალთ ამოუშენებიათ“ (კონჭოშვილი, 2010:49). ითვლება, რომ, ეს მოსაზღვრე კარი XII ს-ის ბოლოს გაუქმდა (ჯაფარიძე, 2011:129; ცერაძე, გაგოშიძე, 2007:21; ხურცილავა, 2020:11), კონჭოშვილის „ოსმალთა“ კი ზოგადად მუსლიმებსაც შეიძლება გულისხმობდეს და საკუთრივ თურქ-ოსმალებსაც.

ტიმოთე გაბაშვილი სწორედ ამ კარს მიიჩნევს იმ საზღვრად, რომლის ზღურბლიც ტაძარში შესვლას მოწადინებულმა მარიამ მეგვიპტელმა ვერ გადააბიჯა: „ერთი იგი არს, რომელსა მარიამ მეგვიპტელი ვერ შევიდა, და მეორე -- სხვა“ (მეტრეველი, 1956:72). მარიამ მეგვიპტელის სამლოცველოც მარჯვნივ, ზუსტად კარის ამ მხარეს, მის სიახლოვესგა განლაგებული. ტიმოთე მის დახშულობაზე არაფერს ამბობს. იქნებ მის დროს, XVIII საუკუნის შუა წლებში, კარი ღია იყო და შემდგომში მართლაც ოსმალებმა ამოაშენეს. ასეთი აზრიც არსებობს, რომ ეს კარი მხოლოდ XIX საუკუნეში გაუქმდა, 1808 წლის ხანძრის შემდეგ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროს (Торик, 2004: 69).

კარის ამოქოლვა უფრო ხშირად მიეწერება 1187 წელს აქ მოსულ სალადინს, რაც, შესაძლოა, ეკლესიის მართვაში მისეულმა ცვლილებების შეტანამ გამოიწვია. მას არც შენობა გაუძარცვავს, ექსტერიერის ვერცხლის საფარი თვითონ ჯვაროსნებმა მოხსნეს, გადაადნეს და, ქალაქის დამცველი რაინდებისა და ჯარისკაცებისთვის დასარიგებლად, მონეტებად აქციეს (Biddle, 2000:98). სალადინმა სამი დღით დაკეტა ტაძარი და ქრისტიანების უდიდესი სალოცავის ბედი ამ დროში გადაწყვიტა -- მიჰყვა ხალიფა ომარის მაგალითს, რომელმაც 638 წელს, ქალაქის აღების შემდეგ, ამ საყდრის მფლობელობა ქრისტიანებსვე დაუდასტურა (იქვე). განსხვავება ის იყო, რომ სალადინმა ეკლესია დაუტოვა აღმოსავლეთის ქრისტიანებს, რომელნიც ჯვაროსნებმა თავისი ბატონობის დროს გარიყეს. ტაძარში დარჩენის უფლება ოთხ სირიელ მღვდელს მიეცა (იქვე).

სალადინის ნაკლებტოლერანტულმა მემკვიდრეებმა ქრისტიანებს დიდი გადასახადები დაუწესეს, ქრისტეს საფლავის ეკლესიის კარსაც მხოლოდ

ნუსეების ოჯახს ტაძრის კარის დაცვა თვით ხალიფა ომარმა დაავალა (VII ს.), ჯუდეს ოჯახს კი -- სალაჰ ად-დინმა (XII ს.) (ხურცილავა, 2020:14). მაგრამ არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა იერუსალიმში სელიმ I-ის გაბატონებამდე (1516 წ.) გამოცემული ამ მოვალეობის შესასრულებელი საბუთი (ხურცილავა, 2020:15). მათივე ნაამბობით, მეკლიტურთა საქმიანობა მხოლოდ სელიმ I-მა გააფორმა ხელშეკრულებით, რაც ეკლესიაში არსებული პრობლემებით იყო გამოწვეული (ხურცილავა, 2020:14). ალბათ, ადრინდელი საბუთების უქონლობასაც მარტივად ამით ხსნიან.

ბენა ჩოლოყაშვილის მიერ ტაძრის კარის აღდგენა, ოსმალთა სულტან სელიმ I-ის პალესტინაში შემოჭრამდე სულ ცოტა ხნით ადრე, 1514 წელს მოხდა. მაგრამ, ამავე საბუთის ტექსტი, ბესიკ ხურცილავას აზრით, რომელსაც მეც ვემხრობი, „თავის მხრივ, ირიბად გვაგულებინებს იმ დროს (სელიმ იავუზამდე, მ.მ.) კარის მეკლიტურთა არსებობასაც“ და უთუოდ რაღაც წესის შესრულებასაც (ხურცილავა, 2020:13) – „კუმამაში არის კარები, რომელიც მუდამ იღება და იკეტება ქრისტიანული რელიგიური თემისათვის“ (ჯაფარიძე, 2018:288). ასევე, იქვე დამოწმებული: ბრძანების აღსრულების შემდგომ, კარი „გაიღოს და არ გაიღოს წესისამებრ“ (ჯაფარიძე, 2018:288).

ლამით კარის გასაღებად ამ ორი ოჯახის უზუცესთა ან სხვა მეკლიტურების სახელზე საგანგებო ბრძანება უნდა ყოფილიყო გაცემული, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ჩანს -- არც სადმეა ჩანიშნული, არც ხელნაწერებზეა მიწერილი და არც მამლუქთა არაბულ, ყოველგვარი ქმედების აღმნუსხველ, არაჩვეულებრივად მოწესრიგებულ საბუთებშია დაცული.

რამდენადაც ამ ორი მუსლიმი ოჯახისთვის დაკისრებული, ტრადიციად ქცეული მოვალეობის ვინმესთვის გადაცემის ფაქტი არსად, არანაირ დოკუმენტში, არავის მიერ აღნიშნულა<sup>17</sup> და არც „ძეგლი ერისთავთაშია“ დასახელებული ტაძრის კარის რაობა, საფიქრებელია, რომ XIV საუკუნის დასაწყისში პიპსა და იოანე პანტაისძის მოპოვებული „კლიტენი“ სწორედ იმ კარის გასაღებს გულისხმობს, რომელიც, შემდგომ, XVI საუკუნის დასაწყისში, ბენას შეუკეთებია. ბენა, არათუ გამოცვლას ან წარწერის ამოჭრას, არამედ შეკეთებასაც კი (თუნდ ერთი ლურსმნის დაკვრას, თუნდაც ღამით ემოქმედა), მხოლოდ იმ კარისას შეძლებდა, რომლის პატრონის (ქართული თემის) წარმომადგენელიც თავად იყო.

---

ფულის გადახდის შემთხვევაში აღებდნენ (Biddle, 2000:99). შესაძლოა, მეორე კარი სწორედ მათ დროს გაუქმდა.

17 გასაღები წელიწადში მხოლოდ ერთხელ, აღდგომის კვირას, დიდ ხუთშაბათს გადაეცემათ ფრანცისკელებს, წითელ პარასკევს - მართლმადიდებელ ბერძნებს, დიდ შაბათს კი სომხებს (ხურცილავა, 2020:15). მაგრამ იქაც, მათ წარმომადგენელს გასაღების მუსლიმი მფლობელები გვერდით მიჰყვებიან და კარსაც თავადვე აღებენ.

დღეისათვის, აღმოჩენილ არაბულ წყაროებსა თუ სხვა საბუთებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ „იერუსალიმის კლიტეში“ იგულისხმება ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიაში შესასვლელი ბჭე-კარი და არა, როგორც ადრე ეგონათ, ამ ტაძრის მხოლოდ რომელიმე ნაწილი (მეტრეველი, 1962:46; ხურცილავა, 2020:18). ბ. ხურცილავას აზრით, თავისთავად ცნება „კლიტენი იერუსალჴმისანი“ იმდენად ამბიციურად ჟღერს, რომ შეუძლებელია ტაძრის მხოლოდ შიდა სამლოცველოების საკეტებს გულისხმობდეს (ხურცილავა, 2020:18).

მაგრამ, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, ყველას ბენას მიერ აღდგენილ კარად მხოლოდ ატრიუმიდან, სამხრეთის მხრიდან გაჭრილი დიდი, ცენტრალური კარი (სურ. N2) აქვს წარმოდგენილი. ქართული სამშოს კუთვნილი იმდროინდელი კარი კი, რომლის „ხის ფიცარი უკვე დაიღრღნა, დაიმტვრა“ (ჯაფარიძე, 2018:288), ზემოთმოტანილი საბუთების მიხედვით, ვფიქრობ, ქრისტეს საფლავის ტაძრის დასავლეთ (ან ჩრდილოეთ) ნაწილში არსებული სულ სხვა კარი უნდა იყოს.

ამ მეორე შესასვლელზე მოგზაურთა აღწერილობებში, საბუთებსა თუ სხვა წყაროებში მეტად მწირი ცნობებია. მის შესახებ არც ტიმოთე გაბაშვილი ამბობს რამეს, თუმცა კი მისი მონაყოლის მიხედვით, საფიქრებელია, რომ მას პიპასა და იოანე პანტაისძის მოპოვებული „კლიტენი იერუსალჴმისანი“ გასაღები კარი უნახავს, ატრიუმში გამოძვალა საყდრები მეორე დღეს დაუთვალა იერებია („ხვალისა წარგვიძვენ და მიგვიყვანეს ...“), ხოლო, ჩასვლისთანავე ჯერ ბერძენ პატრიარქს სტუმრებია: „მივედით კათოლიკე (საყოველთაო, მ.მ.) და სამოციქულო ეკლესიასა და სრასა იერუსალიმელისასა“ (მეტრეველი, 1956:72) ანუ პატრიარქის სასახლეში -- საპატრიარქოში. აქედან ტაძარში მისასვლელად უმოკლეს გზას კი სწორედ ბენას აღდგენილ კართან, იგივე XIV საუკუნეში მოპოვებული „კლიტენი იერუსალჴმისანის“ ბჭე-კართან მივყავართ. ტიმოთეს თხრობის მიხედვითაც, პირველ დღეს ის, როგორც ჩანს, ტაძარში სწორედ ამ მეორე კარიდან შესულა:

„მივიწინით და შევლეთ კარი დავითისი<sup>18</sup> ... მოგვეგებენ ეპიტროპე [ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის თანამდებობის პირი, საეკლესიო მამასახლისის სახეობა, მ.მ.] და სხვანი გამგენი ეკლესიისანი, რომელთა-იგი მრქვეს მე, ვითარმედ: ეზოთა უფლისათ შევიდეთ!<sup>19</sup>

18 როგორც ჩანს, ტიმოთე გაბაშვილი იერუსალიმში სიონის კარიბჭით შემოსულა, რომელსაც მარიამისასაც ეძახიან და დავითისასაც, რადგან ბიბლიის მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელმა ბოლო წლები აქ, სიონის მთაზე, იოანე ღვთისმეტყველის სახლში გაატარა და აქვე მიიძინა: „მოწაფემ თავისას წაიყვანა იგი“ (იოანე, 19:27). ღვთისმშობლის მიძინების ადგილის გვერდით კი მეფე დავითის სიმბოლური საფლავია. ისიც შესაძლოა, რომ ტიმოთე დავითის კარში გულისხმობდეს უბრალოდ იერუსალიმში -- „დავითის ქალაქში“ შესვლას.

19 როგორც ელენე მეტრეველმა დაადგინა, თავისთავად სიტყვა „ეზო“


მრავლითა სიხარულითა აღვივსე ... შევედით დიდსა მას ეკლესიასა და მივიწიენით საფლავსა უფლისასა ... და გამოველი მუნით და ვიხილეთ ადგილი, სადა ჯვარიდამ გარდმოხსნეს და მუნ დადვეს და წარგრაგნიდეს [შეახვიეს, მ.მ.] ... და მივედით დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა [კათოლიკონი, მ.მ.] ... აღველ მუნვე გოლგოთად“ (მეტრეველი, 1956:73).

ამ ამონარიდის მიხედვით, ქრისტეს საფლავის ეკლესიაში ნამყოფთათვის თუ ტელევიზიით ნანახით, მაშინვე ცხადი იქნება, რომ ტიმოთე წმინდა ადგილების თაყვანსაცემად ცენტრალური კარიდან არ შესულა. ასეთი მიმართულებით (ქრისტეს საფლავი, მირონცხების ქვა, კათოლიკონი და „მუნვე გოლგოთა“) მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთიდან შეიძლება მოძრაობა. მთავარი კარიდან, ატრიუმიდან შესვლისას ზუსტად საწინააღმდეგო მიმართულებაა: 1. მარჯვნივ, კარებთანვე **გოლგოთაზე** ასასვლელი ქვის კიბეა, გოლგოთის ქვეშ კი - „ადამის ეკვდერი“; 2. თვალწინ **მირონცხების** მოვარდისფრო მარმარილოს ქვა ძევს, რომელზეც, გადმოცემით, იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემემ გარდამოხსნილი იესოს სხეული „გახვიეს ტილოებში ნელსაცხებელთან ერთად“ (იოანე, 19:40).

ტიმოთე გაბაშვილისთვის სიმბოლურად სხვა, უფრო ფართო მნიშვნელობის, კერძოდ, სარწმუნოებრივი გალავნის, ზღუდის მატარებელია (მეტრეველი, 1956:024). ერთ-ერთ ავტოგრაფში ტიმოთეს თავისი მოგზაურობის დღიურისთვის სიმბოლურად სახელი „ეზო“ სწორედ ამ მნიშვნელობით უწოდებია: „ერთა სარგებლად და აღსაშენებლად სულთა მორწმუნეთასა, ამისთვის წიგნსა ამას ეწოდების ეზო“ (მეტრეველი, 1956:024). ამის ასახსნელად ქალბატონ ელენეს სულხან-საბასმეირი განმარტებები მოჰყავს, სადაც „ეზო არის გალავანი მოხრილი“, სიტყვა ზღუდესთან კი -- „ეზო არს არა-გარე ზღუდედ მოვლებული, არამედ წინათ კერძოდ [ნაწილი, მ. მ.], ანუ გვერდით მოხრილი კედელი, რათა შუა ადგილი აქუნდეს“ (მეტრეველი, 1956:024). ამასთანავე, საბასვე მიხედვით, „ზღუდე არს ყოველი სიმგრავლით შემოვლებული, რაჲცა რაჲვე, იყოს გარმონავლები“ (ორბელიანი, 1884:114), ხოლო გალავანი შუა კედელია (ორბელიანი, 1884:45), მაღალი, გრძლად ნაგები (ორბელიანი, 1884:114).

ტიმოთეს ქრისტეს საფლავის ეკლესიაში ეპიტროპეს მიერ მიწვევაც („ეზოთა უფლისათ შევიდეთ“), ვგონებ, დავითის ფსალმუნის შთაგონებით ჩაუწერია: „ლოცვანი ჩემნი უფალსა მივსცნე წინაშე ყოვლისა ერისა მისისა/ ეზოთა სახლისა უფლისათა, შორის შენსა, იერუსალჴმ!“ (ფსლ. 115:9-10). ხოლო „დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა“ შესულ ტიმოთეს ასევე დავითის ფსალმუნი უგალობია: „ვიხარე, რომელთა მრქუეს მე: 'სახლსა უფლისასა შევიდეთ'. დადგრომილ იყვნეს ფერწნი ჩუენნი ეზოთა შენთა, იერუსალჴმ!“ (ფსლ. 121:1-2). სწორედ კათოლიკონში, სადაც ტიმოთემ დავითის ეს ფსალმუნი იგალობა, ქრისტეს საფლავის უპირველესობისა და ქვეყნიერების შუაგულად იერუსალიმის შესახსენებლად, ქრისტიანული სამყაროს ცენტრის სიმბოლურ გამოსახულებად, ვარდისფერი ქვის ლარნაკი, ე. წ. „დედამიწის ჭიპი“ დგას.

ფსალმუნების ტექსტი მოყვანილია გიორგი ათონელის დროის ლოცვანიდან, რომლებიც უფრო ახლოსაა ტიმოთე გაბაშვილის დღიურის ჩანაწერთან.



- ა. ატრიუმი
- ბ. ქრისტეს საფლავის სამლოცველო (კუფუკლია)
- გ. გოლგოთა
- დ. როტონდა
- ე. მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველო (ფრანცისკელთა)

ქრისტეს საფლავის ეკლესიის გეგმა. ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მონახაზი.

- |   |   |
|---|---|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. მთავარი (სამხრეთის) კარიბჭე</li> <li>2. მარიამ მაგდალინელის სამლოცველო (ბერძნულ-მართლმადიდებელი)</li> <li>3. მარიამ მეგვიპტელის სამლოცველო</li> <li>3ა. ჯვაროსნების დროინდელი (კიბე)</li> <li>4. წმ. მიქაელის სამლოცველო (კოპტური)</li> <li>5. გოლგოთაზე ასასვლელი კიბე</li> <li>5ა. გოლგოთიდან ჩამოსასვლელი კიბე</li> <li>6. ადამის ეკვდერი, იგივე ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის სამლოცველო (გოლგოთის ქვედა სართულზე)</li> <li>7. მირონცხების ქვა</li> <li>7ა. მოზაიკური პანო მირონცხების ქვის უკან</li> <li>8. სამი მარიამის ღია კაპელა</li> <li>9. კიბორჩხა, სამლოცველო ჯვარცმის მზირალი მარიამისა და იოანეს ადგილზე, იგივე მენელსაცხებლე დედათა მცირე სამლოცველო (სომხური)</li> <li>10. ალდგომის ეკლესია - კათოლიკონი (ბერძნულ-მართლმადიდებელი</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>საპატრიარქოს საკათედრო ტაძარი)</li> <li>10ა. კათოლიკონის გვერდითა კარი</li> <li>11. მკვდრებით აღმდგარი იესოს გამოცხადების ამსახველი ჰორელიეფი მარიამ მაგდალინელის ღია სამლოცველოს აღმოსავლეთ კედელზე</li> <li>11ა. იმავე სიუჟეტის ფერწერული ტილო დასავლეთ კედელზე</li> <li>12. ღვთისმშობლის თაღები</li> <li>13. ქრისტეს დილეგი</li> <li>14. ღვთისმშობლის წინაშე იესოს გამოცხადების სამლოცველო</li> <li>15. საკრისტია</li> <li>16. ტაძარში მეორე შესასვლელის - „ქალწული მარიამის თაღის“ სავარაუდო ადგილი, იგივე „კლიტენი იერუსალჴმისანით“ გასაღები კარი.</li> <li>17. ჯვაროსნების დროინდელი ატრიუმის სვეტების შემორჩენილი ბაზისები</li> <li>17ა. ატრიუმის ერთადერთი დაუზიანებელი სვეტი</li> </ol> |
|---|---|

მის უკან მოზაიკური პანო და „სამი მარიამის“<sup>20</sup> ღია კაპელაა; 3. ქრისტეს საფლავი კი მარცხნივ არის, შესვლისთანავე თვალით არ ჩანს და მასთან მისასვლელად, გოლგოთის, ადამის ეკვდერისა და მირონცხების ქვის შემდეგ, სომხური ნაწილია გასავლელი. ასეც რომ არ იყოს, გაუგებარი იქნებოდა ტიმოთეს მიერ ჯერ საფლავის, შემდეგ მირონცხებისა და ჯვარცმის ადგილების მონახულება. მირონცხების ქვის უკან კედლის მოზაიკურ პანოზეც ჯერ ჯვარცმიდან გარდამოხსნა ასახული, ქვეშ ადამის თავის ქალით, შემდეგ მირონცხება და ბოლოს დაკრძალვა.

ამასთანავე, ტიმოთეს იმ ხელნაწერში, რომელსაც იერუსალიმში ყოფნისას უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ წერდა (B ავტოგრაფი, მეტრეველი, 1956:013)<sup>21</sup>, ჩაუნიშნავს: „შეგვიძღვნენ დიდსა ეკლესიასა და თაყვანის-ვეციტ ცხოვრების მომცემელსა საფლავსა უფლისასა ... გამოველ და თაყვანის-ვეციტ დიდსა მას კათოლიკე ეკლესიასა. და აღველ გოლგოთად ...“ (მეტრეველი, 1956:120). კათოლიკონი, იგივე აღდგომის ეკლესია ქრისტეს საფლავის სამლოცველოს პირდაპირ არის განლაგებული. კუვუკლიიდან („საფლავსა უფლისასა“) გამოსული ტიმოთე კათოლიკონში შესულა, იქ წარმოთქმული ლოცვის შემდეგ კი, გვერდითა კარიდან გამოსულა, რადგან კათოლიკონის მხოლოდ გვერდითა კარიდან გამოსვლისას შეიძლება გოლგოთა „მუნვე“ იხილო („აღველ მუნვე გოლგოთად“)<sup>22</sup>. ეს „მუნვე“ და მირონცხების ქვის აღწერა ტიმოთეს B ხელნაწერში არ არის (როგორც ჩანს, თვითმხილველის მეხსიერებით შემდგომ შეუვსია), მაგრამ საფლავის შემდეგ კათოლიკონში ლოცვამა და „მუნვე“ გოლგოთაზე ასვლამ ტაძარში მისი მეორე კარიდან შემოსვლის ვარაუდი გამიმყარა.

---

20 1808 წლის ხანძრის შემდეგ მირონცხების ქვის უკან აღმართულ გარდამოხსნის, მირონცხებისა და იესოს დაკრძალვის მოზაიკურ პანოსწინა ღია ადგილს „სამი მარიამის კაპელასაც“ უწოდებენ, რადგან მოზაიკაზე მარიამ ღვთისმშობლის გვერდით კიდევ ორი მარიამია გამოსახული: „ხოლო იესოს ჯვართან იდგნენ დედა მისი და დედის და მისი, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი“ (იოანე, 19:25).

21 არსებობს ტიმოთეს „მიმოსღვის“ ოთხი ავტოგრაფი და ათეულობით დედნიდან გადაწერილი პირი (მეტრეველი, 1956:03-04). ელენე მეტრეველის მიერ გამოსაცემად შერჩეულია ყველაზე სრული C ავტოგრაფი (იქვე, გვ.021).

22 ქრისტეს საფლავის თავზე აღმართული მოყვითალო ვარდისფერი მარმარილოს ამჟამინდელი ნაგებობა (კუვუკლია) დიდი ხანძრის შემდეგ, 1810 წელს დაიდგა. ეს არის პატარა გუმბათიანი სამლოცველო როტონდის შუაგულში, რომლის კარი პირდაპირ უყურებს კათოლიკონის მთავარ შესასვლელს. ხანძრამდე აქ სხვა ყაიდის შენობა იდგა, მისი იერსახე იქამდეც რამდენჯერმე შეიცვალა (Biddle, 2000:47-51), მაგრამ ადგილმდებარეობა, რაღა თქმა უნდა, არასოდეს გადაწველებულა. ასე რომ, ტიმოთეს მართალია სხვა მოყვანილობის სამლოცველო დახვდა, მაგრამ, მისივე ჩანაწერების მიხედვით, შესაძლებელია მსვლელობის მიმართულებისათვის თვალის მიდევნება.



როგორც ჩანს, ტიმოთე გაბაშვილი ბევრ მიმსვლელ-მომსვლელს განარიდეს და პატივისცემის ნიშნად შეიყვანეს იმ კარიდან, რომელიც ერთ დროს ქართველებს ეჭირათ. 1757 წელს იერუსალიმში მყოფ ტიმოთეს (მეტრეველი, 1956:035), მითუმეტეს ტაძარში ამ კარიდან შესულს, წესით, ბერი ლავრენტის აღწერილი წარწერა უნდა ენახა<sup>23</sup>, მაგრამ, ეტყობა, ქართული წარწერის არსებობაზე ან არავის მიუნიშნებია, ან ფართოდ გადებულ კარზე ვერ შეამჩნია. საინტერესოა, რომ ტიმოთე საერთოდ არ აღნიშნავს არც ქართველთა მოპოვებულ „იერუსალიმის კლიტის“ ამბავს, არც ბენას ამავს და არც ტაძრის კარზე არსებულ წარწერას.

ასევე არაფერს ამბობს ამის შესახებ 1899 წელს იერუსალიმში ნამყოფი პეტრე კონჭოშვილი, თუმცა ზუსტად აღწერს ჩრდილო-დასავლეთის მხარეს გასასვლელის გასწვრივ განლაგებულ ერთ დროს ქართველთა კუთვნილ სამლოცველოს:

„ჩრდილოეთის კედელზედ წმ. საფლავის ტაძარსა, თითქმის მრთელს მისს სიგრძეზედ, აქვს მიშენებული ფრანგთა მონასტერი. შესავალი მასში არის წმ. საფლავის სამლოცველოდამ თითქმის პირდაპირ წმ. საფლავისა [ხაზგასმა ჩვენია, მ. მ.]. ოდესმე ეს მონასტერი გვეკუთვნოდა ქართველებს და იყო ნაკურთხი წმ. იოანე მახარებელის სახელსა ზედა. მაგრამ ფრანცისკებმა ... მიითვისეს იგი და უწოდეს სხვა სახელი: 'მონასტერი მაცხოვრისა' და რომელნიმე მწერალნი უწოდებენ მას წმ. ქალწულ მოწამის ეკატერინეს სახელისას“ (კონჭოშვილი, 2010:55-56).

ამკარაა, რომ ტიმოთე გაბაშვილისა და პეტრე კონჭოშვილისთვის ქართველთაგან ტაძარში ერთ-ერთი შესასვლელის პყრობა, ბენას მიერ კარის აღდგენა და მასზე ქართული წარწერის არსებობა უცნობი იყო.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანის („ძეგლი ერისთავთა“, სადაც დაცულია ცნობა „კლიტენი იერუსალიმისანის“ შესახებ) თავბოლო ნაკლული ორგზის გადაწერილი პირი 1897 წელს იპოვა და ქართულად გამოაქვეყნა (ფრანგულად გამოსცა მარი ბროსემ 1851 წელს) თედო ჟორდანიამ (ჟორდანი, 1897:1; მესხია, 1954:325). დედანი 1954 წელს გამოაქვეყნა შოთა მესხიამ. ასე რომ, ტიმოთეს „იერუსალიმის კლიტის“ ამბავი ვერ ეცოდინებოდა, კონჭოშვილს კი ან გამორჩა ჟორდანიას გამო-

---

23 ლავრენტი გოგელაძის ცნობა ტაძრის კარზე ქართული წარწერის არსებობის შესახებ 1806 წელს ეკუთვნის, მაგრამ თვით წარწერა ბევრად ადრინდელია და ტიმოთე გაბაშვილის იერუსალიმში ყოფნის დროსაც (1757 წ.) უსათუოდ იქნებოდა. თავისთავად ქართული წარწერის არსებობა, ბერი ლავრენტის სიტყვით, „იერუსალიმის“ ანუ ქრისტეს საფლავის ეკლესიის მხოლოდ იმ კარზე იყო მოსალოდნელი, რომლის „კლიტეც“ წარწერის შესრულების დროს ქართველებს ეკუთვნოდათ. ტიმოთეს მოგზაურობის დროს კი ქართველებს უკვე დაკარგული ჰქონდათ ყოფილი უფლებები, რასაც თავად ტიმოთე დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა კიდევ (მეტრეველი, 1956:84-85).

ცემულ „ქრონიკების“ II ტომში გამოქვეყნებული ხელნაწერი, ან სანდოდ არ მიიჩნია.

რაც შეეხება ბენასა და ლავრენტი ბერის მინაწერებს, სავარაუდოდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მათი ვერ ნახვის მიზეზი ტიმოთე გაბაშვილისა და პეტრე კონჭოშვილის მოგზაურობის სხვა მიზანი იყო, რომლის იქეთ სამუშაოდ დროც აღარ ექნებოდათ. „ჯერეთ მოცალეობა და ჟამნი არა მომეგნეს“, როგორც ტიმოთე იტყოდა (მეტრეველი, 1956:6)<sup>24</sup>.

24 იერუსალიმში გამგზავრების წინ პეტრე კონჭოშვილს საკუთარი თავისთვის „საღმრთო ვალად“ დაუდგენია „მოლოცვა წმ. ქალაქ იერუსალიმისა ... და მეორე საგნად პედაგოგიური მნიშვნელობაცა ... წაკითხვა ... ისრე ნათლად ვერ დაგვიხატავს საგანსა, ვითარცა თვალთ ხილვა მისი“ (კონჭოშვილი, 2010:13-14). ტიმოთე გაბაშვილის განზრახვა კი ძირითადად ათონისა და იერუსალიმის ქართულ კერათა მოძიება და მათი ისტორიის გადმოცემა იყო (მეტრეველი, 1956:0127). არის კიდევ ქართულ სიძველეთა პირველი აღმწერი. ამასთანავე, ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა. ჯვრის მონასტრის წიგნსაცავში მოსახსენებლებსაც და სხვა ხელნაწერებსაც გასცნობია: „ჯვრის მონასტერში ... არის წიგნი მრავალი ქართული“ (მეტრეველი, 1956:82), რამდენიმე წიგნზე მინაწერებიც დაუტოვებია: „ესე წიგნი მაკარისა საქართველოში არ არის. ნურავინ წარიღებთ, ვინც აქ მოსლვას ქართლით კვალად ეღირსოს, ქრისტეს აქეთ ჩლმიწ“ [1758 წ.] (მეტრეველი, 1956:035).

უფრო მეტიც, ელენე მეტრეველის მიერ „მიმოსლვის“ სხვადასხვა ავტოგრაფების შეჯერების საფუძველზე შექმნილი დაკვირვებით, ტიმოთეს მთაწმინდის ივერიის მონასტერში დაწერილი „სწავლანი“ (მისივე სიტყვით „ეპისტოლის მსგავსი წიგნი“) იერუსალიმში მოძიებული ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული ცხოვრებებით გაუმდიდრებია (მეტრეველი, 1956:06,09-10). იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ კი დაუმუშავებია კიდევ, რაც თავფურცელზე დატოვებულ მინაწერშიაც აღუნიშნავს, „მრავალს ალაგს მწერალთაგან განრყვნილი“ წიგნი გაუმართავს „დოდმატიკითაგან იერუსალემისათა და ძველის უტყყარის დამასკელის წიგნისაგან“ (მეტრეველი, 1956:0133).

ელენე მეტრეველის აზრით, იოანე დამასკელის 1747 წელს მოსკოვში ბაქარის მიერ (შაჰნავაზ II) გამოცემული „გარდამოცემა“ („სტამბის დამასკელი“, როგორც თავად ტიმოთე უწოდებს), ტიმოთეს რუსეთში უშოვია და, ან თან წაუღია და იერუსალიმშივე შეუდარებია ხელნაწერებთან, ან მოგზაურობიდან დაბრუნებულს, იერუსალიმში გადმოწერილი დამასკელის ტექსტი, შინ დაუმუშავებია (მეტრეველი, 1956:05, 0134).

ექვგარეშეა, რომ ტიმოთე ჯვრის მონასტრის წიგნსაცავში მუშაობდა, სადაც ალ. ცაგარელმა და ნიკო მარმა ხელნაწერზე ბენას მინაწერი შენიშნეს. სხვაგან ვერსად ვერაფერს ნახავდა, რადგან მისი მოგზაურობის დროს ქართველ ბერთა ერთადერთი სავანე ჯვრის მონასტერი იყო და მასაც ფაქტობრივად ბერძნულ-მართლმადიდებელი საპატრიარქო განაგებდა. ბენას მინაწერი „კარის შებმის“ თაობაზე, ტიმოთეს თითქოს უნდა ენახა, მაგრამ, ეტყობა, მუშაობის სხვა მიზნის გამო, შეუმჩნეველი დარჩა. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, თუკი ტიმოთე ტაძარში მართლაც ბენას მიერ განახლებული კარიდან შევიდა. იქნებ ამ კარსა და მასზე შესრულებულ წარწერაზეც დღეს ცოტა მეტი გვეცოდნოდა.

თავისთავად, ქრისტეს საფლავის ეკლესიის კარის შეკეთების ამბავი ალექსანდრე ცაგარელისა (1883 წ.) და ნიკო მარის მიერ (1902 წ.) გადმოწერილი ბენას მინაწერის წყალობით გახდა ცნობილი (Цагарели, 1888:189; მარი, 1955:44) და ისიც, გოჩა ჯაფარიძის მიერ არაბული წყაროების მიკვლევამდე (XX-XXI სს. მიჯნაზე) გაურკვეველი და ბუნდოვანი რჩებოდა.

ქრისტიანობის უმთავრესი ტაძრის სამიდან ერთ-ერთი შესასვლელის პყრობა, მითუმეტეს საკუთარი ეზოთი, ჭიშკრითა და ურდულით, უთუოდ დიდი პატივია. მით უფრო, როდესაც გზა ამ კარის იქეთ, პირდაპირ ბერძნულ-მართლმადიდებელი საპატრიარქოსკენ მიემართებოდა.

ლავრენტი გოგელაძის მინაწერში, რომლითაც ის იერუსალიმში ჩამოსვლისა და წინაპართა ნაამაგარის დაცვისკენ მოუწოდებს ქართველებს, იკითხება:

„იერუსალიმს იხილეთ წმ. გოლგოთას შუაზე ეპისკოპოზის დასაჯდომი სკამი და ქვა, თავქვეით არის წასაკითხავი, და სცნობთ ჰამბავს; წმ. და დიდი შესავალი კარი, ქვედა კარი, [ხაზგასმა ჩვენია, მ.მ.] ნათელი მხიარულისავე, თუ რა სწერია, და მით სცანთ წმ. ამის ქალაქისა იერუსალიმისა საქმე და ამბავი“ (ცაგარელი, 1888, გვ.189).

თუკი „წმ. და დიდი შესავალი ქვედა კარი“ აქ მთავარ კარს გულისხმობს, მაშ ქართველთა კუთვნილ შესასვლელს „ზედა კარი“ უნდა რქმეოდა. სამხრეთის კართან შედარებით ის მართლაც ცოტა შემალღებულზეა განლაგებული - სამხრეთის მხრიდან ატრიუმთან მისასვლელად საკმაოდ მრავალსაფეხურიანი კიბეა ჩამოსასვლელი. მაგრამ თუ ეპითეტი „ქვედა“ მეორე კარის აღმნიშვნელია, მაშინ „კლიტენი იერუსალიმისანის“ კვიპაროზის კარიც, რომელზეც „ქართველი გიორგი მეფე სწერია“ (მარი, 1955:44), მთავარი კარის დარად „წმინდა და დიდად“ ყოფილა მოსახსენებელი.

ზემოთჩამოთვლილ ცნობათა გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ ბენას ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიის არა მთავარი (სამხრეთის), არამედ სხვა კარი შეუკეთებია. ხოლო, რადგან ის ქართველთა სადარბაზო შესასვლელად ითვლებოდა („მუდამ იღება და იკეტება ქრისტიანული რელიგიური თემისათვის“), მით უფრო საფიქრებელია, რომ სწორედ ამ კარის „კლიტენი“ მოიპოვეს პიპამ და იოანე პანტაის ძემ XIV საუკუნის დასაწყისში.

ფელიქს ფაბრიც, მისი აღწერილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, მეორე შესასვლელად (რომელსაც „რამდენიმე წლის წინათ ქართველები ფლობდნენ“), სწორედ ამ კარს გულისხმობდა.

რამდენადაც მეთავად ეს კარი არ მინახავს და მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ საბუთებზე დაკვირვებით შევეცადე მომეძებნა, ჩემს მიერ აქ გამოთქმული ვარაუდის სისწორეში დასარწმუნებლად მივმართე კაპერნაუმში (გალილეა) თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესიის

ილუმენს, არქიმანდრიტ ირინარხოსს. მისგან შევიტყვე, რომ ფაბრის ჩანაწერში მოხსენიებული „პატარა ეზო“ ახლაც არსებობს, დიდი ხნის წინ გაუქმებული კარი კი, დღეს ნაწილობრივ მიწაში ჩაფლულა, თუმცა მისი ქვის კონტური ახლაც კარგად ჩანსო. ქუჩის მხრიდან, ზედ კართან, ახლა მეჩეთი ყოფილა აღმართული. ტამრიდან იერუსალიმის საპატრიარქოსკენ უმოკლესი გზა რომ ამ კარიდან იწყებოდა, ესეც მისგან შევიტყვე.

არქიმანდრიტ ირინარხოსის მიერ გადაღებული სურათის დაფაზე (სურ. N3) აღნიშნულია, რომ აღდგომის ეკლესიის ამ შესასვლელს (დასავლეთის მხრიდან) „ქალწული მარიამის თაღი“ ეწოდება და ის ჯვაროსნების პერიოდს განეკუთვნება, რაც სამხრეთის მთავარ კართან მსგავსებითაც დასტურდება. „კლიტენი იერუსალჴმისანი“ გასაღები კარი დიდ კართან შედარებით მომცროა, თუმცა მისნაირი, ოდნავ შეისრული ტიშპანი (სარკმლის ან კარის თავზე განლაგებული ნახევრადწრიული, სამკუთხა ან ისრული ფორმის შეღრმავებული არე) აქვს. სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსება მის დეკორსაც ეხება - იდენტურია ზოლური მოჩარჩოება და, განსაკუთრებით, თავზე მოვლებული, ჯვაროსნების პერიოდის ნაგებობებისთვის დამახასიათებელი ე. წ. „ბალიშისებრი“ წყობით გაფორმება.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მომლოცველები ტამარში აქედან ვეღარ შემოდიან, მარცხენა ფრთის ნაწილი კი სხვა ნაგებობით არის დაფარული, მარჯვნივ შემორჩენილი სვეტების წყალობით, საუკუნეების წინანდელ სინატიფესა და საზეიმო ელფერს კარი დღესაც ინარჩუნებს. პირველი სვეტი, მოყვითალო ვარდისფერი ქვის ტანითა და თეთრი, ყვავილოვანი ორნამენტის კაპიტელით (სვეტისთავით), სრულად არის შემონახული. ის „ბალიშისებრი“ წყობის დეკორატიული მოჩარჩოების საყრდენი, ე. წ. ქუსლია. მეორე სვეტი -- კედლის სწორკუთხა პილასტრი (სწორკუთხა ან ნახევარწრიული ვერტიკალური შვერილი კედლის სიბრტყიდან, რომელიც ზოგჯერ ამაგრებს ნაგებობის კონსტრუქციას ან გადახურვის თაღების საყრდენია) ზოლური მოჩარჩოების დაბოლოებას წარმოადგენს. ამჟამად მისგან შემორჩენილია ყვავილოვანი ორნამენტით გაფორმებული, მოვარდისფრო ყავისფერი კაპიტელის ზედა ნაწილი. მოპირკეთება, როგორც სვეტის, ისე ნაწილობრივ სვეტისთავისა, ჩამოვარდნილია.

სურათზე ამ ორ სვეტს შორის ვერტიკალური კუთხოვანი შვერილი ჩანს. ამ კარს მესამე სვეტი არა აქვს. ამასთანავე, მთავარი კარისგან განსხვავებით, რომლის სამივე სვეტი მაღალ საფუძველზე დგას, „იერუსალიმის კლიტეთა“ სვეტები ბაზისის (სვეტის ქვედა საყრდენი ნაწილი) გარეშეა დარჩენილი. ქვაფენილი შედარებით ახალი დაგებული ჩანს (ბაღის მხრიდან სურათი, სამწუხაროდ, არა მაქვს), სავარაუდოდ, მათი საყრდენი ნაწილი დროთა ვითარებაში მიწის ფენით დაიფარა.

რამდენადაც ქართულ ძეგლებში რელიეფი და წარწერები ხშირად სწორედ ტიმპანზე გვხვდება (ქსე, 1985:720), მგონია, რომ ბენას ნაწერი (იქნებ უფრო ადრინდელიც) არა მარტო „კვიპაროზის ხის კარზე“, არამედ მის თავზე შეღრმავებულ ზედაპირზეც შეიძლება ყოფილიყო განთავსებული. იქნებ ამჟამადაც არის შემორჩენილი სვეტებზე რამოდენიმე ქართული ასო ან სიტყვა. სურათის მიხედვით, ტიმპანის ქვით მოპირკეთებულ ფილებსა და სვეტისთავების გასწვრივ ჩადგმულ განსხვავებული ქვის წყობის ზოლზე (განსაკუთრებით შუა ნაწილში მოთავსებულ ფიგურულ ქვაზე), თითქოს ერთ დროს ამოკვეთილი ორნამენტისა და ასოების კვალიც ჩანს, მაგრამ ეს მოსაზრება კარის ადგილზე უნახავად მხოლოდ ვარაუდის ხასიათს ატარებს.

თუკი ჩემი მოსაზრება სწორია და 1757 წელს იერუსალიმში მყოფი ტიმოთე გაბაშვილი ქრისტეს საფლავის ტაძარში დასავლეთის კარით შემოვიდა, ხოლო იმერელმა ლავრენტი ბერმა ამ კარზე ქართული წარწერა 1808 წლის ხანძრამდე სულ ცოტა ხნით ადრე ნახა (1806 წ.), მაშინ ბენას წვლებით შეკეთებული „კვიპაროზის კარი“ ან ცეცხლმა შთანთქა, ან ხანძრის შემდგომ რეკონსტრუქციას შეეწირა. მაშ, კარის ქვებით ამოშენების ხანად ხანძრის შემდგომი აღდგენითი სამუშაოები უნდა ვივარაუდოთ.

ფოტოსურათზე კარის მარცხენა კუთხიდან მტრედი იყურება. არ ვიცი, სურათის გადაღების დროს ჩამოჟდა თუ იქ დაიდო ბუდე, მაგრამ რატომღაც მესიამოვნა.

დამაინც, ჯვარის მამა ბენას მიერ ღამის ორ საათზე კარის შეკეთებას თავისი მიზეზი ექნებოდა. ის ან მეტისმეტად ჩქარობდა, ან ნაკლები მოწმე უნდოდა ჰყოლოდა, ან წინააღმდეგობის გაწევას ელოდა. როგორც ელენე მეტრეველმა აღნიშნა, ნაშუალამევს აღდგომის ტაძრის კარის შებმა ბენასთვის გარემოების გათვალისწინებით, გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი (მეტრეველი, 1962:123; მეტრეველი, 1956:0186). ჯვარის მამებს, დიდ გარჯასთან ერთად, უფლებების დაცვა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბრძოლით უხდებოდათ, მუდმივი სიფხიზლე, დიდი სიყოჩაღე სჭირდებოდათ. იცავდნენ კიდეც, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ რთულ დროში.

იერუსალიმში ხანმოკლე დროით ჩასული ბენა ჩოლოყაშვილიც (1512-1514 წწ.) თავდაუზოგავად ცდილობდა ქართველთა რუდუნებით მოპოვებული უფლებების დაბრუნებას. ელენე მეტრეველის აზრით, ასეთი გადაწყვეტი ღონისძიებები ბრძოლის გარეშე ვერ ჩაივლიდა (მეტრეველი, 1956:0185). ქრისტინე შარაშიძის დახასიათებით კი, ბენა არის განსაკუთრებული ენერჯის პიროვნება, რომელმაც არ იცის მერყეობა-ყოყმანი და რომელთან „დასარჩლება ან პირისპირ შეტაკება სახიფათო საქმედ ჩანს“, სამართლის აღდგენის არცერთ ფორმას არ

ერიდება, თუმცა კი თავის იძულებით ნამოქმედარს მინაწერში ოდნავი სინანულით აღნიშნავს (შარაშიძე, 1954:241).

ბენას ღამით სამუშაოდ მიზეზი ბევრი ექნებოდა, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ რომ ფრანცისკელებთან კიდევ ერთხელ შეხლა-შემოხლას აარიდა თავი, რაც მამლუქ მოხელეთა საბუთებში აღნუსხული შენიშვნით, მისი „უკიდურესად მორიდებული და ღირსეული“ (ჯაფარიძე, 2018:269) ბუნების დასტურია.

### მადლიერება:

ტექსტზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდის აწ განსვენებულ არქიტექტორ **თამაზ თევზაძეს** და კაპერნაუმის (გალილეა) თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესიის ილუმენს, **არქიმანდრიტ ირინარხოსს**.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ajiashvili, jermal. (1994). *shroshani gheleta. Shua saukuneebis ebraeli poetebi*. ebraulidan targmna jermal ajiashvilma. tbilisi. (აჯიაშვილი, ჯემალ. (1994). *შროშანი დღეეთა. შუა საუკუნეების ებრაელი პოეტები*. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა, თბილისი).

gagoshidze, giorgi. (1992). *kartvel mlotsvelta warwerebi ierusalimis uplis saplavis karibtcheze. macne. istoriis, archeologiis, etnografiisa da xelovnebis istoriis seria*. N1. (გაგოშიძე, გიორგი. (1992). *ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის კარობჭეზე*. *მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*. N1).

davidi, itzhak. (1976). *nawerebi*. t. I. tel-avivi: gaponovis sakh. kavkasiologiuri tsentri. (დავიდი, იცხაკ. (1976). *ნაწერები*. ტ. I. თელ-ავივი: გაპონოვის სახ. კავკასიოლოგიური ცენტრი).

kvirkvelia, tengiz. (1961). *mokle rusul-kartuli khurotmodzghvruli ganmartebiti lek-sikoni*. tbilisi: sakartvelos politechnikuri institutis gamomtsemloba. (კვირკველია, თენგიზ. (1961). *მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამომცემლობა).

konchoshvili, petre. (2010). *mogzauroba ierusalimsa da atonis mtaze. gamosatse-mad moamzada zaza vashakmadzem*. tbilisi: gamomtsemloba “nekeri”. (კონჭოშვილი, პეტრე. (2010). *მოგზაურობა იერუსალიმსა და ათონის მთაზე*. გამოსაცემად მოამზადა ზაზა ვაშაყმაძემ. თბილისი: გამომცემლობა “ნეკერი“).

mari, niko. (1955). *ierusalimis berdzuli sapatriarqo wignsacavis kartuli khel-nawerebis mokle aghweriloba*. dasabechdad moamzada e. metrevelma. tbilisi: sakartvelos sss metsnieriabata akademiis gamomtsemloba. (მარი, ნიკო. (1955). *იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა*. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).

meskhia, shota. (1954). *dzegli eristavta (ksnis eristavta sagvareulo matiane)*. teksti gamotsa, gamokvleva, leksikoni da sadziebeli daurto shota meskhiam, wign-shi: masalebi sakartvelosa da kavkasiis istoriatvis. nakv. 30. tbilisi: sakartvelos ssmetsn. akad. gamomtsemloba. (მესხია, შოთა. (1954). *ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე)*. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).

metreveli, elene. (1956). timote gabashvilis mimosvla. teksti moamzada, shenishvnebi, sadzieblebi da leksikoni daurto e. metrevelma. tbilisi: sak. metsn. akademiis gamomtsemloba. (მეტრეველი, ელენე. (1956). ტიმოთე გაბაშვილის მიმოსლვა. ტექსტი მოამზადა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ე. მეტრეველმა. თბილისი: საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა).

metreveli, elene. (1962). *masalebi ierusalimis kartuli koloniis istoriatvis (XI-XVII ss.)*. tbilisi: gamomtsemloba “mecniereba” (მეტრეველი, ელენე. (1962). მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

orbekiani, sulxan-saba. (1884). *kartuli leksikoni*. shedgenili saba-sulxan orbekianisagan. gamotsemuli rap. eristavis redaktorobit da aleksandre episkopozis sapasita. tbilisi. (1884). (ორბელიანი, სულხან-საბა. *ქართული ლექსიკონი*. შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან. გამომცემული რაფ. ერისთავის რედაქტორობით და ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასითა. ტფილისი).

zhordania, tedo. *kronikebi da skhva masala sakartvelos istoriisa da mwerlobisa* (1897). shekrebili, kronologiurad dawqobili, akhsnili da gamotsemuli t. zhordanias mier. tsigni meore (1213 wladam 1700 wlamde). tpilisi: (ჟორდანია, თედო. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*. (1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამომცემული თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე). ტფილისი).

kse. (1985). *kartuli sabchota entsiklopedia*. t.9. tbilisi. (ქსე. (1985). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ. 9. თბილისი).

peradze, grigol. (2012). utskhoel piligrimta tsnobebi palestinis kartveli berebisa da kartuli monastrebis shesakheb. *mwignobroba kartuli*. tbilisi: gamomtsemloba “tsitsinatela”. (ფერაძე, გრიგოლ. (2012). უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. *მწიგნობრობა ქართული*. თბილისი: გამომცემლობა „ციცინათელა“).

peradze, grigol. (2016). *ierikonis vardebi. wmindamiwisa da siriashi mogzaurobis dghiuri*. tbilisi: gamomtsemloba “sezani”. (ფერაძე, გრიგოლ. (2016). *იერიქონის ვარდები. წმინდა მიწასა და სირიაში მოგზაურობის დღიური*. თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“).

*psalmunni da galobani*. giorgi atonelis redaktsia. (2014). tbilisi: gamomtsemloba “bakmi”. (გსალმუნნი და გალობანი. გიორგი ათონელის რედაქცია. (2014). თბილისი: გამომცემლობა „ბაკმი“).

kaukhchishvili, simon. (1959). *shesavali. kartlis tskhovreba*. t. II. tbilisi: gamomtsemloba "sachota sakartvelo". (ყაუხჩიშვილი, სიმონ. (1959). *შესავალი*. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

sharashidze, kristine. (1954). sakartvelos istoriis masalebi (XV-XVIII ss.). *masalebi sakartvelosa da kavkasiis istoriisatvis*. nakv. 30. tbilisi. (შარაშიძე, ქრისტინე. (1954). საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვ. 30. თბილისი).

tseradze, tina. gagoshidze, giorgi. (2007). *ierusalimi, saaghdgomo megzuri*. tbilisi. (ცერაძე, თინა. გაგოშიძე, გიორგი. (2007). *იერუსალიმი, საადგომო მეგზური*. თბილისი).

khurtsilava, besik. (2020). aghdgomis tadzris wminda kari, saketebi da mekliturebi. "istoriani". N9. (ხურცილავა, ბესიკ. (2020). ადგომის ტაძრის წმინდა კარი, საკეტები და მეკლიტურები. *ისტორიანი*. N9).

japaridze, gocha. (2011). beena chologhashvili egvipteshi da wminda miwaze 1512-1514 wlebshi (brdzola wminda adgilebisatvis). *saistorio krebuli. 1. weliwdeuli*. tbilisi: gamomtsemloba "mkhedari". (ჯაფარიძე, გოჩა. (2011). ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის). *საისტორიო კრებული. 1. წელიწდეული*. თბილისი: გამომცემლობა „მხედარი“).

japaridze, gocha. (2018). *kartvelta savaneebi da samonastro temi wminda miwaze X/I-XVIII saukuneebshi (arabuli naratiuli da dokumenturi wgaroebis mikhedvit)*. tbilisi: gamomtsemloba "meridiani". (ჯაფარიძე, გოჩა. (2018). *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“).

Biddle, Martin (2000). *The Tomb of Christ. Thrupp-Stroud-Gloucestershire*: Sutton Publishing Ltd.

Торик, Игорь (2004). *Энциклопедический путеводитель по Израилю*. Иерусалим: Изд-во ISRADON

Цагарели, Александр (1888). Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае. *Православный Палестинский сборник*. Том IV. Издание Православного Палестинского общества. С.-Петербург.



## “КЛЮЧИ ИЕРУСАЛИМА”, КОТОРЫМИ НЕКОТОРОЕ ВРЕМЯ ВЛАДЕЛИ ГРУЗИНСКИЕ МОНАХИ

**Мзия Марсагишвили**

Доктор истории

ORCID ID: 0000-0002-4437-7518

mziamarsagishvili@gmail.com

+995 591 94 42 05

### **Резюме**

Обнаруженная Григолом Перадзе запись 1480-83 гг. путешественника Феликса Фабри гласит, что у Иерусалимского Храма Гроба Господня имелось три входа, одним из которых, незадолго до посещения им Иерусалима, владели грузины.

По грузинскому источнику «Дзегли Эриставта» (XIV-XV вв.) грузины получили ключи от врат главной церкви христианства в начале 14-го века. Желая показать значимость события, они обозначались, как «Ключи Иерусалима».

Работая над рукописями Крестого монастыря в Иерусалиме, Александр Цагарели (1883 г.) и Николай Марр (1902 г.) обратили внимание на приписку 1514 года настоятеля монастыря Беены Чолокашвили о возобновлении им собственноручно дверей Храма Гроба Господня. Это сведение подтверждает арабский источник того же года, который обнаружил и перевел Гоча Джапаридзе в конце 20-го века.

Ясно, что Беена Чолокашвили имел в виду одни и те же двери, которые все еще контролировали грузинские монахи: он не мог возобновлять чужое имущество в Храме, где разные христианские общины ревностно охраняли свое право на каждый квадратный сантиметр площади.

В грузинской историографии было принято считать, что грузинские монахи владели «ключами Иерусалима» от главных (южных) ворот Храма. Но, по мнению автора, т.н. «скрытая информация» исторических источников указывает, что эти двери (имевшие «маленький двор и калитку с задвижкой») находились в западной части Храма, от которых шел кратчайший путь к греческой православной патриархии.

Поскольку у автора не было возможности лично убедиться в правомерности выводов, сделанных исключительно по историческим источникам, по ее просьбе игумен Церкви во имя Двенадцати Апостолов в Капернауме (Галилея) Архимандрит Иринархос, которому выражается огромная благодарность, подтвердил, в том числе и сделанной им фотографией (рис. N3), что «маленький двор», упомянутый в записи Фабри, су-

ществует поныне, вход в Храм замурован, но каменная дверная рама сохранилась.

По записи инокa Лаврентия Гогеладзе, еще в 1806 году на этих «кипарисовых дверях» была грузинская надпись. Очевидно, двери сгорели во время пожара 1808 года в Храме и при возобновительных работах вход был замурован.

**Ключевые слова:** Храм Гроба Господня, грузинские монахи, «Ключи Иерусалима».

## THE KING OF KARTLI DARCHIL AND THE CHRONICLES DESCRIBING HIS LIFE

### ქართლის მეფე დარჩილი და მისი მეფობის ამსახველი ქრონიკები

**Manana Sanadze**

The Georgian University

ORCID: ID 0000-0002-9921-322X

Tel: + 995 599292317

E-mail: [geomanana@yahoo.com](mailto:geomanana@yahoo.com)

#### **Abstract**

Little has been known about the life of Vakhtang Gorgasali's son and the king of Kartli - Darchil. Naturally, this is due to the scarcity of information about him both in *the Georgian Chronicles* and the chronicle of *the Conversion of Kartli*.

Establishing the correct years of Darchil's life has become possible through determining the exact years of the life and kingship of his father Vakhtang Gorgasali (470/71-531), on the one hand, and re-dating the martyrdom of David and Costantine, on the other hand. The study of the hagiographic work has shown that David and Costantine were not martyred during the invasion of Georgia by Arabs and Marwan ibn Muhammad (735-738); they were martyred at the initial stage of the Great Persian-Byzantine War (542/43), during Persian Shah Khosrow Anushirwan's invasion of Egrisi (western Georgian kingdom), known as Lazica in Byzantine historiography.

According to *the Martyrdom of David and Costantine*, the sons of Vakhtang Gorgasali Darchil and Mihr (Mihrdat), fortified in the fortress of Anakopia, met the Persian commander sent by Khosrow to conquer Abkhazia, and started a fight against him. In this battle, Mihr (Mihrdat, younger brother of Darchil) was wounded on the battlefield and shortly he died. As for Darchil, he went back into the fortress.

This campaign of the so-called "Marwan the Deaf" is also narrated by Leonti Mroveli in the section of *the Georgian Chronicles* describing the reign of Stepanos II - the Erismtavari of Kartli. Re-dating the martyrdom of David and Costantine has raised reasonable suspicions that the historical chronicle placed in *the Georgian Chronicles* after the section describing the reign of Patrician Stepanos II (mid 7<sup>th</sup> c.), which offers information identical to that of *the Martyrdom of David and Costantine*, was inserted in its current place by Leonti Mroveli (2<sup>nd</sup> half of the 11<sup>th</sup> c.) due to a huge chronological confusion, and

similar to the same events narrated in *the Martyrdom of David and Costantine*, this too should be the case not of Arabs and Marwan the Deaf, but of the reign of the sons of Vakhtang Gorgasali and Persians – middle of the 6<sup>th</sup> c.

Indeed, a detailed textual analysis of this section of *the Georgian Chronicles* has made it clear that the chronicle that Leonti Mroveli placed after Stepanos II - inasmuch as he considered the figures named there, the king of Kartli Archil and his brother Mihr (Mihrdat) to be the sons of Stepanos II - actually rendered information on the Great Persian-Byzantine War (542-562), the life of Vakhtang Gorgasali's sons Darchil and Mihr and their fight against Persians. The correct dating of the above-mentioned events has given us the opportunity to contrast them with the narration of the Byzantine historian of the 6<sup>th</sup> c. Procopius of Caesarea, which further reinforced our conclusions.

The correct dating of the chronicle inserted after the story on Stepanos II, and the identification of the persons mentioned in it has produced a result equal to discovering a new chronicle - the life of King Darchil of Kartli and his younger brother Patrician (Erismtavari) Mihr was completed with totally new materials.

**Key words:** chronologically incorrect placement of the chronicle, Darchil, Vakhtang Gorgasali, Khosrow Anushiruwan, Caesar Justinian, Leonti Mroveli, Procopius of Caesarea, the Martyrdom of David and Costantine.

**მანანა სანაძე**

საქართველოს უნივერსიტეტი

პრეზიდენტი

მობ. ტელ.: 599292317

ელ. ფოსტა: [geomanana@yahoo.com](mailto:geomanana@yahoo.com)

ORCID: ID 0000-0002-9921-322X

**აბსტრაქტი**

ვახტანგ გორგასლის ვაჟის, ქართლის მეფის დარჩილის ცხოვრების შესახებ აქამდე ფრიად ცოტარამიყო ცნობილი, ბუნერივია, ეს განაპირობა, როგორც *ქართველთა ცხოვრებაში*, ისევე *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკაში მის შესახებ დაცულმა ფრიად მწირე ინფორმაციამ.

დარჩილის ცხოვრების სწორ დათარიღებაში დაგვეხმარა ერთის მხრივ მისი მამის, ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და მეფობის წლების ზუსტად განსაზღვრა (470/71- 531) და მეორე მხრივ დავითისა და კოსტანტინეს მარტვილობის გადათარიღება - ჰაგიოგრაფიული თხზულების კვლევამ წარმოაჩინა, რომ დავითი და კოსტანტინე ეწამნენ არა არაბებისა და მურვან იბნ მუჰამედის საქართველოში ყოფნის პერიოდში (735-738 წწ.), არამედ სპარსეთ-ბიზანტიის დიდი ომიანობის საწყის ეტაპზე (542/43 წ.), სპაესეთის შაჰის ხოსრო ანუ-შირვანის ეგრისში შემოჭრის დროს.

დავითის და კოსტანტინეს წამებისაგანვე ვგებულობთ, რომ ვახტანგ გორგასლის ვაჟები დარჩილი და მირი (მირდატი) ანაკოფიის ციხეში გამაგრებულები დახვდნენ ხოსროს მიერ აფხაზეთის დასალაშქრად გაგზავნილ სპარსელ სარდალს და ბრძოლა გაუმართეს. ბრძოლაში მირი (მირდატი) დაიჭრა და დაიღუპა, დარჩილი კი კვალვაც ციხეში შებრუნდა.

ე. წ. „მურვან ყრუს“ აღნიშნულ ლაშქრობაზე *ქართველთა ცხოვრებაში* ქართლის ერისმთავრის სტეფანოს II-ისადმი განკუთვნილ მონაკვეთში მოგვითხრობს ლეონტი მროველიც. დავითის და კოსტანტინეს წამების გადათარიღებამ გაგვიჩინა ლეგიტიმური ეჭვი, რომ სტეფანოზ II-ის მმართველობის აღმწერი მონაკვეთის შემდგომ მოთავსებული ისტორიული ქრონიკა, რომელიც დავით და კოსტანტინეს წამებაში მოთხრობილი ამბის იგივეობრივს გვიყვება, ლეონტი მროველის მიერ (XI ს-ის II ნახევარი) დიდი ქრონოლოგიური აღრევით იქნა ჩასმული იმ ადგილას, სადაც დღეს იმყოფება და, დავით და კოსტანტინეს მარტვილობაში მოთხრობილი იმავე ამბების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც სპარსელებისა და ვახტანგ გორგასლის ვაჟების მართველობის ხანასთან უნდა გვეკონოდა საქმე.

მართლაც, *ქართველთა ცხოვრების* აღნიშნული მონაკვეთის დეტალურმა ინფორმაციულ-ტექსტოლოგიურმა კვლევამ, აშკარა გახადა, რომ

ქრონიკა, რომელიც ლეონტი მროველმა სტეფანოზ II-ზე თხრობის შემდგომ მოათავსა, ვინაიდან იქ დასახელებული პირები, ქართლის მეფე არჩილი და მისი ძმა მირი (მირდატი), სტეფანოზ II-ის შვილებად მიიჩნია, სინამდვილეში, სპარსეთ-ბიზანტიის დიდ ომსა (542-562) და ვახტანგ გორგასლის შვილების დარჩილისა და მირის ცხოვრებასა და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაზე მოგვითხრობდა. აღნიშნული ამბების სწორმა დათარიღებამ მათი VI-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის თხრობასთან შეპირისპირების შესაძლებლობა მოგვცა, რამაც ჩვენი დასკვნები კიდევ უფრო განამტკიცა.

სტეფანოზ II-ზე თხრობის შემდგომ ჩასმული ქრონიკის სწორმა დათარიღებამ და იქ დასახელებული პირების იდენტიფიცირებამ ახალი ქრონიკის მიგნების ტოლფასი შედეგი მოგვცა - ქართლის მეფე დარჩილისა და მისი უმცროსი ძმის, პატრიკიოსი (ერისმთავარი) მირის ცხოვრება სრულიად ახალი მასალით შეივსო.

**საკვანძო სიტყვები:** ქრონიკის ქრონოლოგიურად მცდარი განთავსება, დარჩილი, ვახტანგ გორგასალი, ხოსრო ანუშირვანი, კეისარი იუსტინიანე, ლეონტი მროველი, პროკოპი კესარიელი, დავით და კოსტანტინეს წამება

### შესავალი

ვახტანგ გორგასლის უფროს ვაჟსა და ტახტის მემკვიდრეზე, მეფე დარჩილზე ფრიად მწირი ცნობები მოგვეპოვებოდა. სულ ბოლო ხანებამდე მისი მეფობის დროც კი არასწორად იყო განსაზღვრული - დაახლოებით 502-510/15 წლები. მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ ვახტანგი 490, ან 502 წ. კი არა, არამედ 531-წ. გარდაიცვალა, ქართლში შემოჭრილ სპარსეთის შაჰ ხოსრო ანუშირვანთან ბრძოლაში, დარჩილის ცხოვრებისა და მეფობის წლების სწორად განსაზღვრა დიდი მიახლოებით გახდა შესაძლებელი - დარჩილი დაიბადა 502/03 წ. და გარდაიცვალა სპარსეთ-ბიზანტიის 541-562 წლების ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ანაც 562 წ. დაზავების შემდგომ, მალევე, ის ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა - საგანგებოდ ამ მიზნით შემოსულმა სპარსმა სარდალმა მას თავი მოჰკვეთა.

### მეთოდები

ქართველთა ცხოვრების შესაბამისი მონაკვეთების კრიტიკულმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ქრონიკა, რომლებიც დარჩილის მეფობის ხანას ასახავდა, ლეონტი მროველმა (XI ს-ის II ნახ), სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მის ხელთ არსებული ჯუანშერისეული *ქართველთა ცხოვრება* სტეფანოზ II-ისა და არაბთა გამოჩენის შესახებ თხრობის ჩათვლით იყო გამოგრძელებული, სტეფანოზ II-ის შემდგომ მოათავსა

და ამგვარად თხრობა გააგრძელა, ხოლო ქრონიკის მთავარი მომქმედი პირები - არჩილად ქცეული დარჩილი და მისი ძმა მირი (მირდატი) ამავე სტეფანოზის შვილებად გამოაცხადა. ამგვარად, ვახტანგ გორგასლის ვაჟების ცხოვრების ქრონიკამ VI ს-ის შუა წლებიდან – სპარსეთ-ბიზანტიის დიდი ომიანობის ხანიდან, VII ს-ის შუა წლებში, სტეფანოზ II-ის ხანაში გადმოინაცვლა, სპარსი სარდლის მურვან ყრუდ გააზრებამ ქრონიკაში მოთხრობილი ამბები კიდევ 70 წლით გააახალგაზრდავა და უკვე VIII ს-ის 30-იან წლებში განათავსა, არჩილის წამების ასიმ ჭიჭნაუმისადმი (ხუზაიმა იბნ ჰაზიმის) მიწერამ კი არჩილად ქცეული დარჩილის წამება კიდევ რამდენიმე ათეული წლით გადმოწია და უკვე VIII ს-ის 80-იან წლებში გადმოიყვანა. ამ მიმართულებით ჩაღრმავებულმა კვლევამ და თანადროულ ბიზანტიურ და სომხურ წყაროებთან ზემოთაღნიშნული ქრონიკების შეპირისპირება წარმოაჩინა, რომ თხრობა, რომელიც აქამდე სტეფანოზის ვაჟებზე, ქართლის ერისმთავრებზე, მირსა და არჩილზე გვეგონა გვიყვებოდა, თურმე ქართლის მეფის დარჩლისა და მისი უმცროსი ძმის პატრიკოსი მირის ბიოგრაფიას ასახავს.

### მსჯელობა

უპირველეს ყოვლისა თავი მოვუყაროთ ფაქტებს, რომლებიც უშუალოდ დარჩილის ცხოვრებიდან ვიცით. დარჩილი მამის, ვახტანგ გორგასლის, მსგავსად, სპარსული სამეფო, სასანური საგვარეულოდან წარმოდგებოდა<sup>1</sup>. ქართლის სასანიანთა ეს განშტოება მირიანის მამა რევ მართლიდან იღებდა სათავეს, რომელიც თავის მხრივ სპარსეთის რიგით მეორე სასანიანი შაჰის შაბურ I-ის უფროსი ვაჟის ჰორმიზდ-არდაშირის<sup>2</sup> ძე გახლდათ (სანაძე, IV, 2001: 133-148; სანაძე, 2016: 235-244; სანაძე, 2019: 381-390). 265 წლის ახლო ხანებში, დაახლ. 10/11 წლის რევი იმხანად სომხეთის ტახტზე მყოფმა ჰორმიზდ-არდაშირმა ქართლში შემოიყვანა და მასთან ბრძოლაში დაღუპული ცოლის ძმის (რევის ბიძის დედის მხრიდან), ქართლის მეფის ამაზასპ II-ის (დაახლ. 235-265) ტახტზე დასვა.

სახელი *დარჩილიც* ირანული წარმომავლობისაა (ანდრონიკაშვილი, 1966: 463) და ჟღერადობითა და შინაარსით არჩილთან ახლოს დგას. შეიძლება ითქვას, ვახტანგმა თავის ვაჟს, შაჰის სახელი (არჩილი) დაარქვა ოდნავ განსხვავებული ვერსიით. ასეთი ახლო ჟღერადობის გამო, მომავალში, როდესაც სასანური სპარსეთი საქართველოში არაბებმა შეცვალეს და სპარსულის ცოდნა საზოგადოებაში გაქრა, ეს ორი სახელი ხელნაწერებში ერთმანეთში აირია - დარჩილს არჩილადაც მოიხსენიებდნენ.

<sup>1</sup> ქართულ წყაროებში სასანიანები ხოსროიანებად იწოდებიან.

<sup>2</sup> სომხეთის მეფე 253-271 წწ.; სპარსეთის შაჰი 271-273 წწ.

არა მარტო დარჩილის მამა, ვახტანგი იყო სასანიანი (ამაზე მისი სახელის ფორმაც ვარან ხოსროთაგან, იგივე ვარან სასანიანი მეტყველებს<sup>3</sup>), არამედ დარჩილის დედაც იმავე სასანიანთა საგვარეულოდან წარმოსდგებოდა - ის უშუალოდ სპარსეთის შაჰის, სავარაუდოდ, ბალაშის (484-488 წწ.) ასული გახლდათ. მას *ქართველთა ცხოვრება* ბალან-დუხტს უწოდებს, სახელის სწორი ფორმა, სავარაუდოდ, იყო ბალ(აშ)ან-დუხტი<sup>4</sup> (სანაძე, 2016: 325). ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა, დედოფალი დარჩილსა და მისი ტყუპისცალ დაზე მშობიარობას გადაჰყვა.

ინდოეთში სალაშქოდ გამგზავრების წინ (507/8 წ.) ვახტანგმა 5 წლის დარჩილი მეფედ აკურთხა და, ამგვარად, ბავშვი-მეფე თავის მოხელე პიტიახშებს ჩააბარა (სანაძე, 2019: 340-346).<sup>5</sup> ადრევე ვახტანგმა ციხე-ქალაქი უჯარმა გაამაგრა და ფაქტობრივად თავის რეზიდენციად აქცია. ინდოეთში მიმავალმაც თავისი ხუთი წლის ასაკში გვირგვინდადგმული ვაჟიც უჯარმაში დატოვა აღსაზრდელადაც და მმართველადაც. მეფე დარჩილი ბავშვობაში შემოკლებით იწოდებოდა, როგორც დაჩი. ეს ბავშვობის სახელი მას შემდგომშიც შერჩა. რვა წლის განმავლობაში, სანამ მეფე-მამა ინდოეთში ლაშქრობდა დარჩილი, ვახტანგის მიერ დატოვებული სასახლის დიდმოხელეებისა და პიტიახშების მეშვეობით ქვეყანას უჯარმიდან განაგებდა. ამიტომაც ის წყაროებში *დაჩი უჯარმელის* სახელითაც გვხვდება.

ინდოეთიდან დაბრუნებულ (515/16 წ.) ვახტანგს შვილი უკვე 13/14 წლის ჭაბუკად ქცეული დახვდა, რომელიც მამა-მეფეს საქართველოს საზღვართან ლაშქრის, სპასალარებისა და ეპისკოპოსების გარემოცვით მიეგება (*ქართველთა ცხოვრება*, 1955: 196). ვახტანგმა მალევე, იმავე 516 წ. ბიზანტიელი ქალი ელენე შეირთო მეორე ცოლად. დედინაცვალმა

---

3 ვახტანგ, ვარან ხოსროთაგან-ის ქარაგმაგაუხსნელი ფორმიდანაა მიღებული, რომელშიც მრავალგზისი გადაწერისას ნ და გ ფონემებმა ადგილები შეანაცვლეს - ვარან ხოსროთანგ, ვარან ხოსროთაგან - სასანიან ვარანს ნიშნავს. ვრცლად იხ. (სანაძე, ქართლის მეფეებისა და პატრიკოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), 2016, გვ. 308-309) (სანაძე, შესავალი ქართველთა ცხოვრებაში, 2019, გვ. 499-501) (სანაძე, 2016: 308-309; სანაძე 2019: 499-501).

4 ბალან დუხტი უნდა ვიფიქროთ ბალ[აშ]ან-ის გაუხსნელი ქარაგმა. ასეთი, სპარსულის მრავლობითი რიცხვით გაფორმებული სახელები სხვა შემთხვევებშიც გვხვდება ქართულ წყაროებში, მაგ., ამაზასკ და ამაზასკან, მიჰრ და მიჰრან და სხვ.

5 აღსანიშნავია, რომ *ქართველთა ცხოვრებაში* ვახტანგის ხანის რეგონალური მმართველები ერისთავად იწოდება, რაც უკვე ლეონტისეული თარგმანი და ანალოგია პიტიახშის. ჯუანშერის ხანაში ქართლის მეფის, კერძოდ, ვახტანგის დაქვემდებარებაში იყვნენ პიტიახშები და არა ერისთავები (სანაძე, შესავალი ქართველთა ცხოვრებაში, 2019, გვ. 340-346) (სანაძე, 2019: 340-346).



დარჩილს კიდევ ორი ნახევარდა და ორიც ნახევარძმა - მირი (მირდატი) და ლეონი გაუჩინა. მემატთანე გვამცნობს, რომ ვახტანგმა მეფობაში დავაჟკაცებულ თავის უფროს ვაჟს, რომელიც თანამოსაყდრის სტატუსს, ბუნებრივია, ვახტანგის ინდოეთიდან უკან მობრუნების შემდგომაც ინარჩუნებდა, საჯდომად ჰერეთი გამოუყო:

„ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით. და თვთ ვახტანგ დაჯდა უჯარმას“ (ქართველთა ცხოვრება, 1955: 199).

515/16 წლიდან - ვახტანგის ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ, 531 წლამდე, ანუ ვახტანგის დალუპვამდე (531 წ.) მამა-შვილი ერთად მმართველობდა. დარჩილმა მამის, ვახტანგის სპარსეთის ახლად-ტახტზეასულ შაჰთან, ხოსრო ანუშირვანთან (531-579) ბრძოლაში დალუპვის შემდეგ, 29 წლის ასაკში დაიწყო დამოუკიდებელი მეფობა. თუმცა, ქართლის სამეფოს უდიდესი ნაწილის სპარსელების მიერ უშუალოდ დაკავების გამო დარჩილი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გახიზნულიყო და კეისარი უსტინიანესათვის შველა ეთხოვა. 532 წ. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ზავი დაიდო, რომელიც უვადო ზავის სახელითაა ცნობილი. *ქართველთა ცხოვრებაში*, ამ ზავმა ასახვა ჰპოვა ე.წ. *ვახტანგის ანდერძის* სახით, რომლის მიხედვითაც ვახტანგმა სიკვდილის წინ თითქოსდა დარჩილსა და მის ნახევარძმებს შორის ქვეყანა შემდეგნაირად გაანაწილა: ელენესა და მის შვილებს ენგურსა და კლისურს შორის ტერიტორიის გარდა, რომელიც ელენეს მზითვი იყო, ერგოთ: კლარჯეთის და ოძრხის საერისთავოები მთლიანა და ჯავახეთის საერისთავოს დიდი ნაწილი (ქ. წუნდითურთ), რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართლის ეს ნაწილი ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. (ქართველთა ცხოვრება, 1955: 203-204). ქართლის ამ ნაწილის გამგებელი ბიზანტიური პატრიკიოსის (*ქართველთა ცხოვრებით* - ერისთავთა მთავარი) ტიტულით ვახტანგის ვაჟი ბიზანტიელი მეუღლის (*ქართველთა ცხოვრებით* - ბერძენი ცოლისაგან), ელენესაგან, მეფე დაჩის უმცროსი ნახევარძმა მირდატი, იგივე მიჰრი//მირი (მითრა) გახდა, რომელიც იმხანად (532 წ.), 15 წლისა თუ იქნებოდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ასულებზე უფრო ადრე გაუჩნდა ელენეს.

თვასლსაზრისი, იმის თაობაზე, რომ ეს ე. წ. *ვახტანგის ანდერძი* 532 წლის სპარსეთ-ბიზანტიის ზავის ასახვაა, პირველმა თ. ბერაძემ გამოთქვა, თუმცა, ვინაიდან იმხანად ვახტანგ გორგასლის მეფობა ჩემს მიერ ჯერ გადათარიღებული არ იყო, მკვლევარმა ივარაუდა, რომ ჯუანშერმა უბრალოდ ერთმანეთს შერწყა ვახტანგის პერიოდისა და დიდი ომიანობის ხანის ამბები (ბერაძე, 2010: 81-88).

532 წლის ზავიდან საქართველოს ტერიტორიაზე სპარსეთ-ბიზანტიას შორის საომარი მოქმედებების დაწყებამდე (542/43 წ.) და მირის დალუპვამდე, და, შესაძლოა, 545 წლამდე - სპარსეთ-ბიზანტიას შორის

პირველ ხუთწლიან დაზავებამდე, დარჩილი ეგრისში იმყოფებოდა. იმავე 532 წლისათვის სპარსეთმა ქართლში მეფობა გააუქმა და ქვეყანას თბილისში მჯდომი სპარსი მოხელე - მარზპანი მართავდა. ამ პერიოდს ასახავს კიდევ *ევსთატე მცხეთელის მარტილობა*.

ის, რომ 532-542 წლებში, ანუ სპარსეთ-ბიზანტიას შორის მშვიდობის პერიოდში დარჩილი დასავლეთ საქართველოში იმყოფება, ამაზე კარგად მეტყველებს *ქართველთა ცხოვრების* ინფორმაციაც, რომელიც მასა და მის ძმა მირდატს შორის ტერიტორიების გაცვლაზე მოგვითხრობს: დარჩილმა ძმას გამოართვა ტერიტორია ეგრის-წყალსა და კლისურას შუა და ნაცვლად მისცა ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე (ქართველთა ცხოვრება, 1955: 205).

*დარჩილის ცხოვრებაში* დაცული ამ მონაკვეთით, აშკარა ხდება, რომ დარჩილისათვის კლისურასა (დღევანდელი მდ. კელასური) და ენგურს შორის ტერიტორია უფრო მნიშვნელოვანი გამხდარა და, ვინაიდან ის მირდატს ეკუთვნოდა, როგორც დედის მზითვი, ძმისთვის, ჯავახეთის მის ხელთ არსებულ ნაწილში გაუცვლია. ასეთი საჭიროება კი დარჩილს მხოლოდ მაშინ გაუჩნდებოდა, თუ ის იძულებული იქნებოდა დასავლეთ საქართველოში მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ ყოფნაზე ეზრუნა. სწორედ, დასავლეთ საქართველოში მყოფი დარჩილისათვის იქნებოდა კლისურასა და ენგურს შორის ტერიტორია ბევრად უფრო სასარგებლო, ვიდრე „ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე“.

ისიც აშკარაა, რომ 542/43 წ-მდე, ანუ ეგრისში (როგორც ქვემოთ ვნახავთ ოძრხის გავლით) სპარსეთის შაჰის ხოსრო ანუშირვანის შემოჭრამდე, დარჩილის უმცროსი ნახევარ-ძმა მირი ოძრხე-კლარჯეთ-ჯავახეთში იმყოფებოდა და მისთვის, დარჩილისაგან განსხვავებით, „ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე“ უფრო გამოსადეგი იყო.

541 წ. ბიზანტია-სპარსეთს შორის დაწყებული ხანგრძლივი ომი თითქოსდა 562 წ. დაზავებით დასრულდა, მაგრამ მშვიდობა ამ ორ იმპერიას შორის, ფაქტობრივად 591 წლამდე არ დამდგარა და საომარი მოქმედებებიც, რომლებიც 571-წლიდან კვლავ განახლდა, 591 წლამდე მეტ-ნაკლები აქტიურობით პერმანენტულად მიმდინარეობდა.

ამ ორი ზესახელმწიფოს უთანხმოების უმთავრეს მიზეზს ბიზანტიის მხრიდან - *აბრეშუმის გზის* ჩრდილოეთი განშტოების ამოქმედების სურვილი, ხოლო სპარსეთის მხრიდან *აბრეშუმის გზის* ამ ახალი, ჩრდილოეთის განშტოების ხელში ჩაგდების მცდელობა წარმოადგენდა.

ეს გზა ცენტრალურ აზიაში, სოგდიანაში იწყებოდა, ჩრდილოეთიდან უვლიდა კასპიის ზღვას და მიჰყვებოდა კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებს. ვახტანგის მოღვაწეობაში მთავარი (რამაც სპარსეთისათვის მისი ოჯახის მმართველობა ქართლში მიუღებელი და სპარსეთის მიზნებთან სრულიად შეუთავსებელი გახადა) იყო ის, რომ, სავარაუდოდ, ვახტანგმა, ბიზანტიელებს მათთვის ეგზომ სასურველი აბრეშუმის *ჩრდილოეთის*

*მარშრუტი* თავის სამეფოზე - ქართლზე (იბერია) გავლით შესთავაზა, რითაც მისი და მისი ქვეყნის მნიშვნელობა ბიზანტიის თვალში ფრიად გაზარდა.

სოფლიანადან მომავალი აბრეშუმის ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში შემოტანის მიზნით, ვახტანგმა ილაშქრა და დაიქვემდებარა სამხრეთ დაღესტანში მდებარე ისტორიული მხარეები ხუნძეთი და წუქეთი და მდ. სამურის სათავეებიდან შავ ზღვამდე ციხე-ქალაქების მთელი სისტემა ააგო ან გაამაგრა: ხორნაბუჯი, ჭერემი, უჯარმა, მცხეთა და არტანუჯი კლარჯეთში. კლარჯეთი ხომ ისტორიული ქვეყანა იყო, რომელიც მდ. ჭოროხის ბოლო მონაკვეთით - ნიგალის ხევით შავ ზღვაზე გადიოდა. არტანუჯიდანვე გზა ხმელეთით ტრაპიზონამდე მარტივად მიდიოდა (Sanadze & Beradze, 2003 25- 27 June: 187-189).

მამის ამ *აბრეშუმის პოლიტიკაში* მნიშვნელოვანი როლი დარჩილს და მისთვის, როგორც თანამოსაყდრისათვის, სამართავად გადაცემულ ჰერეთის საერისთავოს უნდა ეთამაშა. იმხანად ჰერეთს, როგორც ქართლის სამეფოს განაპირა აღმოსავლეთ რეგიონსა და კავკასიონის ქედის ამ ნაწილში ხუნძეთ-წუქეთთან მომიჯნავე მხარეს, ვახტანგი თავის საგარეო პოლიტიკაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. რეალურად, სწორედ დარჩილი იყო საქართველოს მხრიდან ის პირი, რომელიც, საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთის, ჰერეთის საერისთავოდან, სავარაუდოდ, ხან მამასთან ერთად, ხანაც მის გარეშე ხუნძეთს, წუქეთს და *ქართველთა ცხოვრებაში* „კახეთის მთეულად“ სახელდებულ მხარეებს ლაშქრავდა. უფრო მეტიც, დარჩილი უმცროსი ძმის, მირდატის (მირის) გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოდან დაბრუნებული, როგორც ქვემოთ ვნახავთ, კავკასიონის მთიანეთის ამ მონაკვეთის ათვისებას და მასზე კონტროლის აღდგენას კვლავაც, არც თუ უშედეგოდ, ცდილობდა.

ვახტანგის დაღუპვისა და დარჩილის დასავლეთ საქართველოში გაზიზვნის შემდეგ, სპარსეთმა ქართლზე კონტროლი დაამყარა (აქ არ ვგულისხმობთ, ქართლის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე სამ: ჯავახეთის, ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოებს, რომლებიც 532 წლის ზავით ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ გადავიდა) - მდ. სამურის სათავეებიდან ქართლის სიღრმისაკენ მომავალი აბრეშუმის ნაკადი გადაკეტა. ახლა სპარსეთის მთავარი მიზანი შავ ზღვაზე გასვლა, ეგრისის, უშუალოდ დაქვემდებარება და ბიზანტიელებისათვის ჩრდილოეთი აბრეშუმის გზის კავკასიონის უღელტეხილებით უკვე დასავლეთ საქართველოზე გატარებისათვის ხელისშეშლა იყო.

დარჩილსა და მის უმცროს ძმა მირზე, მათ ბრძოლაზე ეგრისში შემოჭრილ სპარსელებთან, მირის დაღუპვაზე, არჩილის აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში გადმოსვლასა და დამკვიდრებაზე, ისევე როგორც საბოლოოდ, სპარსელების მიერ მის სიკვდილით დასჯაზე, როგორც აღმოჩნდა, მოგვითხრობდნენ სპარსეთ-ბიზანტიის ამ მრავალ-

წლიანი (541-562) ომის პირველი მონაკვეთის აღმწერი ადგილობრივი ქრონიკები. ერთი ქრონიკის ინფორმაციები ბევრად უფრო გვიან, საფუძვლად დაედო უცნობი ავტორის მიერ 1058 წლისათვის შექმნილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას - *დავით და კოსტანტინეს წამებას* (სანაძე, არახამია, 2013: 26-30); ხოლო მეორე ქრონიკაზე, ცოტა მოგვიანებით, XI ს-ის ბოლოს, დააფუძნა უკვე ლეონტი მროველმა, *ქართველთა ცხოვრებაში* როგორც VIII ს-ის I ნახევრის შუა წლების ამბების თხრობა, ისე მის მიერ საგანგებოდ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება - *არჩილის წამება*.

პირველი შეცდომა ჰაგიოგრაფმა დაუშვა, როდესაც მის წყაროში აღწერილი ამბების ისტორიულ ფონად (მეტაფრასირებისას) არაბობის ხანა გაიხადა. ამით ახალშექმნილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოთხრობილი ამბავი რეალურ დროს 200 წლით დაშორდა.

ლეონტის არგვეთელი მთავრების ბრძოლისა და წამების ამბავი მის ხელთ არსებულ ტექსტში არ ეძლეოდა, მაგრამ ანაკოფიასთან შემოსეული მტრის ქართლის მეფეებთან ბრძოლის, ისევე, როგორც წყალდიდობის, მდინარეების ცხენის წყლისა და აბაშის წყლის ადიდებისა და დიდი რაოდენობით (35 ათსი) ცხენების დაღუპვის შესახებ მისი ქრონიკაც ყვებოდა.

ვინაიდან ლეონტის ეს ამბები, მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფის მიერ უკვე არაბების და მურვან ყრუს ხანაზე გაშლილი დახვდა, ხოლო *ქართველთა ცხოვრების* მის მიერ საფუძვლად აღებული ხელნაწერი კი სტეფანოზ II ადარნასეს ძეზე და სწორედაც არაბთა გამოჩენაზე თავდებოდა, ამიტომ მან, მის მიერ აღმოჩენილი ქრონიკის ინფორმაციები ერთგვარი გადამუშავებით სტეფანოზ II-ის შემდეგ მოათავსა.

ჰაგიოგრაფის ხელთ არსებული ძველი ქრონიკა ძირითდად არგვეთელი მთავრების დავით და კოსტანტინეს ბრძოლასა და წამებაზე ამახვილებდა ყურადღებას, თუმცა აქაც მოთხრობილი იყო მტრის ლაშქრის თავს დამტყდარი წყალდიდობის, მტრის ცხენების დიდი რაოდენობით - 40 ათასი - დახოცვის, ანაკოფიის ციხესთან ვახტანგ გორგასლის ვაჟების მტერთან შებრძოლების და მირის დაღუპვის ამბავი.

ლეონტის ხელთ არსებული ქრონიკა, უფრო ზუსტად, ჯუანშერისეული *ქართველთა ცხოვრებიდან* მოწყვეტილი, ფინალური მონაკვეთი (ანდერძითურთ), დავით და კოსტანტინეს ამბავს სულ არ იხსენიებდა, სამაგიეროდ იმავე ამბებს დარჩილის და მირის ცხოვრებისა და ბრძოლის კუთხით მოგვითხრობდა. ქრონიკაში მრავალგზისი გადაწერის შედეგად, დარჩილი უკვე არჩილიდ იყო ქცეული. ეს, ჯუანშერისეული *ქართველთა ცხოვრებიდან* მოწყვეტილი მონაკვეთი მოგვითხრობდა არჩილად ქცეული დარჩილის მოღვაწეობაზე დასავლეთ საქართველოში, მის მიერ „საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა“ ციხის აშენებაზე. შემდგომ გვამცნობდა სპარსთა შემოსევის შესახებ, ანაკოფიის ციხესთან დარჩილისა და მირის მტერთან ბრძოლისა და მირის

დალუპვის ამბავს, ქართლის სამთავროებად დაშლას, რაც მოთხრობილი იყო მირის ასულების ქართლის სამეფოს ელიტარული ოჯახების წარმომადგენლებზე გათხოვებისა და მათთვის ტერიტორიების მზითვად გადაცემის სახით; შემდგომ ქრონიკა მოგვითხრობდა არჩილად ქცეული დარჩილის აღმოსავლეთსაქართველოში დაბრუნებასა და კახეთში დამკვიდრებაზე, ამ უკანასკნელის ალაზნის მარცხენა სანაპიროს მთიანეთში (კახეთის მთეული) საქმიანობას. ამავე ქრონიკის ინფორმაციას დააფუძნა ლეონტიმ საკუთარი ჰაგიოგრაფიული თხზულება *არჩილის წამებაც*, რომელშიც, ქრონიკაში დარჩილის წამების შესახებ არსებული მოკლე ინფორმაცია ქართლში არაბი სარდლის ასიმ ჭიჭნაუმის (ჰუზაიმა იბნ ჰაზიმის) 780-იანი წლების ლაშქრობის ფონზე გაშალა. ლეონტიმაც XI ს-ის შუა წლების ჰაგიოგრაფის მსგავსად და, სავარაუდოდ, მისი ზეგავლენით, *ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრების* ამ მოწყვეტილ მონაკვეთში მოთხრობილი ამბების ისტორიულ ფონად აგრეთვე არაბობის ხანა და მურვან-ყრუს შემოსევები მიიჩნია - ეპოქა ხომ მის უფროს თანამედროვეს უკვე დადგენილი ჰქონდა!

*დავით დაკოსტანტინეს* წამების ინფორმაციების ლეონტი მროველის თხრობის შესაბამის მონაკვეთებთან შედარება დიდად არავის უცდია<sup>6</sup>, თუმცა კვლევამ წარმოაჩინა, რომ ისინი ერთი წყაროდან არ მომდინარეობენ და მათი ავტორები, უბრალოდ, ერთი და იგივე ამბების განსხვავებული რაკურსით აღმწერი ქრონიკებით სარგებლობდნენ, რამაც განაპირობა ის, რომ ისიც კი რაც ორივე ქრონიკის თვალსაწიერში მოხვდა, მაინც განსხვავებულადაა გადმოცემული, ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი განსხვავებებია: 1. წყალდიდობის დრო: ჰაგიოგრაფის მიხედვით, სპარსთა ლაშქარი წყალდიდობაში მოხვედრილა ციხე-გოჯისაკენ მიმავალი; ლეონტის წყაროს მიხედვით კი ეს მომხდარა უკანდაბრუნებისას, ციხე-გოჯის ჩავლის შემდეგ. 2. ჰაგიოგრაფის მიერ წყაროდ გამოყენებული ქრონიკა ანაკოფიის ციხესთან მირისა და დარჩილის დამარცხების ამბავს გვამცნობდა; *ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრების* ლეონტის ხელთ აღოჩენილი ადრევე მოწყვეტილი მონაკვეთი კი ქართლის მეფეების გამარჯვებაზე გვიყვებოდა, ან მონათხრობი ლეონტის ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევდა. იმავდროულად, მირის დაჭრისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას ორივე ქრონიკა იძლეოდა. 4. განსხვავებული იყო სპარსთა ლაშქრის უკუსვლის მარშრუტიც – ჰაგიოგრაფის წყარო მტრის უკუსვლას ზღვისპირეთით გვამცნობდა ან მისი თხრობა გზის ასეთი გააზრების საშუალებას იძლეოდა. ლეონტის წყარო კი ბევრად უფრო ზუსტად მოგვითხრობდა მტრის ლაშქრის უკან მოძრაობის მარშრუტს - ციხე-გოჯის ჩავლით აბაშის წყალ-ცხენის წყალ-რიონზე გადასვლით, გურია-სპერის გზით.

6 ამ მიმართულებით ისტორიკოსები მხოლოდ იმის გარკვევით დაინტერესდნენ, ჰაგიოგრაფიული თხზულება გახდა ლეონტის წყარო, თუ პირიქით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეონტის წყარო ჯუანშერისეული *ქართველთა ცხოვრების* მოწყვეტილი ფინალური მონაკვეთი იყო. რაც შეეხება *დავით და კოსტანტინეს* წამების წყაროს (სანაძე, არახამია, 2013: 8-14), სავარაუდოდ, ეს იყო ბერძნულენოვანი ქრონიკა, რომელიც დასავლეთ საქართველოში 542/3 წწ-ში ხოსრო ანუშირვანის ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობდა. ქრონიკა არგვეთელი მთავრების მტერთან ბრძოლის, მათი შეპყრობის და სიკვდილით დასჯის ამბის პარალელურად, ვახტანგ გორგასლის შვილების დარჩილისა და მირდატის ანაკოფიის ციხესთან ბრძოლისა და მირის დალუპვის შესახებაც გვაწვდიდა ინფორმაციას.

*დავით და კოსტანტინეს მარტვილობის* მიხედვით, ანაკოფიის ციხეში ვახტანგ გორგასლის შვილები იყვნენ გამაგრებულნი - არჩილ და დარჩილ. ისინი დამარცხდნენ მტერთან ბრძოლაში. „უხუცესი ძმა“<sup>7</sup> არჩილი დაიჭრა და დაიღუპა, ხოლო დარჩილი შებრუნდა ციხეში. არჩილი და დარჩილი გადამწერის შეცდომაა. მხოლოდ ერთმა სვინაქსარულმა ტექსტმა შემოგვინახა ძმების სახელების შედარებით სწორი ვერსია - მირი და არჩილი, თუმცა აქ უკვე დარჩილია არჩილად ქცეული.

ის, რომ მთელი ეს ამბავი მართლაც ვახტანგ გორგასლის ვაჟების ცხოვრების ნაწილია და საქმე სპარსელებთან და ზოროასტრებთან გვაქვს და არა არაბებთან, მურვან ყრუსთან და სტეფანოზ ერისმთვრის ვაჟებთან, ამაზე ტექსტის არა ერთი ადგილი მეტყველებს (სანაძე, არახამია, 2013: 14-30, სანაძე, 2020: 26-42). უპირველეს ყოვლისა ამ კუთხით თხზულების საწყისი ნაწილი განვიხილოთ, რომელიც იმავდროულად სათაურის მნიშვნელობასაც ასრულებს:

„წამებად და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად მიცვალებისა დიდისა მის და მალისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა, რომელმან მეფობად ყოვლისა ქუეყანისად საფლავად შთაიტანა. უღმრთოჲსა მის მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვან აბულ-კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ, რომელი იყო დისწული მუჰმად ცუდ სახელისა მოციქულისა“ (სანაძე, არახამია, 2013: 40).

როგორც ვხედავთ, პირველ წინადადებაში ყველაფერი თავის ადგილასაა, ანუ არავითარ წინააღდეგობასა თუ ანაქრონიზმთან საქმე არა გვაქვს: ჩრდილოეთის ქვეყნად იწოდებოდა ქართლი და ეგრისი როგორც სომხურ, ისე ბიზანტიურ წყაროებში და მათი გავლენით,

7 სინამდვილეში, დარჩილი იყო ძმებს შორის უხუცესი და მირი კი - უმცროსი, მაგრამ ჰაგიოგრაფი შეცდომას უშვებს, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ მის მიერ წყაროდ გამოყენებულ ტექსტში, ჯერ მირი ეწერა და მერე დარჩილი.

ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების, საკუთრივ, ქართულ თხზულებებშიც. ის რომ ჩრდილოეთის ქვეყანაში - ქართლში, არის არგვეთის მხარე და ეს მხარე და ქვეყანა ქართველთა საბრძანებელია, არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს და კითხვებს არ ბადებს. ის, რომ მოთხრობილ ამბავს ადგილი ჰქონდა, როგორც მემატიანე გვამცნობს, დიდი და მაღალი ხელმწიფის, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდგომ, ახლო ხანებში, ხელმწიფისა, რომელმაც ქართლის, როგორც ქვეყნის, სახელმწიფოს დიდება, მემატიანის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „საფლავად შთაიტანა“, ამაშიც გასაოცარი არაფერია. მაგრამ გაოცებას მეორე წინადადება იწვევს, რომელიც რამდენიმე ინფრამაციას გვაწვდის და აქედან არცერთი არაა სიმართლე. მართლაც, მურვან ყრუ და აზულ-კასიმი ერთი და იგივე პიროვნებები არ არიან და მათ საუკუნეები აშორებთ, მურვან ყრუ და მუჰამედი არ იყვნენ ერთმანეთის დისწული და დედის ძმა, ისინი ნათესავებიც კი არ იყვნენ და, საერთოდაც სხვადასხვა საგვარეულოებს ეკუთვნოდნენ. ამკარაა, რომ მეორე წინადადება მოგონილ-შეთხზულია ისეთი პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა, ან საკმაოდ ცუდად იცოდა არაბების ისტორია და როდესაც ეცადა არაბების ეპოქა გამოიყენებინა თავისი თხზულების ისტორიულ ფონად, ერთთავად შეცდომები დაუშვა.

ამგვარად, ამ სათაურ-შესავლის ორი წინადადებიდან პირველი არაფერს წინააღმდეგობრივს ან დაუჯერებელს არ შეიცავს, მეორე კი მთლიანად ნაყალბეგია, რაც ამკარას ხდის, ამ წინადადების რომელი მონაკვეთია ორიგინალი და სად იწყება ჰაგიოგრაფ-მემატიანის შემოქმედება. ის, რომ მოთხრობილი ამბები მართლაც ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებიდან ახლო ხანებში ხდება, ამაზე ტექსტში ვახტანგის შვილების მოხსენიებაც მოწმობს:

„ხოლო იყუნეს შვილნი დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისანი [მიჰრ]<sup>8</sup> და დარჩილ ციხესა მას, რომელსა ჰრქჳან ანაკოფიაჲ, რამეთუ შელტოლვილ იყვნეს იგინი შიშისა მისთჳს სპარსთაჲსა“ (სანამე & არახამია, 2013: 65).

რათქმაუნდა, „შვილი“ ძველ ქართულ ტექსტებში საკუთრივ შვილის მნიშვნელობის გარდა, შთამომავალსაც აღნიშნავს (როგორც ეს, შეცდომით ლეონტიმაც მიიჩნია), მაგრამ იმის გასარკვევად, თუ რა მნიშვნელობითაა სიტყვა ნახმარი უნდა გავითვალისწინოთ კონტექსტი. როდესაც სათაური გვაუწყებს, რომ დავით და კოსტანტინეს წამება მოხდა „შემდგომად მიცვალებისა დიდისა მის და მაღლისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა,

---

8 ვრცელ ტექსტში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გვაქვს არჩილ და დარჩილ. უფრო სწორი ვერსია შემოგვინახა ერთ-ერთმა სვინაქსარმა, სადაც გვაქვს - მიჰრ და არჩილ. თუმცა ისიც უკვე მცირედ დამახინჯებულია არა ერთჯერადი გადაწერის შედეგად - სინამდვილეში, თავდაპირველად ტექსტში უნდა გვქონოდა მიჰრ და დარჩილ.

რომელმან მეფობად ყოვლისა ქუეყანისაჲ საფლავად შთაიტანა“ და ამის შემდეგ გვამცნობს, რომ: „ხოლო იყუნეს შვილნი დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისანი [მიჰრ] და დარჩილ ციხესა მას, რომელსა ჰრქჳან ანაკოფიაჲ“, ასეთ ვითარებაში „შვილს“, ბუნებრივია, კონკრეტულად შვილის მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ და არა შთამომავლის. მით უფრო, რომ ტექსტში დასახელებული სახელი დარჩილი მხოლოდ ვახტანგ გორგასლის უფროს ვაჟს ერქვა. არც დარჩილამდე და არც მის შემდგომ სამეფო საგვარეულოში დარჩილი არავის რქმევია. ჰაგიოგრაფი თხზულებას შემდეგი ფრაზებით ასრულებს:

„ხოლო იწამნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კოსტანტინე დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ორას ორმოცდაცხრასა; ხოლო ქრისტეს ჯუარცუმითგან შჯდას ოცდაათსა, მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისავროძსა, ხატთა მბრძოლისასა, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლისა შვილთასა, ხოლო ჩუენ ზედა მეუფებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (სანაძე, არახამია, 2013: 75).

ლეონ ისავროსი, იგივე ბიზანტიის კეისარი ლეონ ისავრიელი (717-741) აქ ნახსენებია იმიტომ, რომ მისი მმართველობის ბოლო პერიოდი ემთხვევა მურვან ყრუს კავკასიაში მმართველობის ხანას (735-738). ქრისტეს ჯვარცმოდან 730 წელი მოგვიანებითაა ჩასმული.<sup>9</sup> ტექსტში ამ დათარიღების შემტანმა ვერ მიუსადაგა ის დასაბამითგან წელთაღრიცხვით გამოცხადებულ თარიღს - 6249-ს, რაც ბიზანტიური დასაბამითგანით (5508) - 741 წ. გვამღევს. ეს თარიღი შეუსაბამობაში მოდის მურვან ყრუს კავკასიაში ყოფნასთან – რაც 735-738 წლებით თარიღდება. 741 წ. ლეონ ისავრიელის გარდაცვალების წელია, ის გარდაიცვალა 18 ივნისს! ადრე გაზაფხულზე კი ძნელად წარმოსადგენია დასავლეთ საქართველოში იმ ხანად ვინმე სალაშქროდ შესულიყო. ასე რომ, ლეონ ისავრიელი ისევეა ჩასმული ტექსტში, მონათხრობისათვის ისტორიული ფონის მიცემის მიზნით, როგორც მურვან ყრუ. ერთადერთი, რასაც შეიძლება ამ შემთხვევაში დავეყრდნოთ, ეს შემდეგი ინფორმაციაა: „მეფობასა .... ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლისა შვილთასა“. ამ შემთხვევაში კონტექსტიდან გამომდინარე, შვილის ვახტანგ გორგასლის შთამომავლის მნიშვნელობით გაგება შეუძლებელია, მით უფრო ტექსტის ზემოთ აღნიშნული მონაკვეთების გათვალისწინებით.

იმის სასარგებლოდ, რომ ქრონიკა, რომელიც საფუძვლად დაედო ჰაგიოგრაფიულ თხზულებას მართლაც სპარსელების შემოსევისა და

---

<sup>9</sup> ქრისტეს ჯვარცმით დათარიღება სრულიად განსხვავებულია წამების ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერებში (სვინაქსარული რედაქციები), იმ დროს, როდესაც დასაბამითგანით წარმოდგენილ თარიღს ყველა ხელნაწერი უცვლელად იმეორებს. ეს, დასაბამითგან წელთაღრიცხვით მოცემული თარიღის პირველადობაზე და ქრისტეს ჯვარცმით დათარიღების გვიანდლობაზე მეტყველებს.



ბიზანტია-სპარსეთის დიდი ომიანობის (542-562) ამბავს ასახავს, არა ერთი სხვა გარემოებაც მეტყველებს:

1. ის, რომ თხზულებაში მართლაც ვახტანგ გორგასლის ახლო ეპოქასთან გვაქვს საქმე, ამას სპარსთა ლაშქარში აბაშების ყოფნაც ადასტურებს. ისტორიკოსები დიდი ხანია მსჯელობენ იმაზე, თუ ვინ არიან VIII ს-ის 30-იან წლებში ვითომდა მურვან ყრუს ლაშქარში მყოფი აბაშები. ზოგი ფიქრობდა, რომ შესაძლოა საქმე გვაქვს აბისინიელებთან. საქმე ისაა, რომ აბაშები სწორედაც *ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში* ფიგურირებენ. ინდოეთში სპარსეთის შაჰთან ერთად საბრძოლველად წასული ვახტანგისწორედ აბაშებს ებრძვის. ჯუანშერის ავეინფორმაციით, აბაშებზე გამარჯვების შემდეგ სპარსეთის შაჰმა ისინი გაყო: ერთი ნაწილი ადგილზევე დატოვა, მეორე კი სპარსეთის აღმოსავლეთი საზღვრებიდან დასავლეთში, საკუთრივ, სპარსეთში გადმოასახლა. აი, სწორედ ეს აბაშები იყვნენ სპარსელების ლაშქარში ე. წ. მურვან-ყრუს შემოსევის დროს.

2. ისლამის წინაპრობლემ ეპოქაზე თხზულებაში მოგვებისა და მისნების მოხსენიებაც მიუთითებს: ე.წ. მურვან-ყრუმ მოუწოდა:

**„მოგუთა და მისანთა სპარსეთისათა და წარავლინა წმიდათა მოწამეთა მიმართ რადთა ლიქნით ჰმოგუნიდენ წმიდათა მათ მოქცევისათვს სჯულსა მათსა“** (სანაძე, არახამია, 2013: 59).

*მოგვობა* დამპყრობლის მხრიდან სხვაგანაც გვხვდება: მოძალადე მურვან-ყრუ „ლიქნით ჰმოგუნიდა მათ“ - დავით და კოსტანტინეს (სანაძე, არახამია, 2013: 55). ცხადია, მოგვებისა და მისნების მოხმობა ისლამის აღმსარებელი არაბებისაგან სრულიად წარმოუდგენელია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ *მოგვი*, *მოგვობა* და *მისნობა* ზოროასტრული რელიგიისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებია და არა ისლამისათვის, რომელიც ყოველივე ამას სასტიკად ებრძოდა. ქრისტიანი მთავრების უცხო სარწმუნოებაზე მოსაქცევად *მოგვისა* და *მისნისთვის* შეეძლო მიემართა მხოლოდ ზოროასტრული რელიგიის მიმდევარს და არა მუსლიმს. ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ *დავით და კოსტანტინეს წამების წყარო* ისლამის წინარე, ზოროასტრულ ეპოქაში იყო შექმნილი (სანაძე, არახამია, 2013: 14-26).

სპარსელებზე და არა არაბებზე მიუთითებს ტექსტში ნახმარი სამოხელეო ტერმინოლოგიაც. სხვადასხვა ადგილებში ვხვდებით სპასალარს და სპასპეტს, თუმცა არსად არაა ნახმარი ამირა, მაგ. ე. წ. მურვან ყრუ ეუბნება დავითს:

**„რამეთუ გყო შენ სპასალარ და წინამძღუარ ყოველსავე ზედა ლაშქარსა ჩემსა“** (სანაძე, არახამია, 2013: 55)

ან კიდევ:

**„მასმიეს შენთვს სპასპეტთა ჩემთაგან, ვითარმედ კაცი ხარ გონიერი“** (იქვე).

ისმის კითხვა - რატომ შეარქვა ავტორმა მის მიერ შექმნილ აგიო-გრაფიულ თხზულებაში საქართველოში შემოჭრილ დამპყრობელსა და დავითისა და კოსტანტინეს სიკვდილით დამსჯელს *მურვან ყრუ*, თუ ის მართლაც არ იყო არაბი სარდალი და შემდგომში სახალიფოს ტახტზე ომაიანთა დინასტიის უკანასკელი წარმომადგენელი მერვან იბნ მუჰამედი?

ახსნა ერთადერთია: იმ ძველ ქრონიკაში, რომელშიც ამ შემოსევაზე და მტრის მიერ არგვეთის მთავრების დავითისა და კოსტანტინეს დასჯაზე მოგვითხრობდა და რომელიც საფუძვლად დაედო XI ს-ის 50-იანი წლების მიწურულს ჰაგიოგრაფის მიერ შექმნილ თხზულებას, შემოსეული მტრის მხედართმთავრის სახელი არ ეწერა და მას შემდეგი სიტყვები მიემართებოდა: *სპარსთა მეფე, დიდი ღაღადისი სპარსთა, მძლავრი*.

იმავედროულად, აშკარა იყო, რომ ის ქრისტიანებს ებრძოდა, ანუ იყო *ბილწი, ქრისტიანთმომძულე და უსჯულო*. ასეთები კი XI ს-ის შუა წლების ავტორისათვის მხოლოდ მუსლიმი არაბები იყვნენ. ამიტომაც, მან, დარწმუნებულმა (ან მოსურნემ, რომ მკითხველი დაერწმუნებინა), რომ სწორედ არაბების შემოსევასთან ჰქონდა საქმე, ძველი ქრონიკის *სპარსს* მისი უფრო მყარად *გაარაბებისათვის არაბიც* მიუმატა. რაც შეეხება *სპარსთა მეფისა* და იმავედროულად *სპარსთა დიდი ღაღადისის* აბულ კასიმად და *მურვან ყრუდ* მონათვლას, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ არაბი სარდლებიდან ქართული საზოგადოების ისტორიულ (წერილობით თუ ზეპირსიტყვიერ) მეხსიერებაში, მათმა ლაშქრობებმა თავისი სისასტიკით წარუშლელი კვალი დატოვა. ამიტომაც *წამების* ავტორმა მის ხელთ არსებული ისტორიული ქრონიკის *მძლავრის* და იმავედროულად მისი გაგებით უსახელო *სპარსთა მეფის - სპარსთა დიდი ღაღადისის* სახელად აბლ კასიმი და *მურვან ყრუ* „ღაღადინა“, თანაც ეჭვიც არ შეპარვია იმაში, რომ ეს სახელები ისტორიაში ერთი და იგივე პირს არ მიემართებოდა (სანაძე, 2020: 40-41). ჰაგიოგრაფს წყაროდ გამოყენებულ ძველ ქრონიკაში ეძლეოდა *სპარსთა მეფე*, რომელსაც მან მურვან ყრუ - მურვან აბულ-კასიმი უწოდა. იმავედროულად ტექსტში მას ამ *სპარსთა მეფის* მეტსახელები *მძლავრი* და *სპარსთა დიდი ღაღადისიც* არა ერთხელ შეხვდა:

„ხოლო მათ ყვეს ბრძანებად მძლავრისა“ (სანაძე, არახამია, 2013: 54); „მაშინ ჰრქუა მათ მძლავრმან რისხვით“ (იქვე, გვ. 55); იხ. აგეთვე გვ. 56, 58, 63, 66, 70 და სხვ. მრავალი.

„არა უწყითა, რამეთუ ღაღადისსა სპარსთასა .... ფრიად სწადიან ამათი შუებად და ფუფუნებად?“ (იქვე, გვ. 61); „ყოვლისა სოფლისა სპარსეთისა ... ღაღადისსა“ (იქვე, გვ. 60);

მურვან ყრუ, რომელიც იმავედროულად აბულ კასიმი, ჰაგიო-გრაფის მიერ შეთხზული პირია, რაც შეეხება *მძლავრს* და *სპარსთა*

დიდ ღალადის, ეს ჰაგიოგრაფმა უშუალოდ ქრონიკიდან აიღო. ასე იწოდებოდა იქ სპარსთა მეფე. საქმე ისაა, რომ სასანიანთა სპარსეთის დიდ და ძლევამოსილ შაჰს, ხოსრო I-ს (531-579) ორი მეტსახელი ჰქონდა: 1. *ანუშირვანი*, რაც სპარსულად *უძლეველს (უკვდავი სულის მქონეს)* ნიშნავს. ეს მეტსახელი თარგმნა ძველი ქრონიკის ავტორმა ქართულად, როგორც მძლავრი; 2. რაც შეეხება მეორე მეტსახელს *დადგარ*, ის სპარსულად *სჯულის, სამართლის, დამდგენს, მღალადებელს* ნიშნავს, რაც ძველი ქრონიკის შემქმნელმა ქართულად როგორც სპარსთა *დიდი ღალადის თარგმნა*. ამგვარად, ეჭვგარეშეა, რომ დავით და კოსტანტინეს წამების წყაროდ გამოყენებულ ქრონიკაში დასახელებული მძლავრი და სპარსთა *დიდ ღალადისი*, ხოსრო ანუშირვანი იგივე ხოსრო დადგარია, რომელიც ჰაგიოგრაფმა, უკვე მის მიერ შექმნილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, ნებსით თუ უნებლიედ მურვან ყრუდ (მურვან აბულ-კასიმად) აქცია.

ახლა ამ კუთხით თუ *ქართველთა ცხოვრებაში* დაცულ მირისა და არჩილის ცხოვრების მონაკვეთს გავანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ ტექსტი, რომელიც ლეონტიმ სტეფანოზ II-ის შემდეგ მოათავსა, როგორც მისი ვაჟების შესახებ თხრობა და მოქმედება მურვან ყრუს შემოსევების ფონზე გაშალა, სინამდვილეში, ვახტანგ გორგასლის შვილებზე და-რჩილსა და მირზე (მირდატი) და სპარსელებთან მათ ბრძოლაზე მოგვითხრობდა.

აღსანიშნავია, რომ სტეფანოზის ვაჟებს (იმ შემთხვევაში თუ მირის და არჩილის სახელების მქონე შვილები სტეფანოზს მართლაც ჰყავდა!) ლეონტი გაგვაცნობს როგორც - მირს უფროს, ხოლო არჩილს უმცროს ძმად, რაც შეეხება ვახტანგ გორგასლის შვილებს, დარჩილი უფროსი იყო, მირი (იგივე მირდატი) კი უმცროსი. ახლა ვნახოთ, *ქართველთა ცხოვრების ანასეულ ნუსხაში* როგორ მიმართავს მომაკვდავი მირი თავის ე. წ. უმცროს ძმას, არჩილს:

„მე ესერა წარვალ, ძმა-უფალო, მამათა ჩუენთა თანა“... (ქართლის ცხოვრება, 1942: 153)

მხოლოდ ამ ამონარიდიდანაც კი აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ვახტანგ გორგასლის ვაჟებთან - უმცროს ძმა მირთან და უფროს - დარჩილთან, რომლის სახელი გადამწერთა მიერ არჩილად დამახინჯდა. სხვა შემთხვევაში უფროსი ძმა უმცროსს არ მიმართავდა - „ძმა-უფალო“.

აღნიშნული მიმართვა ლეონტი მროველს, რომელმაც მის ხელთ არსებული ქრონიკის მონათხრობი, მცდარად, სტეფანოზ ადარნასეს ძესთან მოათავსა, შეუმჩნეველი დარჩა, სხვა შემთხვევაში ის მას „ჩასწორებდა“. ეს ჩასწორება-„ჩასუფთავება“ უკვე *მცხეთური რედაქციის ნუსხებში* განხორციელდა, რომელთა საერთო პროტოგრაფის შემქმნელმა გადამწერრედაქტორმა აღნიშნული წინააღმდეგობა შენიშნა და თავიდან მოიცილა.

არა ნაკლებად საინტერესოა არჩილისა და მისი ძმის მირის საუბარი, რომელშიც ლეონტის მიერ გვიან განხორციელებული ჩამატებების მიუხედავად, ჩვენი აზრით, კარგად ჩანს, რომ საუბარი მიდის ვახტანგ გორგასლის შვილებს და არა სტეფანოს III-ის შვილებს შორის. ლეონტის ჩამატებები მუქი და უფრო წვრილი შრიფტით მოგვყავს.

„მაშინ რქუა [დ]არჩილ, ძმასა თვსსა მირს: .... უკეთუ შეგვპყრნენ ჩუენ კელად, გამოიკითხნეს ყოველნი საგანძურნი ნამალავნი, რომელნი იგი დავფლენით ქუეყანასა ჩუენსა, მონაგებნი მირიან ღმრთივ-განბრძნობილისანი და კუალად ვახტანგ ღვთივგანბრძნობილისა მეფისანი და ყოველთა შვილთა მათთანი, რომელთა გუშვნეს ჩუენ და იგიცა ითხოვოს რომელი დამალა ერაკლე მეფემან რომლისა აღწერილი ყოველი დავდევიტ ორთა მათ თანა გვრგვანთა ზურმუხტისა და იაგუნდისა მოწეულისათა, რომელნი იგი გამოიტანნა მამამან ჩუენმან დიდმან მეფემან ვახტანგ ინდოეთით და სინდეთით. .... და შენ წარიხუენ ორნი იგი გვრგვანნი ოქროსა და ანთრაკისანი, ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი რომელი მოუძღუნა სპარსთა მეფემან ვახტანგს ყოველსა თანა ოქროსა და ვერცხილისა, რომელი აჰკიდა სატვრთავსა ხუთასსა მკვრცხლსა ორი ათასსა და შენ და მამამან ჩუენმან დასდევით იგი ქუთათისსა და ციხე-გოჯს“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 236).

ზემოთ მოყვანილ ტექსტში ლეონტისეული ჩამატებაა მირიანის მოხსენიება. აშკარაა, რომ თავდაპირველად ტექსტში, მხოლოდ ვახტანგი ფიგურირებდა, მირიანი კი შემდგომ მიამატეს, თუმცა ეს ჩამატება იმდენად უხეშად განხორციელდა, რომ ნამოქმედარის კვალი ნათლად ჩანს.

არა ერთ სხვა უცნაურ და შეუსაბამო ტერმინს თუ ფაქტს ვხვდებით ლეონტისთან ვითომდა VIII ს-ის I ნახევრისა და შუა წლების მოღვაწეების, ერისმთავრების არჩილისა და მირის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ტექსტში, რისი ახსნაც მხოლოდ იმით შეიძლება, თუ ვაღიარებთ, რომ დავით და კოსტანტინეს წამების ავტორის მსგავსად, ლეონტის წყაროც სწორედ VI ს-ის შუა წლებსა და სპარსელების ხანას ასახავდა და არა VIII ს-ის I ნახევარსა და არაბობას.

მართლაცდა, ლეონტი არჩილს ყველგან მეფედ მოიხსენიებს, თუმცა ქართლის სხვა არცერთ მმართველს (ბუნებრივია, მეფობის გუაქმების შემდგომ პერიოდს ვგულისხმობთ), როგორც არჩილამდე, ისე მის მომდევნოს, მეფეს არ უწოდებს და კურაპალატად (გუარამი), მთავრად, ერისმთავრად ყავს მოხსენიებული: „მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ“ - აღნიშნავს ლეონტი. აშკარაა, წყაროში მემატიანეს არჩილად ქცეული დარჩილი ქართლის მეფედ ეძლეოდა. უფრო მეტიც, მას ბიზანტიის კეისარი, როდესაც ბიზანტიის წინაშე მისი და მისი საგვარეულოს დამსახურებაზე საუბრობს მეფეს უწოდებს:

„თქუენი იყო მეფობა, სიმცნე და სიბრძნე ქართლსა შინა; აწ დაღაცათუ იდევენებით ჩუენთანა მსახურებისათვს ჯუარისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 239).

არჩილის მეფედ მოხსენიების ფაქტის ახსნას ამაოდ ცდილობდნენ ისტორიკოსები. თუმცა ყოველივე იოლად იხსნება იმის აღიარებით, რომ საქმე დარჩილ ვახტანგის ძესთან გვაქვს და არა არჩილ სტეფანოზის ძესთან.

ახლა კიდევ ერთ ადგილს მოვიყვანოთ *ქართველთა ცხოვრების* შესაბამისი თხრობიდან. ე. წ. მურვან ყრუს შემოსევასა და ქართლში შექმნილ ვითრებაზე საუბრისას, ლეონტი მროველი წყაროდ გამოყენებული ქრონიკის ზეგავლენით აღნიშნავს:

„და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტამრეულისა მათისა, **ნათესავი ერისთავთა** და პიტიახშთა ათასი ოდენ, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 237).

ან კიდევ: „და ყოველნი **მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავთანი ერისთავთა და წარჩინებულთანი** შეიმეოტნეს კავკასიად და დაიძალანეს ტყეთა და ღრეთა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 234).

როგორც ვხედავთ, სრულიად აშკარაა, რომ ლეონტი თავის დროის მკითხველს განუმარტავს თუ ვინ არიან ტექსტისეული *პიტიახშები* - ისინი, ლეონტის განმარტებით, ყოფილან მისი ხანის ერისთავთა და წარჩინებულთა ნათესავნი, რაც ნიშნავს იმას, რომ ლეონტის აზრით, მისი ხანის ერისთავები და წარჩინებულები მის მიერ წყაროდ გამოყენებულ ქრონიკაში დასახელებული პიტიახშებიდან წარმოსდგებოდნენ. კი მაგრამ, რა უნდოდათ პიტიახშებს საქართველოში VIII ს-ის შუა წლებში არაბობის ხანაში? რა თქმა უნდა, არაფერი. დაახლოვებით იმავე ხანის წარწერა გვაქვს სამშვილდის სიონიდან, სადაც მისი ქტიტორები თავს „ნათესავით პიტიახშს“ უწოდებენ, ანუ გვამცნობენ, რომ ისინი წარმოსდგებიან პიტიახშთა ძველი საგვარეულოდან, თორემ თვითონ კი არ უწოდებენ თავს პიტიახშებს! პიტიახშების ეპოქა სპარსეთთან ერთად ჩაბარდა წარსულს. ამ შეთხვევაში კი აშკარაა, რომ ლეონტის სწორედ პიტიახშები ეძლეოდა ტექსტში და მის განამარტებას ცდილობს მკითხველისათვის.

ვახტანგ გორგასლის შემდგომ ახლო ხანასთან გვაქვს საქმე ტექსტის იმ მონაკვეთშიც, რომელშიც ვითომდა სტეფანოზის ძე არჩილის მიერ თავისი ძმის მირის ასულების ქართლის მთავრებზე გათხოვების ამბავია მოთხრობილი და, რომელსაც ჩვენ პირობითად „მირის სიძეთა ჩამნათვალს“ ვუწოდებთ. *ქართველთა ცხოვრების* აღნიშნული მონაკვეთი ფაქტობრივად, ქართლის სამეფოს სამთავროებად დაშლის ახსნის პრიმიტიულ მცდელობას წარმოადგენს.

აქ მოთხრობილია რომ არჩილმა (სინამდვილეში დარჩილმა) ძმის, მირის დაღუპვის შემდეგ, მისი ასულები გაათხოვა და მზითვში მისცა მათ ქართლის სამეფოს სხვადასხვა ტერიტორიები:

**„ერთი მისცა მამის [დისწულსა] მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი;**

**მეორე მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აშოცს;**

**მესამე მისცა ნერსეს, ნერსიანსა, რომელი-იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა;**

**მეოთხე მისცა ადარნერსეს ადარნესიანსა, და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი;**

**მეხუთე მისცა ვარ[ა]ზმანს და მისცა კოტმანითგან ქურდის-კევამდე. იყო ესე ვარაზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა;**

**მექუსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელ იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისა. და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისის კევი და ტფილისი .... და ვითარ იხილეს, რამეთუ ჯუანშერს უმეტესი ნაწილი მისცა, დაუმძიმდა მცირედ რამე სხუათა მათ. და განუტევნა მთავარნი ესე (დარჩილმა - მ.ს.) ცოლებითურთ თვს-თვს ადგილად“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 241-242).**

აქაც, როგორც ვხედავთ პიტიახშების, გუარამ კურაპალატისა და ვახტანგ მეფის წარჩინებულების (და არა მათი შვილების, შთამომავლების გაგებით) ხანასთან გვაქვს საქმე<sup>10</sup>. კვლავაც მოხსენიებულია ვახტანგ გორგასალი, რომლის დედის ძმის, სპარსთა ერისთავის ბარდაველის (იგულისხმება საგდუხტის ძმა ვარაზ-ბაკური) ნათესავი ყოფილა ვარაზმანი - მირის ე. წ. მეხუთე ასულის მეუღლე. ნერსე ნერსიანი კი პირდაპირ დასახელებულია „რომელი-იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა“. აქვე აშკარაა, ჯუანშერის ემოციაც, რომელიც მიიჩნევს, რომ დანარჩენ მთავრებს მისი, ჯუანშერის შემურდათ, ვინაიდან მას ამ დაყოფის დროს მეტი ერგო - ციხე-ქალაქი თბილისი, რომელიც ამ დროისათვის ქართლის ცენტრალურ ქალაქად ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, მისი ფლობა სხვებზე უფროსობას ნიშნავდა. ეს სხვა საქმეა, რომ თბილისში მმართველად ის სპარსეთმა განამწესა და არა ქართლის მეფემ, რომელიც იმ ხანად (589 წ.) ან ბაკურ დარჩილის ძე, უფრო კი დარჩილის შვილშვილი ფარსმან ბაკურის ძე უნდა ყოფილიყო<sup>11</sup>. აშკარაა,

10 ტექსტს აშკარად ემჩნევა გვიანი ავტორის მიერი გადაამუშავების კვალი: ბუნებრივია, სახელწოდება - გუარამ კურაპალატი გვიანდელია). იგივე შიძლება ითქვას ნერსიანებსა და ადარნერსიანებზე. მაგ., ნერსიანები სახელი მხოლოდ ნერსე I-ის (დაახლ. 668-685 წწ.) პატრიკიოსობის შემდეგ წარმოიქმნება (სანამე, 2016: 377-378; სანამე, 2019: 316).

11 ბაკურ დარჩილის ძე, ფარსმან ბაკურის ძე, ფარსმან სხვადა და ბაკურ ფარსმანის ძე კახეთში „მეფობდნენ“ ქართლის პატრიკიოსების - გუარამის, სტეფანოზ გუარამის ძის, ადარნასე სტეფანოზის ძისა და სტეფანოზ ადარნასეს

რომ ამ შემთხვევაშიც ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებიდან (531 წ.) შედარებით ახლო ხანასთან გვაქვს საქმე - 580-იან წლების ვითარებასთან (ვახტანგის შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ხანა), როდესაც გურგენის შემდეგ სპარსეთმა ქართლის მმართველად ჯუანშერი დანიშნა (589/90 წ.) რაც შეეხება გუარამის ვაჟს სტეფანოზს, ის მისი მამის მსგავსად ჯერ ისევ მცხეთაშია და თბილისში არ გადმოსულა - ეს მოგვიანებით, 591 წ. მოხდება. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე შემდგომ ამონარიდებშიც:

„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია სამმორს, **შეირთო ცოლი, ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა ბერძნის ცოლისა ნაშობთა**“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 243).

ვითომდა არჩილ სტეფანოზის ძის კახეთში მოღვაწეობის შესახებ კი ვკითხულობთ:

„და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და ჳევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. **და პოვნა წუქეთს მთავარნი რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი**“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 243).

აქაც, ფაქტია, დროის იმ მონაკვეთზეა საუბარი, როდესაც მთავრები, რომლებსაც ვახტანგ გორგასალს „მიებოძა წუქეთი“ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. ეს სრულიად რეალური ინფორმაციაა იმის გავითვალისწინებთ, რომ დარჩილ ვახტანგის ძეზეა საუბარი და არა არჩილ სტეფანოზის ძეზე. იმავდროულად უაზრობა შეგვრჩება ხელთ იმის წარმოდგენის შემთხვევაში, რომ ვახტანგის მეფობიდან 200 წლით დაშორებულ ეპოქასთან გვაქვს საქმე.

საბოლოოდ მოვიყვანოთ ამონარიდებს, რომლებიც არავითარი ეჭვის საფუძველს აღარ გვიტოვებს იმის თობაზე, რომ ქრონიკა, რომლითაც ლეონტი მროველი სარგებლობდა დარჩილ ვახტანგის ძეზე მოგვითხრობდა და არა არჩილ სტეფანოზის ძეზე. უპირველეს ყოვლისა რას გვამცნობს მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ დარჩილის ცხოვრებიდან ამოვიღეთ:

„ამანვე მეფემან დაჩი დაპატიჟა<sup>12</sup> მთეულთა კახეთისათა,

---

ძის პარალელურად (სანამე, ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), 2016, გვ. 373-430) (სანამე, 2019: 403-409). მათ მეფობას სპარსეთი არ აღიარებდა, მაგრამ ქვეყნის შიგნით, როგორც ძველი სამეფო საგვარეულოს წარმმადგენლები, ისინი „მეფეებად“ იწოდებოდნენ და პატივისცემით სარგებლობდნენ.

12 *დაპატიჟება* (მომდინარეობს სიტყვიდან პატიჟი) ძველ ქართულში დასჯას, სასჯელის დადებას, განჩინებას ნიშნავდა (აბულაძე, 1973: 120, 138). დღევანდელი მნიშვნელობა ტერმინმა გვიან შეიძინა, სადაც XVI ს-დან და, შესაძლოა, უფრო გვიანაც კი. ზემოთ მოყვანილი ტექსტი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ამან მეფე დაჩიმ სასჯელი განუწესა კახეთის მთეულებს, თუ არ

რათა აღიარონ ქრისტე. ხოლო მათ არა ინებეს და განდგეს ყოველნი ნოპატელნი“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 205).

ახლა მეტი თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს ამონარიდი არჩილ სტეფანოზის ძის ცხოვრებიდან. თუ დავაკვირდებით, ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ ქვემოთ მოყვნილი მონაკვეთი ზემოთ მოყვანილის გაგრძელებაა, მუქად აღნიშნული ტექსტი კი ლეონტისეული ჩამატებაა და მკითხველის უნფორმირებას ემსახურება:

„და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს, ორთა წყალთა შუა (ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყუნეს კაცნი წარმართნი და მწეცის-ბუნებისანი არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი)<sup>13</sup> და იძულებით მონათლნა [დ]არჩილ იგინი“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 244).

საბოლოოდ, მოგვყავს ერთი ადგილი, წყაროდ გამოყენებული ქრონიკის საფუძველზე, ლეონტი მროველის მიერ შექმნილი ორიგინალური თხზულებიდან - არჩილის წამებიდან, სადაც ლეონტის მიერ ქრონიკის ისეთი მონაკვეთია უცვლელად დატოვებული და ამ ინფორმაციის ფონზე არჩილის (უფრო ზუსტად დარჩილის) წამების ამბავი გავრცობილ-გაშლილი, რომელიც აშკარას ხდის, რომ ქრონიკა დარჩილ ვახტანგის ძეზე მოგვითხრობდა და არა არჩილ სტეფანოზის ძეზე:

„ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თვისსა, სიმწნითა გულისა მისისათა, რათა მივიდეს და ნახოს, და ითხოვოს მისგან მშვდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა და არა დაპატიჟება დატევებისათვის სჯულისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 245).

ამ შემთხვევაშიც ლეონტიმ ძველი ქრონიკის ტექსტის უცვლელად გამოდლებისას ყურადღება არ მიაქცია შემდეგ გარემოებას: როგორც ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან აშკარა ხდება, არჩილმა გადაწყვიტა ხლებოდა კახეთში შემოსულ სარდალს და მისთვის ეთხოვა: „არა დაპატიჟება დატევებისათვის სჯულისა“, რაც თანამედროვე ქართულზე ნიშნავს: არ დასჯას სჯულის დატოვებისათვის. კი მაგრამ რომელი სჯული მიატოვა არჩილმა, ის ხომ მუსლიმი არასდროს ყოფილა? აშკარა ხდება, რომ ძველი ტექსტი, რომელიც ლეონტიმ თავის ჰაგიოგრაფიული თხზულების წყაროდ გამოიყენა, დარჩილ ვახტანგ გორგასლის ვაჟის წამების ამბავს მოგვითხრობდა და არა არჩილ სტეფანოზის ძის. სწორედ დარჩილსა და მის ხოსროიან (სასანიან) წინაპრებს ჰქონდათ გამოცვლილი სჯული - ისინი ბუნებით, ანუ წარმომავლობით მაზდეანები იყვნენ, მათ კი მიატოვეს თავიანთი წინაპრების სარწმუნოება და აღიარეს

---

აღიარებდნენ ქრისტეს.

13 ეს ლეონტისეული ჩამატება მოთხრობილი ამბის არაბობის და მურვან ყრუს ეპოქაში გააზრებას უკავშირდება.



ქრისტე. აი, ამ რჯულის შეცვლის პატიებას ითხოვდა დარჩილი და არა არჩილი სპარსელი სარდლიდან და არა მუსლიმი ასიმ ჭიჭნაუმისაგან, რომელიც, ე. წ. მურვან ყრუსი არ იყოს, ჩასმულია სრულიად უადგილოდ საკუთრივ ლეონტის მიერ. ამ შემთხვევაში ლეონტიმ გაითვალისწინა მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფის მიერ *დავით და კოსტანტინეს წამებაში* უკვე ასევე ხელოვნურად ჩასმული მურვან ყრუ და არჩილად ქცეული დარჩილის სიკვდილით დასჯა *მურვან ყრუდან* რამდენიმე ათეული წლის შემდეგ (780-იან წლებში) მოღვაწე ჰუზაიმა იბნ ჰაზიმის (ასიმ ჭიჭნაუმი) პერიოდში განათავსა.

მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ ქრონიკები, რომელიც წყაროდ გამოიყენეს როგორც უცნობმა ჰაგიოგრაფმა, ისე ლეონტი მროვრლმა ვახტანგ გორგასლის ვაჟების დარჩილისა და მირის შესახებ მოგვითხრობდა, ვეცდებით როგორც *დავით და კოსტანტინეს წამების*, ისე *ქარველთა ცხოვრების* შესაბამისი მონაკვეთის მეშვეობით აღვადგინოთ მათი ისტორიის აქამდე უცნობი ფურცლები.

ანაკოფიასთან ბრძოლის, მირის გარდაცვალების, ქართლის სამეფოს ვითომდა მის სიძეებზე განაწილების, „კეისრის ერისთვ ლეონთან“ ურთიერთობის დალაგების შემდგომ ლეონტი გვამცნობს:

*„წარმოვიდა [დ]არჩილ და დაემკვდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე<sup>14</sup>. განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა“.*

*სინამდვილეში, არგვეთში დამკვიდრებული დარჩილი ციხეს გურიისა და ბიზანტიის საზღვარზე, რომელიც იგივე ბიზანტიური წყაროების პეტრას ციხეა, დასავლეთ საქართველოში თავისი ყოფნის პირველ ეტაპზევე აგებს.*

*ვეცდებით დარჩილის დასავლეთ საქართველოში ყოფნა-მოღვაწეობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგოთ. როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველო ორი საერისთავოს (სინამდვილეში, საპიტიახშოს) - ეგრისის, იგივე შიდა ეგრისის და არგვეთის (კესარიელი, 1962: 126; სანაძე, 2019: 263-264; პროკოპი კესარიელი, 1962: 126; სანაძე, 2019, გვ. 263-264)<sup>15</sup> სახით ექვედებარებოდა.*

14 ეგრისის საზღვრები რიონის მარჯვენა სანაპიროს მიჰყვებოდა, შორაპნიდან მოყოლებული აღმოსავლეთით კი იბერია იყო. ეს თვით პროკოპი კესარიელის ფრიად ბუნდოვანი თხრობიდანაც კარგად გამოსჭვივის. ამ შემთხვევაში, მემატიანეს სურს აღნიშნოს, რომ დარჩილი გამაგრდა ქართლის არგვეთთან სასაზღვრო ციხეში.

15 შიდა ეგრისი არის რიონის მარჯვენა სანაპირო. პროკოპისთან შიდა ეგრისი გვეძლევა შიდა ხმელეთად თარგმნილი. მასში პროკოპი ათავსებს სვანეთსა და თავკერს - სკვიმია და სვანია (პროკოპი კესარიელი, 1962, გვ. 126), რაც მისი შეცდომაა. სინამდვილეში, შიდა ხმელეთი, იგივე შიდა ეგრისი, სხვა

საპიტიახშოებს, ბუნებრივია, პიტიახშები მართავდნენ. ვახტანგის ინდოეთში სალაშქროდ წასვლის დროისათვის ანუ 508 წლისათვის შიდა ეგრისს სამნა-ღირ I (იგივე ბიზანტიური წყაროების დამნა-ზე) მართავდა. წლების გასვლის შემდეგ მმართველებიც და მათი სახელებიც იცვლება - 520-იან წლებში შიდა ეგრისს უკვე წათე II, ხოლო 530-იანებში სამნაღირ II მართავს, რომელიც სამნაღირ I-ის (დამნა-ზე) მსგავსად ბიზანტიურ წყაროებში ხან ზამ[ა]ნაზი-დ, ხანაც ძამანარძე-დ<sup>16</sup> იწოდება. იოანე მალალასთან 535 წლისათვის (მერვე წელი იუსტინიანეს მეფობის) ის შეცდომით იბერიის მეფედ სახელდება (მალალა, 1936: 268). ეს მეფე თაოფანე ჟამთააღმწერელთან ძამანა-რძე-დ ფიგურირებს. თეოფანეც მას, როგორც ჩანს, იოანე მალალას მსგავსად, უკვე შეცდომის შემცველი წყაროს გავლენით, აგრეთვე „იბერიის მეფედ“ ასახელებს:

„იბერიის მეფე ძამანარძე მოვიდა კონსტანტინოპოლში, კეთილ-სათნო იუსტინიანე მეფესთან, თავისი მეუღლით და დარბაისლებით“ (ჟამთააღმწერელი, 1941: 80).

ჯერ კიდევ 2003 წ. ვაჩვენეთ, რომ ბიზანტიურ წყაროებში დასახელებული დამნა-ზე იყო ვახტანგ გორგასლის ხანის პიტიახში (გვიანდელი გადმოქართულებით ერისთავი) „შიდა ეგრისისა და სვანეთისა“, რომელიც *ქართველთა ცხოვრებაში* სამნა-ღირ-ის სახელით ფიგურირებს (სანაძე, ბერაძე, 2003: 84).

ამავე პერიოდში ჩვენთვის გასაგები გახდა, რომ ბიზანტიურ წყაროებში 530-იანი წლების დასაწყისისათვის „იბერიის მეფედ“ დასახელებული ზამანა-ზი//ძამანა-რძეც, სინამდვილეში, იყო ეგრისის (ლაზიკის), უფრო ზუსტად, შიდა-ეგრისის მეფის დამნა-ზე I-ის, იგივე სამნა-ღირ I-ის შვილიშვილი და პაპის სახელის მატარებელი სამნა-ღირ II, წათე II-ის შვილი, ან ძმიშვილი. ბიზანტიელი ავტორებისათვის ფარსმანე კარგად ცნობილი სახელი იყო და ძნელად რომ ზამანა-ზი//ძამანარძე-დ დაემახინჯებინათ, რაც შეეხება მათთვის ჟღერადობით უცხო სახელების დამახინჯებას, ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო. ის, რომ ბიზანტიელმა ავტორებმა ლაზიკის მეფე, შეცდომით, იბერიის მეფედ გაიაზრეს, ეს იოლად ასახსნელია: 531 წ. ვახტანგის გარდაცვალებისა და, განსაკუთრებით, 532 წ. სპარსეთ-ბიზანტიას შორის ე. წ. უვადო ზავის დადების შემდეგ, დარჩილი დასავლეთ საქართველოში იყო თავშეფარებული და რა გასაკვირია, რომ ის ეგრისის პიტიახშ (ბიზანტიური თვალთხედვით ლაზიკეს მეფე) სამნა-ღირ II-თან (ზამანა-ზი,

---

არაფერია თუ არა მდ. რიონის შიდა ქვეყანა, რომელიც მოიცავდა საკუთრივ ეგრისს და სვანეთს. შიდა ეგრისისაგან განსხვავებით, არგვეთი რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქვეყანა იყო - მთიდან ზღვამდე. მის შემადგენლობაში, გარდა არგვეთისა (გურიითურთ), თავკერი (იგივე პროკოპისეული სკვიმნია//სკვიმია) შედიოდა (სანაძე, 2019, გვ. 263-264) (სანაძე, 2019: 263-264).

16 შეადარეთ ზამ[ა]ნა-ზი, დამნა-ზე, ძამ[ა]ნა-რძე და სამნა-ღირ.

ძამანა-რძე) ერთად ხლებოდა იმპერატორს, თუნდაც ეგრისში თავისი ყოფნის ლეგალიზაციისათვის. არაა გამორიცხული ეგრისის მმართველის სამნადირის (ზამანაზი//ძამანარძის) და სპარსელებს გამოქცეული და ეგრისს თავშეფარებული ქართლის მეფე დარჩილის იუსტინიანეს კარზე ერთდროულად სტუმრობისას იმ ხანის ბიზანტიური საიმპერატორო კარის ჩანაწერებში ინფორმაცია არეულიყო. შესაძლოა ინფორმაცია უკვე იოანე მალალას გადამწერთა ხელში დამახინჯდა და ამ დამახინჯებული ვერსიით ისარგებლა შემდგომ თეოფანეს წყაროში. ამდენად, ეს „იბერიის მეფე“ ზამანაზი // ძამანარძე სინამდვილეში, ეგრისის მეფე (უფრო კი დარჩილის პიტიახში) სამნადირ II-ა, რომელიც ეგრისში (ლაზიკე) წათე II-სა და ლუბაზ II-ს შორის მმართველობდა (სანაძე, 2016: 323-324), რაც შეეხება მასთან ერთად მყოფ იბერიის მეფეს, ის იმ ხანად მხოლოდ ვახტანგ გორგასლის ვაჟი და მისი შემდგომი ქართლის მეფე დარჩილი შეიძლება ყოფილიყო.

ის რომ დარჩილი, ვახტანგის გარდაცვალებასა და ჰსარსეთის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ ეგრისში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას შორის პერიოდში - 532-542/43 წწ. - ეგრისში იმყოფებოდა, ამაზე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უმცროს მმა მირდატთან ტერიტორიის გაცვლის ფაქტიც მეტყველებს, როდესაც დარჩილმა მას დედული, ენგურსა და კლისურს შორის მდებარე ტერიტორია გამოართვა და ჯავახეთის ჩრდილო მონაკვეთი გადასცა.

მაინც რას და როგორ საქმიანობდა დარჩილი ეგრისში? უპირველეს ყოვლისა ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ დარჩილი ითაყვანა და აღიარა ის ქრისტიანობისათვის დევნილ და ეგრისში ლტოლვილ ქართლის მეფედ. მის ნახევარძმას, ოძრხეში გამაგრებულ მირდატს უბოძა პატრიკიოსობა (*ქართლის ცხოვრებით - ერისთავთა მთავრობა*)<sup>17</sup> და ორივეს გვირგვინები გამოუფხავნა.

ეგრისში მყოფ დარჩილს, ბუნებრივია მისი ქვეშევრდომი პიტიახშები - შიდა ეგრისის და არგვეთის (მარგვის) მმართველები მასპინძლობდნენ. ვახტანგ გორგასლის ინდოეთში სალაშქროდ წასვლის წინ (508) არგვეთს (მარგვს) ბაკური განაგებდა. ბუნებრივია 508-531 წლებში, ეგრისის მსგავსად, არგვეთშიც მმართველები შეიცვლებოდნენ. ჩვენთვის მათი სახელები უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ 542/43 წლისათვის, როდესაც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, არგვეთში სპარსეთის შაჰი ხოსრო I შემოიჭრა, არგვეთის მმართველი დავითი ყოფილა, რომელიც მისი ოჯახის (საგვარეულოს) ახალგაზრდა წარმომადგენელთან (ნათესავი, თვისი), კოსტანტინესთან ერთად შებრძოლებია ხოსროს (ჰავიოგრაფიული თხზულების მიხედვით - მურვან ყრუს) და ტყვედ ჩავარდნილა.

17 პატრიკიოსი იმ ხანად ბიზანტიისათვის, ისევე, როგორც პიტიახში სპარსეთისათვის, როდესაც საქმე უცხო ქვეყნის გამგებელს ეხებოდა, ვასალ მეფეს, მმართველს ნიშნავდა.

ახლა საგანგებოდ შევეხებით ლეონ ერისთავის საკითხს. პირველად ეს პიროვნება ტექსტში გვხვდება, როდესაც ლეონტი ანაკოფიის ციხესთან მტრის მისვლის თაობაზე ინფორმაციას გვაწვდის. ის იმავდროულად აღნიშნავს, რომ ანაკოფიის ციხეში იმყოფებოდნენ ქართლის მეფეები მირი და არჩილი: „და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობლისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“.

როგორც ვხედავთ, ლეონს მემატიაზე თავდაპირველად გვამცნობს როგორც ბიზანტიის კეისრის ერისთავს (სამხედრო მოხელე). შემდგომში მემატიაზე ქართლის მეფეების, მისი თვალსაზრისით, სტეფანოზის ვაჟების, მირისა და არჩილის ანაკოფიის ციხესთან ურიცხვ მტერთან ბძოლაში ვითომდა გამარჯვების შესახებ როდესაც გვიყვება, აღნიშნავს, რომ:

„და წარავლინეს მოციქული საბერძნეთს მეფესა წინაშე მიჰრ, და [დ]არჩილ, და ერისთავმან აფხაზეთისამან და აუწყეს ესე ყოველი, ხოლო მან წარმოსცა ორი გზრგზნი და გუჯარი მირსა და [დ]არჩილს“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 239).

ხოლო ლეონს კეისარმა მოსწერა შემდგომი:

„ხოლო შენდა მიბრძანებინეს ერისთავობა აფხაზეთისა შენ და შვილთა და მომავალთა შენთა უკუნისამდე“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 239-240).

აშკარა ხდება, რომ ლეონი თავდაპირველად იყო კეისრის ერისთავი, ხოლო შემდგომ ის კეისარმა დანიშნა აფხაზეთის ერისთავად, თანაც ეს ტერიტორია მას კეისარმა გადასცა „უკუნისამდე“, ანუ სამუდამო მფლობელობაში. რაც შეეხება იმას, რომ ლეონი ტექსტში ჯერ მოხსენებულია აფხაზთა ერისთავად და კეისარი კი თითქოსდა შემდგომ აძლევს მას ამ ტიტულს, ამ მხრივ მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება, რომ ლეონტი მროველს მის ხელთ არსებული ქრონიკის წყაროდ გამოყენებისას მისდა უნებურად დაერღვა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა - კეისრის ერისთავი ლეონი მანამ მოიხსენია აფხაზეთის ერისთავად, ვიდრე მას ამ ტიტულსა და სამფლობელოს კეისარი უწყალობებდა. მაინც როდის შეიძლებოდა ეს მოხდარიყო? ლეონის აფხაზთა ერისთავად დანიშვნა უშუალო კავშირშია მირისა და [დ]არჩილისათვის კეისარის მიერ გვირგვინების გამოგზავნასთან. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარჩილის კეისართან ხლებისას უნდა მომხდარიყო, ანუ სადღაც 532-535 წლებში. რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ლეონი უნდა იყოს იგივე ლეონ ანთიპადი - ვახტანგ გორგასლის მეგობარი და თანამებრძოლი<sup>18</sup>, რომლის, იმ ხანისათვის ფრიად მაღალმა სტატუსმა - ანთიპადი (ანთიპატოს-

---

18 ადრე ჩვენ კეისრის ერისთავი ლეონი ლეონ სპათართან (მომავალი ბიზანტიის კეისარი ლეონ ისავრიელი) გავაიგივეთ, რომელიც დასავლეთ საქართველოში საგანგებო მისიით იმყოფებოდა 712-715 წლებში. ამის მიზეზი მირის და არჩილად ქცეული დარჩილის სტეფანოზ III-ის ვაჟებად და, შესაბამისად, VIII ს-ისა და მურვან ყრუს ხანის მოღვაწეებად მიჩნევა იყო (სანაძე, ბერაძე, 2004, გვ. 70-79; სანაძე, 2016, გვ. 441-460).

პატრიკიოსი), გვაფიქრებინა, რომ შესაძლოა ის იყოს ბიზანტიის კეისრის ლეონ მაკელის შთამომავალი, სავარაუდოდ, შვილიშვილი და იმავდროულად ვახტანგის მეორე მეუღლის ელენეს მამა (სანაძე, 2016: 327-328). 535 წლისათვის, თუ დავუშვებთ, რომ ლეონი ვახტანგზე სადღაც 5-6 წლით უმცროსი იყო, ის 58/59 წლის იქნებოდა, რაც იმ პერიოდისათვის საკმაოდ მხცოვან ასაკად ითვლებოდა. მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს.

ზემოთ უკვე შევეხეთ ე. წ. მირის სიძეთა ჩამონათვალს და აღვნიშნეთ, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი ხერხი, მეთოდი *ქართველთა ცხოვრების* პირველმექმნელის ჯუანშერ ჯუანშერიანის ხელში ქართლის სამეფოს სამთავრო-სამფლობელოებად დაშლის სურათის წარმოსაჩენად. მართლაც, აღნიშნულ ჩამონათვალში მირის არცერთი ქალიშვილი სახელით არ ფიგურირებს, რაც მათ ფიქტიურობაზე მეტყველებს. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს მირის ვითომდა ის ქალიშვილი ქმნის, რომელიც აფხაზთა ერისთავად დანიშნულ კეისრის ერისთავ ლეონს მიათხოვეს. რეალური პიროვნება, უნდა ვიფიქროთ, სწორედ ის იყო - გუარანდუხტი. იმავდროულად, ისიც ცხადი ხდება, რომ ის არა მირის, არამედ გუარამის ასულია - გუარან-დუხტი გუარამ/ნის ქალიშვილს, ასულს ნიშნავს. გუარანი, იგივე ვახტანგის სახელის ვარანის ფონეტიკური ვერსიაა. ასე რომ, ჩვენ სწორედ ვახტანგის (ვარან//გუარან) ასულთან გვაქვს საქმე. ელენეს შვილები უნდა გამოვრიცხოთ, მით უფრო თუ საკუთრივ ელენეს ლეონ ანთიპადის ასულად მივიჩნევთ, ასეთად მხოლოდ დარჩილის ტყუპისცალი და შეიძლება ვიგულოვთ, რომელიც 532 წლისათვის 29-30 წლის იქნებოდა. არაა გამორიცხული და, პირიქით, სავარაუდოცაა, რომ ლეონზე ქორწინება მისთვის მეორე ქორწინება იყო.

აბრეშუმის გზის ჩრდილოეთის მონაკვეთის ამუშავებისას, მას შემდეგ რაც ქართლს სპარსეთი უშუალოდ დაეუფლა, ბიზანტიისათვის უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა აფხაზეთში გარანტირებულად ყოფნამ. ამ მხრივ საყურადღებოა პროკოპის მონათხრობი, რომ:

„აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი ..... თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა აქვთ მათ გამოცდილი ... შემდეგ იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. მათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა ..... მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ტამარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა ... მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ“ (VIII: 133-135).

ეს თვისუფლება ფრიად ეფემერული გამოდგა. ბიზანტიელებმა, როგორც ამას პროკოპისგანვე ვგებულობთ, აქ თავიანთი სამხედრო გარნიზონები ჩააყენეს (სებასტოპოლისსა და პიტიუნტში) და, ფაქტობრივად, ქვეყანას დაეპატრონენ - ის ეგრისს წაართვეს. მოგვიანებით, უკვე 550 წლის სიახლოვის ამბების თხრობისას პროკოპისგანვე ვგებულობთ, რომ:

„როდესაც მათ (აბაზგებმა) თავიანთი მეფეები მოსპეს... რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები მათ ქვეყანაში იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ რომაელთა ძალაუფლებისათვის“ (კესარიელი, 1962: 157).

ამის შემდეგ პროკოპი გვიყვება, რომ ასეთი ძალადობის გამოაბაზგებს კვლავაც დაუყენებიათ მთავრები და ფარულად დაკავშირებიან სპარსთა მეფეს ხოსროს (550 წლის ახლო ხანები), რათა მას ბიზანტიელებთან ბრძოლაში მათთვის დახმარება გაეწია. მაგრამ იუსტინიანე შორს იყო იმ აზრიდან, რომ მისთვის ეგოდენ საჭირო მხარე სპარსელებისათვის დაეთმო. მან სასწრაფოდ აფხაზეთში გემებით გამოცდილი სარდლების მეთაურობით საუკეთესო ნაწილები გააგზავნა. ბიზანტიელები გამდგარ აბაზგებს სასტიკად გაუსწორდნენ, მათი ლაშქარი ამოწყვიტეს, ხოლო მთავართა და წარჩინებულთა ოჯახები (ქალები და ბავშვები) ერთთავად ტყვედ წაიყვანეს (კესარიელი, 1962: 157-161).

ქართული ქრონიკაც სწორედ დარჩილის ეგრისში ყოფნის დროისათვის გვიყვება კეისრის მიერ ლეონისათვის აფხაზეთის სამემკვიდროდ გადაცემის ფაქტს. ეს სხვა საქმეა, რომ ლეონს (ლეონ ანთიპადს) არ იცნობს პროკოპი კესარიელი. ამის ახსნა იმაში უნდა ვეძებოთ, რომ პროკოპიმ კარგად იცოდა იმ სარდლების სახელები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციაში და აფხაზთა აჯანყების ჩაქრობაში, რაც შეეხება იუსტინიანეს გარემოცვას, მის დაახლოებულ პირებს, ისევე, როგორც კეისრის მიერ საკუთარი გარემოცვიდან ცალკეული პირებისათვის გადაცემულ ტერიტორიებს, ეს პროკოპიმ ნაკლებად უწყობდა.

აბაზგების შესახებ პროკოპის მონათხრობიდან სრულიად აშკარაა, რომ აბაზგები იუსტინიანემდე ლაზიკის გამგებლებს ექვემდებარებოდნენ, რაც შეეხება ქართულ წყაროებს, მათი მეშვეობით ასევე ცხადი ხდება, რომ ეგრისის ორივე, როგორც რიონის მარცხენა სანაპიროს, ისე რიონის მარჯვენა სანაპიროს მმართველები (ერისთავი, პიტიახში, მეფე) ქართლის მეფეს ემორჩილებოდნენ<sup>19</sup> და მისი სახით სპარსეთის უზენაესობას აღიარებდნენ.

სიტუაცია მნიშვნელოვნად იცვლება ვახტანგ გორგასლის სპარსეთთან დამარცხებისა და დაღუპვის შემდეგ (531 წ.), როდესაც

19 რა თქმა უნდა, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ბიზანტიელებმა 450-იან-480-იან წლებში ეგრისის პიტიახშის გუბაზ I-ისა (ბიზანტიური წყაროების მეფე) და მისი შვილისა და თანამოსაყდრის წათე I-ის წინააღმდეგ აქტიური მოქმედება გააჩაღეს, რის შედეგადაც ბიზანტიელებმა ციხე-გოჯის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ციხეები დაიკავეს. ბიზანტიელების აქტიურობას რეგიონში ზღვარი დაუდო ვახტანგ გორგასლის ლაშქრობამ დაახლ. 593 წ.

მისი ვაჟები დარჩილი და მირი თვითონ აღმოჩნდნენ დასავლეთ საქართველოში ლტოლვილები და ბიზანტიის დახმარების მოიმედენი.

სწორედ ამ პერიოდში იქვემდებარებს იუსტინიანე აბაზგებს და ეს მხარე უშუალოდ ბიზანტიის მმართველობის ქვეშ ექცევა. *ქართველთა ცხოვრებაში* შემონახული ქრონიკის ინფორმაციიდან ვგებულობთ, რომ ქვეყანა საკუთრებაში ბიზანტიელ მაღალჩინოსანს, კეისრის ერისთავ ლეონს გადაეცა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ქართული ტერმინი ერისთავი ბიზანტიული *ანთიპატოს-პატრიკიოსის* უკვე ლეონტი მროველისეული თარგმანია. აღსანიშნავია, რომ საზოგადოდ, ლეონტისაგან დამოუკიდებლადაც ქართულ წყაროებში, მათ შორის ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც, ბიზანტიური *პატრიკიოსი* ითრგმნება, როგორც *ერისთავი*. ამგვარად ეს მხარე ეგრისის დაქვემდებარებიდან და, შესაბამისად, დარჩილის მორჩილებიდან გამოვიდა და უშუალოდ ბიზანტიის დაქვემდებარებაში მოექცა. დარჩილის განაწყენების თავიდან აცილების და საკითხის დიპლომატიური თვალსაზრისით უკეთ შეფუთვის მიზნით, კეისარი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ლეონს: „არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა“ (*ქართლის ცხოვრება*, 1955: 240).

იმავედროულად, ლეონი დარჩილის ოჯახიდან გამოსულ ქალზე (სავარაუდოდ, მის დაზე) დაქორწინდა. რამდენად მოტყუვდა დარჩილი, ძნელი სათქმელია. თავი და თავი ხომ ის იყო, რომ ქართლის სამეფოდაკარგულ მეფეს რეალური ძალაუფლება აღარ ჰქონდა და რა როლსაც ბიზანტიის კეისარი მიუჩენდა, იმას უნდა დასჯერებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, 532-542/3 წლების ვითარება, ანუ 532 წლის უვადო ზავის შემდგომი ვითრება, სანამ ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ეგრისში საბრძოლო მოქმედებები არ განახლდა და საკუთრივ სპარსეთის შაჰი ხოსრო ანუშირვანი არ შემოვიდა დასავლეთ საქართველოში, მიახლოვებით და სქემატურად შემდეგნაირად შეგვიძლია აღვადგინოთ.

532 წლის სპარსეთ-ბიზანტიის ზავით დარჩილის გარდა ყველა მოგებული დარჩა. ლეონმა, აფხაზეთის სახით, საკუთრებაში მიიღო ვრცელი ქვეყანა - ეს რეგიონი იმ ჟამად, იმპერიაში აბრეშუმის სწორედ მასზე გატარებით შემოტანის გამო, ბიზანტიის კეისრისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ უშუალო მმართველობაში გადაეცა ლეონს, როგორც სამეფო გვარის წარმომადგენელსა და როგორც ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირს. ქართლი, ფაქტობრივად, ორად გაიყო სპარსეთსა და ბიზანტიას შორის - ვახტანგ გორგასლის შვილებს ბიზანტიელი მეუღლე ელენესაგან ებოძათ ქართლის სამხრეთ-დასავლეთის სამი საერისთავო (ოძრხის, კლარჯეთის და ჯავახეთის). კეისარმა მირს უბოძა გვირგვინი და ის ამ მხარის ერისთავთა მთავრად, ანუ პატრიკიოსად აღიარა (რაც უმცროსი ძმის უფროსთან რანგითა და

პატივით, ფაქტობრივად, გატოლებას ნიშნავდა), დარჩილი კი სამეფოს გარეშე დარჩა.

იუსტინიანემ, სამეფოს დაბრუნებისათვის ბრძოლაში დარჩილისათვის დახმარების გაწევას, ხოსრო ანუშირვანთან დაზავება ამჯობინა (532 წ.), თუმცა დარჩილს, სავარაუდოდ, მეტის მოლოდინი ჰქონდა. რატომ არ დაეხმარა იუსტინიანე დარჩილს? იმიტომ, რომ იუსტინიანემ 532 წლის ზავით მიიღო ბევრად მეტი, ვიდრე შეეძლო ეოცნება - სპარსეთმა ხელი აიღო, ყოველ შემთხვევაში გარკვეული ხნით, დასავლეთ საქართველოზე და, უფრო მეტიც, სამხრეთ-დასავლეთი სამი საერისთავოს სახით, ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდა საკუთრივ ქართლის სამეფოს ბიზანტიასთან მომიჯნავე და ბიზანტიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ შორის კვლავაც ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდა საკუთრივ ვახტანგ გორგასლის მიერ 502-507 წლების ომში ქართლისათვის უკანდაბრუნებული კლარჯეთის საერისთავო, რომელიც მანამდე თითქმის საუკუნე ნახევარი ჰქონდა ქართლს დაკარგული (368 წლიდან).

ასეთ ვითარებაში იუსტინიანემ ეგრისის მმართველ სამნადირ II-თან (ძამანარძე, ზამანაზი) (სანაძე, 2016: 323-324, 332-333) ერთად 535 წლისათვის მასთან ჩამოსული დარჩილი მხოლოდ გვირგვინის ბოძებითა და მისი ქართლის მეფედ აღიარებით ანუგეშა და შეჰპირდა, რომ:

„აწ დაღაცათუ იდევენებით ჩუენთანა მსახურებისათჳს ჯუარისა, მოქცევასა ჩუენსა, ვითარცა აღმითქუა ჩუენ ღმერთმან, ჩუენ თანავე იდიდნეთ“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 239).

დარჩილი უნდა შეგუებოდა აზრს, რომ მას დასავლეთ საქართველოში არა ერთი წელი უნდა დაეყო. ამიტომაც ძმას, მირს (მირდატს), როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი დედული - ტერიტორია ენგურსა და კლისურს შორის გაუცვალა - ბუნებრივია, მას საარსებოდ ქვეყანა სჭირდებოდა. მირმაც, რომელსაც კეისარმა ქართლის სამი, უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი რეგიონის ხელმწიფობა - ერისთავთა მთავრობა, იგივე პატრიკიოსობა უბოძა, რაზედაც ის ჩვეულებრივ შემთხვევაში, მისი ძმის დარჩილის სიცოცხლეში ვერც კი იოცნებებდა, ძმას კლისურსა და ენგურს შორის ტერიტორია უპრობლემოდ გადასცა, მით უფრო რომ დარჩილმა მას სანაცვლოდ ჯავახეთის ჩრდილოეთი ნაწილი დაუთმო.

ამავე პერიოდში აშენებს დარჩილი ციხეს გურიისა და საბერძნეთის საზღვარზე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა არაფერია თუ არა ბიზანტიური წყაროების პეტრას ციხე - გარდა ზღვისპირისა სხვა საზღვარი გურიასა და საბერძნეთს შორის არ არსებობს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ დარჩილი იჯდა კიდევაც ერთხანს ამ ციხეში, სანამ ბიზანტიის კეისრის იუსტინიანეს „თხოვნით“ ციხე კეისარს არ გადასცა. პეტრას იუსტინიანემ თვალი დაადგა, ვინაიდან ის რეგიონში



საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის, რაც სავაჭრო-მონოპოლისტური გამტარი ცენტრის შექმნას გულისხმობდა, ზედგამოჭრილად მიიჩნია. ამ შემთხვევაში, პეტრას უნდა გაეტარებინა, როგორც ქლუხორის უღელტეხილით გადმოსული აზრეშუმი და აფხაზეთიდან მომავალი საქონელი, ისე ქართლიდან - შორაპნიდან და კლარჯეთ-ოდრხის გავლით (ციხის-ჯვრით) შემოსული ტვირთები. ეგრისი (უფრო ზუსტად შიდა ეგრისი) ერთგვარად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა - აფხაზეთს ლეონ ანთიპადი აკონტროლებდა, კლისურსა და ენგურს შორის ტერიტორია უშუალოდ დარჩილის მფლობელობაში იყო, ოდრხე-კლარჯეთ-ჯავახეთში დარჩილის უმცროსი ძმა მირი მმართველობდა, არგვეთს - კი არგვეთის ერისთავი დავითი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ჯუანშერის მიერ ვახტანგ გორგასლის ერისთავებს შორის 508 წლისათვის დასახელებული ბაკურის შთამომავალი იყო. სამნადირ II-ს (მამანარძე, ზამანაზი) და შიდა ეგრისის დიდებულებს საუკეთესო შემთხვევაში გამტარის პასიური როლი ერგოთ, რაც მათ, უნდა ვიფიქროთ, გარკვეულ მოგებას უტოვებდა, მაგრამ არა იმდენს თავი კმაყოფილად რომ ეგრძნოთ. ბიზანტიელთა მხრიდან ვაჭრობის მონოპოლიზირებიდან გამომდინარე ეგრისელების უკმაყოფილებაზე პროკოპი კესარიელიც მოგვითხრობს.

უნდა ვიფიქროთ, ეგრისელების მზარდი უკმაყოფილების შემაკავებელი ფაქტორი ერთ ხანს სამნადირ II იყო, რომელიც, პირადად იცნობდა ვახტანგ გორგასალს და, სავარაუდოთ, დარჩილს ეხმარებოდა კიდევ ბიზანტიის კეისართან ურთიერთობის დალაგებაში, მაგრამ როდესაც ის გარდაიცვალა (სავარაუდოდ, 540/41 წ.), ეგრისის ახალ მმართველს - ლუბაზ II-სა და ქართლის მეფე დარჩილს შორის ურთიერთობები დაიძაბა.

შექმნილი საგარეო ვითარებაც ლუბაზის ცეცხლზე ასხამდა ნავთს. სპარსეთის შაჰმა ხოსრო ანუშირვანმა ბიზანტიის წინააღმდეგ ომი 532 წლიანი საზავო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე (541 წ.) განაახლა და შუამდინარეთში შეხლა-შემოხლა ამ ორ იმპერიას შორის უკვე მიმდინარეობდა. ლუბაზმა ქრისტიანობისა და იმისდა მიუხედავად, რომ, როგორც პროკოპი გვამცნობს, დედითაც ბიზანტიელი იყო, იუსტინიანე კეისარს და რეგიონში მისი პოლიტიკის გამტარებელ დარჩილს, რომელიც იმავდროულად ლუბაზის უშუალო სიუხერენი იყო, განუდგა და სპარსეთს დახმარებისათვის მიმართა.

ამგვარად, გუბაზის მოწვევითა და მისთვის დახმარების გაწევის მოტივით, 542/43 წელს საქართველოში სპარსეთის ლაშქარი შემოვიდა. ლაშქრობის დიდი მნიშვნელობისდა გამო, სამხედრო ექსპედიციას თვით სპარსეთის შაჰი ხოსრო I ანუშირვანი (უძლეველი, მძლავრი) ხელმძღვანელობდა.

საიდან შემოვიდა სპარსეთის შაჰი ეგრისში? პროკოპი კესარიელის ცნობებისა და დავით და კოსტანტინე წამების ინფორმაციების შეპი-

რისპირებით აშკარა ხდება, რომ სპარსელები ღუბაზის მოწვევით სამცხის მხრიდან, ანუ ციხისჯვრის გადასასვლელით შესულან ეგრისში. სამცხიდან არგვეთში გადასული ლაშქარი ხანისწყლის მარჯვენა შენაკადის ხეობაში აღმოჩნდებოდა. აქედან გაივაკებდა და ხელმარცხნივ გააგრძელებდა სვლას პეტრასაკენ. აქ ის ხანას წყალს გადაივლიდა და რიონის (ფაზისის) ხელმარჯვნივ დატოვებით, დღევანდელი ვანი-საჯავახო-ჩოხატაურის გავლით აღმოჩნდებოდა ციხისძირის მიდამოებში. სპარსელების ზუსტად ამავე მარშრუტს აღწერს პროკოპი 551 წლის მერმეროეს ლაშქრობაზე თხრობისას, როდესაც ეს უკანასკნელი სომხეთიდან (არმენიიდან) მომავალი იბერიაზე გავლით შევიდა ეგრისში (სანამე, 2020: 81-86).

ხოსროს ეგრისში ლაშქრობის შესახებ არა ერთ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პროკოპი, თუმცა მას ეს ინფორმაციები ქრონოლოგიის გაუთვალისწინებლად, სრულიად სხვა ამბების თხრობაში აქვს ჩასმული. ერთი ინფორმაციიდან აშკარა ხდება, რომ, სპარსთა მეფემ ხოსრომ, „ლაზები რომ წარმოუძღვნენ მას პეტრასაკენ“, გადაწყვიტა სებასტოპოლი (ცხუმი, დღევანდელი სოხუმი) და პიტიუნტი, რომლებიც მემატიანის ცნობით „ერთმანეთს ორი დღის სავალი გზით არიან დაშორებული“ (და რომლებშიც მისივე ცნობით, ბიზანტიელებს, ანუ რომაელებს თავიანთი სამხედრო გარნიზონი ეყენათ), დაეღაშქრა, რისთვისაც იქ ჯარი გააგზავნა: „ამ სიმაგრეების ასაღებად და იქ, სადარაჯოებში, ჩასადგომად. როდესაც რომაელთა მხედრებმა ეს წინდაწინ გაიგეს, დაასწრეს და გადაწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები, დაუყოვნებლივ ჩასხდნენ ხომალდებში და გასწიეს პირისპირ მდებარე ხმელეთისაკენ და მივიდნენ ქალაქ ტრაპეზუნტში. ამრიგად, თუმცა ზარალი მიაყენეს რომაელთა ძალაუფლებას სიმაგრეების მოსპობით, ... მაგრამ სპარსელებიც ხომ იქიდან უშედეგოდ გაბრუნდნენ პეტრაში“ (პროკოპი, 1965: 136-137).

აღნიშნული ამონარიდი უეჭველს ხდის ფაქტს, რომ აფხაზეთის დასალაშქრად (თუმცა პროკოპის, შეცდომით, ეს ტერიტორია სანიგების ჰგონია), ხოსრო ანუ შირვანმა საგანგებო ლაშქარი გაგზავნა, რომელმაც ბუნებრივია, რიონისა და ცხენისწყლის გავლით აფშილეთსა (ცხუმი - სებასტოპოლი) და აფხაზეთში (პიტიუნტი) ილაშქრა და, თუმცა იქ ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ რომაელების ორი ციხე-ქალაქი - სებასტოპოლი (ცხუმი) და პიტიუნტი დაარბია.

აფხაზეთის, კერძოდ ცხუმისა და პიტიუნტის დალაშქრას ქართული ქრონიკებიც მოგვითხრობენ:

ა). *ქართლის ცხოვრება*:

„და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფისასა“;

ბ). *დავით და კოსტანტინეს წამება*:

„ალიძრა და დაიბანაკა პიტიოტას, ზღვს პირსა ქალაქსა, რომელსა ჰრქვან ცხუმი“ (სანამე, არახამია, 2013: 64).

ამ ინფორმაციის გადმოცემაშიც *ქართველთა ცხოვრება* ჰაგიოგრაფთან შედარებით, უფრო ზუსტია. უცნობი ჰაგიოგრაფის წარმოდგენები აფშილეთ-აფხაზეთის გეოგრაფიაზე ფრიად ბუნდოვანია. რეგიონის გეოგრაფიაში ბევრად უფრო უკეთესად ერკვევა ლეონტი - ძველი ქრონიკისეული სპარსი სარდალი და არა მურვან ყრუ, რომელთანაც გააიგივეს შემოსეული მტერი როგორც ჰაგიოგრაფმა, ისე ლეონტიმ (ამ უკანასკნელმა, სავარაუდოდ, ჰაგიოგრაფიული თხზულების გავლენით) ეგრისიდან, ბუნებრივია, ჯერ აფშილეთში შევიდოდა, თანაც ჯერ ცხუმს მიადგებოდა და შემდეგ ანაკოფიის ციხეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა აფხაზეთში შესვლას და პიტიოტას, ანუ პიტიუნტის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის დალაშქვრას.

ამასობაში ხოსრომ პეტრა აიღო და შუამდინარეთში ბიზანტიელების მიერ მიღწეული წარმატების შესახებ ამბის გაგების შემდეგ ეგრისი დატოვა. ოღონდ ეგრისის დატოვებამდე მას პეტრასთან აფხაზეთისაკენ გაგზავნილი ლაშქარი შემოუერთდა. ლეონტი თავის წყაროზე დაყრდნობით მოგვითხრობს, რომ აფხაზეთიდან უკანმოზრუნებულმა ლაშქარმა ციხე-გოჯი ჩაიარა, შემდგომ მას თავს დაატყდა წყალდიდობა, რომელმაც მტრის ლაშქარს მნიშვნელოვნად ავნო. საბოლოოდ ლეონტი აღნიშნავს:

„და აღიყარა მუნით და შემოვლო გზა გურიისა და განვლეს სპერისა, და სიმრავლისაგან არა შერჩენილ იყო დაკლება“ (*ქართლის ცხოვრება*, 1955: 233).

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველი, ამ შემთხვევაში ზუსტად ასახავს აფხაზეთიდან სპარსთა ჯარის უკუსვლას - ლაშქარმა ციხე-გოჯს ჩაუარა, რიონ-ხანასწყალი გადაიარა და გურიის გავლით პეტრასთან სპარსთა ძირითად ლაშქარს შეუერთდა, შემდგომ კი ხოსროსთან ერთად სპერის გზით ეგრისი დატოვა.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ლაშქარს გადაეღობენ არგვეთელი მთავრები დავით და კოსტანტინე. ანაკოფიის ციხეშიც ამავე ლაშქარს შეებრძოლენ ვახტანგ გორგასლის ვაჟები მეფე დარჩილი და პატრიკოსი მირი.

ამ შემთხვევაში, კვლავაც ქრონოლოგიას შევხებით. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დავით და კოსტანტინეს წამების თარიღად ყველა ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი დასაბამითგან 6249 წ. ასახელებს, რაც „ბიზანტიური დასაბამითგანით“, რომლის გამოყენებაზე გადავიდა საქართველო XI ს-ის დასაწყისში, ვიღებთ 6249-5508=741 წ. მაგრამ იმ შორეულ ხანაში, VI ს-ის შუა წლებში კი არა, X ს-ის ბოლომდე საქართველში ძირითადად „ქართული დასაბამითგანით“ (5604) ხდებოდა გამოანგარიშება. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ 6249-5604=645 წ., რაც უაზრობაა. ჩვენამდე მოღწეული ყველა ხელნაწერი „დასაბამითგან წელთღრიცხვას“ სიტყვებით გადმოსცემს და არა ასოებით, რომლებიც

რიცხვებს აღნიშნავენ, ანუ ხელნაწერებში გვაქვს **ექესიათას ორას ორმოცდა ცხრა**. იმან, რომ ქართული დასაბამითგანით ასეთ შემთხვევაში თარიღად ვიღებთ 645 წ. გვაფიქრებინა, რომ XI ს-ის შუა წლებში მოღვაწე ჰაგიოგრაფს ძველ ქრონიკაში დასაბამითგანით არა **ექესიათას ორ-ას**, არამედ **ექესიათას ას** ორმოცდა ცხრა წელი ეძლეოდა. ეს იმ ხანად ხმარებაში მყოფი ქართული დასაბამითგანით 6149-5604=545 წ. უდრიდა. მაგრამ ჰაგიოგრაფმა თარიღი უკვე მის ხანაში გამოყენებული ბიზანტიური დასაბამითგანით გამოიანგარიშა და, შესაბამისად, 6149-5508 =641 წ. მიიღო. ასეთ ვითარებაში მან ძველი ქრონიკის მოწოდებულ თარიღში - **ექესიათას ას ორმოცდა ცხრა**, ასიგადაძწერის მიერ დაშვებულ შეცდომად მიიჩნა და *ორასი* „აღადგინა“. ამგვარად, არაბობისა და მურვან ყრუს სასურველი ხანა მიიღო (სანამე, არახამია, 2013: 25-26).

545 წ. ემთხვევა სპარსეთ-ბიზანტიის ომში პირველი ეტაპის დასასრულსა და პირველი ხუთწლიანი ზავის დადების თარიღს. აღნიშნულ თარიღსა და ხოსრო ანუშირვანის ეგრისში ლაშქრობას შორის (542/43), რა დროსაც არგვეთელი მთავრების დავით და კოსტანტინეს შეპყრობა და წამება მოხდა, ორი-სამ წლიანი განსხვავებაა, რაც, ჩვენი აზრით, დასაშვები ცდომილებაა. ორ-სამ წლიანი ცდომილება ძველ ქართულ ქრონიკებში არა ერთ სხვა შემთხვევაშიც გვხვდება.

ახლა კვლავ არგვეთის მთავრის (ერისთავის) დავითის სპარსელებთან ბრძოლის საკითხს დავუბრუნდეთ. რატომ შეებრძოლა დავითი სპარსელებს, როდესაც ისინი ღუბაზის მოწვევით შემოვიდნენ ეგრისში?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, სწორედაც იმიტომ, რომ ისინი ღუბაზის მოწვეულები იყვნენ: არგვეთის ერისთავი დავითი ერთგული დარჩა დარჩილისა და ბიზანტიის. შესაძლოა, ის მხოლოდ მორალური პრინციპებით არც ხელმძღვანელობდა - ღუბაზის გამლიერება დავითს სულაც არ აწყობდა, უფრო პირიქით, სწორედ ეგრისის (შიდა ეგრისის) სისუსტის შემთხვევაში იყო ის თვითონ ღუბაზის ტოლი მთავარი, ქართლის მეფის დარჩილის დასავლეთ საქართველოდან გამევება (რაც უცილობლად თან სდევდა ეგრისში სპარსელების შემოყვანას) კი მას ეგრისისადმი დაქვემდებარებას უქადდა.

ვის შეებრძოლა დავითი საკუთრივ სპარსეთის შაჰს ხოსრო ანუ-შირვანს (მძლავრს, უძლეველს), იგივე დადგარს (სპარსთა დიდი ღაღადისი), თუ მის რომელიმე სარდალს? ჩვენი აზრით, ის შეებრძოლა არა საკუთრივ ხოსროს, არამედ მის მიერ აფხაზეთის დასალაშქრად გაგზავნილ მხედართმთავარს, რომელიც ხანისწყლის აღმოსავლეთით, ყვირილა-რიონსა და ცხენისწყალს შორის პერიმეტრში მოძრაობდა.

სპარსელები დასავლეთ საქართველოში ღუბაზის მოწვევით მოვიდნენ და, შესაბამისად, მათ თითქოსდა არავითარი სირთულე არ უნდა შეხვედროდათ. ამას ხომ თავიდან პროკოპის მონათხრობიც ადასტურებს,

რომელიც სპარსეთის შაჰის ეგრისის ტერიტორიაზე თითქოსდა უპრობლემო გადაადგილებაზე გვიყვება. თუმცა სინამდვილეში საქმე ისე მართივად არ აღმოჩნდა, როგორც ამას ხოსრო ანუშირვანს ღუბაში უხატავდა. აფხაზეთის დასალაშქრად მიმავალი სპარსთა ლაშქრის არგვეთში შესვლას არგვეთის ერისთავის დავითის ხელმძღვანელობით დარაზმული მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. *დავით და კოსტანტინეს წამებიდან* ვგებულობთ, რომ ქართველებმა სპარსელების მოწინავე ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს და მხოლოდ სპარსთა ძირითადი ლაშქრის მოსვლის შემდეგ გახდა სპარსელებისათვის შესაძლებელი დამხვდურთა წინააღმდეგობის დაძლევა და გზის გაგრძელება. უთანასწორო ბრძოლაში თვით არგვეთის ერისთავი დავითი და მისი ოჯახის წევრი კოსტანტინე ჩაუვარდნენ ტყვედ სპარსელებს. სპარსმა სარდალმა მათ ქრისტიანობის დატოვება და მაზდეანობაზე გადასვლა მოსთხოვა, ხოლო ამ უკანასკნელთა მხრიდან სასტიკი უარის შემდეგ, მათ წამებით ამოხადეს სული.

როგორც პროკოპისაგან ვგებულობთ, სპარსთა ლაშქარი ეგრისში პროდუქტის სერიოზულ ნაკლებობასაც განიცდიდა. ამკარა ხდება, რომ გუბაზს სპარსელების საკვებით მომარაგება გართულებია. ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ქვეყნის ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი გუბაზის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა. სხვა შემთხვევაში, ინფორმაცია, რომ სპარსთა ლაშქარში „ბევრი დაიღუპა სურსათის ნაკლებობის გამო“, ძნელი ასახსნელია.

პროკოპისვე ცნობით, სპარსელებმა დიდი ზარალი ნახეს თავზე დამტყდარი შავი ჭირის ეპიდემიის გამოც (კესარიელი, 1962: 224). სპარსთა ლაშქარში ეპიდემიის შესახებ ძველი ქართული ქრონიკაც მოგვითხრობდა. რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთგვარად გადამუშავებული, ლეონტი მროველმა ქართველთა ცხოვრებას სტეფანოზ II-ისა და არაბთა გამოჩენის შესახებ ინფორმაციის შემდეგ მოათავსა (იქ, სადაც, მის ხანაში, ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრება თავდებოდა - იხ. (სანაძე, 2019: 100-118). აი, რას გვიყვება ლეონტი სპარსთა ლაშქარში ეპიდემიის თაობაზე:

„და ვიდრე განთენებამდე მოავლინა უფალმან სარკინოზთა (ლეონტის სპარსელები ხომ არაბები ჰგონია) ზედა ხორმაკი ბღუარისა და გუემნა იგინი სატლითა სისხლისათა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 237).

„და მოსწყდა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახვლითა - სამი ათასი“ (იქვე).

როგორც პროკოპი კესარიელი, ისე ქართული წყაროები (*ქართველთა ცხოვრება*, დავითის და კოსტანტინეს წამება) გვაწვდიან ინფორმაციას მტრის ბანაკში დიდი რაოდენობით ცხენების დაღუპვის შესახებ. ქართველთა ცხოვრება ამ ამბავს ორჯერ გვიყვება: 1. ანაკოფიასთან

ბრძოლის წინ: „სარკინოზთა ცხენი დაეცა ვითრცა ჭალაკი და ჩაჰყრიდეს ყოველსა მას ზღუად“ და 2. უკან დაბრუნებისას ციხე-გოჯის ჩავლისა და მდინარეებს ცხენის და აზაშის წყლებს შორის მოძრაობის დროს. დავითის და კოსტანტინეს წამება კი სპარსთა ლაშქარს თავსგადამხდარ წყალდიდობას ციხე-გოჯისაკენ მისი მსვლელობისას აგვიღწერს; *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით, დაიღუპა 35 ათასი ცხენი, დავითის და კოსტანტინეს წამება კი 40. ათასს ასახელებს.

სპარსელთა ლაშქარში ცხენების არნახულად დიდი რაოდენობით, „არა ნაკლებ ოცი ათასისა“, უცაბედი და მოულოდნელი დაცემის შესახებ პროკოპი შემდეგს გვამცნობს:

„როგორც ამბობენ, დაიღუპა სპარსელთა ცხენები არა ნაკლებ ოცი ათასისა, არა იმ მიზეზით, რომ მოწინააღმდეგეთა მიერ იყვნენ მოკლულნი, ან დაჭრილი, არამედ მათ შორი გზა გამოიარეს, რომლის განმავლობაში ძალიან დაიღალნენ, თანაც, როდესაც ლაზიკეში იყვნენ, საკვები არც თუ ისე სამყოფად ჰქონდათ და, ამრიგად, შიმშილითა და დაავადებით შევიწროებულნი, მთლად დაეცნენ“ (კესარიელი, 1962: 194).

როგორც ვხედავთ, პროკოპის ცხენების მასიურად და უცაბედად დაცემის მიზეზად დაღლა, საკვების სიმცირე (შიმშილი) და ეპიდემია მიაჩნია. პროკოპი ამ ამბავს მერმეროეს სარდლობით სპარსთა ჯარის 551 წ. ციხე-გოჯთან წარმოებული ბრძოლის შემდეგ მომხდარად გვიყვება.

*ქართველთა ცხოვრებაში* მოთხრობილი ვერსია, სავარაუდოდ, უფრო სწორი უნდა იყოს – წყალდიდობამ სპარსთა ლაშქარი და ბანაკი დააზარალა აფხაზეთიდან მობრუნებული, ციხე-გოჯის ჩავლისა და ცხენის წყალ-რიონის შუამდინარეთში მოძრაობისას. დავით და კოსტანტინეს წამებაც ყოველივე ამას ქრონოლოგიურად 542-545 წლებში ათავსებს.

არაა გამორიცხული, რომ როგორც ჰაგეოგრაფი, ისე ლეონტი სპარსთა სხვადასხვა წლების ლაშქრობებს და ამ ლაშქრობების დროს მომხდარ ამბებს მტრის ერთ დიდ ლაშქრობად კრავენ, არც ისაა გამორიცხული, რომ თვით პროკოპი ხოსრო ანუშირვანის ლაშქრობის დროს მომხდარი ამბების ერთ ნაწილს, შეცდომით, მერმეროეს ლაშქრობის ხანაში დებს.

პროკოპი არაფერს გვიყვება წყალდიდობის შესახებ, ვინაიდან მან ნაკლებად იცის ის, რაც საკუთრივ სპარსთა ლაშქარში ხდება, პროკოპი ძირითადად იმ ამბებს გვიყვება, როდესაც სპარსელები ურთიერთობაში შედიან ბიზანტიურ, ან ბიზანტიურ-ლაზურ შენაერთებთან. ერთი რამე სრულიად ცხადია, პროკოპი სპარსთა ლაშქარში ცხენების მასიურ დაღუპვას დაღლას, შიმშილსა და ეპიდემიას მიაწერს. არაა გამორიცხული, რომ სწორედ მოვარდნილ წყალთან ბრძოლამ ქანცი გაწყვიტა ცხენებს, რამაც მალევე მათი დახოცვა გამოიწვია.

545 წლისათვის სპარსეთის შაჰმა ბიზანტიასთან პირველი დროებითი (ხუთწლიანი) ზავი დადო და წყნარად შეუდგა ეგრისში თავისი მმართველობის დამყარებას. ღუბაზმა საწადელს მიაღწია. ეგრისის ერისთავის დავითის წამების, მირის დაღუპვისა და დარჩილის ეგრისიდან გამეფებით, ღუბაზს დარჩა ბურთი და მოედანი - ახლა ის ერთადერთ საყრდენად იქცა ბიზანტიელებისათვის, რომლებიც, ბუნებრივია, ადრე თუ გვიან მოინდომებდნენ თავიანთი პოზიციების აღდგენას რეგიონში. ასეთ ვითარებაში ღუბაზს უკვე სპარსელების ეგრისში ყოფნა აღარ სჭირდებოდა - მათ თავიანთი როლი შეასრულეს, კულტურულად კი ეგრისის ქრისტიანი მოსახლეობისათვის და საკუთრივ ღუბაზისთვისაც ბიზანტიელები უფრო მისაღები იყვნენ ვიდრე სპარსელები. ღუბაზიც, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავაც ბიზანტიელების მხარეს გადავიდა და ეგრისიდან სპარსელების გასადევნად ახლა კეისარს მოუხმო.

როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ღუბაზის ბიზანტიელების მხარეზე გადასვლა დააჩქარა იმან, რომ თითქოსდა მისთვის ცნობილი გამხდარა ხოსრო ანუ შირვანის მზაკვრული გეგმა, რომელიც მის მოკვლაში, ეგრისელების თავიანთი ქვეყნიდან გასახლებასა და იქ სპარსელების ჩასახლებაში მდგომარეობდა. ამის შემტყობ ღუბაზს ახლა უკვე ბიზანტიელებისათვის მიუმართავს და ახლო წარსულში მათ მიმართ თავისი საქციელი მოუწიებია. ბიზანტიელებსაც დახმარებისათვის მზადყოფნა გამოუცხადებიათ.

საბოლოოდ, ქართული წყაროებიდან ამოღებული მონათხრობის იმავე ამბების VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელისეულ მონათხრობს თუ შევადარებთ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ:

1. დგინდება, რომ ხოსრო, ეგრისში მესხეთის (ოდრხის) მხრიდან შემოდის. ამასვე გვმცნობს როგორც *დავით და კოსტანტინეს წამება*, ისე პროკოპის მონათხრობი.

2. პროკოპისვე ინფორმაციით აშკარა ხდება, რომ ეგრისში შემოსული ხოსრო ჯარის ერთ ნაწილს აფხაზეთში, სადაც სპარსელები არბევნენ სებასტოპოლის-პიტიუნტის არემარეს. ამ ლაშქრობისას სპარსელები უცილობლად ორჯერ (აიარეს და ჩამოიარეს) გაუვლიდნენ ციხე-გოჯსა და იმოდრავებდნენ რიონ-ცხენისწყლის შუმიდინარეთში. ამავ ინფორმაციას გვაწვდის, როგორც *დავით და კოსტანტინეს წამება*, ისე *ქართველთა ცხოვრებაში* მირისა და არჩილის ცხოვრებისადმი მიძღვნილი თხრობა.

3. პროკოპისგანვე ვგებულობთ, რომ სპარსთა ჯარში იფეთქებს შავი ჭირი, რომელმაც მოლაშქრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა. ამავ ინფორმაცია გვაწვდის *ქართველთა ცხოვრების* მირისა და არჩილის ცხოვრებისადმი მიძღვნილი თხრობაც.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზეზი, რატომაც ზემოთ მოყვანილი რამდენიმე ფაქტი (არგვეთელი მთავრების წამება,

ანაკოფიასთან ბრძოლა და წყალდიდობა) არ მოხვდა პროკოპის მონათხრობში<sup>20</sup> (თუმცა ამ ფაქტებს ჰქონდათ ადგილი და ამის შესახებ ძველი ქართული ქრონიკები გვიყვებოდნენ) არის ის, რომ, იქ სადაც ეს ამბები მოხდა, არ იდგა ბიზანტიელთა ლაშქარი, შესაბამისად, მათ შესახებ არ იყო მოთხრობილი ბიზანტიელთა ანგარიშებში, რომლებსაც ისინი სამხედრო შტაბს უგზავნიდნენ და, ბუნებრივია, ამიტომაც ვერ აისახა პროკოპის თხრობაში.

არგვეთელი მთავრების წამებით, სპარსელების თავს გადამხდარი წყალდიდობის აღწერითა და ანაკოფიის ციხესთან მირის დაღუპვის შესახებ მკითხველის ინფორმირებით თავდებოდა ის ძველი ქრონიკა, რომელიც ჰაგიოგრაფმა *დავით და კოსტანტინეს წამების* წერისას გამოიყენა. რაც შეეხება *ქართველთა ცხოვრებას*, ის ჯუანშერისეული თხრობა, რომელიც ლეონტიმ, შეცდომით, სტეფანოზ II-ის შემდგომ განათავსა, მოგვითხრობს არჩილად ქცეული დარჩილის ეგრისიდან კახეთში გახიზნვის და შემდგომ უკვე ამ უკანასკნელის კახეთში მოღვაწეობის ამბავს, მისი სიკვდილით დასჯის ჩათვლით.

მირის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სპარსელებმა პეტრაც აიღეს და მთელს ეგრისს დაეუფლნენ, დარჩილისათვის დასავლეთ საქართველოში ყოფნა საშიში გახდა. ამიტომაც დარჩილი აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა და კუხეთში, არაგვისპირა ხიდარში დამკვიდრდა, საიდანაც, საჭიროების შემთხვევაში იოლადვე შეეძლო კახეთის მთებში გახიზვნა.

მაინც როდის ბრუნდება [დ]არჩილი კახეთში? მემატეიანე აღნიშნავს რომ: „წარხდა ამას შინა წელიწადი თორმეტი და იწყო შენებად ქართლმან“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 243).

აქ მემატეიანე უნდა მიუთითებდეს დარჩილის მიერ ეგრისში გატარებული წლების საერთო ოდენობაზე. თუ დარჩილის დასავლეთ საქართველოში გადასვლის წლად სადღაც, დაახლ. 532/33 წ.-ს მივიჩნევთ, ამ თარიღს 12 წელი რომ დავუმატოთ, 544/45 წ.-ს მივიღებთ. ეს ზუსტად ემთხვევა სპარსეთ ბიზანტიას შორის პირველ ხუთწლიან დაზავებას (545 წ.), რაც დარჩილის დასავლეთ საქართველოდან წასვლას კიდევ უფრო გასაგებს ხდის.

ხიდარში დამკვიდრებულ დარჩილს მისი ყოფილი სამეფოდან, ფაქტობრივად, მხოლოდ კახეთი და ჰერეთის ერთი ნაწილი (მირითა და ალაზნის მარცხენა სანაპირო) ჰქონდა შერჩენილი - კამბეჩოვანიც,

---

<sup>20</sup> არგვეთელი მთავრების წამების ფაქტს არც ლეონტი მროველი გვიყვება, სავარაუდოდ, ის იცნობს იმ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, რომელიც ამ ამბავს მიეძღვნა და აღარ სურს განმეორება.



როგორც მოვსეს კალანკატუაცისაგან ვგებულობთ, სპარსთა ხელში იყო გადასული. ამიტომ დარჩილიც ცხოვრების დარჩენილი წლები ალაზნის მარცხენა სანაპიროს ჰერეთისა და მისი მიმდებარე კავკასიონის მთიანეთის კვლავაც შემომტკიცებითაა დაკავებული. როგორც *ქართველთა ცხოვრება* გვამცნობს, მან გააქრისტიანა ნუხპატის (ნუხა, შექი) მოსახლეობა, ააშენა კასრი, ციხე ააგო ლაკუასტის (ლაგოდეხი) ხევში. შეეცადა გავლენის აღადგენას ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის მიერ დამორჩილებულ ხუნძეთსა და წუქეთზე.

ამჟამად, რომ ვახტანგისაგან განსხვავებით, ამ მაღალ მთიან რეგიონზე დარჩილს მმართველობის აღდგენა გაუჭირდა. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ დარჩილი იმ ხანად სამხედრო თვალსაზრისით ფრიად დასუსტებული იყო - სპარსელებმა მას ხომ კახეთის გარდა არაფერი დაუტოვეს. თუ თავის დროზე ვახტანგმა ხუნძეთ - წუქეთზე მმართველობა მისთვის სასურველ პირობებს „მიუბოძა“ ირკვევა, რომ დარჩილმა იმ ხანად გამდგარ ერთ-ერთ მართველს წუქეთი ველარ ჩამოართვა და, სავარაუდოდ, ხარკითა და მორჩილებით შემოიფარგლა - „არა ინება წაღებად წუქეთი“.

კახეთში დამკვიდრებულმა დარჩილმა გუარამ კურაპალატის (სინამდვილეში პატრიკოსის) ასულზე იქორწინა<sup>21</sup>, რომელმაც მას ვაჟი და მემკვიდრე ბაკური გაუჩინა. დარჩილის ამ აქტიურ მოღვაწეობას ზღვარს უდებს კახეთში სპარსი სარდლის შემოჭრა, რომელიც ლეონტისთან არაბ ასიმ ჭიჭნაუმად იქცა. კახეთში დარჩილის შესაპყრობად შემოსულმა სპარსმა სარდალმა ქართლის მხცოვანი მეფე, რომელმაც უარი განაცხადა კვლავაც მისი წინაპრების ძველ სარწმუნოებას (მაზდეანობას) დაბრუნებოდა, 20 მარტს სიკვდილით დასაჯა. ქრისტესათვის წამებული მეფის ცხედარი კახელმა აზნაურებმა, ტბელი<sup>22</sup> გოდერძიანების (გოდერძის ძეები) მეთაურობით ღამით მოიტაცეს და თიანეთში, მისივე აგებულ ნოტკორის (იგივე ნოკორნას) ეკლესიაში დაკრძალეს.<sup>23</sup> ამ თავდადებისათვის, ცხედრის დამხსნელები დარჩილის მეუღლემ სოფლების ბოძებით უხვად დაასაჩუქრა.

21 ნათესავობის რა ხარისხი იყო დარჩილსა და გუარამს შორის შემდგომი საკვლევა, წყაროებში გუარამი იხსენიება ხან ვახტანგის შვილიშვილად (მირდატის დისწულად, ძმისწულად), ხანაც უშუალოდ ვახტანგის შვილად.

22 ტბელში, სავარაუდოდ, ძველი კახეთის კარგად ცნობილი პუნქტი - ტყე-ტბა უნდა იგულისხმებოდეს. იქაურ კაცს ბუნებრივად უწოდებდნენ ტყე-ტბელს, ან უბრალოდ ტბელს.

23 არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად, წამებული მეფის მოკვეთილი თავი დაკრძალულია თელავის (ტყეტბის) ნოტკორადვე წოდებულ ტაძარში. დღეს ამ ტაძრიდან, რომელიც VI ს-ით თარიღდება, მხოლოდ ქვების გროვაა დარჩენილი.

## შედეგები

ყველა ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლეონტიმ მის ხელთ არსებული ძველი ქრონიკის ინფორმაციების სტეფანოზ II-ის შემდგომ არა სწორად განთვსებით, არა მარტო ერთმანეთს შერწყა ქართლის ერისმთავრები (პატრიკიოსები) სტეფანოზ II (645/50-668) და სტეფანოზ III (709-738) და მათ შორის არსებული დაახლ. 60/50 წლიანი ისტორიული დროც შეკუმშა, არამედ ძველ ქრონიკაში აღწერილი ვახტანგ გორგასლის შვილების დარჩილისა და მირის (მირდატი) მათი მამის გარდაცვალების შემდგომი ცხოვრება სტეფანოზის ვაჟების ცხოვრებად გაიაზრა და, შესაბამისად, ყოველივე VIII ს-ის I ნახევარში არაბებისა და კონკრეტულად მურვან ყრუს შემოსევების ფონზე მოგვითხრო. ამ აღრევისაკენ ლეონტის ჯერ კიდევ მისმა უფროსმა თანამედროვემ, XI ს-ის ჰაგიოგრაფმა უბიძგა, რომელმაც ქუთაისის სამეფო არქივში აღმოჩენილი, VI ს-ის ქრონიკის (ძველნი უწყებანი) ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაახლოებით 1058 წლისათვის არგვეთელი მთავრების დავითისა და კოსტანტინეს წამების ამსახველი ჰაგიოგრაფიული თხზულება შექმნა. ჩვენთვის უცნობმა ჰაგიოგრაფმა, მიუხედავად თხზულებაში არსებული არა ერთი ირიბი თუ პირდაპირი მითითებისა, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, იქ მოთხრობილი ამბების ქრონოლოგია სწორად ვერ განსაზღვრა - ხოსრო ანუშირვანი, რომელიც მის ხელთ არსებულ თხზულებაში მის ეპოქაში კარგად ცნობილი მეტსახელებით ფიგურირებდა (ქართულ თარგმანში - მძლავრი, სპართა დიდი ღაღადისი), ჰაგიოგრაფმა მურვან ყრუდ და აბულ კასიმად გაიაზრა და იქ მოთხრობილი ამბების მეტაფრასირებაც არაბობის, ამ შემთხვევაში ვინმე მურვან ყრუ აბულკასიმის ფონზე მოახდინა (სანაძე, 2020: 120-121).

ეს შეცდომა ლეონტი მროველის ხელში კიდევ უფრო გაღრმავდა. მან სპარსელების მიერ სადღაც 558/62 წლების სიახლოვეს წამებული ქართლის მეფე დარჩილი და მისი ძმა მირი სტეფანოზ II-ის შვილებად აქცია. ლეონტის ხელთ არსებულ ქრონიკაში [დ]არჩილის შემპყრობი და თავის მომკვეთი სარდლის სახელი არ იხსენიებოდა. ისევე, როგორც უსახელო სპარსი სარდალი, რომელმაც დავით და კოსტანტინე აწამა და რომელთანაც ანაკოფიის ციხესთან ბრძოლაში დარჩილის ძმა მირი დაიღუპა, ლეონტის უფროსმა თანამედროვე ჰაგიოგრაფმა მურვან ყრუდ მონათლა, ლეონტიმ არჩილად ქცეული [დ]არჩილის წამების ხანად უკვე საკუთარი ქრონოლოგიური გამოთვლებით, არაბი სარდალი ასიმ ჭიჭნაუმი მიიჩნია და ტექსტში ასეც შეიტანა. ამ დიდი ქრონოლოგიური შეცდომის შედეგად ვახტანგ გორგასლის ვაჟების ქართლის მეფე დარჩილისა და მისი ძმის პატრიკიოს მირის დასავლეთ საქართველოში სასანიანთა ძლევამოსილი ხელმწიფის ხოსრო ანუშირვანის წინააღმდეგ

ბრძოლა, სტეფანოზ III-დ ქცეული სტეფანოზ II-ის შვილების არაბებთან ბრძოლად იქცა<sup>24</sup>.

### გამოყენებული ლიტერატურა

abuladze, i. (1973). *dzveli kartuli enis leksik'oni*. tbilisi. (აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი).

andronik'ashvili, m. (1966). *nark'vevebi iranul-kartuli enobrivi urtiertobebidan* (t. I). tbilisi. (ანდრონიკაშვილი, მ. (1966). *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან*. ტ. I. თბილისი).

beradze, t. (2010). *kartlis tskhovrebis erti adgilis ganmart'ebisatvis sakartvelos universit'et'is qovelts'liuri k'onperentsia humanit'arul metsnierebebshi*. tbilisi: sakartvelos universit'et'is gamomtsemloba. (ბერაძე, თ. (2010). *ქართლის ცხოვრების ერთი ადგილის განმარტებისათვის. საქართველოს უნივერსიტეტის ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში*. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა).

kartlis tskhovreba. Anaseuli redakcia. (1942). *teqsti gamosatsemad moamzada s. qaukhchishvilma*. tbilisi. (ქართლის ცხოვრება. ანასეული რედაქცია (1942). *ტექსტი გამოსაცემად მოაზადა ს. ყაუხჩიშვილმა*. თბილისი).

kartlis tskhovreba (1955). t. II. *teqsti dadgenili qvela dziritadi khelnatseris mikhedvit s. qaukhchishvilis mier*. tbilisi: gamocemloba "sabchota sakartvelo" (ქართლის ცხოვრება (1955). ტ. II. *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

k'esarieli, p'. (1962). (კესარიელი, პ. (1962)).

malala, i. (1936). *georgik'a - bizant'ieli mts'erlebis tsnobebi sakartvelos shesakheb*. III. tbilisi. (მალალა, ი. (1936). *გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*. III. თბილისი).

sanadze, m. (2001). *erismtavrebi miri da archili da „kartlis tskhovreba“*. *meskheti*. (სანაძე, მ. (2001). *ერისმთავრები მირი და არჩილი და „ქართლის ცხოვრება“*. *მესხეთი*).

sanadze, m. (2020). *kartlis mepe darchili (vakht'ang gorgaslis vazhi) da misi tskhovrebis amsakhveli kronik'ebi*. (სანაძე, მ. (2020). *ქართლის მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები*).

sanadze, m. (2016). *kartlis mepēbisa da p'at'rik'iosebis kronologia (parnavazidan ashot' k'urap'alat'amde)*. tbilisi: sakartvelos universit'et'is gamomtsemloba. (სანაძე, მ. (2016). *ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე)*. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა).

<sup>24</sup> *ქართველთა ცხოვრებაში* სხვა ქრონოლოგიური აღწევების შესახებ იხ. (სანაძე, 2019: 515-523).

sanadze, m. (2019). *shesavali kartvela tskhovrebashi*. tbilisi: sakartvelos universit'et'is gamomtsemloba. (სანაძე, მ. (2019). *შესავალი ქართველთა ცხოვრებაში*. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა).

sanadze, m., & arakhamia, g. (2013). *VI s. ist'oriuli kronik'a davit da k'ost'ant'ines ts'amebashi*. tbilisi: sakartvelos u niversit'et'is gamomtsemloba. (სანაძე, მ., არახამია, გ. (2013). *VI ს. ისტორიული ქრონიკა დავით და კოსტანტინეს წამებაში*. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა).

sanadze, m., beradze, t. (2003). *sakartvelos ist'oria. ant'ik'uri khana da shua sauk'uneebi*. tbilisi. (სანაძე, მ., ბერაძე, თ. (2003). *საქართველოს ისტორია. ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები*. თბილისი).

Sanadze, M., Beradze, T. (2003 25- 27 June). The Great Silk Road and Georgia. *1st International Sil Road Symposium. Tbilisi/Georgia, Izmir*. VIII (3). (თ. გ.).

zhamtaaghmts'ereli, t. (1941). *georgik'a - bizant'eli mts'erlebis tsnobebi sakartvelos shesakheb*. IV. tbilisi. (ჯამთააღმწერელი, თ. (1941). *გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*. IV. თბილისი).

საქართველოს ისტორია

## GENERAL ILIA MAKARASHVILI AND HIS DESCENDANTS IN PERU AND FRANCE

გენერალი ილია მაქარაშვილი და მისი შთამომავლები პერუსა  
და საფრანგეთში

**GIORGI SOSIASHVILI**

Doctor of History,  
Professor of Gori State Teaching University  
ORCID: 0000-0002-2406-8662  
giorgisosiashvili@gmail.com  
+995577240088

### **Abstract**

In the second half of the XIX century, in the village of Arbo there lived Durmishkhan Zhuruli, whose daughter Nino was married to a famous military figure – General Ilia Makarashvili, the son of Sakvarela. The Makarashvili lived in one of the historical villages of Racha – Lari. The father of Ilia Makarashvili, Sakvarela Makarashvili, the son of Davit, was mentioned in the 1843-year list of confessors at the Church of the Archangel. Ilia Makarashvili received military education at Vladimir-Kiev Gymnasium, later he studied at Pavlovsk Military School. He participated in the Russo-Turkish War in 1877 – 1878. He was the Staff Captain of the 39<sup>th</sup> artillery brigade. On December 23, 1878 he was awarded the Order of the Saint George, 4<sup>th</sup> class for the courage, shown in the battle against Turkey (Deveboynu) on October 23, 1877. From 1895 Ilia Makarashvili was the Head of 1<sup>st</sup> Battery of Grenadier Artillery Brigade, and from the 1897 he was the Commander of the 1<sup>st</sup> Battery of the Caucasus Grenadier Artillery Brigade. In 1898 the future General became the Head of 1<sup>st</sup> Division of Caucasus Reserve Artillery Brigade. In 1902 he was the Head of the 7<sup>th</sup> Mortar Regiment. In 1904 Ilia Makarashvili was the Commander of 67<sup>th</sup> Artillery Brigade, from July 1904 he was Commander of the 2<sup>nd</sup> Turkestan, later the Commander of the 52<sup>nd</sup> Artillery Brigade. Ilia Makarashvili, the son of Sakvarela, was awarded the rank of a Captain in 1882, in 1895 he was awarded the rank of a Lieutenant Colonel, in 1898 – a Colonel, in 1906 – Major – General, and on October 15, 1910 his military career ended as Lieutenant General. Ilia Makarashvili, the son of Sakvarela, married Nino Zhuruli, the daughter of Durmishkhan. Makarashvili settled in the village of Arbo. Ilia Makarashvili and Nino Zhuruli had six children: the elder Giorgi, then Barbara, Nikoloz, Marika, Irine and Mikheili. The three of them – Giorgi, Barbara and Marika died of some disease. One of the sons of Ilia Makarashvili - Nikoloz (Nikusha)

chose the military career and became second lieutenant of the Mountain Cavalry Battery. Though his life ended prematurely. The Bolsheviks cruelly treated General Ilia Makarashvili's wife, Nino Zhuruli. First, they deprived them of the property, and then expelled them from the village. She passed away in 1948. In 1922, Ilia Makarashvili's youngest son, Mikheili, left for Europe to pursue his studies. Finally, he settled in France. His son, Giorgi, moved to Peru, South America, and settled in the city of Lima. He married a Peruvian lady, Carmen, and they had six children. Mikheil Makarashvili's granddaughters, Innes's daughters, Isabel and Natali live in France. Ilia Makarashvili daughter, Irina stayed to live in their parents' house in the village of Arbo. According to her will, after her death the Makarashvili house and their property in the village of Arbo were inherited by Ilia Makarashvili brother's grandson, Merab Makarashvili. The descendant of Merab Makarashvili, Amberki Makarashvili was the grandson of Sakvarela Makarashvili.

**Key words:** General, Descendants, Artillery brigade, Bolsheviks.

**გიორგი სოსიაშვილი**

ისტორიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

პროფესორი

ORCID: 0000-0002-2406-8662

giorgisosiashvili@gmail.com

+995577240088

### აბსტრაქტი

XIX საუკუნის II ნახევარში სოფელ არბოში მცხოვრები დურმიშხან ჟურულისქალიშვილის--ნინოსმეუღლეიყოცნობილისამხედრომოღვაწე--გენერალიილიასაყვარელისძემაქარაშვილი.მაქარაშვილებირაჭისერთ-ერთ ისტორიულ სოფელში - ღარში ცხოვრობდნენ. ილია მაქარაშვილის მამა საყვარელა დავითის ძე მაქარაშვილი 1843 წლით დათარიღებულ ღარის მთავარანგელოზის ეკლესიის აღსარების მთქმელ მორწმუნეთა ნუსხაში იხსენიება. ილია მაქარაშვილმა სამხედრო განათლება მიიღო ჯერ კიევის ვლადიმირის გიმნაზიაში შემდეგ კი პავლოვსკის სამხედრო სასწავლებელში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში 1877-1878 წლებში. იყო 39-საარტილერიო ბრიგადის შტაბსკაპიტანი. თურქეთის წინააღმდეგ (დევე-ბოინუ) 1877 23 ოქტომბერს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის 1878 წლის 23 დეკემბერს, წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1895 წლიდან ილია მაქარაშვილი 1 ბატარეის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1897 წლიდან 1 ბატარეის კავკასიის გრანადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური. 1898 წელს მომავალი გენერალი კავკასიის 1-ლი

სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის დივიზიონის ხელმძღვანელი გახდა. 1902 წელს იგი მე-7 ნაღმტყორცნელ პოლკს ჩაუდგა სათავეში. 1904 წელს ილია მაქარაშვილი 67-ე საარტილერიო ბრიგადის, 1904 წლის ივლისიდან თურქესტანის 2-ე, შემდეგ კი 52-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური იყო. ილია საყვარელის ძე მაქარაშვილმა 1882 წელს კაპიტნის წოდება მიიღო, 1895 წელს პოდპოლკოვნიკის, 1898 წელს პოლკოვნიკის, 1906 წელს გენერალ-მაიორის, 1910 წლის 15 ოქტომბერს კი მისი სამხედრო კარიერა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაგვირგვინდა. ილია საყვარელის ძე მაქარაშვილმა ცოლად შეირთო ნინო დურმიშხანის ასული ჟურული. მაქარაშვილი სოფელ არბოში დასახლდა. ილია მაქარაშვილს და ნინო ჟურულს ექვსი შვილი ჰყავდათ: უფროსი გიორგი, შემდეგ ბარბარა, ნიკოლოზი, მარიკა, ირინე და მიხეილი. აქედან სამნი – გიორგი, ბარბარა და მარიკა – ბავშვობაში სახადით გარდაიცვალნენ. ილია მაქარაშვილის ერთ-ერთი ვაჟი -- ნიკოლოზი (ნიკუშა) სამხედრო კარიერის გზას დაადგა და სამთოცხენოსანი ბატარეის პოდპორუჩიკი გახდა. თუმცა მისი სიცოცხლე ნაადრევად შეწყდა. გენერალ ილია მაქარაშვილის მეუღლეს-ნინო ჟურულს ბოლშევიკები სასტიკად მოექცნენ, მათ ჯერ ქონება ჩამოართვეს, ბოლოს კი სოფლიდან გააძევეს. იგი 1948 წელს გარდაიცვალა. ილია მაქარაშვილის უმცროსი ვაჟი-მიხეილი 1922 წელს სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა. იგი საბოლოოდ საცხოვრებლად საფრანგეთში დარჩა. მისი ვაჟი-გიორგი საცხოვრებლად სამხრეთ ამერიკაში-პერუში გადავიდა და ქალაქ ლიმაში დამკვიდრდა. მან პერუელი ქალბატონი-კარმენი შეირთო, რომელთანაც 6 შვილი შეეძინა. საფრანგეთში ცხოვრობენ მიხეილ მაქარაშვილის ქალიშვილის-ინესის ქალიშვილები - იზაბელი და ნატალი. სოფელ არბოში ჟურულების და მაქარაშვილების ფუძეზე, ილია მაქარაშვილის ქალიშვილი ირინა ცხოვრობდა. მისი ანდერძის თანახმად ირინე ილიას ასულის გარდაცვალების შემდეგ სოფელ არბოში არსებული მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი და ქონება ილია მაქარაშვილის ძმის შვილისშვილს-მერაბ მაქარაშვილს გადაეცა. მერაბ მაქარაშვილის წინაპარი ამბერკი მაქარაშვილი საყვარელა მაქარაშვილის შვილიშვილი იყო.

**საკვანძო სიტყვები:** გენერალი, შთამომავლობა, საარტილერიო ბრიგადა, ბოლშევიკები.

### შესავალი

XIX საუკუნის II ნახევარში სოფელ არბოში მცხოვრები დურმიშხან ჟურულის (სოსიაშვილი, 2019ა: 199-206; სოსიაშვილი, 2019ბ: 131-134) ქალიშვილის – ნინოს მეუღლე იყო ცნობილი სამხედრო მოღვაწე – გენერალი ილია საყვარელას ძე მაქარაშვილი. მაქარაშვილები რაჭის ერთ-ერთ ისტორიულ სოფელში – ღარში ცხოვრობდნენ. ილია მაქარაშვილის მამა საყვარელა დავითის ძე მაქარაშვილი 1843 წლით დათარიღებულ

ღარის მთავარანგელოზის ეკლესიის აღსარების მთქმელ მორწმუნეთა ნუსხაში იხსენიება. საყვარელა მაქარაშვილს ორი ძმა ჰყავდა: ღარისპანი და ვახუშტი. იგი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა ბარბარე ბუჭას ასულთან (საეკლესიო ჩანაწერებში მისი გვარი არ ჩანს). ბარბარესთან საყვარელა მაქარაშვილს ექვსი ვაჟი შეეძინა: იოანე, ლუარსაბი, კონსტანტინე, ილია, ვახუშტი და ქაიხოსრო. საყვარელას მეორე თანამეცხედრეკვა ზურაბის ასული იყო (საეკლესიო წიგნში არც მისი გვარია ცნობილი), რომელთანაც 1876 წლის 29 ივლისს, ქალიშვილი თეოდოსია გაუჩნდა. ღარის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩანაწერის მიხედვით არბოში ჩასიძებული ილია მაქარაშვილი 1854 წლის 1 ნოემბერს დაიბადა.<sup>1</sup> ილია მაქარაშვილი 1854 წლის 23 ნოემბერს მოინათლა. ახალშობილის ნათლია დაბა ონში მცხ. აზნაური ლუარსაბ დავითისძე ჯაფარიძე იყო. ნათლისღება მღვდელმა იოვანე მაქარაშვილმა აღასრულა. ილიას მამა საყვარელა საეკლესიო ჩანაწერის მიხედვით 1897 წლის 21 დეკემბერს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. წესი აუგო მღვდელმა გრიგოლ ნანუკაშვილმა მედავითნე გიორგი მეტრეველთან ერთად. (ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი 21 საქმე 24, ფურცელი 39) ილია მაქარაშვილის საფრანგეთში მცხოვრები უმცროსი ვაჟი მიხეილ მაქარაშვილი თავის მოგონებაში საყვარელა მაქარაშვილის შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. როგორც მოგონების ავტორი აღნიშნავს, 1791 წელს დაბადებულ საყვარელას მონაწილეობა მიუღია 1812 წლის ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ. მისივე გადმოცემით, იგი სიმამაცისთვის მედლითაც დაუჯილდოვებიათ.<sup>2</sup> მიხეილ მაქარაშვილის ცნობით საყვარელა მაქარაშვილს ჯაფარიძის ქალთან სამი ვაჟი და ორი ასული ჰყავდა (როგორც მივუთითებდით, ღარის საეკლესიო ჩანაწერში განსხვავებული ინფორმაციაა შემონახული). (ნაცვლიშვილი, 1992: 6)

## მეთოდები

კვლევა, ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

1 თუმცა ერთ-ერთ რუსულ დოკუმენტში, რომელიც ილია მაქარაშვილის სამხედრო კარიერას შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის მისი დაბადების თარიღად 1 დეკემბერია იყო მითითებული.

2 1812 წლის სამამულო ომში მონაწილე ქართველების ჩამონათვალში, მათ შორის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის - გიორგი XII-ის ძის ბაგრატ ბატონიშვილის მიერ შედგენილ ომში ნამყოფ ქართველთა ნუსხაში საყვარელა მაქარაშვილი არ გვხვდება. ილია მაქარაშვილის მამის ომში მონაწილეობა არც სხვა მასალებით დასტურდება. (ანთელავა, 1984) ჩვენთვის უცნობია, რომელ დოკუმენტზე დაყრდნობით წერდა მისი შთამომავალი.



## შედეგები

მაქარაშვილების გვარის წარმომავლობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ზემოთ ნახსენები მოგონების ავტორი. იგი თავის შორეულ წინაპრებად თავდგირიძეებს მიიჩნევს: „მაქარაშვილების გვარი თავად თავდგირიძეთა შტოა: ერთ-ერთმა თავდგირიძემ XVII საუკუნეში მოიტაცა მეზობელი თავადის ქალიშვილი; ისინი თურქეთში გაიქცნენ, რადგან ქალის ძმის შურისძიებისა ეშინოდათ. მათმა ერთადერთმა ვაჟმა ოცი წლის ასაკში გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება. აქ მას საფრთხე ელოდა ბიძების მხრიდან, ამიტომ გადავიდა რაჭაში, საკმაოდ შორს თავისი ოჯახის წევრებისაგან. მამამის ახალგაზრდობაში მეტსახელად „ქარს“ ეძახდნენ სწრაფი სიარულის გამო და მან “მაგ ქარის შვილი” დაირქვა, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც “მაქარაშვილი”. მამაჩემს ხშირად ურჩევდნენ, რომ დაებრუნებინა თავისი თავადური გვარი-თავდგირიძე, მაგრამ იგი ყოველთვის უარს ამბობდა. მე ვერსად მივაკვლიე ჩვენი გენეალოგიის დასაწყისს, ამიტომ მხოლოდ ჩემს ბებიასა და ბაბუაზე ვიამბობთ.“ (ნაცვლიშვილი, 1992: 6) თავდგირიძისაგან მაქარაშვილთა საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ამ მხრივ რაიმე დოკუმენტური მასალა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, ეს უფრო მაქარაშვილების გვარში არსებული ლეგენდა იყო. საქართველოში არსებობდა გვარი მარქარაშვილი. აღნიშნული გვარი იხსენიება 1537-1538 წ.წ. დოკუმენტში. (ახუაშვილი, 1994: 434) მარქარაშვილი იხსენიება ასევე 1705 წლის ერთ საბუთშიც, რომლის მიხედვით დომენტი III კათალიკოსმა წინწყაროელი მარქარაშვილები გაათარხნა და ა.შ. (ახუაშვილი, 1994: 434) მარქარაშვილთან ერთად დოკუმენტებში ხშირად გვხვდება ასევე მაკარაშვილების გვარიც. (ახუაშვილი, 1994: 424) XVII საუკუნის I ნახევრის დოკუმენტების მიხედვით მაკარაშვილები საბარათიანოში ცხოვრობდნენ. (ბაქრაძე, რატიანი, ოთხმეზური, 2004: 13) შესაძლებელია რაჭაში მცხოვრები გვარი ზემოთ ნახსენებ ერთ-ერთი საგვარეულოდან მომდინარეობდა.<sup>3</sup>

## მსჯელობა

ილია მაქარაშვილმა სამხედრო განათლება მიიღო ჯერ კიევის ვლადიმირის გიმნაზიაში<sup>4</sup> ([http://cadet.org.ua/uploads/Kj\\_4.pdf](http://cadet.org.ua/uploads/Kj_4.pdf)), შემდეგ

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ არბოს წმინდა გიორგის ტაძარში შემორჩენილია ილია საყვარელის ძე მაკარაშვილი ეპიტაფია. გენერლის გვარი საფლავის ქვის წარწერაში იხსენიება „მაკარაშვილი“-ის ფორმით. როგორც ჩანს, მაქარაშვილის „მაკარაშვილად“ ქცევა რუსული ენის გავლენის შედეგად მოხდა. ასეთივე ფორმით ამოტიფრეს გვარი მის უკანასკნელ განსასვენებელზე. იხ. ქვემოთ.

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან რამდენიმე სამხედრო პირი (სოსნოვსკი, გურკოვსკი, კრივცოვი, ვერეინოვი, ბოგაევსკი, მანშტეინი), მათ შორის ილია მაქარაშვილი წმინდა გიორგის ორდენის კავალერი გახდა.

კი პავლოვის სამხედრო სასწავლებელში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში 1877-1878 წლებში. იყო 39-საარტილერიო ბრიგადის შტაბსკაპიტანი. თურქეთის წინააღმდეგ (დეკე-ბონუ) 1877 23 ოქტომბერს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის 1878 წლის 23 დეკემბერს, წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ([https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213&lpg=PA213&dq=илия+макарашвили&source=bl&ots=4LD0YHbJKl&sig=ACfU3U2ReCkwfslMHZqd16zOVmpXFhldOQ&hl=ka&sa=X&ved=2ahUKewifqa\\_h85zhAhVOiqQKHbyjAYMQ6AEwBnoECAgQAQ#v=onepage&q=илия%20макарашвили&f=false](https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213&lpg=PA213&dq=илия+макарашвили&source=bl&ots=4LD0YHbJKl&sig=ACfU3U2ReCkwfslMHZqd16zOVmpXFhldOQ&hl=ka&sa=X&ved=2ahUKewifqa_h85zhAhVOiqQKHbyjAYMQ6AEwBnoECAgQAQ#v=onepage&q=илия%20макарашвили&f=false)) 1895 წლიდან ილია მაქარაშვილი 1 ბატარეის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1897 წლიდან 1 ბატარეის კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური. 1898 წელს მომავალი გენერალი კავკასიის 1-ლი სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის დივიზიონის ხელმძღვანელი გახდა. 1902 წელს იგი მე-7 ნაღმტყორცნელ პოლკს ჩაუდგა სათავეში. 1904 წელს ილია მაქარაშვილი 67-ე საარტილერიო ბრიგადის, 1904 წლის ივლისიდან თურქესტანის 2-ე, შემდეგ კი 52-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური იყო. ილია საყვარელის ძე მაქარაშვილმა 1882 წელს კაპიტნის წოდება მიიღო, 1895 წელს პოდპოლკოვნიკის, 1898 წელს პოლკოვნიკის, 1906 წელს გენერალ-მაიორის, 1910 წლის 15 ოქტომბერს კი მისი სამხედრო კარიერა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაგვირგვინდა. (Гогитидзе, 2001; <http://morpolit.milportal.ru/cobexiya-gabriel-oni-byli-geroyamitotechstvennoj-vojny-1812-goda/>; <http://regiment.ru/bio/M/160.htm>; [http://www.rusgeneral.ru/general\\_m.html](http://www.rusgeneral.ru/general_m.html)) რუსეთის იმპერატორის მიერ ილია მაქარაშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით. მათ შორის: წმინდა სტანისლავის (1877), წმინდა გიორგის 4-ე ხარისხის ორდენით (1878), ოქროს იარაღით (1878), წმინდა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით (1878), წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით, წმინდა ანას ორდენით (1886), წმინდა ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენით (1901). (Волков, 2009; Гизетти, 1901; Исмаилов, 2007; Списки кавалерам императорского военного ордена Святого великомученика и победоносца Георгия за боевые отличия, 1880; Список генералам по старшинству, 1910; Шабанов, 2004; [http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили\\_Илья\\_Сакварелович](http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили_Илья_Сакварелович); [https://books.google.ge/books?id=kcv\\_AgAAQBAJ&pg=PA667&lpg=PA667&dq=сакварел+макарашвили&source=bl&ots=gFflhL5yOM&sig=ACfU3U0Ia\\_sNmmiUuDi8Et1Ov8iwoDIkPA&hl=en&sa=X&ved=2ahUKewjNwdqY0K3uAhUOxYUKHc1LCRAQ6AEwAHoECAUQAQ#v=onepage&q=сакварел%20макарашвили&f=false](https://books.google.ge/books?id=kcv_AgAAQBAJ&pg=PA667&lpg=PA667&dq=сакварел+макарашвили&source=bl&ots=gFflhL5yOM&sig=ACfU3U0Ia_sNmmiUuDi8Et1Ov8iwoDIkPA&hl=en&sa=X&ved=2ahUKewjNwdqY0K3uAhUOxYUKHc1LCRAQ6AEwAHoECAUQAQ#v=onepage&q=сакварел%20макарашвили&f=false)) მამამისის სამხედრო მოღვაწეობის შესახებ მისი უმცროსი ვაჟი მიხეილი წერს: „მამაჩემი ყველაზე უმცროსი იყო. იგი სწავლობდა კიევში, კადეტთა ნაწილში - არტილერიის ოფიცერთა სკოლაში. მონაწილეობდა 1877 წელს თურქეთის წინააღმდეგ

ომში. იქ გამოჩენილი სიმამაცისათვის ყოყმანის შემდეგ წარადგინეს წმინდა გიორგის ჯვარზე, შემდეგ კი-წმინდა გიორგის ოქროს ხმალზე, მაგრამ არც ერთი არ მიუღია, რადგან... ქართველი იყო. ერთხელ მამას ოთხი ტყვიამფრქვევით გაუნადგურებია თურქეთის 50 ტყვიამფრქვევი, ხოლო შემდეგ გადარჩენილი თურქები იარაღიანად ტყვედ წაუსხამს. ამის შემდეგ, როგორც იქნა დააჯილდოვეს წმინდა გიორგის ჯვრით. ეს ეპიზოდი შესულია რუსულ ენაზე გამოსულ წიგნში „საქართველოს მატთანე“. მამა საკმაოდ გვიან დაქორწინდა, 36 წლის ასაკში, მაგრამ უკვე 31 წლისას გადაწყვეტილი ჰქონდა დედაზე დაქორწინება. დედაჩემი ნინო ჟურული, მაშინ ოცი წლისა იყო. გათხოვება სულაც არ სდომებია, რადგან ბედნიერად გრძნობდა თავს მშობლებთან-ძალიან მხიარული იყო, ჰყავდა ბევრი მეგობარი და არაფერზე არ ფიქრობდა, გართობის გარდა. მხოლოდ ხუთი წლის მერე დაქორწინდა მამა მასზე. დედამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ჯვარი დაეწერათ არბოს ახალ ეკლესიაში. რესტავრაციის შემდეგ ამ ეკლესიამ ჩემი მშობლების ჯვრისწერით დაიწყო მოქმედება“. (ნაცვლიშვილი, 1992: 6)

გენერალ-ლეიტენანტი ილია საყვარელას ძე მაქარაშვილი 1912 წლის ივლისში გარდაიცვალა. მისი სამხედრო კარიერა რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრთან გაბმულ ინტრიგებს შეეწირა. ამის შესახებ მიხეილ მაქარაშვილი იგონებს: „ნიკუშას სიკვდილამდე (იგულისხმება ილია მაქარაშვილის უმცროსი ვაჟის-ნიკოლოზის ტრაგიკული დაღუპვა, ამის შესახებ იხ. ქვემოთ) 6 წლით ადრე, რვა წლისამ დავკარგე მამა, რომლის სიკვდილიც ასევე დიდ იარაღ დარჩა ჩემს გულში. მამაჩემი ილია-გარდაიცვალა 1912 წლის ივლისში, 57 წლისა, ჩვენს მამულში, არბოში. იგი იყო საარტილერიო ბრიგადის გენერალი, რომელიც გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე თადარიგში გაუშვეს დამბლის გამო. დამბლა გამოიწვია ნერვიულობამ, რომელიც მას მიაყენა რუსეთის სამხედრო მინისტრთან დაახლოებული პირის, გენერალ სამსონოვის ინტრიგებმა. სამსონოვი გამოდიოდა ამიერ-კავკასიის საარტილერიო ნაწილის მთავარი ინსპექტორის პოსტზე მამა-ჩემის დანიშვნის წინააღმდეგ. რუსები ფიქრობდნენ, რომ ასეთი მაღალი თანამდებობის ნდობა ქართველისათვის მიზანშეუწონელი იქნებოდა. მამის თადარიგში გასვლამდე ჩვენ ვცხოვრობდით აშხაბადში-კასპიის-პირეთის მნიშვნელოვან ქალაქში, სადაც მამაჩემი თურქესტანის მე-2-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური იყო“. (ნაცვლიშვილი, 1992: 6) როგორც აღინიშნა, ილია საყვარელის ძე მაქარაშვილს ცოლად ჰყავდა დურმიშხან ჟურულის ასული. ნინო ჟურულს და ილია მაქარაშვილს არბოს წმინდა გიორგის სარეგისტრაციო წიგნის მიხედვით 1897 წლის 19 დეკემბერს ვაჟი - ნიკოლოზი შეეძინათ, რომელიც 1898 წლის 11 ოქტომბერს მონათლეს. ჩანაწერში ახალშობილის მშობლების შესახებ ვკითხულობთ: „კომანდერი არტილერიისა გრენადრის ბრიგადისა პირველ ბატარეისა

პოდპოლკოვნიკი ილია საყვარელის ძე მაკარაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი ნინა დურმიშხანის ასული ორნივე მართლმადიდებელის სარწმუნოებისანი. ახალშობილის „მიმრქმელად“ ჩანაწერის მიხედვით მოხსენიებულია: ქალაქ თბილისში მცხოვრები მეორე გილდიის ვაჭარი სვიმონ პავლეს ძე პავლოვი, ნათლობის საიდუმლო შეუსრულებია მღვდელ გიორგი გვიმრაძეს და „პრიჩუტნიკ“ ვასილ ლომოურს. (მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყჟ წლისა, ნაწილი პირველი დაბადებულთათვის: 8) 1898 წელს დურმიშხან ჟურულის სიძე ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი, რომელიც იმ დროისთვის პოლკოვნიკის ჩინს ფლობდა, არბოს წმინდა გიორგის ტაძრის სარეგისტრაციო წიგნში ონის უეზდის სოფელ ღარში მაცხოვრებელი გლეხის დავით ივანეს ძე სამხარაძის შვილის – პარმენის მიმრქმელად იხსენიება. (მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყჟ წლისა, ნაწილი პირველი დაბადებულთათვის: 8-9)

ილია მაქარაშვილის მეუღლის – ნინო დურმიშხანის ასულის შესახებ ერთ-ერთ წერილში საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოური. როგორც ჩანს, ნინო ჟურული-მაქარაშვილისა საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. იგი გორში მცხოვრებ ღარიბი ოჯახების წარმომადგენელ მოსწავლეებს მატერიალურად ეხმარებოდა. მას გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთან - გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილთან ერთად გორში ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად საქველმოქმედო თეატრალიზებული წარმოდგენა გაუმართავს, სადაც მონაწილეობას იღებდნენ: ვ. აბაშიძე, ელ ჩერქეზიშვილი, ანას. აბაშიძე და სხვ. ამის შესახებ ნიკო ლომოური წერილში “ზმა პროვინციიდან” აღნიშნავს: „ამ დიდებულმა გრძნობამ მოყვასის სიყვარულის და სიბრალულისამ ამ ჟამად თავის მოციქულებათ გამოიწვია პატივცემულნი ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა და წინამძღოლი გორის მაზრის თავად-აზნაურთა ბ-ნი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ დავითაშვილი. ამათ თავიანთი სათნოიანის გულით და განათლებულის გონებით შენიშნეს სავალალო მდგომარება აქურ ღარიბ მოსწავლეთა და გულმოდგინებით გაუწოდეს მათ ხელი შველისა და დახმარებისა. ამ ჟამად შეგროვილი ფული დანიშნულია გორის სასწავლებლის შეუძლებელ მოწაფეთათვის: საქალაქო პროგიმნაზიისა და საქალაქო სკოლისა. სრული შემოსავალი ამ საღამოსი გახლდათ 492 მ და 39 კ. აქედგან დაიხარჯა 163 მ. და 76

კ. აღნიშნულ კეთილ საქმისათვის დარჩა 328 მ. და 63 კ. პატივცემულ ნ. დ-ასულს მაკარაშვილისას და თავადს ბაგრატიონ-დავითაშვილს განზრახვა აქვთ გამართონ ამგვარივე სადამო იმავე აზრით თიბათვის დამდეგს გორის ციხეში...“ (ლომოური, 2002: 181) ნინო დურმიშხანის ასულს გორის საქალაქო პროგიმნაზიის და საქალაქო სკოლის მოსწავლეთა დასახმარებელი საქველმოქმედო სადამო მომდევნო თვეშიც გაუმართავს. მას ამ საქმეში მაკრინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბი ეხმარებოდა. ნ. ლომოურის ცნობით: „ამ თებერვლის პირველ რიცხვებში ზემოხსენებულ სასწავლებელთა ღარიბი მოსწავლეების სასარგებლოდ სადამო იქმნა გამართული. ამ სადამოს გამგეთ ჰბრძანდებოდნენ ორი ცნობილი მანდილოსანი: კნ. მაკრინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბისა და ნინა დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა. როგორც პირველი, ისე მეორე დიდი ხანია, რაც ამ კაცთ მოყვარულ, ქრისტიანულ გზას ადგანან... ძნელია კაცმა მოიგონოს და სათითაოდ ჩამოსთვალოს რაოდენი კეთილი საქმე ჩაუდენიათ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არა ხანგრძლივ, თავიანთ სიცოხლეში ამ პატივცემულ მანდილოსანთ!“ (ლომოური, 2002: 184) ღონისძიების ორგანიზატორებს ტფილისიდან მოუწვევიათ ნატო გაბუნია და იოსებ ბარათაშვილი. საქველმოქმედო ღონისძიებიდან მიღებული შემოსავალი გორის სასწავლებლებს გადაეცათ. (ლომოური, 2002: 184) ნინო დურმიშხანის ასული ჟურული-მაქარაშვილისა იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გორის განყოფილების დამხმარე წევრი (1904); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1906); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილების წევრი (1915). (<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004697/>)

ნინო ჟურულს და ილია მაქარაშვილს რამდენიმე წელი ჰქონდათ სასიყვარულო ურთიერთობა. აღსანიშნავია, რომ საქმრო ნინოს ბარათებს ფრონტის ხაზიდან უგზავნიდა, სადაც მომავალი გენერალი სამხედრო ოპერაციების შესახებაც უყვებოდა. ქართული საზოგადოების ელიტის წარმომადგენელთა მონაწილეობით მას დაგეგმილი ჰქონდა გრანდიოზული ქორწილის გადახდა. შეუღლების შემდეგ ნინო თავის მეუღლეს ბრძოლის ველზეც დაჰყვებოდა. იგი ხშირად დაჭრილ სამხედროებს უვლიდა და მებრძოლებისთვის სურსათ-სანოვავს აგროვებდა. თურქმენეთში ცხოვრების დროს ნინო ჟურული საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. იგი ერთი პერიოდი ომში დაზარალებული სამხედროების და მათი ოჯახების დამხმარე ორგანიზაციის აშხაბადის განყოფილებასაც ხელმძღვანელობდა. 1811 წელს ნინო ჟურულმა სანკტ-პეტერბურგის სამმართველოდან სამადლობელი წელიც მიიღო. (გუმბათი-ექსპრესი, 2010: 33) ილია მაქარაშვილის და ნინო ჟურულის ოჯახი კულტურის ნამდვილ კერად

იქცა. მათ სახლში თავს იყრიდნენ ქართველი და რუსი პოეტები, მხატვრები, მსახიობები. (გუმბათი-ექსპრესი, 2010: 33; თევდორაძე, 2010: 60) ასეთივე კულტურულ კერას წარმოადგენდა დურმიშხან ჟურულის სახლი სოფელ არბოში, სადაც გენერალი ილია მაქარაშვილი დამკვიდრდა. გადმოცემით, მაქარაშვილების და ჟურულების ოჯახს სოფელ არბოში ხშირად სტუმრობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, მათ შორის: იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძე. მაქარაშვილების ოჯახში დღემდე ინახება ილიას ფოტოსურათის ორიგინალი, რომელიც გადმოცემით ოჯახისთვის საჩუქრად თავად ილიას გადაუცია. ნინო დურმიშხანის ასულთან ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე მთარგნელ მარიამ პრიტვიცს (ქალიშვილობის გვარი გუბერი). იგი დაიბადა 1876 წლის 2 ივლისს ბესარაბიის გუბერნიის ქ. კიშინიოვში. დაამთავრა ქ. ოდესის წმ. მარიამის სახელობის ქალთა საზოგადო გიმნაზიის 8 კლასი. შემდეგ სწავლობდა ქ. დრეზდენის პირველ ლიცეუმში მათემატიკურ-გეოგრაფიული განხრით. მ. პრიტვიცს მიუღია ფართო ჰუმანიტარულ-ტექნიკური განათლება, რაშიაც ხელს უწყობდა უცხო ენების ათვისების თანდაყოლილი ნიჭი. იგი რამდენიმე ენას ფლობდა, მათ შორის: ფრანგულს, იტალიურს, რუმინულს, ლათინურს, პოლონურს, რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. სამეცნიერო მოღვაწეობა მ. პრიტვიცმა 1918 წელს დაიწყო, ხოლო ლიტერატურულ საქმიანობას კი 1894 წელს მოკიდა ხელი. სხვადასხვა დროს იგი როგორც ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი, მეცნიერ-მუშაკი მოღვაწეობდა კიევის განათლების კომისარიატში, სკოლებსა და კონსერვატორიაში. 1930 წელს კი ნავთობის გეოლოგიურ-დაზვერვით ინსტიტუტში აგრძელებდა საქმიანობას. იგი მონაწილეობდა ვაშინგტონში ჩატარებულ გეოლოგთა საერთაშორისო კონგრესშიც. მ. პრიტვიცი სხვადასხვა ენებიდან სამეცნიერო, თუ ლიტერატურულ ტექსტებს რუსულ ენაზე თარგმნიდა. (ჯანაშია, 2003: 25-26)

მ. პრიტვიცი ხშირად სტუმრობდა ნინო ჟურულის ოჯახს როგორც თბილისში, ასევე არბოში. არბოში ყოფნისას ნინოს მარიამ პრიტვიცისთვის ურჩევია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა დაეწყო. (თევდორაძე, 2010: 60) ნინო ჟურულის გარდაცვალების შემდეგ მარიამ პრიტვიცმა მჭიდრო ურთიერთობა გააგრძელა ნინო ჟურულის ქალიშვილთან- ირინა მაქარაშვილთან და მის მეუღლესთან ანატოლი კიზირიასთან. ეს მეგობრობა სათავეს იღებდა მარიამის და ნინოს ურთიერთობიდან. როგორ დაიწყო ნინო ჟურულის რჩევით პრიტვიცმა ვეფხისტყაოსნის თარგმნა, იგი ამის შესახებ იგი სოფიო დავითის ასულ მაჭავარიანისადმი 1949 წლის 4 აგვისტოს გაგზავნილ წერილში მოგვითხრობს: „...1940 წლის ზაფხულს ვატარებდი არბოში. დაუვიწყარმა ნინო დურმიშხანის ასულმა მიბიძგა თარგმანისაკენ. სიტყვა ჩამოვარდა ჩემ მთარგმნელობით მუშაობაზე უფაში (სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან უფაში გაატარა.

აქ იგი მსახურობდა სამედიცინო ინსტიტუტის უცხო ენათა კათედრაზე. რ. ჯანაშიას შენიშვნა). უფრო სწორედ იმაზე, რომ იგი შეწყვეტილი მქონდა. ნინო დურმიშხანის ასულმა მისაყვედურა და მითხრა: აი, თარგმნეთ „ვეფხისტყაოსანი“! განა ეს ჩემ ძალებს აღემატება?!- ვუპასუხე, მაგრამ შემდეგ, თბილისში, მათ სასტუმრო ოთახში, ძილის წინ, ავიღე პეტრენკოს თარგმანი და ვცადე 2 სტროფის თარგმნა. გოეთესა და შილერის ნაწარმოებებზე აღზრდილი, გავოცდი, როგორ აჟღერდა ეს გერმანულად. მაშინ ნუცუბიძის თარგმანი ჯერ არ იყო... მეორე დღეს ბიბლიოთეკაში გავიგე, რომ არსებობს მხოლოდ არტურ ლაისტის თარგმანი გერმანულად და უორდროპისა-ინგლისურად... შემდეგ ეს სტროფები ვუჩვენე პროფ. შარლემანს და მის მეუღლეს. მათ დამლოცეს მუშაობის გასაგრძელებლად...ქ. უფას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა პეტრენკოს თარგმანი...თავდაპირველად მეგონა, რომ მხოლოდ პროლოგს ვთარგმნიდი, მაგრამ სამუშაომ ისე გამიტაცა, რომ ვმუშაობდი შეუსვენებლივ, სახლშიც, ინსტიტუტშიც. თვალწინ მედგა საქართველოს მთები, მისი ყოფა, რაც ასე მაგონებდა მშობლიურ ბესარაბიასა და მოლდაველებს-დედაჩემის წინაპრებს... პროლოგი გავუგზავნე აკად. შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც აღტაცებულმა მიპასუხა. იგი დამპირდა თავისი თარგმანის გამოგზავნას...სამუშაოს ვაგრძელებდი ნუცუბიძის მიხედვით. თან პეტრენკომიაც ვიხედებოდი. ლექსი გავმართე მინორისა და მაჟორის მიხედვით. ჩემი ნამუშევარი ვაჩვენე აქაურ ერთ გერმანელ ქალს, მცოდნესა და განათლებულს...ნა-თარგმნ ნაწილებს ვუგზავნიდი აკად. ნუცუბიძეს... გზაში არაფერი დაკარგულა, მიუხედავად ომიანობისა... შემდეგ მივიღე აკად. ს. ჯანა-შიას დეპეშა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გთხოვთ გააგრძელოთ მუშაობა...თარგმანს ვუდარებდი როგორც ნუცუბიძეს, ისე უორდროპისას, რომელიც საოცრად კეთილსინდისიერადაა შესრუ-ლებული... იმ ხანებში უფაში ევაკუაციაში იმყოფებოდნენ უკრაინელი აკადემიკოსები პარნასი და ბულახოვსკი, რომლებმაც ასევე გაიცნეს ჩემი ნამუშევარი და რჩევებით დამეხმარნენ. ვისარგებლე არდადეგებით და ტექსტი გადავწერე, მაშინ უფაში უცხოურ-შრიფტიანი საბეჭდი მანქანები არ იყო... ნაშრომი გადავაგზავნე თბილისში. რეცენზია დაწერეს აკადემიკოსებმა შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. 1946 წლის აპრილში ინსტიტუტის სხდომაზე საქ. მეცნ. აკადემიამ მიიღო ნაშრომი, რაც იმავე ზაფხულს აკად. ჯანაშიამ მაცნობა და გამომიძახა თბილისში, სადაც 25 აგვისტოს ჩამოვედი კიდევაც. მაგრამ ჯანაშიას ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ვნახე. თარგმანი მისივე მითითების მიხედვით ჩავასწორე. ამჟამად კი ველოდები მეცნ. აკადემიის ან გოქისის მითითებებს. მოხარული ვიქნები, თუ გაწეულ ხარჯებს ამინაზღაურებენ...” (ჯანაშია, 2003: 26) აღნიშნული წერილის ადრესატია სოფიო მაჭავარიანი. იგი ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოადგილე იყო,

რომელთანაც მარიამ პრიტვიცს საქმიანი ურთიერთობა ს. ჯანაშიას დახმარებით ჰქონდა. (ჯანაშია, 2003: 26) აკად. ს. ჯანაშიას მ. პრიტვიცის შესახებ ინფორმაცია ნინო ჟურულის ქალიშვილმა-ირინა მაქარაშვილმა მიაწოდა. როგორც რ. ჯანაშია აღნიშნავს: „საქმე ისაა, რომ ჩვენი ოჯახის უახლოესი და უსაყვარლესი მეგობრები იყვნენ ირინე მაქარაშვილი და მისი მეუღლე(იგულისხმება ანატოლი კიზირია - გ.ს.) სწორედ მათგან გაიგო 1940 წელს ს. ჯანაშიამ პრიტვიცის განზრახვის შესახებ. ბუნებრივია, იგი ყოველმხრივ ეცდებოდა ამ კეთილი საქმისთვის ხელის შეწყობას“. (ჯანაშია, 2003: 26) ს. ჯანაშიას ინიციატივით მ. პრიტვიცის რედაქტორებად შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი დაინიშნენ. 1943 წელს ისტორიის ინსტიტუტის სახელით ს. ჯანაშიას და მ. პრიტვიცს შორის ხელშეკრულებაც გაფორმდა. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ მ. პრიტვიცი აგრძელებდა ურთიერთობას სოფიო მაჭავარანიანთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან(ვიცე-პრეზიდენტ აკაკი შანიძესთან). როგორც ს. ჯანაშიას ქალიშვილი, რ. ჯანაშია აღნიშნავს, მ. პრიტვიცი ხანდაზმულობის მიუხედავად ხშირად ჩამოდიოდა ნინო ჟურულის ქალიშვილთან ირინა მაქარაშვილთან, რომლის არქივშიც ინახებოდა მისი ორი ფოტოსურათი. (ჯანაშია, 2003: 26)

როგორც მივითითებდით, დურმიშხან ჟურულის სიძე – გენერალ-ლეიტენანტი ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი სოფელ არბოში დასახლდა. ილია მაქარაშვილს და ნინო ჟურულს ექვსი შვილი ჰყავდათ: უფროსი გიორგი, შემდეგ ბარბარა, ნიკოლოზი, მარიკა, ირინე და მიხეილი. აქედან სამნი – გიორგი, ბარბარა და მარიკა - ბავშვობაში სახადით გარდაიცვალნენ. ილია მაქარაშვილის ერთ-ერთი ვაჟი - ნიკოლოზი (ნიკუშა) სამხედრო კარიერის გზას დაადგა და სამთო ცხენოსანი ბატარეის პოდპორუჩიკი გახდა. თუმცა მისი სიცოცხლე ნაადრევად შეწყდა. ემიგრაციაში მყოფი მიხეილ მაქარაშვილი იგონებს: „ჩემი ძმა ნიკოლოზი ანუ ნიკუშა, როგორც მას სახლში ვეძახდით, ჩემზე ხუთწლინახევრით იყო უფროსი. მას შემდეგ, რაც 1916 წელს თბილისის იუნკრების სასწავლებელი დაამთავრა, სწავლა განაგრძო პეტერბურგის ოფიცერთა საარტილერიო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1917 წელს, რუსეთის რევოლუციის დაწყების წინ. შემდეგ იყო ბრძოლა გერმანელებთან კავკასიის ფრონტზე, სადაც შედგა ნიკუშას საბრძოლო ნათლობა. 1917 წლის ოქტომბერში იგი, უკვე საქართველოში დაბრუნებული, დააწინაურეს საარტილერიო დივიზიაში. ეს იყო საქართველოს პირველი ეროვნული რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი ცაგურია მეთაურობდა. 1918 წლის იანვარში ამიერკავკასიის თავდაცვის მინისტრმა ცაგურიას რაზმს უბრძანა, რომ საჭირო იყო არტილერიით უზრუნველყოთ ჯავშნოსანიმატარებელი. დავალების შესასრულებლად ნიკუშა, ოთხი იუნკერი და რამდენიმე ათეული ჯარისკაცი 6 იანვარს (ძველი სტილით) მატარებლით გაემგზავრნენ შამქორში. 15 იანვრის



დილით დავინახე ჩვენსკენ მომავალი ჩემი ძმის თანამებრძოლი გვარად ჟღენტი. მან შემოსვლისთანავე ტირილით გვამცნო: „ნიკუშა მოკლეს!“ მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ ჩემი ძმის სიკვდილის გარემოებები: რუსებს დაუბოძბიათ ღია ვაგონი, რომელშიც იყვნენ ნიკუშა, ორი იუნკერი და კაპიტანი აფხაზავა. დახოცილები დაასაფლავეს არბოში, ჩვენს ეკლესიაში. ჩემი ძმის ცხედარი დაკრძალეს მამაჩემის, ბებიაჩემის და ბაბუას გვერდით. მანამდე ცხედარი რამდენიმე დღით დასვენებული იყო თბილისში, ქაშუეთის ტაძარში. მას იცავდნენ ნიკუშას მეგობრები. წესის აგების ცერემონია ძალიან შთამბეჭდავი იყო. ჩემი ძმა ხომ ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც საქართველოსთვის თავი დასდო.“ (ნაცვლიშვილი, 1992: 6) არბოს წმინდა გიორგის ტაძარში შემორჩენილი ეპიტაფიდანაც ირკვევა, რომ ნიკოლოზ ილიას ძე მაქარაშვილი შამქორის ბრძოლაში დაიღუპა. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ კავკასიის ფრონტიდან წამოსული რუსეთის ჯარის ნაწილი აზერბაიჯანის მიმართულებით გადაადგილდებოდა, სწორედ ამ დროს ესხმოდნენ თავს რუსეთის საჯარისო შენაერთებს შეირადებული თათრები, რომელთა რიგებში ოსმალო ოფიცრებიც იყვნენ. ნიკოლოზ მაქარაშვილი რუსების დაბომბვას ემსხვერპლა. არბოში შემორჩენილ ეპიტაფიაში ნიქოლოზ მაქარაშვილის დაღუპვის თარიღი -- 1917 წლის 10 იანვარი არასწორად არის მითითებული. ეს უზუსტობა ჩანს გაზ. „ერთობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სამძიმრის განცხადებიდან, სადაც ვკითხულობთ: „მწუხარებით გულმოკლული ნინა დურმიშხანის ასული მაქარაშვილი თავის შვილებით ირინა და მიშათი, გიორგი დურმიშხანის ძე და ელენა გიორგის ასული ჟურული უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 10 იანვარს სად. შამხორთან, ჯავშნიან მატარებელში ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი შვილი, მეორეთა საყვარელი ძმა, ხოლო დანარჩენთა ძმისწული (სამძიმრის განცხადების ამ ნაწილში შეცდომაა. ნიკოლოზ მაქარაშვილი გიორგი ჟურულის დისშვილი იყო და არა ძმისშვილი-გ.ს.) ქართულ სამთოცხენოსან ბატარეის პოდპორუჩიკი ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე მაქარაშვილი. პანაშვიდი ქაშუეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება სოფ. არბოში (გორის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, საგვარეულო სასაფლაოზე. მიცვალებულს ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ და სადგურზე წაასვენებენ პარასკევს 19 იანვარს. მიცვალებულის სულის მოსახსენებელი წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება დილ. 10 ს.“ აქვეა, სამძიმრის მეორე განცხადებაც: “პარმენ დავითის ძე, სიმონ და ილია პარმენის ძენი გამყრელიძენი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ ნიკუშა მაქარაშვილის ტრალიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქაშუეთის ეკლესიაში საღამოს 6

საათ. დასაფლავება მოხდება სოფ. არბოში (გორის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, (როგორც ჩანს, თავდაპირველად ნიკოლოზ მაქარაშვილის არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში დაკრძალვას აპირებდნენ, თუმცა შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს და გარდაცვილილი ტამარში მამის გვერდით დაასაფლავეს), საგვარეულო სასაფლაოზე. მიცვალებულს ქვაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ და სადგურზე წაასვენებენ პარასკევს 19 იანვარს მიცვალებულის სულის მოსახსენებელი წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.” (ერთობა, 1918: 1, #13) საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკები სასტიკად მოექცნენ არბოში მცხოვრებ ნინო დურმიშხანის ასულ ჟურულს. მას იჯარით გაცემული ვენახი ჩამოართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. 1927 წლით დათარიღებულ დოკუმენტში “სიები ყოფილი თავადების, აზნაურების და მემამულეებისა ტყვიავის და შინდისის ზონების მიხედვით” ვკითხულობთ: „მაკარაშვილი ნინა დურმიშხანის ასული - 55 წლის ქართველი, ყოფილი აზნაური, სოფელ არბოს მაცხოვრებელი, 17 წლამდე (1917 წ) ჰქონდა ასი მეათედი სახნავი მიწის ნაკვეთი. მის მეუღლეს ილიას ჰყავდა 6 მონა, (ტექსტი რუსულ ენაზეა შედგენილი და აღნიშნულია „მონა“, უნდა ეწეროს ალბათ მოსამსახურე - გ.ს) ძალზედ ავიწროვებდა გლეხებს, ძალით ართმევდა საქონელს, მეზობელი სოფლებიდან მსხვილფეხა საქონელის (ნახირის) გადარეკვაში სულზე 50 კაპიკ გამოსასყიდს იღებდა. 17-21 წწ. მისთვის მამული არ ჩამოურთმევიათ. მისი მეუღლე გარდაიცვალა 17 წელს. (დუკუმენტში უზუსტობაა გენერალ ილია მაკარაშვილის გარდაცვალების თარიღი როგორც მისი ეპიტაფიიდან ჩანს (იხ. ქვემოთ) არის 1912 წელი, ნაცვლად მითითებული 1917 წლისა - გ. ს.) გლეხებთან უხეში ურთიერთობა ჰქონდა. 21-28 წწ მიწის რეფორმის გატარებისას მამული ჩამოურთმეულ იქნა და ამჟამად სამი მეათედი ბაღი აქვს, რომელიც არენდითაა გაცემული, გლეხებთან აქვს მტრული დამოკიდებულება, გლეხებსაც ეზიზღებათ ისინი. აქვს სახლი, ჰყავს სამი მოსამსახურე. ვაჟი მიხეილი სწავლობს საზღვარგარეთ, ჰყავს 60 წლის ძმა გიორგი ჟურული (დედანიშია დჟურული). ამ ტექსტს ახლავს მინაწერი: **მისი ძმა ჟურული გიორგი** (იგულისხმება საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული - გ.ს) **იმყოფება საზღვარგარეთ.**“ (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი #2, ანაწერი #1, საქმე #495: 16)

ნინო დურმიშხანის ასულის მიმართ ბოლშევიკების ზეწოლა ამით არ დასრულებულა. როგორც ყოფილი გენერლის მეუღლეს, გორის რაიალმასკომის პრეზიდენტის 1933 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქონება ჩამოართვეს და სოფლიდან გაასახლეს. ამის მიზეზად გადაწყვეტილებაში მითითებულია ადგილობრივ გლეხთა უკმაყოფილობა. დოკუმენტში: „ამონაწერი გორის რაიალმასკომის

პრეზიდენტის 1933 წ. სექტემბერი 19. სხდომის ოქმიდან #29/100&” ვკითხულობთ:

“მოისმინეს: ნინო მაკარაშვილი ჟურულის შესახებ ტირმნისი სას. საბჭოს დადგენილება ბად. ვენახის ჩამორთმევის და მისი სოფლიდან გასახლების შესახებ(მომხს. ამხ. სტეფანოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა რაი აღმასკომის მიერ ამ საკითხის ადგილობრივ გამოკვლევას)

აზრი გამოსთქვეს: კალანდაძემ, კველიშვილმა, ელეგაშვილმა.

დაადგინეს: ვინაიდან დიდი უკმაყოფილებაა სოფ. არბოში მცხ. კოლმეურ. და ინდივიდ. გლეხობის შორის ყოფ. გენერლის ცოლის ნინო ჟურულის შესახებ. რომელიც ამუშავებს თავის ვენახს დაქირავებული შრომით. რაოდენობით 1 გაქტ.(იგულისხმება ჰექტარი), ხილ-ბადი 0.5 გა. სახლი ხუთ ოთახიანი ამისათვის დადასტურდეს ტირმნისის სას. საბჭოს პრეზიდენტის დადგენილება ქონების ჩამორთმევაზე. მხოლოდ ერთი ოთახი და სამოსახლო ადგილი დარჩეს ჟურულის მოსამსახურეს, ქონება კი გადაეცეს არბოს კოლმეურნეობას. ნინო მაკარაშვილი ჟურულისა გასახლებულ იქნეს აღნიშნულ სოფლიდან დასტური ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

თავმჯდომარე: ერ. კალანდაძე.

მდივნობდა: არბოლიშვილი.

ასლი დედანთან სწორეა:

საქმის მწარმოებელი (ე. მცხვეთაძე).” (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი #4, ანაწერი 1, საქმე #135: 23) ბოლშევიკებისაგან შერისხული და სოფლიდან გაძევებული ნინო ჟურული-მაკარაშვილისა 1948 წელს გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მის ქალიშვილს, ირინა ილიას ასულს სურვილი ჰქონდა დედა არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მშობლების, მეუღლის და შვილის გვერდით დაეკრძალა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოჯახს გარდაცვლილის ტაძარში დაკრძალვაზე უარი უთხრეს. საფრანგეთში მცხოვრები მიხეილ ილიას ძე მაქარაშვილი თავის მოგონებებში წერს: „დედაც არბოში გარდაიცვალა 1948 წლის 4 სექტემბერს, მაგრამ ბოლშევიკებმა არ დააკრძალვინეს იგი ეკლესიაში. ჩემი დის ირას წერილით შევიტყვე, რომ იგი სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს.“ (ნაცვლიშვილი, 1992: 8) გენერალ ილია მაქარაშვილის სახლში ერთი ოთახი ბოლშევიკებმა მოსამსახურე ბეკოშვილს დაუტოვეს. საბოლოოდ ამ სახლს სწორედ ბეკოშვილები დაეპატრონნენ. ბეკოშვილები არბოში რამდენიმე ათეული წლის იყვნენ დამკვიდრებულები. აღნიშნული გვარი არბოს წმინდა გიორგის ტაძრის სარეგისტრაციო წიგნშიც გვხვდება. (მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყჟ წლისა, ნაწილი პირველი

დაბადებულთათვის: 12) 1927 წლის სოფელ არბოს ამომრჩეველთა ნუსხაში ბეკოშვილთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელია დაფიქსირებული: ბეკოშვილი ივანე ისაკის ძე (დაბ. 1877 წ.), ოლღა მიხეილის ძე (დაბ. 1892 წ.), ანნა ივანეს ასული (დაბ. 1909 წ.), იოსებ ისაკის ძე (დაბ. 1857 წ.), ნინო გიგას ასული (დაბ. 1877 წ.). (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი #3, ანაწერი #1, საქმე #471: 16)

ოდნავ მოგვიანებით, არბოში, მაქარაშვილების ფუძეზე დამკვიდრდა ირა (ირინა) მაქარაშვილის მეუღლე, ცნობილი მეცნიერი ანატოლი კიზირია. იგი უდროოდ გარდაცვლილი ნიკუმა მაქარაშვილის მეგობარი იყო. ანატოლი კიზირია დაიბადა 1889 წელს სენაკის რაიონში, სოფელ ნოსირში. 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, ხოლო 1916 წელს პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. ანატოლი კიზირია 1918-1920 და 1923-1936 წლებში მოღვაწეობდა სენაკის მაზრის რევკომში. 1932-1938 წ.წ. იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის და ელექტროფიკაციის კათედრის გამგის პოზიციას იკავებდა. 1938-1971 წ.წ. კი საქართველოს ზოოვეტერინალური სასწავლო-საკვლევო ინსტიტუტის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის კათედრას უდგა სათავეში. 1973-1976 წლებში ანატოლი კიზირია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში კონსულტანტის პოზიციაზე მოღვაწეობდა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მოღვაწე ქართველი მეცნიერი 1947 წელს სოფლის მეურნეობის დოქტორი გახდა, ხოლო 1948 წელს კი პროფესორი. 1965 წელს ანატოლი კიზირიას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1980: 511-512; <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009743/>) ანატოლი კიზირია გარდაიცვალა 1976 წელს.<sup>5</sup> ანატოლის და ირინას შვილი არ ჰყავდათ. ანატოლი ხშირად ჩამოდიოდა სოფელ არბოში. „ქაბუკობაში მათთან ხშირი ურთიერთობა მქონდა. ქალბატონი ირაც ძალიან კარგად მახსოვს. მათი შესანიშნავი სასახლე აივნებით იყო დამშვენებული, ღიახვს გადაჰყურებდა. სასახლეს დიდი მარანი ჰქონდა, ხოლო მეორე სართულზე არსებულ სივრცეს ჩვენს ბავშვობაში კლუბად იყენებდნენ. ამ სახლში როგორც გამიგია ქართული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. მახსოვს ქალბატონი ირა დიდ სავარძელში იჯდა ხოლმე და ხშირად მოუმართავს ასეთი ფორმით:

<sup>5</sup> ანატოლი კიზირია და მისი მეუღლე ირინა მაქარაშვილი-კიზირიასი განისვენებენ ვაკის სასაფლაოზე. ანატოლის გვერდით დაკრძალულია მისი და ელენე პავლეს ასული კიზირია (1874-1953 წ.წ.) რომელიც 1916 წლის მონაცემებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილ წევრად არის მოხსენიებული. (<https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/article/2160>)

„ახალგაზრდავ!“ ის არისტოკრატიული გარეგნობის ქალბატონი იყო. ანატოლი კიზირიამ ძალზე ბევრი რამ გააკეთა სოფლისთვის. გაიყვანა სასმელი წყალი, ააშენა არბოჰესი, (არბოს ჰიდროელექტრო სადგური). მახსოვს ერთხელ, ეს იყო XX საუკუნის 60-იანი წლები, მან ერთი მაღალი თანამდებობის პირი ჩამოიყვანა, გვარად ანთიმე. მე და ანატოლი კიზირიას სტუმარი სანადიროდ წავედით. მაშინ ცხრამეტი-ოცი წლის ვიქნებოდით. სანადიროდ წითელ საყდრებთან ავედით, ეს არის არბოს მინდვრების ზემოთ დმენისის ჩასახვევთან. სტუმარი დაიღალა, თოფი უცნაურად ეჭირა და ამ დროს გაუვარდა კიდეც. მარცხენა მხარი გაგლეჯილი ჰქონდა. ხელში ავიყვანე და ვანათის გზაზე წვლებით გავედი. ვანათის ამბულატორიამდე მივიყვანე. პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. შემდეგ კი ცხინვალში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია მისმა ყოფილმა სტუდენტმა ვალოდია ცოტნიაშვილმა ჩაუტარა. მაკარა-შვილების სახლში შემდეგ ბეკოშვილები დასახლდნენ, რომლებიც მოსამსახურეები იყვნენ”.<sup>6</sup> ირინა მაქარაშვილმა თავისი მამისეული ქონება, სოფელ არბოში, კერძოდ, საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი თავის ნათესავს, თბილისში მცხოვრებ მერაბ მაქარაშვილს ანდერძით გადასცა. 1979 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მე, ირინა ილიას ასული კიზირია, მცხ. ქ. თბილისის, პეროვსკაიას ქუჩა 8, წინამდებარე ანდერძით ვიძლევი შემდეგი სახის განკარგულებას: 1. კერძო სახლს და ჩემს ქონებას, მდებარეს: გორის რ-ნი, სოფ. არბოში, რომელიც ჩემი გარდაცვალების დღისათვის აღმოჩნდება ჩემს საკუთრებაში, რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, მე ვუანდერძებ მერაბ აკაკის მე მაქარაშვილს. 2. საქართველოს სსრკ სამოქალაქო კოდექსის მუხლების 546-ე, 547-ე, 569-ე შინაარსი ნოტარიუსის მიერ განმემარტა. 3. ანდერძი შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ქ. თბილისის I სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში, მეორე გადაეცა მოანდერძეს. ხელმოწერა/ხელმოწერილია “02” აგვისტო 1979 წ. წინამდებარე ანდერძი დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის I სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსისი გ. კ. ამისულაშვილის მიერ. ანდერძი ხელმოწერილია ი. ი. კიზირიას მიერ ჩემი თანდასწრებით. მოანდერძის პირადობა და ქმედუნარიანობა შემოწმებულია. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 2) იმავე წლის თებერვალს, ანდერძის მიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობაც გაიცა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. თბილისის ათასცხრას ოთხმოცდაერთი წლის ოცდახუთი თებერვალი მე, ქ. თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსი ნ. ს. ჟღამაძე ვამოწმობ, რომ 1980 წლის 21 თებერვალს გარდაცვალებული მოქ. ირინე ილიას ასული კიზირიას ანდერძის საფუძველზე, რომელიც

6 გადმოცემა ჩავიწერეთ 1941 წელს დაბ. სოლომონ მაისურაძისაგან.

დამოწმებულია ქ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში 1979 წლის 2 აგვისტოს და რეგისტრირებულია რეესტრში #3-13565-ით ანდერძში ნაჩვენებ ქონებაზე მის მემკვიდრედ ცნობილია მოქ. მერაბ აკაკის ძე მაქარაშვილი მცხ. ქ. თბილისში პეტრიაშვილის ქ. #16-ში. სამკვიდრო ქონება, რომელზედაც გაცემულია ეს მოწმობა არის მთელი საცხოვრებელი სახლი მდებარე გორის რაიონის სოფ. არბოში. მთელი საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია, შესდგება რვა საცხოვრებელი ოთახისაგან. საცხოვრებელი ფართია 215 კვ. მეტრი, აქვს დამხმარე სათავსოები ფართით 160 კვ. მ. სადაზღვევო ღირებულებაა 1407 მანეთი, რაც დასტურდება გორის რაიონის დიციის სასოფლო საბჭოს მიერ 1981 წლის 16 თებერვალს გაცემული #138 ცნობით. ეკუთვნის 1976 წლის 9 თებერვალს გარდაცვალებულ მოქ. ანატოლი პავლეს ძე კიზირიას. მისი მემკვიდრე იყო მეუღლე მოქ. ირინე ილიას ასული კიზირია, რომელმაც მიიღო სამკვიდრო, მაგრამ ვერ მოასწრო თავისი სამემკვიდრეო უფლებების გაფორმება.” დოკუმენტს ხელს აწერს ნოტარიუსი ნ. ჟღამაძე. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 12) მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ირინე მაქარაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია. 1980 წლის 21 თებერვალს, ირინე ილიას ასული მაქარაშვილი (გარდაცვალების მოწმობაში იგი კიზირიად არის მოხსენიებული, როგორც ჩანს ირინე ილიას ასული დოკუმენტებში მეუღლის გვარით იწერებოდა) სიმსივნური ინტოქსიკაციით გარდაიცვალა. გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების მიერ 1980 წლის 2 დეკემბერს გაცემულ ცნობიდან ჩანს, რომ არბოში არსებული მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი ირინეს და მის მეუღლეს უკუთვნოდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: “ცნობა ეძლევა სოფელ არბოში ყოფილ მცხოვრებ ამჟამად გარდაცვლილ ანატოლი პავლეს ძე კიზირიას, მასზედ, რომ მის სახელზე არავითარი დავალიანება არ ირიცხება სახელმწიფო გადასახადებში და მის ბინას არავითარი ყადაღა არ აქვს დადებული. ცნობა ეძლევა სანატარო კანტორაში წარსადგენად. გორის რაიფინგანის გამგის მოადგილე: ვ. ბუდედაშვილი”. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 5) არბოში არსებული მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი რომ ანატოლი კიზირიას და მის მეუღლეს ეკუთვნოდათ დასტურდება ასევე 1980 წლის 22 დეკემბერს დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული დოკუმენტიდანაც: „ცნობა გაიცა გორის რაიონის სოფელ არბოში მცხოვრებ აწ გარდაცვლილ ანატოლი პავლეს ძე კიზირიაზე, მასზედ, რომ წასული კომლების წიგნის ჩანაწერით მისი ბინა აშენებულია 1918 წელს (დოკუმენტში მაქარაშვილების საცხოვრებელის აშენების თარიღი შეცდომით წერია). ბინა არის სამ სართულიანი. საცხოვრებელი ოთახები არის ხუთი. II სართულზე არის სამი საცხოვრებელი ოთახი, ხოლო III სართულზე ორი ოთახი. მთლიანი შენობის ფართი 15/15, ხოლო დამხმარე სათავსო არის 15/15. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი უკავია 0, 02

ჰა“. დოკუმენტს ხელს აწერენ დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 9) დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ ამავე რიცხვით დათარიღებული ცნობიდან ჩანს, რომ ანატოლი პავლეს ძე კიზირია გორის რაიონის სოფელ არბოში ცხოვრობდა და კომლის უკანასკნელი წევრი იყო. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 10) 1980 წლის 16 თებერვალს დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული ცნობის თანახმად მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი (სადაც ანატოლი კიზირია ცხოვრობდა), 1407 მანეთად იყო შეფასებული. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გარდაცვლილი მეცნიერი, სახლის სადაზღვევო გადასახადსაც იხდიდა. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 11) როგორც მიუვითებდით ირინე მაქარაშვილის ანდერძის თანახმად მისი გარდაცვალების შემდეგ სოფელ არბოში არსებული მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი და ქონება თავის ნათესავს, ილია მაქარაშვილის ძმის შვილის შვილს-მერაბ მაქარაშვილს გადაეცა. მერაბ მაქარაშვილის წინაპარი ამბერკი მაქარაშვილი საყვარელა მაქარაშვილის შვილიშვილი იყო. ღარის ეკლესიის ჩანაწერების მიხედვით ამბერკი მაქარაშვილი 1886 წლის 21 იანვარს დაიბადა. ახალშობილის მამა აზნაური კონსტანტინე საყვარელას ძე მაქარაშვილი გახლდათ, ხოლო დედა მელანია ლევანის ასული. ამბერკი კონსტანტინეს ძე 3 მარტს მოინათლა. ნათლისღება აღასრულა მღვდელმა გრიგოლ ნანაუკაშვილმა. სწორედ ამბერკი მაქარაშვილის, ილია მაქარაშვილის ძმის შვილის შვილის შთამომავალია (ამბერკის ძის - აბესალომის შვილის - აკაკის ვაჟი) მერაბ მაქარაშვილი. მაქარაშვილების საცხოვრებელი არბოს წმინდა გიორგის გუმბათოვანი ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობდა. სახლი XX საუკუნის დასაწყისში ცნობილი ქართველი არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის პროექტის მიხედვით აშენდა. (სიკმა, 1990: 44; გაიპარაშვილი, გურგენიძე, ჭანტურია, 2020: 288-289). პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი შეადგინა, დურმიშხან ჟურულთან და მის ოჯახთან სავარაუდოდ დავით კლდიაშვილმა დააკავშირა. გამოჩენილი ქართველი მწერალს დურმიშხან ჟურულის ოჯახთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. (სოსიაშვილი, 2019ა) არბოში არსებული მაქარაშვილების ორსართულიანი სახლი XX საუკუნის II ნახევარში დაინგრა. მაქარაშვილების საოჯახო არქივში დაცულია აღნიშნული ნაგებობის XX საუკუნის დასაწყისის ფოტო. XX საუკუნის დასაწყისში სვიმონ კლდიაშვილის მიერ დაპროექტებული სახლი რუსეთის იმპერიის საფოსტო გზავნილებზე იყო გამოსახული. არბოს წმინდა გიორგის ტაძარში შემორჩენილია გენერალ ილია მაქარაშვილის და მისი ვაჟის-ნიკოლოზის ეპიტაფიები:

**“გენერალ ლეიტენანტი ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი დაიბადა 1 დეკემბერს 1854 წ.**

**აღსრულდა 17 ივლისს 1912 წ.”**

ილია მაკარაშვილის საფლავის გვერდით ტაძრის სვეტზე ჩაშენებულ მარმარილოს სტელაზე ასეთ წარწერაა: **“გენერალ-ლეიტანანტი ილია საყვარელის ძე მაკარაშვილი 18 1/XII 54 19 17/VII 12**

**“ნიკოლოზ ილიას-ძე (ნიკუშა) მაკარაშვილი პოდპორ ქართულ-ცხენოსანთა არტილ ბატარიასი გმირულად მოკლულ იყო შამხორს 10 იანვარს 1917 წ. დაბადებიდან 20 წლისა.”** (ეპიტაფიის ამოკვეთის დროს ნიკოლოზ მაკარაშვილის გარდაცვალების თარიღი არასწორად არის მითითებული, უნდა ეწეროს 1918 წლის 10 იანვარი)

როგორც მივუთითებდით, ილია მაკარაშვილს და ნინო ჟურულს ნიკოლოზის გარდა კიდევ ორი ვაჟი ჰყავდათ. გიორგი ადრეულ ასაკში გარდაცვლილა. მათი უმცროსი ვაჟი-მიხეილი 1903 წელს დაიბადა. ფრანგულად დაწერილ მოგონებაში, რომლის დიდი ნაწილი პ. ნაცვლიშვილმა გამოაქვეყნა, მიხეილი წერს: **“დავიბადე 1903 წლის 7 ოქტომბერს ძველი სტილით (ახალი სტილით 20 ოქტომბერს) ჯილალ-ოღლიში-პატარა ქალაქში საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე. აქ იმყოფებოდნენ იმ დროს ჩემი მშობლები-მამა ქალაქის გარნიზონში მსახურობდა. მე მომნათლეს არბოში და იქვე ვცხოვრობდი ჩემს ბებიასა და ბაბუასთან ერთად”.** (ნაცვლიშვილი, 1992: 6) ილია მაკარაშვილის უმცროსი ვაჟი-მიხეილი 1922 წელს საფრანგეთში განათლების მისაღებად გაემგზავრა. მიხეილ მაკარაშვილი წერს: **“მე დავტოვე ჩემი სამშობლო 1922 წელს, როგორც კი შემისრულდა 19 წელი, რათა ჩემი საინჟინრო განათლება უცხოეთში განმემტკიცებინა. რაკი გადაწყვეტილი მქონდა დაბრუნება, თან არ წამომიღია არც ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა ჩვენს ოჯახს. სიმართლე რომ ვთქვა, მე მაშინ ამაზე არც მიფიქრია. თუ ღმერთის წყალობით, ოდესმე მოგეცემათ საქართველოში წასვლის შესაძლებლობა და თუ წახვალთ, ვეჭვობ, მათი დაბრუნება შეძლოთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ერთადერთი და –ირა აღარ არის ახალგაზრდა და თანაც ქაღალდები შეიძლება, უბრალოდ, დაიკარგა”.** (ნაცვლიშვილი, 1992: 6) საფრანგეთში მცხოვრებმა მიხეილ მაკარაშვილმა პოლონელ ქალბატონზე ელიზაბეტ გლასზე იქორწინა, რომელთანაც ორი შვილი გიორგი და ინესი შეეძინა.

მიხეილ მაკარაშვილს საფრანგეთიდან მიწერ-მოწერა ჰქონდა საქართველოში მცხოვრებ ოჯახის წევრებთან, ვგულისხმობთ ნინო ჟურულს და ირინა მაკარაშვილს, საქართველოს ხელოვნების სასახლის არქივში აღნიშნული მიწერ-მოწერის ამსახველი არაერთი წერილი ინახება. მიხეილ მაკარაშვილი 1967 წლის დეკემბერში 64 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო მისმა მეუღლემ ელიზაბეტ გლასმა კი 2007 წლამდე იცოცხლა. მიხეილის და ელიზაბეტის შვილებიდან, ინესს ორი ქალი-შვილი გაუჩნდა: იზაბელი და ნატალი. (ნაცვლიშვილი, 1992: 8) ისინი საფრანგეთში, პარიზში ცხოვრობენ. მიხეილ მაკარაშვილის ვაჟი გიორგი



მოგვიანებით პარიზიდან საცხოვრებლად სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, კერძოდ, პერუს დედაქალაქ ლიმაში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად იგი ადგილობრივ ბანკში მუშაობდა. სწორედ ლიმაში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე-კარმენი. 1992 წელს პერუში მცხოვრები გიორგი მაქარაშვილი მოინახულა ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა, მაშინ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა პ. ნაცვლიშვილმა. იგი წერს: “პერუს დედაქალაქში ჩასვლის პირველსავე დღეს მოვძებნეთ ბატონი გიორგი, რომელიც ლიმაში შვეიცარიული “ქიმიკა-სუისა”ს წარმომადგენლობაში მუშაობს. მეორე დღეს კი მისი სტუმრები ვიყავით ლიმას გარეუბანში, ძალზე ლამაზად მოწყობილ მის ვილაში. ქალაქიც დაგვათვალიერებინა, გვიმეგზურა, სასტუმროშიც ხშირად გვირეკავდა, ქართული სპორტის საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი გასვლითაც ჩვენთან ერთად გაიხარა. ქართველ ტელემყურებელს საშუალება ჰქონდა ეხილა ლიმაში ჩემს მიერ გადაღებული კადრები, ინტერვიუ ბატონ გიორგისთან და მისი ოჯახის წევრებთან.” (ნაცვლიშვილი, 1992: 6) გიორგი მაქარაშვილს და მის პერულ მეუღლეს-კარმენს 6 შვილი შეეძინათ - 4 ვაჟი და 2 ქალიშვილი. პ. ნაცვლიშვილთან მიცემულ ინტერვიუში თავისი ოჯახის შესახებ გიორგი მაქარაშვილი აღნიშნავს: „მეც ყოველთვის ვოცნებობდი, საკუთარი თვალთ მენახა ეს მშვენიერი ქვეყანა, ჩემი სამშობლო. მაგრამ საქართველოს ნაცვლად ბედმა პერუში ჩამომიყვანა. მე და კარმენს ექვსი შვილი გვყავს: უფროსი მიხეილი-მიხო-29 წლისაა (ინტერვიუ ჩაწერილია 1992 წელს - გ.ს.), მისი ცოლი-ლურდა-პერუელია, ორი შვილი ჰყავთ-მიშელი და ჟიზელი. შემდეგ ვირხინია მოდის, 28 წლისაა, იუგოსლავიური წარმოშობის პერულს ჰყავს ცოლად, ერთი შვილი ჰყავთ-მირეო. 26 წლის პოლი, იგივე პავლე, ჯერ უცოლშვილოა. 25 წლის ვერონიკა ერთ თვეში გათხოვდება; შვეიცარიელ მასწავლებელს მიჰყვება ცოლად და საფრანგეთში იცხოვრებს. შემდეგ მოდის 19 წლის სერგო-სერხიო-და ნაზოლარა-7 წლის ანდრე, იგივე ანდრო“. (ნაცვლიშვილი, 1992: 6) საფრანგეთში მცხოვრებ მიხეილ მაქარაშვილის მეუღლეს პოლონური წარმოშობის ელიზაბეტ გლასს მეუღლის სამშობლოსთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. როგორც ირკვევა, ის ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში. მიხეილ მაქარაშვილის მეუღლეს სოფელი არბოც მოუნახულებია. ელიზაბეტ გლასის მიერ 1991 წლის 1 ივნისს, პარიზიდან თბილისში მცხოვრები ნათესავის მერაბ მაქარაშვილისადმი გაგზავნილ წერილში ემიგრაციაში მყოფი მაქარაშვილების სამშობლოსთან ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით. წერილიდან ირკვევა, რომ მიხეილ მაქარაშვილის მეუღლე დიდ პატივს სცემდა ქართველებს და თბილად იხსენებდა ნათესავებთან საქართველოს დედაქალაქში გატარებულ დღეებს: “მვირფასო მერაბ და ლალი! გთხოვთ, მაპატიოთ პასუხის დაგვიანება. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე საკმაოდ დრო მოვანდომე

თქვენი წერილის თარგმნას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ რუსულად ვლაპარაკობ, წერა და თარგმნა მაინც მიჭირს. როგორც კი წერილი ვთარგმნე მაშინვე გავუგზავნე იგი ჩემს შვილებსაც. მათ ძალიან აინტერესებთ ყოველივე. ბევრი დრო მოვანდომე საქართველოს კულტურული საზოგადოების ჟურნალში ჟურნალების ოჯახზე გამოქვეყნებული ტექსტის თარგმნას. მათ მე ვიცნობდი ჩემი ქმრისაგან, რომელიც თავის მხრივ ხშირად იღებდა წერილებს დედამისისაგან ქალბატონ ნინა დურმიშხანის ასულისაგან. ჩვენ ვიცოდით, რომ არბოში სახლის ჰოლი დათმობილი ჰქონდა სკოლას, ქვედა სართულის ნახევარი კი მაღაზიას, მაგრამ ქ-ნი ნინა წერილებში გვწერდა, რომ აპირებდა არბოში, მის სათაყვანებელ სოფელში, სამი თვის გატარებას. ეს იყო მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე 1948 წელს. მე ეს კარგად მახსოვს, რადგან ამ წელს ივლის-აგვისტოს თვეში ჩვენ ზღვისპირეთში ვისვენებდით. ირა მეუბნებოდა ხოლმე, რომ მათ ბაღში იმდენი ლობიო, კაკალი, ვაშლი და შინდი ჰქონდათ, რომ არათუ უჭირდათ, სხვებსაც კი ეხმარებოდნენ თურმე. ინესა და მისი ქმარი ჟან-პიერ სელიოტი თბილისში იყვნენ 1969 წელს. მათ მოინახულეს არბოც. რაც შემეხება მე, ვიყავი ორჯერ. ერთხელ 1970 წელს ტოლას (იგულისხმება ირინა მაქარაშვილის მეუღლე, ცნობილი მეცნიერი ანატოლი კიზირია-გ.ს.) სიცოცხლეში და მეორეჯერ მისი გარდაცვალების შემდეგ. ორივეჯერ დავრჩი 2-2 თვეს და, ბუნებრივია, იროჩკასთან ერთად მოვინახულე არბოც. დავყავი 10-15 დღე. მე მათ ვეხმარებოდი ვაშლის, ატმის, ქლიავის და ლობიოს კრეფაში. ამ დროისთვის სახლი უკვე სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ ირას და ტოლას სახსრები არგააჩნდათ მის შესაკეთებლად. მიუხედავად საშინელი დისკომფორტისა (საცხ. პირობები) მე ძალიან ბედნიერი გახლდით მშობლიურ ქვეყანაში მშობლიურ სახლში ყოფნით, რომლის შესახებაც ჩემი ქმარი ძალიან ბევრს გვიამბობდა. ჩვენ გვემსახურებოდა ერთი ყოჩაღი გლეხი, ძალზე ერთგული მსახური ირასი და ტოლასი. მართალია, მისი სახლი აღარ მახსოვს, მაგრამ ვფიქრობ ეს ის გლეხი უნდა იყოს, რომლის გასახლებაც თქვენ გიჭირთ (თუ ვერ გაასახლეთ). მე დღემდე ვინახავ მშვენიერ მოგონებებს არბოსა და თბილისზე, იმ თავაზიან მეგობრებზე, რომლებმაც ყველაფერი გაუკეთეს ჩემს იროჩკას, დიდის ერთგულებით. 2 კვირაა, რაც დავამთავრე წერილის თარგმნა და უკვე გავუგზავნე ჩემს შვილებს გოგის და ინესას. წერილის თარგმნისას ძალიან შევწუხდი იმაზე, რომ თქვენ ამდენი დაბრკოლების გადალახვა მოგიწიათ მემკვიდრეობის უფლების აღსადგენად იმ სახლზე, რომელიც ირამ თქვენ დაგიტოვათ ანდერძით. აღფრთოვანებული ვარ თქვენი მოთმინებითა და ნებისყოფით. ბედნიერი ვარ იმით, რომ ეკლესია აღუდგენიათ და უკვე მოქმედებს კიდევ. მხოლოდ ამ ფაქტს შეუძლია სოფ. არბოს მცხოვრებთ დიდხანს დაამახსოვროს ჟურნალების ოჯახი. მე არ ვიცი, იცით, თუ არა, რომ გიორგი ჟურნალსა და მის ცოლს ელენ მუსხელიშვილს ჰყავდათ 2

ვაჟი-კონსტანტინე და დურმიშხანი. კონსტანტინე და მისი ცოლი გარდაიცვალნენ 1947 წელს. ბავშვები არ ჰყოლიათ. დურმიშხანი ბევრი თავგადასავლებისა (უბედური შემთხვევების) და ხანგძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამ 3 წლის წინ. მას დარჩა ერთი ღვიძლი ქალიშვილი, რომელიც ვფიქრობ, უკანაკსნელი ნაშიერი უნდა იყოს ჟურნალების ოჯახისა. მას ჰყავს 2 ვაჟი: სედრიკი და ლუა. როგორც კი ასლებს გადავიღებ, ჟურნალს მათაც გავუგზავნი. დაე, იცოდნენ ვინ იყვნენ მათი წინაპრები, რომელთა შესახებაც ასე ხშირად უყვებოდათ მამა. ვფიქრობ, ეს მათ დიდ სიამოვნებას მიანიჭებს... (წერილში ის ადგილი გამოვტოვეთ სადაც საუბარია გიორგი (გოგი) მაქარაშვილის ოჯახის წევრებზე, რადგან მათ შესახებ ზემოთ უკვე მივუთითებდით - გ. ს.) გოგიმ ზემოთ აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან თავისთან მიიპატიჟა ლიმაში ჩამოსული ბევრი ქართველი. უნდა გითხრათ, რომ გოგომ და ინესამ არ იციან არც ქართული და არც რუსული. მხოლოდ რამდენიმე ფრაზა. სამაგიეროდ იციან ლეკურის ცეკვა. ძვირფასო მერაბ! მთელი გულითა და სულით გისურვებთ წარმატებით გაგერთვათ თავი დაწყებული საქმისთვის, მაგრამ ისეთ საექვო დროში ვცხოვრობთ, რომ თქვენს მაგივრად მე მაცახცახებ. გფარავდეთ ღმერთი! თქვენი მოსიყვარულე მეგობარი ელიზაბეტ მაქარაშვილი. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 29) მერაბ მაქარაშვილს ამ წერილის შემდეგ მიხეილ მაქარაშვილის ქალიშვილი ინესიც გამოეხმაურა. 1991 წლის 27 აგვისტოს საფრანგეთიდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ძვირფასო მერაბ, მე მგონი შეძლებ ამ წერილის გაგებას, რადგან ჯერ-ჯერობით არ შემიძლია იგი დავწერო არც რუსულად და არც ქართულად. გულზე ძალიან მოგვხვდა წერილი, რომელიც დედას გამოუგზავნეთ, აგრეთვე ის მასალები არბოს შესახებ, რომელიც ჩვენ შევძელით გადაგვეთარგმნა. ვიმედოვნებთ, რომ ის რაც შენ გასწიე არბოსათვის (იგულისხმება მემკვიდრის უფლების მქონე მერაბ მაქარაშვილის თავდაუზოგავი შრომა და არაერთი მცდელობა არბოში არსებული მაქარაშვილების ისტორიული სახლის რეაბულიტაციის განხორციელების თვალსაზრისით-გ.ს.), ერთ დღეს აუცილებლად გამარჯვებით დამთავრდება. ჩვენ ძალიან ცოცხალი მოგონებები გვაქვს არბოზე, როცა მე, ჟანი (იგულისხმება ინესის მეუღლე ჟან პიერი-გ.ს.) და იკი (?) ვიყავით საქართველოში 1969 წელს დეიდა ირასთან და ბიძია ტოლიასთან (იგულისხმებიან ირინე მაქარაშვილი და მისი მეუღლე ანატოლი კიზირია-გ.ს.). იქ ერთად რამდენიმე დღე გავატარეთ. ასევე მოვიწახულებთ ეკლესია(იგულისხმება არბოს წმინდა გიორგის ეკლესია-გ.ს.) და გადავიღეთ შიგნით არსებული სხვადასხვა საფლავები. შენ ძალიან კარგად მახსოვხარ, რადგან გნახეთ დეიდა ირასთან პეროვსკაიას ქუჩაზე, თბილისში. მე და ჟან-პიერი ვცხოვრობთ მულუზში, საფრანგეთის აღმოსავლეთით, ბაზელის 30-ში, შვეიცარიის საზღვართან. გვყავს ორი

ქალიშვილი იზაბელა და ნატალი, რომლებიც ცხოვრობენ პარიზთან ახლოს. ორივე გათხოვილია, თითოეულს ჰყავთ პატარა გოგონები. იზაბელა 35 წლისაა, მისი მეუღლე დანიელია. მათი პატარა ქალიშვილი ადელინა 7½ წლისაა. 31 წლის ნატალის ჰყავს მეუღლე--ოლივიე. მათი ქალიშვილი--ანა 3 წლისაა. იზაბელაც და ნატალიც ყოჩაღები არიან. იზაბელა ექთანია, ნატალი--ფარმაცევტი. ჩემი ძმა გოგი სულ პერუშია, მას ჰყავს 6 შვილი, 4 ვაჟი და 2 ქალიშვილი...აი, ის რაც შემემძლო გადმომეცა ჩვენი ოჯახის შესახებ. თუმცა ძნელია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სიამოვნებით ჩამოვალთ მშვენიერ საქართველოში. ბევრი შესანიშნავი მოგონება გვაქვს, ჯერ რაც მამამ მოგვიყვა და აგრეთვე, რაც ვნახეთ ჩვენი ყოფნისას 1969 წელს. სიამოვნებით ვიხსენებთ ყველა იმ მეგობარს, რომლებსაც მანდ შევხვდით. გისურვებთ გამძლეობას, სიმამაცეს თქვენს საქმიანობაში. საუკეთესო სურვილებით ინესა.” (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 37) მიხეილ მაქარაშვილის ოჯახსა და საქართველოში მცხოვრებ მის ნათესავებს შორის მიწერ-მოწერა გრძელდებოდა. ელიზაბეტ გლასმა, რომელიც მეუღლის გვარზე იყო გადასული მერაბ მაქარაშვილს საფრანგეთიდან წერილი 1994 წელსაც გაუგზავნა. რუსულენოვან ბარათში, რომელიც მერაბ მაქარაშვილის საოჯახო არქივშია შემონახული ვკითხულობთ: „ძვირფასო მერაბ! თქვენმა ბარათმა--ახალი წლის და ქრისტეს შობის მილოცვამ ძალიან გამახარა. თუმცა წერილმა 2 თვით დაიგვიანა. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ თქვენზე და გისურვებთ, რომ 1994 წელი უფრო უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე წინა წლები. ბედნიერად ვიგრძენი თავი, როცა გავიგე, რომ თქვენ მოახერხეთ ყველა სიძნელის გადალახვა და რომ თქვენი ოჯახიდან არავინ არ დაზარალებულა. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებთ თვალს მოვლენებს და იმედი გვაქვს, რომ ცხოვრება თქვენთვის და მთლიანად თქვენი ქვეყნისთვის უფრო გაუმჯობესდება. აქ ბევრი ქართველია, ისინი პარიზში გარკვეული დროით ჩამოდიან და იქნებ თქვენი ოჯახიდანაც შეძლოს ვინმემ ჩამოსვლა. საეკლესიო დღესასწაულზე მე რუსიკო ჯანაშიას (იგულისხმება სიმონ ჯანაშიას ქალიშვილი - რუსუდან ჯანაშია. ჯანაშიების ოჯახს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ელიზაბეტ გლასის მეუღლის დასთან--ირინე მაქარაშვილთან - გ.ს.) ერთ-ერთი ბიძაშვილის ცოლს ბავშვებთან ერთად შევხვდი. მათ ვინც საცხოვრებლად აქ ჩამოდის ძალიან რთული პირობები ხვდება, რადგან ყველაფერი ძვირია და სამუშაო არ არის. ჩვენ ყველაფერი კი გვაქვს, მაგრამ ცხოვრება ძალიან ჭირს. მე მგონი უკვე მოგწერეთ, რომ ლუსი (?) და ჟ. პიერი (იგულისხმება მიხეილ მაქარაშვილის ქალიშვილის ინესის მეუღლე - გ.ს.) ბრეტანში, ატლანტიკის ოკანიდან 60 კმ დაშორებით ცხოვრობენ და მე მათ ძალზედ იშვიათად ვნახულობ. გოგისთან სიტუაცია უმჯობესდება. ამჟამად იქ უფრო სიმშვიდეა. ის დაწესებულებებში ეკონომიკურ მრჩევლად მუშაობას განაგრძობს. ინას (იგულისხმება მიხეილ მაქარაშვილის და ელი-

ზაბეტ გლასის ქალიშვილი ინესი - გ.ს.) ორი გოგონა(იგულისხმებიან ინესის ქალიშვილები: იზაბელა და ნატალი - გ.ს.) ჩემგან ძალიან შორს ცხოვრობენ და იმის გამო, რომ მუშაობენ მე მათ ძალზედ იშვიათად ვნახულობ. ზოგჯერ მე ვსტუმრობ. როდესაც ისინი ლექციებს კითხულობენ ბავშვებთან დასარჩენათ მათთან ჩავდივარ. აპრილის ბოლოს ლუსის და ჟ. პიერს ველოდები ისინი პარიზში ჩემთან და ბავშვებთან ერთად რამდენიმე დღის გატარებას აპირებენ. თქვენთან მალე ქრისტეს აღდგომის დღესასწაული დადგება და მინდა მრავალი კარგი დღე, ჯანმრთელობა და სასიამოვნო მომენტი გისურვოთ. იმედი მაქვს, რომ თქვენ უკეთესი დღეები გელით.

საუკეთესო სურვილებით, ე. მაკარაშვილი.

მვირფასო მერაბ! თუ თქვენ რუსიკოს (იგულისხმება რუსუდან ჯანაშია-გ.ს.) ნახავთ მას ჩვენი საუკეთესო სურვილები და ქრისტეს აღდგომის დღესასწაულის მილოცვა გადაეცით. მე ხშირად ვფიქრობ იმ დღეებზე, რომელიც ჩვენ ერთად გავატარეთ თბილისში. ელა” (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 16)

გიორგი (გოგი) მაქარაშვილის მრავალრიცხოვანი ოჯახი პერუს დედაქალაქ ლიმაში ცხოვრობს. გიორგი (გოგი) მაქარაშვილს 89 წელი შეუსრულდა და თავს მხნედ გრძნობს. მას მიწერ-მოწერა აქვთ საქართველოში მცხოვრებ ნათესავებთან, კერძოდ, მერაბ მაქარაშვილის ოჯახთან. ბატონ გიორგი(გოგი) მაქარაშვილთან მისი ოჯახის ნათესავმა და სოფელ არბოში მაქარაშვილების ქონების კანონიერმა მემკვიდრემ ლელა მერაბის ასულმა მაქარაშვილმა დაგვაკავშირა. ბატონ გიორგის სოფელ არბოში მცხოვრები მაქარაშვილების საგვარეულოს ისტორიით ჩვენი დაინტერესების შესახებ ვესაუბრეთ და ძალზე გაიხარა. ვთხოვეთ, მოეთხრო თავისი ოჯახის ისტორია, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა და ინგლისურ ენაზე დაწერილი არბოდან ემიგრაციაში წასული მაქარაშვილების მოკლე ისტორია მოგვაწოდა: „მე მქვია ჯორჯ (გიორგი) გოგი მაკარაშვილი. მე დავიბადე 89 წლის წინ, საფრანგეთში. ვარ ფრანგი ეროვნების და განათლება საფრანგეთში მივიღე. დედაჩემი ელიზაბეტ გლასი პოლონელი იყო, მამა მიმა მაკარაშვილი კი ქართველი. ორივე მათგანი იყო გრენობლში -- საფრანგეთში, სადაც სწავლობდნენ და იქვე იქორწინეს 1930 წლის 5 ივნისს. მამაჩემი 1967 წლის დეკემბერში 64 წლის ასაკში გარდაიცვალა, დედაჩემი კი 2007 წლის აგვისტოში, რამდენიმე კვირით ადრე, სანამ ერთ საუკუნეს მიაღწევდა. ორივე დაკრძალულია საფრანგეთში, პარიზის მახლობლად, ლევილის ქართულ სასაფლაოზე. ჩემი მშობლები ემიგრანტები იყვნენ. დედაჩემი, ჩემი და ინესი და მე, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პოლონეთში ვიყავით, სადაც მოგვიანებით, 1947 წელს დავბრუნდი. 1985 წელს კვლავ შვებუდი დედის ოჯახს, მაგრამ საქართველოში ვერ შვებულები წასვლა და ჩემი ქართული ოჯახის (ნათესავებს გულისხმობს - გ.ს) გაცნობა. ძალიან ვარ დაინტე-

რესებული მათთან შეხვედრით. დედაჩემს და ჩემს დას ინესს, მიეცათ შესაძლებლობა რომ შეხვედროდნენ ზოგიერთ მათგანს, მერაბ მაქარაშვილის ოჯახს და ასევე ირას, მამაჩემის დას. მამაჩემმა, მიშამ საქართველო 1921 (მიხეილ მაქარაშვილი მოგონებებში აღნიშნავს, რომ საქართველოდან 1922 წელს გაემგზავრა-გ. ს.) წელს დატოვა, მაშინ ის 17 წლის იყო და დაბრუნების შანსი აღარ მიეცა. მამიდაჩემმა ირამ შეძლო 1959 წელს პარიზში ჩასვლა და ძმასთან შეხვედრა, მაგრამ სამწუხაროდ მე ვერ ვნახე, რადგან იმ დროს როგორც საფრანგეთის არმიის ოფიცერი ალჟირში ვმსახურობდი. დაზუსტებით ვიცი, რომ მამაჩემი ბათუმიდან სტამბოლში, უკანასკნელი, ფრანგული, ნავით გაემგზავრა.<sup>7</sup> შემდეგ იგი თავის ბიძას გიორგი ჟურულს ნიდერლანდებში შეუერთდა. მამაჩემის ბიძა-გიორგი ჟურული საქართველოს მთავრობის მინისტრი იყო, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამყარების გამო ქვეყნის დატოვება მოუწია. რამდენიმე თვის შემდეგ მასთან და მის ოჯახთან (მეუღლე ელენა და მისი ვაჟები კოტიკი და დურმიშხანი) ერთად მამაჩემი წავიდა სასწავლებლად ჯერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში - გერმანიაში, შემდეგ კი ელექტროსაინჟინრო ინსტიტუტში - გრენობლში, საფრანგეთში, სადაც იქორწინა დედაჩემზე. როგორც ახალგაზრდა სტუდენტს, მას მოუწია მუშაობა რათა სწავლის დაფინანსების წყარო ეშოვა. იგი ჯერ შაქრის ქარხანაში მუშაობდა (მუშად), შემდეგ კი საფრანგეთის საგრაფოების ოჯახის მძღოლი იყო. როგორც საპროექტო სამსახურის ინჟინერი, ის შეუერთდა „Peugeot“-ის საავტომობილო ქარხანას სოშოში, სადაც მე 1932 წლის მარტში დავიბადე. სამი წლის შემდეგ ჩამოვიდა ჩემი და ინესი. მამა ქარხანაში ველოსიპედით დადიოდა სამუშაოდ. მახსოვს, კვირაობით რამდენიმე საათის განმავლობაში უყვარდა ცხენით ჯირითი და მეც თან დაყვავდი. არაერთხელ მომიყვა - მამამისის, გენერალ ილიას ცხენებზე და მის სახლზე არბოში რომელიც, ჩემი წარმოსახვით პატარა სამოთხე იყო. ძალიან მსიამოვნებდა, როდესაც მამაჩემი გვიყვებოდა არბოს შესახებ. დიდ ბაბუაზე (იგულისხმება მიხეილ მაქარაშვილის დედის ნინო ჟურულის მამა-დურმიშხან შალვას ძე ჟურული), რომელიც ძალიან ძლიერი იყო და არბოში საკუთარი ეკლესიის (იგულისხმება არბოს

7 2016 წლის 16 სექტემბერს, აპრილს ღიმიდან მერაბ მაქარაშვილის სახელზე გამოგზავნილი გიორგი მაქარაშვილის წერილში ერთი ძალზე საინტერესო ცნობაა. როგორც წერილის ავტორი გადმოგვცემს 1950 წელს მიხეილ მაქარაშვილს სამშობლოში დაბრუნება უცდია. იგი მარსელიდან გემით ბათუმში აპირებდა გამოგზავრებას, მაგრამ ავადმყოფობას შეუშლია ხელი. მარსელიდან მომავალი ქართველები როგორც ავტორი გადმოგვცემს, საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს ჩაუვარდნენ ხელში და ყველა მათგანი გააციმბირეს. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 37) გიორგი მაქარაშვილმა ეს ამბავი გადმოცემით იცოდა. ამ ფაქტის შესახებ სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის მშენებლობაში დურმიშხან ჟურულიც იღებდა მონაწილეობას და მისი ნეშტი სწორედ ამ ეკლესიაში დაკრძალეს - გ.ს.) მძიმე ჯაჭვის (იგულისხმება მლოცველებისთვის განკუთვნილი ჯაჭვი, რომელსაც არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მისული მორწმუნეები გავრცელებული რწმენით კისერზე იდებდნენ. ეს საკმაოდ მძიმე წონის ჯაჭვი იყო და ყველას არ შეეძლო მისი აწევა - გ.ს.) დაჭერა შეეძლო. ასევე მისი ბებიის შესახებ, რომელიც ეხმარებოდა (იგულისხმება დურმიშხან ჟურულის მეუღლე, ბათუმის თეატრის დამაარსებელი ქეთევან ნამორაძე - გ.ს.) ავადმყოფ მეზობლებს, გლეხებს და ბევრ მხატვარს. დღემდე მაქვს არბოს სახლის სურათი, სადაც მისი ბებიაც ჩანს. მამაჩემი მიშა 32 წლის განმავლობაში მუშაობდა „Peugeot“-ის ქარხანაში. ჯერ სომოს საავტომობილო ქარხანაში მოღვაწეობდა, შემდეგ ფოლადის „Valentigney“-ის ქარხანაში და ბოლოს პარიზში, სადაც 1942 წელს გადაიყვანეს. მე 10 წლის ვიყავი, როდესაც პარიზში ჩავედი. ჩემი პირველი და საუკეთესო მეგობრები ქართველები იყვნენ. ჩვენ მუდმივად ვხვდებოდით ქართველ ემიგრანტებს. ყოველ 1 იანვარს მე და მამაჩემი სტუმრად მივდიოდით ხანშიშესულ ქართველ ქალბატონებთან. დედაჩემი ქართველ მამაკაცებს უმასპინძლდებოდა. ძალიან ლამაზი ტრადიცია იყო. ამ ტრადიციის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენდა გოზინაყი, რომელსაც მამაჩემი ყოველი ახალი წლის პირველ დღეს ამზადებდა. ქართული კოლონია პარიზში ძალიან აქტიური იყო. ორ ქართულ რესტორანში მზადდებოდა: ლობიო, ხაჭაპური და სხვა ქართული კერძები, რომლებსაც სიამოვნებით მივირთმევდით. იქ მყოფთაგან ზოგიერთი მრავალჯამიერს მღეროდა და სუფრაზე თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები ისმოდა ლამაზი ქალის ან ღირსეული მამაკაცის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემივით მეც კათოლიკე ვიყავი, მიყვარდა ქართველებთან ერთად მართლმადიდებლურ წირვაზე სიარული წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში, სადაც მამაჩემი იყო ხაზინადარი და ეხმარებოდა მამა მელიას (შესამღებელია, რომ „მელია“ პარიზის წმ. ნინოს მართლმადიდებელ ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირის გვარი იყო - გ.ს.). ქართულ კოლონიაში ვსწავლობდი ქართულ ცეკვებს და ვითვლებოდი ლეკურის ძალიან კარგ მოცეკვავედ. ბევრი ახალგაზრდა ქართველი ბიჭი და გოგო ვთამაშობდით ერთად. ვიყავით საუკეთესო მეგობრები და ბევრმა მათგანმა იქორწინა კიდევ. როდესაც 20 წლის გავხდი, აქტიურად შევეურთდი ევროპულ მოძრაობას. მე წინააღმდეგი ვიყავი ომების და მიმაჩნდა რომ საზღვრები არ უნდა ყოფილიყო. ორგანიზება გავუწიე შეხვედრებს გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიის წარმომადგენლებთან, რათა შეგვესწავლა პრობლემები ეკონომიკური მდგომარეობის განსხვავების თაობაზე, ძირითადად საავტომობილო ბაზრისა და ერთი ქვეყნიდან მეორეში ტრანსპორტირების ფასების შესახებ. მე ცნობილი ვიყავი ახალგაზრდა

პარტიზანებს შორის და ვილაცამ ჩემი ფოტოს ქვეშ ასეთი რამ მიაწერა: “ქართველი ავტონომი, რომელიც ოცნებობს ევროპას გადასცეს ეროვნული ავტორიტეტი”. სწავლის პერიოდში მომწონდა კომერციული პრაქტიკის ჩატარება როგორც საფრანგეთში, ისევე სხვა ქვეყნებში, რადგან მოგზაურობით სიამოვნებას ვიღებდი. როდესაც კომერციული კვლევების უმაღლესი სკოლა (HEHEC) დავამთავრე, შესაძლებლობა მქონდა წავსულიყავი პერუში, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, სადაც არ მეგონა, თუ ოდესმე მოვხვდებოდი. ადგილობრივ ბანკში ვმუშაობდი და იმის შესაძლებლობაც მქონდა, ბევრ საინტერესო ქვეყანაში მემოგზაურა. მალე ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა, შევხვდი კარმენს და სამი წლის შემდეგ ვიქორწინეთ. დავბრუნდი საფრანგეთში, დავიწყე სამხედრო სამსახური საფრანგეთის არმიაში და მოგვიანებით ომის დროს, როგორც ოფიცერი არგელაში ვმსახურობდი. მამაჩემს სურდა ოფიცერი ყოფილიყო, როგორც, მისი ძმა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო, რადგან როგორც ბაბუამ უთხრა, ინჟინერი უნდა გამოსულიყო. მე კი ოფიცერი გავხდი, მიუხედავად იმისა რომ არ მინდოდა, მე ხომ ომების წინააღმდეგ გამოვდიოდი და მშვიდობაზე ვოცნებობდი. ერთი დამატებითი დეტალი - ბაბუაჩემმა ილიამ (იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი ილია მაქარაშვილი-გ.ს.) უამრავი სამხედრო ჯილდო მიიღო. ახლაც ვინახავ მის წმინდა გიორგის ჯვარს. პირადად მე საფრანგეთის ჯარმა ორი მედალი გადმომცა, ერთზე ვერცხლის ვარსკვლავი იყო გამოხატული, ჩემი სიმამაცის ნიშნად. მამაჩემს უფრო მეტად სიამოვნებდა ეს, ვიდრე მე. მასაც გადაეცა მედალი საფრანგეთის მთავრობისგან, მაგრამ არა როგორც სამხედრო პირს, არამედ როგორც Peugeot - ის კარგ თანამშრომელს. მე დღემდე ვინახავ ოთხივე მედლს. კარმენი მამამისთან ერთად პარიზში ჩამოვიდა და ჩემს მშობლებს ის ძალიან შეუყვარდათ. ჩემი სამწლიანი სამხედრო სამსახურის განმავლობაში ჩვენ უამრავ წერილს ვწერდით ერთმანეთს. ამის შემდეგ ვეძებდი სამუშაოს და დავსაქმდი ლიმაში, პერუში. მაგრამ ჩემი ინტერესი სულ სხვა იყო. 1960 წელს მე ხელი მოვაწერე სამწლიან კონტრაქტს, რამაც საშუალება მომცა კანონიერი შვებულება ამელო და მთელი თვე კომპანიის ხარჯებით ოჯახთან ერთად საფრანგეთში გავატარე. 6 წლის შემდეგ ხუთი შვილი შეგვეძინა და მე კომპანიიდან წამოვედი. გავხდი მრეწველობის ფილიალის წევრი. 1991 წლამდე კარგი პროფესიონალური კარიერა მქონდა. ვმუშაობდი 12 საწარმოსგან შემდგარ ტექსტილის ჯგუფთან. იმ დროს ქვეყანაში ძალიან ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ეს ძალიან მძიმე აღმოჩნდა ჩვენი ოჯახისთვის, კომპანიისთვის და ზოგადად პერუსთვის, რაც ძალიან მალეღებდა. 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა საბჭოთა რეჟიმისგან. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემს შვილებთან ერთად დავლიე რამდენიმე ბოთლი ფრანგული შამპანური. სამწუხაროდ, ორი დღის შემდეგ, ჯგუფის



აქციონერებთან შეხვედრისას, გულის შეტევა დამემართა. მომათავსეს კლინიკაში და იმულებული გავხდი სამსახურში სიარული შემეწყვიტა. 2 თვის განმავლობაში სახლში მშვიდად ვიყავი, შემდეგ ყოველთვიურად ცოტას ვმუშაობდი, მაგრამ ექიმის რჩევით შევწყვიტე ჩემი კარიერა და წლის ბოლოს პენსიაზე გავედი. ამის შემდეგ 20 წლის განმავლობაში ვმუშაობდი როგორც დამოუკიდებელი მრჩეველი. ჩემი ოჯახი ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და მე ძალიან გამიმართლა, რომ მყავს შესანიშნავი მეუღლე, 6 შვილი, 12 შვილიშვილი და ახლა უკვე 6 შვილთაშვილი. ისინი ჩემს ცხოვრებაში საუკეთესოები არიან და ძალიან მახედანიერებენ. უკვე 89 წელი შემისრულდა. ჩემი ცხოვრების გამო მე მადლობელი ვარ ღმერთს და ჩემი წინაპრების. დიდი სურვილი მაქვს მათ შესახებ უფრო მეტი ვიცოდე.“ პერუში მცხოვრებ გიორგი მაქარაშვილს და მის მეუღლეს-კარმენს როგორც მივითითებდით 4 ვაჟი და 2 ქალიშვილი ჰყავთ. უფროსი ვაჟია მიშელ მაქარაშვილი(პაპის სეხნია)დაბ. 1961 წ. მას ცოლად ჰყავს ლოურდ მაზინი დაბ. 1961 წ. მიშელს და ლოურდს ოთხი შვილი ჰყავთ: ვაჟები მიშელი, (დაბ. 1985 წ. მას ცოლად ჰყავს ანდრეა მასი დაბ. 1986 წ.) და სიაგო, (დაბ. 2014 წ.) ასევე ქალიშვილები: ჟისელი (დაბ. 1989 წ.) და ჯენიკა(დაბ. 1995). მიშელის შემდეგ ოჯახში ასაკით მოდის ქალიშვილი ვირჯინია (ჩიტუნი) (დაბ. 1962), მისი მეუღლეა პეტერ მალსი (დაბ. 1959 წ.) მათ ორი ვაჟი ჰყავთ: მირკო(დაბ. 1987 წ.) და ივო(დაბ. 1992 წ.), ვირჯინიას მოსდევს ვერონიკა, გიორგი მაქარაშვილის მეორე ქალიშვილი(დაბ. 1964 წ.)მას კოტისაც ეძახიან. მისი მეუღლეა როლანდ ჯუნოდი(დაბ. 1953 წ.) მათ ორი შვილი ჰყავთ: ჯესიკა (დაბ. 1991 წ.) და სებასტიანი(დაბ. 1992 წ.) სებასტიანის მეუღლეა დიანა, რომელთანაც ჰყავს 2014წელს დაბადებული ქალიშვილი ლენა. ვერონიკა ოჯახთან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობს. შემდეგ არის პაულ (იგივე პავლე)მაქარაშვილი(დაბ. 1965 წ.). მას ცოლად ჰყავს კლაუდია დოიგი (დაბ. 1991 წ.) პავლე მაქარაშვილი სამი შვილის მამაა. მისი შვილები არიან: ნიკოლასი(დაბ. 1994 წ.), ნატალია (დაბ. 1998 წ.) და მარიანა (დაბ. 2000 წ.); გიორგი მაქარაშვილის მომდევნო ვაჟი 1970 დაბადებული სერხიოა. მას ცოლად ჰყავს მარტინა გიურფა (დაბ. 1971 წ.) სერხიოს ერთადერთი ქალიშვილი 2007 წელს დაბადებული რაფაელაა. გიორგი მაქარაშვილის უმცროსი ვაჟი ანდრეს მაქარაშვილია (დაბ. 1982 წ.). მას ცოლად ჰყავს მარია დელ პილარი. თბილისში მცხოვრებ ნათესავებთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია გიორგი მაქარაშვილის დასინესს. 2003 წლის 5 აგვისტოს მერაბ მაქარაშვილის სახელზე საფრანგეთიდან გაგზავნილ წერილში ინეს მაქარაშვილი აღნიშნავს, რომ იმ დროისთვის დედამისი ელიზაბეტ გლასი 96 წლის იყო და პარიზში მოხუცებულთა სახლში იმყოფებოდა. ინესი პარიზიდან 600 კმ.-ის დაშორებით ბრეტაგნეში ცხოვრობდა. ინესის ქალიშვილები იზაბელი და ნატალი პარიზთან ახლოს ცხოვრობდნენ. როგორც

წერილიდან ირკვევა, იზაბელს ერთი ქალიშვილი ჰყავს ადელაინი, რომელიც იმ დროისთვის 19 წლის იყო და სამართლის უნივერსიტეტში სწავლობდა. ნატალი კი ორი ქალიშვილის დედაა. მისი შვილები არიან ანა (წერილის გამოგზავნის დროს ის 14 წლის იყო) და სოფია (11 წლის). როგორც ინესი აღნიშნავს, შვილიშვილები არდადეგებზე ხშირად ჩადიოდნენ მასთან. ინესი მერაბ მაქარაშვილისადმი გაგზავნილ წერილში თბილად იხსენებს 1969 წელს მეუღლესთან ჟან-პიერთან ერთად საქართველოში გატარებულ დღეებს. წერილიდან ირკვევა, რომ ინესის მეუღლე ჟან-პიერი მაქარაშვილების ოჯახის გენალოგიაზე მუშაობდა. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი: 26)

ბატონ გიორგისთან (გოგი) ვირტუალური ინტერნეტ-ჩართვა დავეგემეთ. მიუხედავად ტექნიკური ხარვეზებისა, მანც მოხერხდა ჩვენი გასაუბრება. ეკრანზე გამოჩნდა 89 წლის სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის პირველი მინისტრის გიორგი ჟურულის დის შვილიშვილი, გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის შთამომავალი. მას გვერდს უმშვენებდა თავისი არაჩვეულებრივი მეუღლე კარმენი, რომელიც ქართველ ქმართან ერთად შეაბერდა წუთისოფელს. ვხედავდი, როგორ უბრწყინავდა ქართული ფესვების მქონე კაცს თვალები, როგორ სიამოვნებდა ქართული ხმის გაგონება. მშობლიური ენიდან რამდენიმე სიტყვა მყარად შემორჩენოდა მის მეხსიერებას, მათ შორის ყველაზე მთავარი: „გამარჯობა“. იქნებ ინებოს უფალმა და გათენდეს ისეთი დღე, როცა ბატონი გიორგი მაქარაშვილი ჩამოვა სამშობლოში, რომელიც არასოდეს უნახავს.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

antelava, i. (1984). *kartvelebi 1812 ts'lis samamulo omshi*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (ანთელავა, ი. (1984). *ქართველები 1812 წლის სამამულო ომში*. თბილისი).

akhuashvili, i. (1994). *kartuli gvar-sakhelebi*. tbilisi. (ახუაშვილი, ი. (1994). *ქართული გვარ-სახელები*. თბილისი).

gaip'arashvili z., gurgeniidze m., ch'ant'uria s. (2020). *svimon k'ldiashvili*. tbilisi. (გაიპარაშვილი ზ., გურგენიძე მ., ჭანტურია ს. (2020). *სვიმონ კლდიაშვილი*. თბილისი).

gazeti „ertoba“. (1918). #13 (გაზეთი „ერთობა“. (1918). #13).

tevdoradze, ts. (2010). zogierti saarkivo masala makarashvil-zhurulebis ojakh-is shesakheb, *zhurn. „lit'erat'ura da khelovneba“*. #10. (თევდორაძე, ც. (2010). ზოგიერთი საარქივო მასალა მაქარაშვილ-ჟურულების ოჯახის შესახებ, *ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“*. #10).

lomouri, n. (2002). *p'ublitsist'uri ts'erilebi*. shemdgeneli kh. muradashvili, tbilisi. (ლომოური, ნ. (2002). *პუბლიცისტური წერილები*. შემდგენელი ხ. მურადაშვილი, თბილისი).

makarashvilebis saojakho arkivi. (მაქარაშვილების საოჯახო არქივი).

met'richesk'is ts'igni, mitsemuli sakartvelo-imeretis uts'mindesis mmartebelis sinodis k'ant'oridgan goris uezdis arbos ts'min. giorgis ek'k'lesiasa shina, chasats'erad dabadebulta, korts'inebit sheughvlilta da gardatsvalebultasa. chqzhz ts'lisa, nats'ili p'irveli dabadebultatvis. (მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყჟზ წლისა, ნაწილი პირველი დაბადებულთათვის).

natsvlshvili, p'. (1992). makarashvilebi: arbo, p'arizi, lima...arbo! gaz. „samshob-lo“. maisi. (ნაცვლიშვილი, პ. (1992). მაქარაშვილები: არბო, პარიზი, ლიმა...არბო! გაზ. „სამშობლო“. მაისი).

bakradze, a., rat'iani, l., otkhmezuri g. (2004). *p'irta anot'irebuli leksik'oni*. t'. III. masalebi shek'ribes da gamosatsemad moamzades ana bakradzem, levan rat'ianma da giorgi otkhmezurma, tbilisi. (ბაქრაძე, ა., რატიანი, ლ., ოთხმეზური გ. (2004). *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*. ტ. III. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, თბილისი).

zhurnali „gumbati-eksp'resi“. (2010). 2-8 agvist'o. (ჟურნალი „გუმბათი-ექსპრესი“. (2010). 2-8 აგვისტო).

sakartvelos erovnuli arkivis t'erit'oriuli organo. goris raionuli arkivi. pondi #4, anats'eri 1, sakme #135. (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი #4, ანაწერი 1, საქმე #135).

sakartvelos erovnuli arkivis t'erit'oriuli organo. goris raionuli arkivi. pondi #2, anats'eri #1, sakme #495. (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი #2, ანაწერი #1, საქმე #495).

sakartvelos erovnuli arkivis t'erit'oriuli organo. goris raionuli arkivi. pondi #3, anats'eri #1, sakme #471. (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი #3, ანაწერი #1, საქმე #471).

sik'dza. (1990). sakartvelos ist'oriis da k'ult'uris dzezlta aghts'eriloba. 5. tbilisi. (სიკძა. (1990). საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 5. თბილისი).

sosiashvili, g. (2019)a. zhurulta sagvareulos ist'oriidan, *k'reb. eldar mamistvalishvili - 80*. (სოსიაშვილი, გ. (2019)ა. ჟურულთა საგვარეულოს ისტორიიდან, კრებ. *ელდარ მამისტვალიშვილი - 80*).

sosiashvili, g. (2019)b. sopol arbos ist'oriidan. *masalebi sakartvelos sopebis ist'oriisatvis*. t'. I. tbilisi. (სოსიაშვილი, გ. (2019)ბ. სოფელ არბოს ისტორიიდან, *მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის*. ტ. I. თბილისი).

kartuli sabch'ota entsik'lop'edia. (1980). t'. 5. tbilisi. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1980). ტ. 5. თბილისი).

kutaisis tsent'raluri sakhelmts'ipo arkivi. pondi 21 sakme 24, purtseli 39. (ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი 21 საქმე 24, ფურცელი 39).

janashia, r. (2003). ardavits'qeba moqvrisa. zhurnali „burji erovnebisა“, #5-6. (ჯანაშია, რ. (2003). არდავიწყება მოყვრისა. ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, #5-6).

Волков С. В. (2009). Генералитет Российской империи. *Энциклопедический словарь генералов и адмиралов от Петра I до Николая II*. Т. II (Л-Я). М.

Гизетти А. Л. (1901). *Сборник сведений о Георгиевских кавалерах и боевых знаках отличий Кавказских войск*. Под. ред. Генерал-майора Потто. Тифлис.

Гогитидзе, М. (2001), Грузинский генералитет (1699-1921). Биографический справочник Составил Мамука Гогитидзе, Киев. <http://petergen.com/sources/grugener.shtml>

Исмаилов Э. Э. (2007). *Золотое оружие с надписью «За храбрость». Списки кавалеров 1788-1913*. М.

Списки кавалерам императорского военного ордена Святого великомученика и победоносца Георгия за боевые отличия. (1880). 26 ноября 1769 г. - 1 сентября 1880 г. СПб.

Список генералам по старшинству. (1910). Составлен по 10 июля 1910 г. СПб.

Шабанов В. М. (2004). *Военный орден Святого Великомученика и Победоносца Георгия. Именные списки 1769-1920. (Биобиблиографический справочник)*. М.

[http://cadet.org.ua/uploads/Kj\\_4.pdf](http://cadet.org.ua/uploads/Kj_4.pdf)

<http://mopolit.milportal.ru/cobexiya-gabriel-oni-byli-geroyami-otechestvennoj-vojny-1812-goda/>

<http://regiment.ru/bio/M/160.htm>

[http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили\\_Илья\\_Сакварелович;](http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили_Илья_Сакварелович;)

<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009743/>

<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004697/>

[https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213&lpg=PA213&dq=илия+макарашвили&source=bl&ots=4LD0YHbJKl&sig=ACfU3U2ReCkwws1MHZqd16zOVmpXFhldOQ&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwifqa\\_h85zhAhVOiqQKHbyjAYMQ6AEwBnoECAgQAQ#v=onepage&q=илия%20макарашвили&f=false](https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213&lpg=PA213&dq=илия+макарашвили&source=bl&ots=4LD0YHbJKl&sig=ACfU3U2ReCkwws1MHZqd16zOVmpXFhldOQ&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwifqa_h85zhAhVOiqQKHbyjAYMQ6AEwBnoECAgQAQ#v=onepage&q=илия%20макарашвили&f=false)

<https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/article/2160>

[https://books.google.ge/books?id=kcv\\_AgAAQBAJ&pg=PA667&lpg=PA667&dq=сакварел+макарашвили&source=bl&ots=gFflhL5yOM&sig=ACfU3U0Ia\\_sNmmiUuD i8Et1Ov8iwoDIkPA&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjNwdqY0K3uAhUOxYUKHc1LCR AQA6AEwAHoECAUQAQ#v=onepage&q=сакварел%20макарашвили&f=false](https://books.google.ge/books?id=kcv_AgAAQBAJ&pg=PA667&lpg=PA667&dq=сакварел+макарашвили&source=bl&ots=gFflhL5yOM&sig=ACfU3U0Ia_sNmmiUuD i8Et1Ov8iwoDIkPA&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjNwdqY0K3uAhUOxYUKHc1LCR AQA6AEwAHoECAUQAQ#v=onepage&q=сакварел%20макарашвили&f=false)

[http://www.rusgeneral.ru/general\\_m.html](http://www.rusgeneral.ru/general_m.html)

გიორგი სოსიашვილი

## ГЕНЕРАЛ ИЛЬЯ МАКАРАШВИЛИ И ЕГО ПОТОМКИ В ПЕРУ И ВО ФРАНЦИИ

### Резюме

Супругой известного военного деятеля Ильи Саквареловича Макарашвили была Нино Журули, дочь проживающего во второй половине XIX века в селении Арбо Дурмишхана Журули. Макарашвили проживали в Раче, в одном из исторических селений Гари. Отец Ильи – Сакварела Давидович Макарашвили-упоминается в датированном 1843 годом списке исповедовавшихся верующих Гарийской Архангельской церкви. Илья Макарашвили получил военное образование во Владимирской Киевской военной гимназии и в 1-м военном Павловском училище по первому разряду. Участвовал в русско-турецкой войне 1877-1878 гг. В 1877 году в составе 39-й артиллерийской бригады за проявленную храбрость в боях с турками был награжден чином штабс-капитана со старшинством, а в 1878 году за отвагу при взятии Деве-Бойну был награжден орденом святого Георгия 4-ой степени. С 1895 года Илья Макарашвили командовал 1-й батареей гренадерской артиллерийской бригады, а с 1897 года был командиром 1-й батареи Кавказской гренадерской артиллерийской бригады. В 1898 году будущий генерал был назначен командиром 1-го дивизиона Кавказской резервной артиллерийской бригады. В 1902 году он возглавил командование 7-м мортирным полком. В 1904 году Илья Макарашвили командовал 67-й артиллерийской бригадой, с июня того же года 2-й Туркестанской бригадой, а затем 52-ой артиллерийской бригадой. В 1882 году Илья Сакварелович Макарашвили получил звание капитана, в 1895 году – звание подполковника, в 1898 году звание полковника, а в 1906 году дослужился до звания генерал-майора. 15 октября 1910 года был произведен в генерал-лейтенанты, чем и завершил военную карьеру.

Супруги – Илья Сакварелович Макарашвили и Нино Дурмишхановна Журули поселились в селении Арбо. У них было шестеро детей: старший Гиორги, затем Барбаре, Николоз, Марика, Ирина и Михеил. Трое из них умерли в раннем возрасте от тифа. Один из сыновей Ильи Макарашвили – Николоз (Никуша) пошёл по стопам отца – избрал военную карьеру и стал подпоручиком Конно-горной батареи, однако скоропостижно скончался.

Большевики жестоко расправились с супругой генерала Ильи Макарашвили Нино Журули. Сначала они отобрали имущество, а затем выжили из селения. Она скончалась в 1948 году.

Младший сын Ильи Макарашвили – Николоз, отправился в Европу для продолжения учёбы, там же, во Франции, он и остался жить. Его сын Гиორги

переехал на местожительство в Южную Америку, в Перу и обосновался в городе Лиме. Женился он на сеньорите Кармен. У них родилось шестеро детей. Дочки Инессы дочери Мхеиლა Макарашвили Изабель и Натали проживают во Франции.

В селении Арбо, в доме, котором обитала семья Макарашвили-Журули, проживала их дочь Ирина. Согласно завещания Ирины Ильиничны Макарашвили жилой дом и имущество в селе Арбо после ее смерти передавалось внуку брата Ильи Макарашвили Мерабу Макарашвили. Предок Мераба Макарашвили являлся внуком Сакварела Макарашвили.

საქართველოს ისტორია

## FEBRUARY 25, 1989. SOCIETY AND GOVERNMENT

1989 წლის 25 თებერვალი. საზოგადოება და ხელისუფლება.

**MIKHEIL BAKHTADZE**

Doctor of History, associate professor of

Tbilisi State University

OCRID ID: 0000-0002-3623-9924

Mikheil.bakhtadze@tsu.ge

+995 593 31 23 81

### **Abstract**

The political changes that began in the USSR in the second half of the 1980s ("Perestroika", "Glasnost") led to the activation of the National-Liberation Movement. When talking about this period, two events are mainly mentioned. First one being April 9, 1989 and the subsequent November 1988 hunger strike.

Apart from them, there were several other important events in the second half of the 80s. Among them is February 25, 1989. This day by the initiative of the National Liberation Movement was marked as a day of mourning in the latter year.

February 25 was one of the most solemn days in Soviet Georgia, the date of establishment of the Soviet government in Georgia. The society was celebrating together with the government, at least in appearance, ostensibly. Perhaps some individuals perceived this day in rather different light than the Soviet authorities, but obviously this was not happening in public.

This very day as a day of mourning, as a day of Georgia's loss of independence, was celebrated in public, for the first time with a mass anti-Soviet demonstration in 1989.

The government tried to terrorize the public and supposedly this led the incident of February 18, 1989, the dispersion of peaceful protesters by "Komsomol" activists.

On February 25, the city center was full of "militia". The demonstrators gathered in different places and marched to the yard of the first building of TSU, the main gathering location. By 10-11 a.m. the yard and the surrounding area was crowded with demonstrators. Some groups had to break through a "militia" cordon on the way. Several buses were parked on the streets surrounding the university, where the soldiers of the 8th Regiment of the Internal

Troops were waiting in the full preparation (equipped with the helmets, the shields etc). But the government could not dare to use force.

What was the government doing? It was traditionally celebrating \_ on the evening of February 24, a solemn gathering and then a solemn concert was held at the Opera House. This was happening at the same time when even in the pages of the flagship of the Soviet Georgian press, the newspaper "Communist" was addressing the events of February 25, 1921 as an occupation. It was obvious that the government and the society were on different conflicting sides. The government was becoming more and more alienated from the society, it could no longer perceive reality and I suppose this was the reason for the development of the events a month and a half later.

**Key words:** Georgia, USSR, February 25, 1989, National-Liberation Movement, TSU.

### მიხეილ ბახტაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
OCRID ID: 0000-0002-3623-9924  
Mikheil.bakhtadze@tsu.ge  
+995 593 31 23 81

### აბსტრაქტი

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-ში დაწყებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა (პერესტროიკა, გლასნოსტი) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია. ამ პერიოდზე საუბრისას ძირითადად ორ მოვლენას იხსენებენ. უპირველეს ყოვლისა ცხადია 1989 წლის 9 აპრილს და შემდეგ 1988 წლის ნოემბრის შიმშილობას.

მათ გარდა 80-იანი წლების მეორე ნახევარში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც იყო. მათ შორის არის 1989 წლის 25 თებერვალი. დღე, რომელიც იმ წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინიციატივით აღინიშნა როგორც გლოვის დღე.

საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საზეიმო დღე სწორედ 25 თებერვალი იყო, როგორც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღი. ხელისუფლებასთან ერთად ზეიმობდა საზოგადოებაც, გარეგნულად მაინც. ალბათ ცალკეული პირები ამ დღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან განსხვავებულად აღიქვამდნენ, მაგრამ ეს არ ხდებოდა ცხადია საჯაროდ.



საზოგადოებამ პირველად ეს დღე, როგორც გლოვის დღე, როგორც დღე საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვისა პირველად საჯაროდ, მასობრივი ანტისაბჭოთა მანიფესტაციით აღნიშნა 1989 წელს.

ხელისუფლებამ სცადა საზოგადოების დაშინება და ვფიქრობ ესეც იყო 1989 წლის 18 თებერვალს მომხდარი ინცინდენტის მიზეზი, როდესაც კომკავშირელმა აქტივისტებმა მშვიდობიანი მანიფესტანტები დაარბიეს.

25 თებერვალს კი ქალაქის ცენტრ მილიციით იყო სავსე. დემონსტრანტები სხვადასხვა ადგილზე შეიკრიბნენ და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოსკენ დაიძრნენ. ეს იყო თავშეყრის მთავარი ადგილი. დილის 10-11 საათისთვის ეზო და მიმდებარე ტერიტორია გადაჭედული იყო დემონსტრანტებით. ზოგიერთ გჯუფს გზად მილიციის კორდონის გარღვევა მოუწია. უნივერსიტეტის მიმდებარე ქუცებზე რამდენიმე ავტობუსი იდგა სადაც შინაგანიჯარის მე-8 პოლკის ჯარისკაცები ისხდნენ სრული სპეცეკვიპირებით (ჩაფხუტები, ფარები, ხელკეტები). მაშინ ხელისუფლებამ ძალის გამოყენება ვერ გაბედა.

რას აკეთებდა თავად ხელისუფლება? ის ტრადიციულად ზეიმობდა. 24 თებერვალს საღამოს ოპერის თეატრში გაიმართა საზეიმო შეკრება და შემდეგ საზეიმო კონცერტი. ეს მაშინ როდესაც უკვე თვით საბჭოთა საქართველოს პრესის ფლაგმანის, გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზეც კი გაჩნდა შეფასებები, რომ 1921 წლის 25 თებერვლი იყო ოკუპაცია. აშკარად გამოჩნდა რომ ხელისუფლება და საზოგადოება სხვადასხვა მხარეს იდგნენ. სამწუხაროდ ხელისუფლება სულ უფრო შორდებოდა საზოგადოებას, ვეღარ აღიქვამდა რეალობას და ვფიქრობ ესეც იყო მიზეზი იმისა რაც თვენახევრის შემდეგ მოხდა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სსრკ, 25 თებერვალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თსუ.

## შესავალი

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-ში დაწყებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა (перестройка, гласность) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია. რამ აიძულა საბჭოთა ხელმძღვანელობა დაეწყო ეს ცვლილებები და რა მიზნებს ისახავდა საბოლოოდ ეს სხვა დიდი საკითხია და მასზე არ შევჩერდები. ფაქტია რომ ბალტიისპირეთში, უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში გააქტიურდა ანტისაბჭოთა მოძრაობა. საქართველოში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ ჩატარებულ აქციათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო 1989 წლის 25 თებერვალი. გამოყენებული პრესაში გამოქვეყნებული მასალები და თვითმხილველთა მოგონებები.

## მეთოდი

სტატიაში განხილულია თუ როგორ ჩატარდა 1989 წლის 25 თებერვალს ანტისაბჭოთა მანიფესტაცია თბილისში, როდესაც საქართველოს გასაბჭოების დღე აღინიშნა როგორც გლოვის დღე.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, რეტროსპექტულ და შინაარსობლივი ანალიზის მეთოდს, ასევე, ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას.

## შედეგები

1. სტატიაში განხილულია თუ როგორ ვიტარდებოდა მოვლენები საქართველოში 1987-1988 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებისას.

2. ნაჩვენებია თუ რა ხდებოდა ამავე პერიოდში ლიტვუასა, ლატვიასა და ესტონეთში. რესპუბლიკებში სადაც ყველაზე ორანიზებული და მიზანმიმართული იყო ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

3. აღნიშნულია თუ როგორ დაიწყო საბჭოთა პრესაში 25 თებერვლის კრიტიკული შეფასებები და 26 მაისის დამოუკიდებლობის წარმოჩენა.

4. ხაზგასმულია საბჭოთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ხისტი და გაუაზრებელი დამოკიდებულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი და საზოგადოების ახალი განწყობებისადმი.

5. აღწერილია თუ როგორ აღინიშნა 1989 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების დღე როგორც გლოვის დღე და ჩატარდა ანტისაბჭოთა მანიფესტაცია.

## მსჯელობა

საქართველოში საზოგადოების გააქტიურების პირველი ნიშნები 1987 წელს გამოჩნდა. 1987 წელს ძირითადად ორი საკითხი იწვევდა საზოგადოების ყურადღებას: დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და ტრანსკავკასიური რკინიგზა (შამუგია, 2002: 89). „ყველაზე მეტად ქართველი აქტივისტები სამოქმედოდ გამოიწვია „საუკუნის მშენებლობად“ მონათლუმა კავკასიის სამთო რკინიგზამ, რომელიც საბჭოთა პოლიტიკურმა თავიდან 1984 წელს დაამტკიცა. რკინიგზა ყველაზე პირდაპირი გზით დააკავშირებდა მოსკოვსა და საქართველოს, ვინაიდან მას უნდა გადაეკვეთა დიდი კავკასიონის ქედი 11 გვირაბით, 15 დერეფნით და 85 ხიდით ... ექვსთვიანმა კამპანიამ, რომელსაც აწარმოებდნენ ქართველი ინტელექტუალები - მათ შორის იყვნენ ისტორიული, კულტურული და ბუნების ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაცია (რომელიც მოგვიანებით მწვანეთა მოძრაობაში გადაიზარდა) ანდა პირველი არაო-

ფიციალური გარემოსდაცვითი ჯგუფი - კავკასიური კლუბი, აიძულა საქართველოს კომპარტია, გადაედო ეს მშენებლობა. პატიაშვილმა თავისი ოპონენტები „ხალხის მტრებად მონათლა. (ჯონსი, 2012: 41)“

„1987 წლის დეკემბერის ბოლოს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ინიციატივით მოეწყო აქცია დიდუბის პანთეონთა - მიძღვნილი რეპრესირებულ პატრიოტთა ხსოვნისადმი.“ (შველიძე, 2008: 37)

ეროვნული მოძრაობა სულ-უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა, საზოგადოების უფრო და უფრო დიდი ნაწილის მხარდაჭერას იძენდა და საბოლოოდ ყველაფერი 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებით დასრულდა, რომლითაც კომუნისტური ხელისუფლება დამარცხდა და ხელისუფლების სათავეში საარჩევნო ბლოკი „მრგვალი-მაგიდა“ თავისუფალი საქართველო მოვიდა.

როდესაც საუბარია 1988-1990 წლებზე ძირითადად ორ მოვლენას იხსენებენ. უპირველეს ყოვლისა ცხადია 1989 წლის 9 აპრილს და ასევე 1988 წლის ნოემბრის შიმშილობას. თუმცა მათ გარდა ამ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც იყო. მათ შორის არის 1989 წლის 25 თებერვალი. დღე, რომელიც იმ წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინიციატივით აღინიშნა როგორც გლოვის დღე.

სანამ უშუალოდ ამ დღეზე ვისაუბრებ, მინდა მოკლედ სხვა მოვლენებიც განვიხილო.

„1988 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვა შეზღუდული საზოგადოებრივი დემონსტრაციები. სექტემბერში თბილისის საქალაქო საბჭომ დაუსვა საზოგადოებრივი მიტინგები იპოდრომის ტერიტორიაზე. პარტიული პრესა განიხილავდა მანამდე ტაბუდადებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოში შემოჭრა, ანტიბოლშევიკური ნაციონალისტური აჯანყება საქართველოში 1924 წელს, 1960-იანი წლების კორუფცია და პროსტიტუციის, სისხლის სამართლის დანაშაულის და ნარკომანიის პრობლემები“. (ჯონსი, 2012: 44).

1988 წლის 26 მაისს ქუთაისში მოეწყო აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წელთან დაკავშირებით. მიუხედავად აკრძალვისა ქალაქის ცენტრში 3 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა (შამუგია, 2002: 93). მე რამდენადაც ვიცი იმავე დღეს თბილისში მოხდა შეკრება 26 მაისის აღსანიშნავად.

1988 წლის 22-23 სექტემბერს ისევ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში მიტინგი გაიმართა, რომლის მონაწილეებიც პოლიგონის გადატანას ითხოვდნენ. ეზო გადაჭედილი იყო მომიტინგეებით, ხოლო ეზოს ტერიტორიას ირგვლივ მილიციელების ალყა ჰქონდა შემორტყმული.

1988 წლის შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პრესკლუბი (ჯონსი, 2012: 42).

1988 წლის 5 ნოემბერი იპოდრომზე, რესტორან „ისინდის“ ტერიტორიაზე ჩატარდა მიტინგი, რომელიც ეკოლოგიურ საკითხებს ეხებოდა და მათ შორის ერთ-ერთი აქტუალური ხუდონჰესისი მშენებლობის საკითხი იყო. ერთი კვირის შემდეგ 12 ნოემბერს „სსრკ-კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გასაპროტესტებლად იპოდრომის ტერიტორიაზე მიტინგი გაიმართა.“ (სართანია). ეს მიტინგი უკვე უშუალოდ იპოდრომზე, იქ სადაც მაყურებელთა ტრიბუნები იყო განლაგებული, ჩატარდა (სავარაუდოდ 20-25 ათასი კაცი ესწრებოდა). 22-29 ნოემბერს კი რუსთაველის გამზირზე, უმაღლესი საბჭოს შენობის წინ შიმშილობა მიმდინარეობდა. პროტესტი გამოიწვია მოსკოვის განზრახვამ ცვლილებები შეეტანა სსრკ-ს კონსტიტუციაში. ამ ცვლილებებით ფაქტობრივად უქმდებოდა მუხლი, რომლითაც მოკავშირე რესპუბლიკებს კავშირიდან გასვლის უფლება ქონდათ<sup>1</sup>. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად კავშირიდან გასვლის მსურველი რესპუბლიკისთვის თანხმობა უნდა მიეცა ყველა სხვა რესპუბლიკას. ეს ცხადია არასდროს მოხდებოდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და 23 ნოემბერს საქართველოს სსრ-ს უმაღლესმა საბჭომ უარყო მოსკოვის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები. 29 ნოემბერს აქციის მონაწილეებს გააცნეს მ.გორბაჩოვის სიტყვა, რომ „ის ითვალისწინებდა რა ქართველი სტუდენტების მოთხოვნას, წყვეტდა კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას“ (შამუგია, 2002: 98).

ნოემბრის აქციებზე პირველად გამოჩნდა უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სამფეროვანი სახელმწიფო დროშა. ასევე ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტები, როგორც რუსეთის იმპერიასთან და საბჭოთა იმპერიასთან მებრძოლი მამულიშვილების სიმბოლო. ნოემბრის შიმშილობაზე დროს დროშა და პორტრეტებიც უკვე იყო და ეს ამ შიმშილობის ამსახველ ფოტოსურათებზეც ჩანს.

1988 წელს ჩატარდა 38 მიტინგი და დემონსტრაცია, მათგან მხოლოდ ოთხი იყო ოფიციალურად დაშვებული (ჯონსი, 2012: 42).

1989 წელი ძალიან მნიშვნელოვანი და გარდამტეხი აღმოჩნდა. გარდამტეხი საზოგადოების განწყობის შეცვლაში. თებერვლის თვე საკმაოდ დაძაბული გამოდგა, თუმცა მაშინ არავინ იცოდა თუ წინ რა გველოდა.

საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საზეიმო დღე 25 თებერვალი იყო. დღე როდესაც თბილისში საბჭოთა რუსეთის მე-

---

1 ცხადია წლების მანძილზე ეს მუხლი ფორმალურად იყო და არავის უფიქრია მისი გამოყენება, მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში განვითარებული მოვლებების გამო ეს მუხლი უკვე აქტუალური გახდა და მოსკოვი მის დაბლოკვას შეეცადა.

11 არმიის ნაწილები შემოვიდნენ და როდესაც ბაქოში მყოფმა სერგო ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს კრემლში ახარა თბილისის თავზე წითელი დროშის აფრიალება. მიუხედავად იმისა რომ 1921 წელს ქართული შეიარაღებული ძალები კიდევ ორი კვირა ებრძოდნენ ოკუპანტებს საბჭოთა ხელისუფლებამ მაინც 25 თებერვალი აირჩია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღად და მას საზეიმოდ აღნიშნავდა. ხელისუფლებასთან ერთად ზეიმობდა საზოგადოებაც, გარეგნულად მაინც. ალბათ ცალკეული პირები ამ დღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან განსხვავებულად აღიქვამდნენ, მაგრამ ეს არ ხდებოდა ცხადია საჯაროდ. საბჭოთა საქართველოს დღესასწაულებს შორის 25 თებერვალი უმთავრესი იყო (საერთო საკავშირო დღესასწაულებს შორის მსგავსი დატვირთვა 7 ნოემბერს ქონდა).

1989 წლის 8 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა მიტინგი, რომელიც ეძღვნებოდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს და უნივერსიტეტის გახსნას. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა (კონკრეტულად ვინ იყო არ მახსოვს) გამოცხადეს, რომ ახლოვდება 25 თებერვალი, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი დღე და თუ ხელისუფლება ამ თარიღს ზეიმობს, ჩვენ აღვნიშნოთ როგორც გლოვის დღე.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტისაბჭოთა მოძრაობა ამ დროს ძალიან გაქტიურებული იყო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში: ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.

1988 წლის 3 ივნისს ლიტვაში, აკადემიის დიდ დარბაზში შეიქმნა საიუდუსის საინიციატივო ჯგუფი. დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა იმავე წლის 22-23 ოქტომბერს. საინტერესოა რომ ლიტვა მგონი იყო ერთადერთი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა სადაც ეროვნულ მოძრაობასთან გარკვეული სახით თანამშრომლობდა ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლება და კერძოდ ლიტვის კომპარტიის პირველი მდივანი ბრაზაუსკასი<sup>2</sup>. „ლიტვაში ეროვნული მოძრაობა თავიდანვე საქართველოსგან განსხვავებული გზით წარიმართა. იქ ცდილობდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფორმები ადგილობრივი და ცენტრალური კონსტიტუციის ჩარჩოში მოექციათ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა ... ორგანიზაციასაც შესაბამისი სახელი უწოდეს - „ლიტვური მოძრაობა პერესტროიკისთვის“. სწორედ ამ მოძრაობამ უწოდა შემდგომში თავისთავს „საიუდისი“ ... ამ ორგანიზაციამ 1989 წლის

---

2 ნიშანდობლივია, რომ 1989 წელს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოსკოვში ბრაზაუსკასი დარბაზში იჯდა დელეგაციის სახვა წევრებთან ერთად და არა პრეზიდენტში, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელები.

16 თებერვალს გამოაცხადა თავის მიზნად ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენა“ (შველიძე, 2008: 79-80).

1988 წლის 13 აპრილს ესტონეთში შეიქმნა სახალხო ფრონტის საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 1-2 ოქტომბერს დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა.

ლატვიაში 1988 წლის 8-9 ოქტომბერს გაიმართა სახალხო ფრონტის დამფუძნებელი კრება. იმავე წლის ივლისში დაარსდა მოძრაობა ლატვის ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, რომელიც ლატვიის დამოუკიდებლობას ითხოვდა 1922 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. 8 ნოემბერს კი ერთმანეთს შეხვდნენ ლატვიის სახალხო ფრონტის, ლიტვის „საიუდისის“ და ესტონეთის „რახვარინნეს“ წარმომადგენლები რათა მოსკოვის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები საწინააღმდეგო ერთობლივი აქციებო დაეგეგმათ. (ბუტულისი, ზუნდა, 2014: 198-200)

ბალტიის რესპუბლიკებში უკვე ღიად საუბრობენ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე და საბჭოთა კავშირის მიერ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთი ოკუპაციაზე 1939-1940 წლებში.

ბალტიის სამ რესპუბლიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო ორგანიზებული იყო ვიდრე საქართველოში. თუმცა ბალტიის რესპუბლიკების მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რომ გვეჩვენებინა, 1989 წლის 25 თებერვლისთვის საბჭოთა კავშირში უკვე დაწყებული იყო საუბარი ცალკეული რესპუბლიკების ოკუპაციის შედეგად საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანაზე და დამოუკიდებლობის მოთხოვნაც იყო საჯაროდ გაცხადებული. საქართველო არ იქნებოდა ამ მხრივ პირველი და წესით საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებასაც ძალიან მძაფრი და ხისტი რეაქცია არ უნდა ჰქონოდა.

საზოგადოების გააქტიურებას საქართველოში ცხადია უნდა მოჰყოლოდა გარკვეული რეაქცია ხელისუფლების მხრიდან. ამ მხრივ საინტერესოა ის ცვლილებები რომელიც ქართულ საბჭოთა პრესაში მოხდა. „1989 წლის ქართული საგაზეთო პუბლიკაციების მიხედვით, დემოკრატიზაციისა და გარდაქმნის, საჯაროობის რეფორმებს საბჭოთა მოქალაქეებისთვის უნდა გაენეიტრალებინა ან შეემსუბუქებინა წინა წლებში შექმნილი საწარმოო თუ სხვა სახის კრიზისი“. (ჯონსი, 2012: 17)

ქართული საბჭოთა პრესის ფლაგმანი იყო გაზეთი „კომუნისტი“. აი ამ გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს გასაბჭოების საკითხის ცნობილი მკვლევარის, პროფესორ აკაკი სურგულაძის სტატია, „ნისლი გადაიწმინდა, საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე“ (კომუნისტი, 1988: N 96). როგორც თინა ცხოვრებაძე წერს, „აკაკი სურგულაძის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო 1918 წლის 26 მაისის და 1921 წლის 21 თებერვლის

ახლებური კუთხით გააზრება. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, ავტორი ვერ ახერხებს პირდაპირ განაცხადოს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა იმპერიული რუსეთისგან, ხოლო 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული ინტერვენციით საბჭოთა რეჟიმი დაამყარა საქართველოში.“ (ცხოვრებაძე, 2017: 7)

საინტერესოა უშანგი სიდამონიძის სტატია, „ოქტომბრის პირშო – გარდაქმნით დაბრუნებული; 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“ (კომუნისტი, 1988: N 120). აქ უკვე სათაურშიც ჩანს ავტორის პოზიცია.

მიუხედავად იმისა რომ ზემოთ დასახელებულ სტატიებში არ არის პირდაპირ საუბარი საქართველოს ოკუპაციაზე 1921 წელს, 26 მაისი წამოწევა და მისი მნიშვნელობის ხაზგასმა უკვე ფაქტობრივად ნიშნავდა 25 თებერვლის მნიშვნელობის გადახედვას, მის სხვანაირად შეფასებას.

1989 წლის 24 თებერვალს იმავე გაზეთ „კომუნისტი“ დაიბეჭდა სტატია „საუკუნეთა სადარი გზა“. „იგი ეძღვნება საქართველოს გასაბჭოების 68 წლისთავს და მოგვითხრობს იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ვითარდებოდა. რესპოდენტებად მოწვეულნი არიან, აკაკი სურგულაძე, გრიგოლ ჟვანია, იური კაჭარავა, მამია ჯიჯიშვილი. სტატიის ლიდში (სტატიის შესავალი) კვლავ იგრძნობა, “გულის წყვეტა” იმის გამო, რომ საქართველოს გასაბჭოების პერიოდი სამი წლით დაგვიანდა, მაგრამ, “საბედნიეროდ”, ქართველ მშრომელებს, ქართველ ბოლშევიკებს კეთილშობილური მისიით დაეხმარა მე-11 არმია და საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. როგორც ვხედავთ, სტატიის შესავალი იმავე ხედვითა და განწყობითაა შესრულებული, როგორც 1988 წლის გაზეთებში. მაგრამ გაცილებით თავისუფალია კორესპონდენტი კითხვის ფორმულირებისას, იგი მეცნიერებს სთხოვს შეაფასოს საქართველოს გასაბჭოების პროცესი, რადგან ამ ფაქტისადმი, სხვადასხვა მოსაზრებები თუ ერთგვარი სტერეოტიპები არსებობს ... ბოლო შეკითხვა ისევ 25 თებერვლის აქტისა და განვლილი 68 წლის მანძილზე მიღწეული წარმატებების შეფასებას ეხებოდა. აკაკი სურგულაძის მოსაზრებით, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მდგომარეობა კრიზისული იყო, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იმ მეთოდებით, რომლებიც გამოიყენეს, არ იყო ერთადერთი და საუკეთესო საშუალება.“ (ცხოვრებაძე, 2017: 13)

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ უკვე თვით საბჭოთა ქართული პრესის ფლაგმანის ფურცლებზეც კი ჩნდება მოსაზრებები 25 თებერვლის შეფასების გადახედვაზე. ამიტომ ხელისუფლებისთვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და გამაოგნებელი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საზოგადოების ერთი ნაწილი

25 თებერვალს გლოვის დღედ გამოაცხადებდა. როგორც ზევით უკვე აღვნიშნე, ხელისუფლებას ამაზე წესით მძაფრი და ისტერიული რეაქცია არ უნდა ქონოდა, მაგრამ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება როგორც ჩანს მოსკოვის წინაშე თავის გამოჩენას აპირებდა - აი საბჭოთა იდეალების როგორი ერთგულნი ვართო. მათი რეაქცია სწორედაც რომ ხისტი და გაუაზრებელი იყო.

1989 წლის 18 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტის ე. წ., „გეპეის“ ადმინისტრაციულ შენობასთან მიტინგი გაიმართა. მომიტინგეები სოხუმში „გეპეის“ ფილიალის შესაძლო დახურვას აპროტესტებდნენ. როდესაც მომიტინგეებმა „გეპეის“ პირველ კორპუსთან გადაინაცვლეს მათ იქ კომკავშირელი აქტივისტები დაესხნენ თავს და დაარბიეს.

„მამუკა კაციტაძის თქმით, 18 თებერვალს მომხდარი დარბევის რეპეტიცია კომკავშირლების გარკვეულმა ჯგუფმა 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიარა. მაშინ სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ ხალხმრავალი მიტინგი ჩატარდა. „უნივერსიტეტის წინ დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებული მიტინგი ჩატარდა, რომლის ჩასაშლელად „გეპეის“ კომკავშირლები მივიდნენ. როდესაც ნაცნობი სახეები დავინახე, ირაკლი ბათიაშვილთან მივედი და ვუთხარი: არ აჰყვეთ, ეს არ არის „კაგებე“, ესენი „გეპეის“ კომკავშირიდან არიან-მეთქი. ეს ჯგუფი, ფაქტობრივად, უნივერსიტეტის ეზოდან განიდევნა. დღეს მათი გვარების დასახელებას ავერიდები. მით უმეტეს, რომ ორი მათგანი დღეს-დღეობით სახელისუფლებო სტრუქტურებში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზეა“ - აცხადებს მამუკა კაციტაძე“ (მიქიაშვილი).

„დავით წივწივამე, 18 თებერვლის მოვლენების შემსწავლელი კომისიის წევრი: „ეს ხალხი პირველ კორპუსთან, რომ მივიდა, მილიციამ ნელ-ნელაშეამჭიდროვარკალიდამიტიინგისმონაწილეებიპრაქტიკულად შესასვლელ კარებს მიაჭყლიტეს. პირველი კორპუსის კარები, რომელიც დაკეტილი იყო, იღება. ფოიედან გამორბის დაახლოებით 20-25 კაცი, გადაჭრილი სკამის ფეხებით შეიარაღებული. როგორც შემდგომ ირკვევა, ეს არის კომკავშირული აქტივი. როგორც თვითონ სტუდენტებმა თქვეს, ეს არ იყო სპეციალურად მოტეხილი სკამის ფეხები. „გეპეის“ პირველ კორპუსში ვიდრე შებრძანდებოდით, მარჯვენა-მარცხენა მხარეს იყო გარდერობები, სადაც შეიძლებოდა პარკების ჩამოკიდება, გაყოლებაზე კი განიერ თაროსავით, მოაჯირივით ჰქონდა, რომელზეც ეს მოზრდილი ჯოხები იდო, ანუ ფოიეში ჩამოსვლის შემდეგ კომკავშირული აქტივი ამ ჯოხებით შეიარაღებული ხდება. ცემაში ნაწილობრივ მილიციაც მონაწილეობდა, მაგრამ ძირითადი აქტივობა კომკავშირული აქტივის კისერზე გადავიდა. სისხლი დაიღვარა. მაშინ ვედროებით გამოჰქონდათ წყალი და ასხამდნენ კიბეებზე. კორპუსის ჰოლში მოზაიკური საფენია



და ისიც დასისხლიანებული იყო. მერე დამლაგებლების მობილიზაცია მოხდა და ყველაფერი მორეცხეს“ (მიქიაშვილი).

„1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის შემსწავლელი კომისიის ერთ-ერთმა ქვეკომისიამ 18 თებერვალს მომხდარი ინციდენტი შეისწავლა. ქვეკომისიის დასკვნა 9 აპრილის კომისიის დასკვნაში აისახა, სადაც წერია, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს იყო 9 აპრილის წინამოსამზადებელი ქმედება“ (მიქიაშვილი).

1989 თებერვალს არავინ იცოდა რა მოხდებოდა მარტ-აპრილში და ამიტომ წინასწარ ვერ მოემზადებოდნენ თუნდაც იგივე 4-9 აპრილის აქციებისთვის. ვფიქრობ 18 თებერვალი იყო მზადება 25 თებერვლისთვის, ეს აქცია კი უკვე გამოცხადებული იყო. 18 თებერვალ იყო მცდელობა დაემინებინათ საზოგადოება - აი რა მოგივათ თუ 25 თებერვალს აქციას მოაწყობთ.

უნდა აღვნიშნო, რომ 19 თებერვალს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში გაიმართა სტუდენტური მიტინგი სადაც მოითხოვეს 18 თებერვლის დარბევის ორგანიზატორთა გამოვლენა და დასჯა. რამდენიმე დღის შემდეგ კი „გეპეის“ ადმინისტრაციული კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა დიდი შეკრება. ორგანიზატორები იყვნენ „გეპეის“ სტუდენტები. ესწრებოდნენ სხვადასხვა უმაღლესების სტუდენტები (ვიყავით უნივერსიტეტიდანაც) და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები (ზვიად გამსახურდია, ირაკლი შენგელაია ვინც მახსოვს). ამ შეკრებაზე დარბევის ზოგიერთმა მონაწილემ მოინანია საქციელი და პირდაპირ მოყვა თუ ვინ და როგორ ავალებდა მათ ამ ყველაფერს.

რადგან ამჟამად ჩანდა, რომ ხელისუფლება შეეცდებოდა 25 თებერვალს ანტისაბჭოთა აქცია არ დაეშვა ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა გადაწყვიტეს მანიფესტანტები ქალაქის სხვადასხვა ადგილას შეკრებილიყვნენ და შემდეგ ერთ ადგილზე გაერთიანებულიყვნენ. ასეთი შეკრების ადგილები იყო: რესპუბლიკის მოედანი, უნივერსიტეტი პირველი კორპუსის ეზო, ავლაბარში მეტროსთან, დარეჯან დედოფლის სასახლესთან და სხვ. საინტერესოა, რომ ხელისუფლებამ ყველა ეს ადგილი იცოდა (ყოველ შემთხვევაში მე თავად ვარ იმ საუბრის მონაწილე რომლის დროსაც, ქალაქის მილიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჩამოგვითვალა ის ადგილები სადაც მისი ინფორმაციით 25-ში დილით უნდა მომხდარიყო მანიფესტანტთა შეკრება).

ხელისუფლება ძველებურად, საზეიმოდ აპირებდა 25 თებერვლის აღნიშვნას. საქინფორმი იუწყებოდა, „სამოცდარვა წლის წინათ დიდი ოქტომბერი მოვიდა საქართველოს მიწა-წყალზე. იმ დღის შემდეგ განუზომლად გაიზარდა მისი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი. წლითიწლობით ავითარებდა რა მას, რესპუბლიკა ახლა მტკიცედ მიაბიჯებს გარდაქმნისა და განახლების

გზით, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის მიმდინარე პროცესები განსაზღვრავენ ღრმა, თვისებრივ მერებს ადამიანის აზროვნებასა და ფსიქოლოგიაში, სტიმულს აძლევენ მათ სოციალურ აქტიურობას, პოზიტიურ ცვლილებებს ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 68 წლისთავს მიემდვნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. სხდომა გაიმართა 24 თებერვალს ზაქარია ფალია-შვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. პრეზიდენტში იყვნენ სკკპ პოლიტიბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანჩაბაძე, გ. გ. გუმბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. დ. მახარაშვილი, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ი. ნ. როდიონოვი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, პ. პ. ჩხეიძე მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ე. მ. პრიმაკოვი, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, რესპუბლიკის წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები. საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ო. ანდრიაძემ. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. დ. მახარაშვილმა. საზეიმო სხდომის მონაწილეებისთვის გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს საუკეთესო სამხატვრო კოლექტივები და ხელოვნების ოსტატები“.

საინტერესოა რომ იმ დროს ქალაქში ასეთი ხმა გავრცელდა, მოსკოვიდან ჩამოსულ ალექსანდ იაკოვლევს<sup>3</sup> უკითხავს - რა ხდება ქალაქში, რატომ არის დამაბული ვითარებაო. ადგილობრივ პარტიულ ელიტას უპასუხია, რომ სტუდენტები, საზოგადოების ერთი ნაწილი და არაფორმალური გაერთიანებების<sup>4</sup> ლიდერები აპირებენ ხვალინდელი

---

3 ალექსანდრე იაკოვლევი საბჭოთა ხელმძღვანელთა შორის ყველაზე უფრო დემოკრატი იყო. 1968 წელს ეწინააღმდეგებოდა ჩეხოსლოვაკიაში ალექსანდრ დუბჩეკის მოხსნას. სსრკ-ს დაშლის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტია დააარსა.

4 ასე უწოდებდნენ მაშინ საბჭოთა კავშირის რიგ რესპუბლიკებში ჩამოყალიბებულ პირველ პოსტდისიდენტურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. სახელმწიფო ამგვარ ორგანიზაციებს რეგისტრაციაში არ ატარებდა, მაგრამ არც მათ საქმიანობას კრძალავდა. (შველიძე, 2008: 34)

დღე, როგორც გლოვის დღე ისე აღნიშნონო. იაკოვლევს უპასუხია, აღნიშნონ რა პრობლემააო ...

25 თებერვალს კი ქალაქის ცენტრი მილიციით იყო სავსე. დემონსტრანტები სხვადასხვა ადგილზე შეიკრიბნენ. ხელისუფლებამ სცდა არ დაეშვა შეკრება რესპუბლიკის მოედანზე. აქ მილიციის კორდონები იდგა. ძალოვანები ცდილობდნენ მომიტინგეები დაეშალათ, ართმევდნენ დროშებს. იყო ფიზიკური დაპირისპირება.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დილიდანვე დავიწყეთ შეკრება სტუდენტებმა. მოვიდა ინფორმაცია, რომ რესპუბლიკის მოედანზე დემონსტრანტებს არბევენ. მანიფესტანტთა სხვადასხვა ჯგუფები უნივერსიტეტის ეზოსკენ მოემართებოდნენ. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზო გახდა თავშეყრის მთავარი ადგილი. დილის 10-11 საათისთვის ეზო და მიმდებარე ტერიტორია გადაჭედილი იყო დემონსტრანტებით. როგორც აღვნიშნე დემონსტრანტთა ზოგიერთ ჯგუფს გზად მილიციის კორდონის გარღვევა მოუწია.

უნივერსიტეტის მიმდებარე ქუჩებზე რამდენიმე ავტობუსი იდგა სადაც შინაგანი ჯარის მე-8 პოლკის ჯარისკაცები ისხდნენ, სრული სპეცეკვიპირებით (ჩაფხუტები, ფარები, ხელკეტები). მაშინ ხელისუფლებამ ძალის გამოყენება ვერ გაბედა. თუმცა აშკარად გამოჩნდა რომ ხელისუფლება და საზოგადოება სხვადასხვა მხარეს იდგნენ.

მანიფესტაციის დასრულების შემდეგ დააპატიმრეს ეროვნული მოძრაობის რამდენიმე ლიდერი, (ჯონსი, 2012: 40) თუმცა მალევე (იმავე თუ არა, მეორე დღეს) გამოუშვეს.

26 თებერვალს საქართველოს ცენტრალურმა ტელევიზიამ გადასცა ე. წ. „ღირსების სასამართლო“-ს ვიდეო ჩანაწერი<sup>5</sup>. მიზანია იყო ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ორგანიზაციებისა და მათი ლიდერებისათვის სახელის გატეხვა. ამ გადაცემით ხელისუფლებამ საზოგადოებას ფაქტობრივად უთხრა, ან ნახეთ მათი რეალური სახე და ნახეთ ვის უჭერთ მხარსო. უნდა ითქვას, რომ ამ ვიდეოჩანაწერმა მართლაც მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა თუ ხელისუფლება თვლიდა, რომ ამ ჩანაწერის გამოქვეყნებით ეროვნულ მოძრაობას შეაჩერებდა და საზოგადოებაში მისადმი დამოკიდებულებას შეცვლიდა, მისი იმედები ამ მხრივ არ გამართლდა.

## დასკვნა

აღნიშნულია, რომ ხელისუფლება სულ უფრო შორდებოდა საზოგადოებას, ვეღარ აღიქვამდა რეალობას და ვერ ხვდებოდა რა სახის პროცესები ვითარდებოდა საქართველოში და ზოგადად საბჭოთა

<sup>5</sup> მაშინვე გაჩნდა ერთი კითხვა, საიდან მოხვდა ხელისუფლების ხელში ეს ვიდეოჩანაწერი?

იმპერიაში. საბჭოთა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების პოზიციამ, მათ მიერ მოვლენათა არასწორმა შეფასებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის რაც დაახლოებით თვენახევრის შემდეგ მოხდა თბილისში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

bultulisi, i., zunda, a., (2014). *latviis istoria*. tbilisi: (ბუტულისი, ი. ზუნდა, ა., (2014). *ლატვიის ისტორია*. თბილისი).

shamugia, m. (2002). masalebi XX saukunis ocxmociani wlebis saqartvelos erovnuli modzraobis istoriidan. *Jurnali „amirani“*. VI. (შამუგია, მ. (2002). მასალები XX საუკუნის ოთხმოციანი წლების საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის (1988 წელი). *ამირანი*. № VI).

Shvelidze, d. (2008). *politikuri dapirispireba da erovnuli xelisuflebis damxoba saqartveloshi (1987-1992 ww.)*. tbilisi: gamomcemloba „universal“i. (შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ)*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“).

cxovrebadze, t. (2017). dadumebuli mexsiereba: 26 maisis qarTul realoba-Si dabruneba (1988-1991 wlebi). *Jurnali „politika“*. № 4. (ცხოვრებაძე, თ. (2017). დადუმებული მეხსიერება: 26 მაისის ქართულ რეალობაში დაბრუნება (1988-1991 წლები). *პოლიტიკა*. № 4.)

jonsi, s. (2012). *SaqarTvelo. politikuri istoria damoukideblobis gamocxadebis shemdeg*. tbilisi. (ჯონსი, ს. (2012). *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. თბილისი).

### პერიოდული პრესა

gazeti „komunisti“, (1988). N 96. tbilisi. (გაზეთი „კომუნისტი“, (1988). N 96. თბილისი).

gazeti „komunisti“, (1988). N 120. tbilisi. (გაზეთი „კომუნისტი“, (1988). N 120. თბილისი).

### ინტერნეტრესურსები

მიქიაშვილი ნ., 1989 წლის 18 თებერვლის სისხლიანი მიტინგი.

<https://for.ge/view/15100/1989-wlis-18>. mikiachvili. tebervlis-sisxliani-mitingi.html

სართანია ქ., 1989 წელი: საპროტესტო აქციები და მათი გავლენა საქართველოს უახლეს ისტორიაზე.[https://ge.boell.org/ka/2019/04/25/sartania, K'. 1989-celi-saprotesto-akciebi-da-mati-gavlena-sakartvelos-uaxles-istoriaze](https://ge.boell.org/ka/2019/04/25/sartania,K'.1989-celi-saprotesto-akciebi-da-mati-gavlena-sakartvelos-uaxles-istoriaze)

საქართველოს ისტორია

## PRECONDITIONS OF COUP D' ETAT 1991-1992 DECEMBER- JANUARY IN GEORGIA

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო  
გადატრიალების წინაპირობები საქართველოში

**Domenti Chubinidze**

PhD Student, Faculty of Law and International  
Relations of Georgian Technical University

ORCID ID: 0000-0002-6818-0832

Ditochubini@yahoo.com

+995 599 64 25 77

### **Abstract**

The coup d'état of 1991-1992 has many originators, but among them the character of Eduard Shevardnadze is prominent. Exactly Shevardnadze was the prime informant and the instigator of the Russian government and the reactionary circles of a West, that ab ovo aimed for a lifetime to overthrow Georgian national government. Eduard Shevardnadze stood behind the criminal-nomenclature gang – called, This rebel „Mkhedrioni“, troop had a lion's share of the toppling of the national government of Georgia, as well as of the unprecedented terror, plundering and robbery of the population. Exactly the indomitable enemies of Zviad Gamsakhurdia held consultations with Shevardnadze. The People's first elected President of Georgia was shot and stabbed by the criminals and these criminals were supplied with money and weapons by Shevardnadze. Shevardnadze funded such press conferences at which Georgian pseudo-patriots convened foreign journalists in Moscow, hereby they have combated against the homeland. According to the abovementioned issues, it can be proclaimed without exaggeration, that in the century-old history of Georgia, as a traitor and condottiere - Eduard Shevardnadze suitably „competes“ any of his predecessors and does not give a superiority to anyone. Without any doubt, in no epoch, Georgia has been faced with such a scale of territorial, demographical, moral, or economical disaggregation and destruction, which were inflicted on Georgia by Shevardnadze and his criminal mob.

**Key words:** Georgia, USA, Zviad Gamsakhurdia, Eduard Shevardnadze, „Mkhedrioni“, Jaba Joseliani...

## დომენტი ჩუბინიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტის დოქტორანტი

ORCID ID: 0000-0002-6818-0832

Ditochubini@yahoo.com

+995 599 64 25 77

### აბსტრაქტი

1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებას მრავალი ავტორი ჰყავს, მაგრამ მათ შორის ედუარდ შევარდნაძის პერსონა გამორჩეულია. სწორედ შევარდნაძე იყო რუსეთის ხელისუფლებისა და დასავლეთის რეაქციული წრეების მთავარი ინფორმატორი და წამქეზებელი, რომელმაც საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა იმთავითვე ცხოვრების მიზნად დაისახა. ედუარდ შევარდნაძე იდგა კრიმინალურ-ნომენკლატურული ბანდფორმირების - „მხედრიონის“ უკან, რომელსაც ლომისწილის უდევს როგორც საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში, ისე მოსახლეობის არნახულ ტერორსა თუ ძარცვა-გლეჯაში. სწორედ შევარდნაძესთან გადიოდნენ კონსულტაციებს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დაუძინებელი მტრები და შევარდნაძე ამარაგებდა ფულითა და იარაღით იმ კრიმინალებს, რომლებმაც ხალხის მიერ არჩეულ პირველ პრეზიდენტს ტყვიები და ზარბაზნები დაუშინეს. შევარდნაძე აფინანსებდა იმ პრესკონფერენციებს, რომლებსაც უცხოელი ჟურნალისტების მონაწილეობით ქართველი ვაიპატრიოტები მოსკოვში იწვევდნენ და ამით სამშობლოს მტრობდნენ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ედუარდ შევარდნაძე, როგორც მოლალატე და კონდოტიერი, ნებისმიერ მის წინამორბედს „ღირსეულ კონკურენციას“ უწევს და პირველობას არავის უთმობს. მართლაც საქართველოს არასოდეს, არცერთ ეპოქაში არ უნახავს ტერიტორიული, დემოგრაფიული, ზნეობრივი თუ ეკონომიკური რღვევისა და ნგრევის ის მასშტაბი, რაც მას შევარდნაძემ და მისმა კრიმინალურმა ხროვამ დააწიეს!

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, აშშ, ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, „მხედრიონი“, ჯაბა იოსელიანი...

## შესავალი

1991-1992 წლების დეკემბერ იანვრის ცნობილი და სისხლიანი მოვლენები, რომელსაც უამრავი უბედურება და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დაშლა და ტერიტორიული ნგრევა მოჰყვა, საქართველოს უახლოეს ისტორიაში ჯერაც შეუსწავლელი და სათანადოდ აუთვისებელი პრობლემაა. პრობლემის მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომლებიც გადატრიალების სათავეებთან იდგნენ და იმ სისხლიან პროცესებში მონაწილეობდნენ, დღესაც ცოცხლები არიან. აქედან გამომდინარე პრობლემის მეცნიერული შესწავლა ჭირს, რადგან გადატრიალებაში აქტიურად თუ პასიურად მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ, რომლებმაც მემუარები გამოაქვეყნეს, ბალანსისა და ობიექტურობის დაცვა ვერც ფურცელზე მოახერხეს! ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს პროფესორ დიმიტრი შველიძის ვრცელი ნაშრომი „პოლიტიკური დაპირისპიებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1991წ.წ.“. ასევე ფასდაუდებელია მხედრიონის ლიდერის ჯაბა იოსელიანის „სამი განზომილება“, რომლის გარეშეც საქართველოს უახლესი ისტორიის გააზრება ყოვლად წარმოუდგენელია. გადატრიალებისა და ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის თემას ვრცელი გამოკვლევები და პუბლიცისტური წერილები მიუძღვნეს პროფესორმა იგორ კვესელავამ, აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ, ლიტერატორმა თეიმურაზ ქორიძემ, ლეილა ცომაიამ, ავთანდილ რცხილაძემ, კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ, პროფესორმა უჩა ბლუაშვილმა, პოლიტიკოსმა ვახტანგ ძაბირაძემ და სხვ. ზემოხსენებულ ავტორთა პოზიციები ახლაც ისევე ურთიერთგამომრიცხავი და მკვეთრად დაპირისპირებულია, როგორც ამ ოცდაათი წლის წინათ. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების გასაანალიზებლად და სრულყოფილად შესასწავლად დიდმნიშვნელოვან მასალებს შეიცავს მაშინდელი ქართული პრესა - „საქართველოს რესპუბლიკა“, „დრონი“, „ქართული ქრონიკა“, „ქართული ფილმი“, „რეზონანსი“, „საქართველო“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და სხვ.

## მეთოდი

სტატიაში შესწავლილი და გაშუქებულია საკითხი: თუ როგორ მზადდებოდა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება და რა ძალები იყვნენ ამ პროცესში ჩართული.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, ასევე, ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას, საკითხის სხვადასხვა რაკურსით წარმოჩენას.

## შედეგები

1. კვლევამ ცხადყო, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებად წოდებული სისხლიანი სამხედრო გადატრიალება სინამდვილეში 1991 წლის 25 სექტემბერს დაიწყო, როცა ე.წ. გვარდიისა და „მხედრიონის“ ბანდამ „თელასზე“ შეიარაღებული იერიში მიიტანეს. ამ შეტაკებას რამდენიმე ადამიანი შეეწირა, მათ შორის მილიციელები, რომლებიც „თელასს“ იცავდნენ. ამდენად ყოველგვარი გადაჭარბების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები“ უნდა შეიცვალოს ტერმინითა და თეზით – „1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის“ მოვლენები“

2. 1991 წლის აგვისტოს მიწურულსა და სექტემბრის დასაწყისში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ბედი გადაწყვეტილი იყო. ამას ადასტურებს 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის ერთ პატარა ქალაქში გამართული „საიდუმლო სერობა“ – ბანკეტი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე მასპინძლობდა. ამ ბანკეტზე დამსწრე გავლენიანი პირები, მსოფლიო პოლიტიკისა და ფინანსური იმპერიების გრანდები, ედუარდ შევარდნაძეს უკვე მიმართავდნენ, როგორც „საქართველოს პრეზიდენტს“.

3. ედუარდ შევარდნაძის, როგორც მთავარი გადამტრიალებლისა და პუტჩისტის როლსა და გავლენებს 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებში კვლევა ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს. მის გარეშე არც „მხედრიონი“ შექმნილა და არც ამიერკავკასიის რუსეთის სამხედრო ოლქის ჯარისკაცები მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში. სწორედ შევარდნაძის ფაქტორმა და მისმა კავშირებმა განაპირობეს დასავლეთისა და უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის წაყრუება და თვალის დახუჭვა საქართველოში მიმდინარე სისხლიან პოლიტიკურ პროცესებზე

4. კვლევა ადასტურებს, რომ შევარდნაძემ და 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების თანავტორებმა საქართველოში მოატრიალეს რუსეთი, რომლის მავნე შედეგებსაც დღემდე ვიძიებთ.

5. 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო საქართველოს ტერიტორიულ რღვევას, ააღორძინა პარტიკულარიზმი და საქართველოს ისტორიაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით პირველად წარმოშვა განკერძოებული ტერიტორიული ერთეულები, სადაც საკომუნიკაციო ენად ქართული აღარ ისმის!

## მსჯელობა

1.1 ზვიად გამსახურდიას გზა ხელისუფლებისაკენ, ხელისუფლებაში და ედუარდ შევარდნაძე, როგორც ბარიერი.

გამსახურდიას, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საქვეყნოდ აღიარებული



ლიდერისა და პოლიტიკური მოღვაწის დამხობა, დევნა და მკვლელობა ჯერ კიდევ მაშინ დაიგეგმა, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა!

ზვიად გამსახურდია, როგორც დისიდენტი, ლიდერი და პოლიტიკოსი, რთული ფენომენია. მან მოღვაწეობა დაიწყო, როგორც რადიკალმა დისიდენტმა და ფორუმელმა, რომელიც „არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სტრატეგიად ეროვნულ დაუმორჩილებლობას მიიჩნევდა, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლების მიერ 1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ ზვიად გამსახურდიას ფრთამ ეროვნული ფორუმი დატოვა და ტაქტიკური თვალსაზრისით ახალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოაცხადა... ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები სწორად აფასებდნენ შექმნილ სიტუაციას, ცვლიდნენ ტაქტიკურ ორიენტირს და უარყოფდნენ არჩევნების ბოიკოტის თეზას. ეს იყო რადიკალური პრინციპებიდან ზომიერი მიმართულებისაკენ სვლა“ (კვესელავა, 2018: 517-519).

საქართველოში ეროვნული ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არსებობდა, როცა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია რუსულ გაზეთ „მეგაპოლის-ექსპრესის“ 1990 წლის 9 სექტემბრის ნომერში წერდა - „ახლა გამსახურდიას მოცილება ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნება. მას მთაწმინდაზე დაკრძალავენ, როგორც ეროვნულ გმირს. ჩვენ დაინტერესებული ვართ მისი პოლიტიკური და არა ფიზიკური განადგურებით!“ (მეგაპოლის-ექსპრესი, 1990: 30 აგვისტო). ცოტა უფრო ადრე, კერძოდ, 1990 წლის 9 ივლისს გიორგი ჭანტურია მრადიო თავისუფლებას“ ასეთი რამ განუცხადა „ჩვენ საქართველოს დავტოვებთ უზენაესი საბჭოს გარეშე!“

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა რომ იმაზე უფრო ადრე იყო დაგეგმილი, ვიდრე ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას რუსული ტანკებითა და ჰაუბიცებით დაამხობდნენ, ირიბი ცნობები ამის შესახებ შევარდნაძის მემუარებშიც კარგად სჩანს. შევარდნაძე თუ მისი რომელიღაც რეფერენტი შევარდნაძისვე კარნახით პირდაპირ წერს - „დეკლარაციისგან თავს შევიკავებ. ჩემ მაგივრად შორეული მეგობარი იტყვის: „ადრე, საუბრების დროს, მე მრავალჯერ გკითხეთ თქვენ საქართველოს შესახებ, მის მიერ არჩეულ გზაზე. თქვენს სიტყვაძეუნე პასუხებში მე ვგრძნობდი დაფარულ ტკივილს. ახლა დადგას ისეთი მომენტი, როცა თქვენი პირადი პასუხისმგებლობა მისთვის და მის წინაშე მრავალჯერ გაიზარდა. თუ იგი გიხმობთ, თქვენ ვერ იტყვით - „არა!“ ეს მითხრა ჰანს დიტრიხ გენშერმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ჩვენ ვსაუბრობდით ვენაში, გერმანიის საელჩოში, 1992 წლის 21 თებერვალს - საქართველოში ჩემს დაბრუნებამდე ნახევარი თვით ადრე. გენშერი არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც განვიხილე მიღებული გადაწყვეტილება. მაშინდელ ჩემს თანამოსაუბრეებს შო-

რის იყვნენ ბორის ელცინი, ნურსულთან ნაზარბაევი, ლევონ ტერ-პეტროსიანი, ჯეიმს ბეიკერი, იასუშირო ნაკასონე, ჰენრი კისინჯერი, ჟაკ შირაკი, ბობ სტრაუსი, კოლეგები „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობიდან“. თავიდან რომ ავიცილო შინაური „პატრიოტების“ ბრალდება ქართული საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფის გამო, ვიტყვი, რომ გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ მომწიფდა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული საზოგადოებრივი აზრის ძლიერი ზემოქმედების შედეგად. ჩემთან მოდიოდნენ ჩვენებურები (ოთარ ლითანიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი ბათიაშვილი და სხვანი); მათ შორის იყვნენ „მოღალატეები“ - გამსახურდიას ყოფილი მოკავშირეები და ჩემი გუშინდელი მომიტინგე-მლანძველები“ (შევარდნაძე, 2006: 295).

ეროვნული ხელისუფლების დამხობის, ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციისა და საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანის ბნელითმოცული ისტორიის სისხლიან ლაბირინთებში დიდი სინათლე შეაქვს ფინეთსა და დასავლეთ ევროპაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენლის რენო სირაძის ერთ განცხადებას, რომელიც 2007 წლის აპრილში ქართულ პრესაში გამოქვეყნდა.

როგორც ბატონი რ. სირაძის მიერ მოწოდებული ამ მეტად მნიშვნელოვანი ცნობიდან ირკვევა, საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა საბოლოოდ 1991 წლის ოქტომბერში, გერმანიის „ერთ პატარა ქალაქში“ გამართულ საიდუმლო ბანკეტზე გადაწყვეტილა, რომელსაც სწორედ შევარდნაძე მასპინძლობდა. ამ ბანკეტს მსოფლიო პოლიტიკისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების გრანდები ესწრებოდნენ - ადამიანები, რომლებიც პლანეტის ბედს განაგებენ.

როგორც რ. სირაძე იხსენებს, „დოკუმენტი ამ შეხვედრის შესახებ, სადაც შეხვედრის მონაწილეთა გვარ-სახელებიც არის დაფიქსირებული, პუტჩის შემდეგ ხელში ჩაუვარდა ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელს დიდ ბრიტანეთში ჩარლზ ჩხოტუას. თუმცა კიდეც ერთხელ ვიმეორებთ - შეხვედრა 1991 წლის ოქტომბერში გაიმართა. ბატონმა ჩ. ჩხოტუამ ეს დოკუმენტი ფაქსით გამომიგზავნა. მაშინ ფაქსს ქალაქზე კი არა, კომპიუტერით ვღებულობდი და დღესდღეობით ეს უმნიშვნელოვანესი საბუთი დოკუმენტირებული მაქვს დიგიტალურად. ერთი შეხედვით, ეს არის ძალიან უწყინარი დოკუმენტი... აქ არის ადამიანთა რაღაც ჯგუფის საბანკეტო ანგარიში... ამ ბანკეტის მასპინძელი არის ედუარდ შევარდნაძე... ბანკეტი გაიმართა გერმანიის ერთ პატარ ქალაქში. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ამ შეხვედრის ანუ ბანკეტის ხარჯები მთლიანად გაიღო შევარდნაძემ. ყველაზე საინტერესოა ის არის, რომ ეს ბანკეტი არის გაგრძელება სხვა შეხვედრისა, რომელიც ბანკეტს წინ უსწრებდა... ამ ბანკეტის მონაწილეები იმ მეტად საჭირო და საიდუმლო შეხვედრის მონაწილეები არიან. ერთი სიტყვით, ეს არის რაღაც შეთანხმების საზეიმო აღნიშვნის ცერემონიალი. ბანკეტზე იმყოფებოდნენ

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები, ოლიგარქები, ... აქ არიან ქუვეითის შეიხები, ტრანსნაციონალური კომპანიების მეპატრონენი... იქ იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც ვითომ მიდიან, მაგრამ სინამდვილეში პოლიტიკაიდან არასოდეს მიდიან... ყველაზე უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ შეხვედრის მასპინძელი - ედუარდ შევარდნაძე დიკუმენტში მოხსენიებულია, როგორც „საქართველოს პრეზიდენტი“... აქედან დასკვნა - იმ ბანკეტის წინა შეხვედრაზე, საიდუმლო სერობის დროს, როგორც ჩანს, გადაწყდა, რომ საქართველოში შევარდნაძე უნდა დაესვათ... მაშინვე გავაცანი პრეზიდენტს და მგონი, გროზნოში ჩავუტანე მას კიდეც ეს დოკუმენტი. ზვიადს არაფერი გაკვირვებია, თქვა კიდეც, ეს მოსალოდნელი იყო!“ (ასავალ-დასავალი, 2007: 9 აპრილი).

ე. წ. ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად დაადგინეს კოლაბორაციის გზას. ედუარდ შევარდნაძის მიერ ზურგამაგრებულმა გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილმა, ივლიანე ხაინდრავამ და ძმებმა ედუარდ და თენგიზ გუდავებმა, 1990 წლის 4-6 ივლისს პრალაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას მიაღებინეს სამარცხვინო N24 რეზოლუცია. ამ რეზოლუციით საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც ჩეხეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა ჩაატარა, დაგმო ზვიად გამსახურდია, რომელიც საქართველოში თურმე ეთნოკონფლიქტებს აჩადებს და არაქართველების საქართველოდან გასახლებას გეგმავს! ამ რეზოლუციაზე თავად ვაცლავ ჰაველს ხელი არ მოუწერია, რასაც ზვიად გამსახურდია ძალიან აფასებდა, სამაგიეროდ ოთხ ქართველთან ერთად ხელი მოაწერა საექვო წარმომადგენლობის რამდენიმე „დისიდენტმა“ და მათ შორის პარულირ აირიაკიანმაც, რომელიც 1987 წელს ზვიად გამსახურდიას „კოლხურ კომპში“ შეხვდა და ძმობა შეჰვიცა (ცომაია, 2018:54-55).

დ. შველიძე პრალის N24-ე რეზოლუციის შეფასებისას ხაზგასმით აცხადებს - „პრალის კონფერენციის რეზოლუციას რომ აწერდა ხელს, ჭანტურია კარგად იცოდა, რომ არც ზვიად გამსახურდია გახლდათ აგრესიულად განწყობილი საქართველოში ეროვნული უმცირესობების მიმართ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამსახურდიას ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულებას ნაციონალისტურად შეფასებთ, აუცილებლად უნდა დავამატოთ და განვმარტოთ, რომ მისი ნაციონალიზმი თავდაცვითი გახლდათ და მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესების დაცვით იყო განპირობებული, იმ ინტერესებით, რომელიც სამოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში ილახებოდა... კონგრესისტებმა გამსახურდიასა და მისი ბლოკის კრიტიკა საქართველოდან საერთაშორისო არენაზე გაიტანეს და ამით თავისებური განაცხადიც გააკეთეს, რომ თავიანთი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად მზად იყვნენ მოკავშირეები საქართველოს გარეთაც ეძებნათ“ (შველიძე, 2008:118).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გ. ჭანტურია რომ ე. შევარდნაძის მოკავშირე იყო, ამას სხვა უამრავ მტკიცებულებასთან ერთად ე. შევარდნაძის ერთი საორშაბათო რადიოინტერვიუც ადასტურებს: „1994 წლის 4 თებერვალს, ნატო ონიანის კითხვაზე, თუ როგორ უყურებდა იგი გიორგი ჭანტურიას გამოწვევას ტელედებატებში, შევარდნაძემ უპასუხა: „რა საჭიროა დებატები, განა მისი პარტიის წარმომადგენლები არ არიან პარლამენტში? არ კამათობენ ჩემთან? ეს ხომ დებატებია... საერთოდ, მე გია ჭანტურიასთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს და დიდ პატივს ვცემ მას. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს და მრავალ საკითხზე გვისაუბრია...“ (თვალავაძე, 2019: 312).

ცხადია, რომ გ. ჭანტურია ე. შევარდნაძესთან მოსკოვში გარკვეული მიზნით ჩადიოდა... მათი მიზანი, როგორც ეს გ. ჭანტურიამ „მეგაპოლის-ექსპერესის“ კორესპონდენტს 1990 წლის სექტემბერში პირდაპირ განუცხადა, ჯერ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მკვლელობა, ხოლო შემდეგ მისი ფიზიკური ლიკვიდაცია გახლდათ, რასაც მოგვიანებით მიაღწიეს კიდევ!

თუმცა ედუარდ შევარდნაძეს მხოლოდ გ. ჭანტურიასთან და ჯ. იოსელიანის „მოლარესთან გ. მგელაძესთან არ ჰქონია ურთიერთობა.

ზვიად გამსახურდიას დასამხობად და გასანადგურებლად, რომ ჯერ კიდევ მის ხელისუფლებაში მოსვლამდე ემზადებოდნენ, ამის შესახებ „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი თავის „სამ განზომილებაშიც“ შესაშური პირდაპირობითა და გულწრფელობით წერს - „ცეკას მდივანი გივი გუმბარიძე, რომელიც ზვიად გამსახურდიასთან შეუთანხმებლად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა, - აუცილებელი იყო მისი მოცილება. ეს უმტკივნეულოდ შეეძლო შევარდნაძეს. ამის თაობაზე ველაპარაკე გურამ მგელაძეს. იგი დამთანხმდა, დაკავშირებოდა შევარდნაძეს და ეს საკითხი გადაეჭრა. მოსკოვში ერთ-ერთი მივლინების დროს მგელაძე მართლაც შეხვდა შევარდნაძეს და აუხსნა ყველაფერი ზემოთ აღნიშნული. მან უარით გამოისტუმრა: სულ ერთი წელია, რეკომენდაციით რაც დაინიშნა და ახლა მისი გადაყენება ვერ მოხერხდებაო... სამაგიეროდ, სხვათა შორის, უთქვამს ფრიად მნიშვნელოვანი რამ - ახლა რუსეთს თქვენთვის არ სცალიაო! ამან მე გამიჩინა აზრი, ჩვენ თვითონ ხომ არ გადაგვეყენებინა გივი გუმბარიძე. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება მომხდარიყო სულ უბრალოდ: ცეკას ბიუროს წევრებს მისთვის უნდობლობა უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ საქმეც ის იყო, ვინ შეაბამდა კატას ეჟვანს. ბიუროს ზოგიერთი წევრი შემპირდა ამის გაკეთებას, მხოლოდ პირველკაცობაზე უარს ამბობდნენ. ის ყბადაღებული აზრი, რომ ყველა ქართველს პირველობა სურს, სწორი არ გამოდგა. მივაკითხე პროვკავშირების მაშინდელ ბოსს პეტრე (ზურაბ) ჩხეიძეს. ისიც ბიუროს წევრი გახლდათ. პირველ მდივნობაზე

არ დამთანხმდა, მაგრამ დასძინა, თუ სხვა ვინმე გამოჩნდება, თუ გინდა, გურამ მგელაძე, მე მხარს დავუჭერო. ჩემთან სახლში შევიკრიბეთ: მგელაძე, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, გია ჭანტურია (ედპ-ის ლიდერი), ირაკლი წერეთელი (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი). ავუხსენი ვითარება. ცალკე წერეთელი, ცალკე ჭანტურია (მოგვიანებით მოვიდა) სკეპტიკურად შეხვდნენ საკითხის ასეთ გადაწყვეტას. ბოლომდე არც მე გამიხსნია კარტი, კერძოდ, ეროვნული მოძრაობის პერმანენტული განვითარების გეგმაზე არაფერი მითქვამს - ეს ხომ ერთისთვისაც და მეორესთვისაც პრინციპულად მიუღებელი იქნებოდა. მაგრამ იმაში, რომ გუმბარიძეს მგელაძე ჯობდა, ყველა მეთანხმებოდა. ბიურომდე დარჩენილ დროში მგელაძეს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი და ვამხნევებდი, თვითონაც იმედიანად გამოიყურებოდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, მგელაძე ბიუროდან ყურებჩამოყრილი დაბრუნდა“ (ოსელიანი, 1999:22-23).

ჯ. ოსელიანი ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ განადგურებას ჯერ კიდევ 1990 წლის გაზაფხულზე გეგმავდა, რასაც ვანო თვალავაძის მოგონება თვალნათლივ ადასტურებს, იხსენებს რა მასთან შეხვედრის დეტალებს 1990 წლის 27 მაისს (თვალავაძე, 2019:248).

მას შემდეგ რაც ე.შევარდნაძემ ჯ. ოსელიანს უამრავი „შავი საქმე“ გააკეთებინა და ბოლოს შ. კვირიას მისი დაჭერა უბრძანა, ჯ. ოსელიანის დასაცავად თავი გამოიღო რუსმა გენერალმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ფეოდორ რეუტმა (ასავალ-დასავალი, 2020: 24 აგვისტო). როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ზვიად გამსახურდიას მიერ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მოპოვებული ტრიუმფალური გამარჯვების მეორე დღეს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ საზეიმო მიტინგზე მასზე თავდასხმა სცადეს. აი, რას იგონებს პროფ. ნომადი ბართაია - „ის იყო ზვიადმა სიტყვა დაამთავრა, რომ მის ირგვლივ ჩოჩქოლი ატყდა. ხალხის ტალღა ირწეოდა... ხმაურმა იმატა. არეულობამდე არაფერი რჩებოდა. გასროლის ხმა გაისმა. ხალხი პანიკაში ჩავარდა. გაირკვა რომ მოწინააღმდეგის ბანაკიდან ერთი ჯგუფი მიიწევდა ზვიადისკენ, რის საშუალებასაც მას ხალხი არ აძლევდა. ერთმა, რომელიც შემალღებულზე იდგა, დიდი პროექტორი აიღო და ვიღაცას დაუმიზნა, მაგრამ გამოგლიჯეს ხელიდან. მერე სასწრაფოც მოვიდა... რამდენიმე ნაცემი ახალგაზრდა გამოიყვანეს ხალხიდან, რამდენიმე გაიქცა. ყველა ამბობს, რომ ზვიადის თავისუფლად გამოჩენა არ შეიძლება!“ (ბართაია, 2020:67).

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ზვიად გამსახურდიასა და მისი პოლიტიკური გუნდის ტრიუმფს რადიკალური თუ შეიარაღებული ოპოზიციის მცირერიცხოვანი ჯგუფი ფსიქოზით შეხვდა. ასე, მაგალითად, მონარქისტი თ. ჟორჟოლიანი ზვიად გამსახურდიას „სატანას“ ეძახდა... „ასევე სატანად სახავდა ზვიადს ანზორ აბუჯანდაძეც,

რომელმაც ზვიადის „სატანიზმის“ რიცხვითი ფორმულაც კი გამოიყვანა. ხოლო გოგა ხაინდრავა კი აგრესიას ვერ მალავდა 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გამო და მეგაფონში გაჰყვიროდა: „პუტჩი დაიწყო საქართველოში 28 ოქტომბერს, გაიგეთ, ხალხო! ...ახლა მოქმედების დროა, ჩვენ ვიღუპებით!“ (ცომაია, 2018:54-55).

28 ოქტომბრის არჩევნებში გამსახურდიას ტრიუმფით გამარჯვებას ჯ. იოსელიანის „მხედრიონი“ სხვა უკანონო ფორმირებებთან ერთად იმით დაუპირისპირდა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, დანაშაულს დანაშაულზე სჩადიოდნენ. 1990 წლის 14 ნოემბერს, როგორც კი უზენაესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნა, ჯაბა იოსელიანის „მხედრიონმა“ მთელი კახეთი მოითარემა. კერძოდ, გურჯაანში, ყვარელში, ლაგოდეხში, თელავში შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ყველა ამ თავდასხმაზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და აღმოჩნდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა ერთი და იგივე ხალხი - „მხედრიონის“ კახეთის დაჯგუფება! კერძოდ, 1990 წლის 14-15 ნოემბერს „მხედრიონელებმა“ მილიციის განყოფილებებიდან გაიტაცეს „მაკაროვისა“ და „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტები, ჯავშანჭილეტები, ე.წ. რაკეტნიცები, მანქანები და გაათავისუფლეს არაერთხელ ნასამართლევი პატიმრები, რომელთაგან ერთ-ერთმა გაქცევის შემდეგ მკვლელობა ჩაიდინა. მხოლოდ 1990 წლის 1 დეკემბრის მდგმარეობით, საქართველოს მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, რომელიც ტელევიზიით გამოვიდა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების და ძირითადად „მხედრიონის“ მიერ ჩადენილი შემდეგი დანაშაულობები ჩამოთვალა - 48 მკვლელობა, 76 სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, 47 ყაჩაღობა, 46 მარცვა, 461 ქურდობა და ადამიანის გატაცების 5 ფაქტი. ეს ყველაფერი ორ თვეში იყო მომხდარი... (შველიძე, 2008:153-165).

1999 წლის ივნისში გაზეთმა „იბერია-სპექტრმა“ გამოაქვეყნა გ. ჭანტურიას ვრცელი „პატაკი“ რადიო „თავისუფლების“ თანამშრომლის თენგიზ გუდავასადმი. აქ ქართული პუტჩის მთელი ანატომია ხელის გულზე ძეგს. კერძოდ, როგორ მიზანმიმართულად აბრალედნენ ზვიად გამსახურდიას ეთნიკური უმცირესობების საქართველოდან გასახლებას, როგორ უქმნიდნენ ფაშისტისა და ჰომოფობის იმიჯს, როგორ არბევდა შეიარაღებული ოპოზიცია ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მშვიდობიან მიტინგებს და ა.შ.

ამ ვრცელი „პატაკიდან“ რამდენიმე ამონარიდს მოვიტანთ ზემოთქმულის დასტურად:

„თ. გუდავა: - გია, რა ხდება თქვენთან?

გ. ჭანტურია: - მანანა არჩვაძე რამდენიმე ქალთან ერთად შეიჭრა სტამბაში და დაარბიეს სტამბა, სადაც ჩვენი პარტიის გაზეთი „ქართული ქრონიკა“ იბეჭდება. ამის შესახებ მე და „ქართული ფილმის“ რედაქტორმა

დავწერეთ სტატია, რომელმაც საქართველოში დიდი ბუმი გამოიწვია... როცა ჩვენმა ხალხმა პიკეტი მოაწყო სტამბის წინ, მილიცია მათ თავს დაესხა და დაარბია, მაგრამ ჩვენებმა ისინი კარგად მითეთქვეს... გამოქვეყნდა ნოდარ ნათაძის წერილი, რომელიც ამტკიცებდა ზვიად გამსახურდიას არაფერი უთქვამს ეთნიკურ უმცირესობათა გასახლების შესახებ. იმ ეთნიკურ უმცირესობებზეა ლაპარაკი, რომლებიც გალის ქუჩაზე ცხოვრობენ. როგორც იცი, ამ ქუჩაზე ცხოვრობს თვით გამსახურდია - ისინი ზვიადს საერთოდ ანგელოზად თვლიან... ვიწყებთ დიდ აქციას - „კაგებეს“ პიკეტირებას! ამ აქციაში ჩვენ მხარს გვიჭერს „მხედრიონი“, „დემოკრატიული პარტია“, „საქართველოს მოქალაქეთა ლიგა“, „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამაც“ გამოთქვა ჩვენი მხარდაჭერის სურვილი... ზვიადი თავის მიტინგებს ჩვენს წინააღმდეგ იყენებს. თითქოს ეთნიკური უმცირესობების გასახლების შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ჩაწერილი გვაქვს კასეტაზე. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ, თამამად დააწვეთ მას, იმ ჩანაწერებში იგი პირდაპირ ლაპარაკობს ოსებზე, სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, აფხაზებზე, მაგრამ ახლა ყოველივე ამას უარყოფს! ასე, რომ თქვენ თამამად შეგიძლიათ დააწვეთ მას მაქედან... ახლა აქ, თენგიზ, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი ძალიან კარგად მიდის! მაგრამ ჩვენ ერთი ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით. რომ არა ეს შეცდომა და რომ არა ირაკლი წერეთლის ღალატი, დღეს ზვიადი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არ იარსებებდა. ჩვენ ასეთი შეცდომა დავუშვით - როცა ზვიადი მიტინგს ატარებდა, ზუსტად არ მახსოვს რიცხვი, ჩვენმა ბოევიკებმა ეს მიტინგი დაარბიეს და ზვიადსაც ყოფა უტირეს (გ.ჭანტურია აქ ერთობ უცნაურო სიტყვას ხმარობს. ხაზი ჩვენია. დ.ჩუბინიძე) ამან ჩვენს წინააღმდეგ უკურეაქცია გამოიწვია. მე რომ ხალხი გამსახურდიას მიტინგის დასარბევად გავაგზავნე, ვუთხარი, რომ მათ უნდა ეყვირათ ილიესკუ, მოღალატე, აბელი და ა.შ. ბიჭებმა კი იქ ჩხუბი ატეხეს, დედის გინებაზე გადავიდნენ და სულ მიანგრ-მოანგრიეს იქაურობა. ამან ხალხის უკურეაქცია გამოიწვია. ეს ცუდად გამოგვივიდა... ინტელიგენციაც იღვიძებს ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენს გვერდით დგება. მოკლედ, ვფიქრობ, ზვიადის პრობლემას ჩვენ ძალიან მალე გადავწყვეტთ, ამისათვის პრაქტიკულად უკვე ყველაფერი გაკეთებულია. დაგვრჩა ბოლო დარტყმის მიყენება და სულ მალე ზვიადი, როგორც პრობლემა, აღარ იქნება!“ (იბერია-სპექტრი, 1999 : 9 ივნისი).

მოტანილ ცნობაში, როგორც ვხედავთ, გ. ჭანტურია ზვიად გამსახურდიას ეთნიკური უმცირესობების სიმულვილსა და საქართველოდან მათი გასახლების მცდელობაში ადანაშაულებს და თენგიზ გუდავას აკვალიანებს - თქვენ თამამად შეგიძლიათ, დააწვეთ მას მაქედანო!

იმისათვის, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ მთელი მსოფლიო აემხედრებინათ და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის

ლიდერი იზოლაციაში მოექციათ, მათ ქვეყნის ასარევად და თავდაყირა დასაყენებლად უბინძურეს მეთოდებს მიმართეს და ზვიად გამსახურდიას ოსი ერის გენოციდში დასდეს ბრალი! 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემდეგ საქართველოდან განდევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხუნტის გენერალურმა პროკურორმა ვ. რაზმაძემ „ოსი ხალხის გენოციდში“ „ბრალი“ ოფიციალურად წაუყენა. ვ. რაზმაძის მიერ წარდგენილი ამ „ბრალის“ შესახებ დაიბეჭდა პუბლიცისტურ პრესაში და ითქვა ტელევიზიით. მოგვიანებით, ვახტანგ რაზმაძემ ამ „ბრალდებაზე“ საგანგებოდ ისაუბრა და განაცხადა, რომ თუ ზვიად გამსახურდიას ასეთ უმძიმეს ქმედებაში არ დაადანაშაულებდნენ, სომხეთის ხელისუფლებას მის გადმოცემას ვერ მოსთხოვდნენ (საქართველო, 1998 : 27 მარტი).

შეიარაღებული ოპოზიციის ტოტალური შეტევა ზვიად გამსახურდიასა და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ მთელ საქართველოში გაიშალა. ამ თვალსაზრისით სამაგალითო გახლდათ სამაჩაბლოში, სოფელ ქემერტში მცხოვრები ვაჟკაცის - მერაბ მინდიაშვილის ტრაგიკული აღსასრული, რომელიც 1991 წლის 18 მარტს ერედვის გზაზე ოსმა სეპარატისტებმა შეიპყრეს, ხის კუნძს გამოაბეს და ცეცხლში დაწვეს. ამ ტრაგედიის მოწყობაში ზ. გამსახურდიასთან დაპირისპირებული ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციონერის ხელიც ერია (იხ. იოსელიანი, 1999: 360).

ამ დროს საგანგებოდ ვესტუმრე სოფელ ქემერტს და ოსი ბანდიტების მიერ ცეცხლში დამწვარი მერაბ მინდიაშვილის ოჯახი ვინახულე. გავიცანი მერაბის მამა ბატონი გიორგი, რომელმაც გასაოცარი ისტორია მიაამბო: ჩემი შვილი მერაბი ზვიად გამსახურდიას დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო... დიდი ღიახვის ხეობიდან ჯაბა იოსელიანი სწორედ ჩემმა ბიჭმა გააგდო, რის გამოც „მხედრიონელები“ ძალიან მტრობდნენ. ერთხელ „მხედრიონელ“ „ბუღასთანაც“ მოუვიდა ჩხუბი, ის უბედურება, როცა ჩემი ბიჭი ერედვის გზაზე შეიპყრეს, ხის კუნძზე მიაბეს და ცეცხლში დაწვეს, ამ ამბიდან ცოტა ხანში მოხდა. ოსები მერაბის გამოჩენას ჩასაფრებული ელოდნენ და თოვლში ზეწრებგადაფარებული იწვნენ, რათა არავის შეემჩნიათ... თბილისიდან იყო გაყიდული ეგ ამბავი... ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯაბა იოსელიანი და „მხედრიონი“ ხეობიდან გააგდო, მერაბს რომ მაგრად ემტერებოდნენ, ქვეყანამ იცის! ვაჟა ადამიასაც რომ გულზე დიდად არ ეხატებოდა მერაბი, ესეც უტყუარია...”

ზვიად გამსახურდიას ხვედრი თავიდან ბოლომდე სწორედ მისმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ და პატრიოტულმა სულმა განსაზღვრა.

ზვიად გამსახურდია ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მან არ შეისმინა სოკრატესეული შეგონება და ფეხი შედგა იქ, სადაც უცილობელი სიკვდილი იყო ჩასაფრებული. საქართველოს პირველი



პრეზიდენტი, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიასა და ლიტერატურას, მათ შორის სოკრატეს ნააზრევს ზედმიწევნით იცნობდა, შეგნებულად წავიდა სიკვდილზე და ერის სინდისის გასაღვიძებლად თავი გასწირა! არადა, უდიდესი ბერძენი მორალისტი და ფილოსოფოსი, სოკრატე კაც-თა მოდგმას ჯერ კიდევ 24 საუკუნის წინათ აფრთხილებდა: „არ მეგულე-ბა კაცი, რომელიც გადარჩება, თუ უსამართლობას წინ აღუდგება! ვისაც სურს, თუნდაც მცირე ხნით გადარჩეს, სამართლიანობის მქადაგებელ კერძო კაცად უნდა დარჩეს და საზოგადოებრივ სარბიელზე ფეხი არ შედგას!“

ი. კვესელავას დასკვნით, „ეროვნული ხელისუფლების 1990-1991 წლების მონაკვეთს, როდესაც საქართველო ირჩევს სრული დამოუკიდებლობის გზას, არ ეძებს მფარველ სახელმწიფოს და შეესაბამისად, თავისუფალია ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ტრადიციული მოდელის ფორმისა და შინაარსისგან“. (კვესელავა, 2014 : 66).

მეცნიერს ხსენებულ მონოგრაფიაში შემოაქვს მნიშვნელობითა და არსით ორი თანასწორი და თანაზიარი ტერმინი - „ზვიადიზმი“ და აკაკი ბაქრაძისეული „დავითიზმი“ და მიიჩნევს, რომ საქართველოს „ოქროს ხანის“ შემდეგ, თუ გიორგი ბრწყინვალეს ეპოქას მხედველობაში არ მივიღებთ, ზვიად გამსახურდია არის ერთადერთი მმართველი, რომელიც მსოფლიოში არა მფარველს, არამედ პოლიტიკურ პარტნიორსა და მოკავშირეს ეძებდა. ალბათ, გამსახურდიას მკვლევლობისა და ეროვნული ხელისუფლების ასე მოკლე დროში დამხობის მიზეზიც სწორედ ზვიადის „დავითიზმში“ უნდა ვეძებოთ, რასაც სიტუაციის გაბიაბრუების მიზნით მისმა პირადმა მტრებმა და ნებსით თუ უნებლიეთ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ამხედრებულებმა ბოლმით „ზვიადიზმი“ უწოდეს... თუმცა ისინი ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ამ ტერმინით სამუდამოდ უკვდავყოფდნენ როგორც ზვიად გამსახურდიას სახელს, ისე მის პოლიტიკურ ფენომენს.

ქვემოთ დავინახავთ, რომ ზვიად გამსახურდიასა და მისი პოლიტიკური კურსის - „დავითიზმის“ იდეური მტრები ერთი დიდი მფარველის ფრთებქვეშ იყვნენ შეყუჩული და კიდევ უფრო გავლენიან მფარველს ეძებდნენ. ამასთან ყველას ჰყავდა პატრონი - ზოგს პრეზიდენტი ბუში, ზოგს - გორბაჩოვი, ზოგს - ელცინი, ზოგს - ედუარდ შევარდნაძე, ზოგს - გურამ მგელაძე, ზოგს - საბჭოთა „კავებე“, ზოგს - კომპარტია და ა.შ.

## 1.2. ედუარდ შევარდნაძე და მისი მეტასტაზები ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ

ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია ჯერ კიდევ 1990 დასაწყისში დაიგეგმა, როცა „იმელის“ შენობაში ეროვნული ფორუმის სხდომები იმართებოდა. 1990 წლის 24 აპრილს ფორუმის სხდომის

მიმდინარეობისას „მხედრიონმა“ ყოვლად გაუმართლებელი სროლა აუტეხა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც თავდაპირველად „მხედრიონში“ ირიცხებოდნენ, შემდეგ კი ავთანდილ მანაგაძის მეთაურობით, გაემიჯნენ ჯ. იოსელიანს. ა. მანაგაძის განცხადებით, მიზეზი „მხედრიონიდან“ გასვლისა იყო ის, რომ ჯ. იოსელიანმა მას დაავალა ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია ანუ მკვლელობა(!), რასაც ა. მანაგაძე კატეგორიულად არ დაეთანხმა, ხოლო ჯ. იოსელიანთან უმძაფრესი დაპირისპირების შემდეგ „მხედრიონიდან“ გამოსულმა თავის მომხრეებთან ერთად დააარსა „თეთრი გიორგის“ საზოგადოება“ (რცხილაძე, 2018:157).

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ „იმელის“ შენობასთან მომხდარი ინციდენტიდან ცოტა ხანში ა. მანაგაძე მოკლეს.

როგორც ა. რცხილაძე წერს, ეროვნული ფორუმის სხდომებზე „ამჟამად შეიმჩნეოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გია ჭანტურიას ალიანსი ჯ. იოსელიანის „მხედრიონთან“ (რცხილაძე, 2018:155).

„იმელთან“ ატეხილმა სროლამ ზვიად გამსახურდია საბოლოოდ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეროვნულ ფორუმს ერთხელ და სამუდამოდ გამიჯვნოდა. 1990 წლის 26 აპრილს ასეც მოხდა და საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, წმინდა ილია მართლისა და მერაბ კოსტავას საზოგადოებებმა ეროვნული ფორუმი დატოვეს.

1990 წლის 28 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებამდე თითქმის ორი თვით ადრე ქართველი პატრიოტების ერთი ჯგუფის - ზაზა წიკლაურისა და ვანო თვალავაძის ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა ზვიად გამსახურდიასა და ა. ბაქრაძის შეხვედრის საკითხი, რასაც როგორც ზ. გამსახურდია, ისე ა. ბაქრაძე დიდი მოწონებით შეხვდნენ. საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდია და ა. ბაქრაძე არჩევნებზე ერთიანი სიით წარმდგარიყვნენ. ამ იდეას, რომელსაც მხოლოდ ირაკლი შენგელაია და მწვანეების ლიდერი - ზურაბ ჟვანია ეწინააღმდეგებოდნენ, აკაკი ბაქრაძემ სიხარულით დაუჭირა მხარი. ზვიად გამსახურდია საერთოდ უარს ამბობდა პირველკაცობასა და არჩევნებში მონაწილეობაზე. ამით მას სურდა „დაემტკიცებინა ყველა ოპონენტისა და ოპოზიციაში მდგომ პარტიათა ლიდერებისათვის, რომ მისთვის უპირველესი იყო სამშობლო და მისი თავისუფლება“ (თვალავაძე, 2019:237).

1990 წლის 14 სექტემბერს წყნეთში მყოფი ა. ბაქრაძე კიდევ ერთხელ ინახულეს ვ. თვალავაძემ და ზ. წიკლაურმა. ეს შეხვედრა 15:00 საათზე შედგა და ა. ბაქრაძე ზ. გამსახურდიასთან საერთო სიით არჩევნებში მონაწილეობას ისევ და ისევ ერთგულად უჭერდა მხარს. იმავე დღეს, 23:00საათზე, ა. ბაქრაძეს წყნეთში ესტუმრნენ - ზ. გამსახურდია, ზ. წიკლაური, დ. უკლება, ვ. თვალავაძე, ნ. პატარიძე, რ. პეტრიაშვილი, თ. პაატაშვილი, გ. ჩორგოლაშვილი და სხვები, რათა ზვიადსა და ა. ბაქრაძეს

შორის საბოლოო შეთანხმება მომხდარიყო! მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, - ბაქრაძემ გამსახურდიას საერთო სიით არჩევნებში მონაწილეობაზე უარი სტკიცა და უფრო მეტიც, სტუმრები შინაც კი არ შეიპატიჟა, - შეხვედრა ეზომივე დაასრულა. ბაქრაძის საქციელით სუყველა გაოგნებული იყო...

ბუნებრივად დაისმის კითხვა, რა მოხდა 8 საათის განმავლობაში ისეთი, რომ ა. ბაქრაძემ თავისი პოზიცია რადიკალურად შეცვალა და ზ. გამსახურდიასთან მიღწეული შეთანხმება ასე მოულოდნელად და-არღვია? აღნიშნულ შეკითხვას ამ მოვლენების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი, ვ. თვალავაძე შემდეგნაირად პასუხობს - 1995 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, „საუბარში ბატონმა აკაკი ბაქრაძემ მითხრა: 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში გამსახურდიასთან ერთად საერთო სიით მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი იყო მუქარა, რომელიც არჩევნებში ჩვენი საერთო სიით მონაწილეობის შემთხვევაში განხორციელდებოდა... ბატონ აკაკის არ დაუკონკრეტებია არც მუქარის შინაარსი და არც ის პიროვნება დაუსახელებია, ვისგანაც მუქარა მოდიოდა“ (თვალავაძე, 2019:247).

რატომ არ შეიპატიჟა ა. ბაქრაძემ 1990 წლის 14 სექტემბერს ღამის 11 საათზე სტუმრად მისული ზ. გამსახურდია შინ? ვ. თვალავაძემ ამ ამოუხსნელ პოლიტიკურ რეზუსსაც მოუძებნა ახსნა... მისი აზრით, იმ საღამოს ა. ბაქრაძეს, დიდი ალბათობით, სწორედ ჯ. იოსელიანი სტუმრობდა და მასპინძელი ზ. გამსახურდიასა და ჯაბას შორის უცი-ლობელ კონფლიქტს მოერიდა, როცა ზვიადი სახლში არ შეიპატიჟა.

28 ოქტომბრის არჩევნების წინ დაპირისპირებამ ეროვნული ფორუმის საკოორდინაციო საბჭოსა და ზ. გამსახურდიას „მრგვალ მაგიდას“ შორის უაღრესად საშიში სახე შეიძინა. ვითარების განმუხტვის მიზნით, ზ. გამსახურდიას დავალებით, ა. რცხილაძე აგრომრეწვის შენობაში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გ. მგელაძის კაბინეტში ჯ. იოსელიანს შეხვდა. მათთან ერთად შეხვედრას, ესწრებოდნენ გ. ონიანი, ა. რცხილაძე და დ. ხაბულიანი. შეხვედრა კორექტულ ვითარებებში ჩატარდა და მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს არჩევნების ჩატარებაში ხელს არ შეუშლიდნენ.

მოკლედ, გ. მგელაძის კაბინეტში დაგეგმილი შეხვედრა მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ კარებში გამოსვლის დროს ჯ. იოსელიანმა ა. რცხილაძე შეაჩერა და უთხრა: „ავთანდილ, მართალია, დღეს ჩვენ შევთანხმდით, რაც ჩემ მიერ უდავოდ შესრულებული იქნება, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ შენც და თქვენმა ზვიადმა, რომ საბოლოო ჯამში მაინც გესვრით!“ (რცხილაძე, 2018:208).

ამასთან დაკავშირებით ზ. გამსახურდიამ თავის თანამოაზრეებთან დასვა კითხვა: რატომ გვაძლევენ არჩევნების ნორმალურ პირობებში ჩატარების საშუალებას?“ (რცხილაძე, 2018:209).

ამ შეკითხვას ერთადერთი სწორი პასუხი ჰქონდა და აქვს: ე. შევარდნაძემ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ასე თუ ისე ნორმალურ პირობებში ჩატარების შესაძლებლობას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ეგუებოდა, რომ მისი საქართველოში დაბრუნების შესახებ საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არსებობდა. შესაძლოა, რომელიმე მისი ცალკეული მეგობარი ამ ინიციატივით გამოდიოდა, მაგრამ 1990 წლის ზაფხულში ედუარდ ამბროსოვიჩის „მეორედ მოსვლის“ შესახებ ერთიანი და ჩამოყალიბებული პოზიცია რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. როგორც კი მსგავსი გადაწყვეტილება მიიღეს, რამდენიმე თვეში ზ. გამსახურდიას ხელისუფლებაც ზარბაზნებით გარეკეს და საქართველოს დედაქალაქიც ნათურქაღს დაამსგავსეს.

ეს რომ ასეა, ზ. გამსახურდიას ცნობილი თანამებრძოლი რენო სირაძემ ადასტურებს, რომელიც ფინეთსა და შვედეთში ამერიკული ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მაღალჩინოსნებს ხვდებოდა: „მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მე არ ვიცოდი, რომ პიროვნება, რომელიც ფინეთში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მუშაობდა და ვხვდებოდი, ცსს-ს ძალიან მაღალი რანგის ოფიცერი იყო. საქართველოში რეფერენდუმი რომ ჩატარდა და ზვიადმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენმა შტაბმა ფინეთში უცხოეთის დიპლომატიურ კორპუსებს დაუგზავნა საინფორმაციო ბიულეტენები, სადაც მსოფლიოს ვამცნობდით საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომ ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და ა.შ. აი, სწორედ მაშინ დამიკავშირდა ამერიკის საელჩოდან პიროვნება, რომელიც კულტურის ატაშედ გამეცნო და პერიოდულად მხვდებოდა. გერმანიის საელჩოდანაც იჩენდნენ ყურადღებას, მაგრამ ინტენსიურს არა... იმ ამერიკელის გვარს და სახლს არ გეტყვით, იმიტომ, რომ დღესაც იქ მუშაობს. მან მითხრა - თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოსთვის ერთად ვიმუშაოთ, თანაც ბევრ რამეში დაგეხმარებითო!.. - ამაზე კარგი რა უნდა იყოს-მეთქი! - ვუპასუხე... „მუშაობა“ იმას ნიშნავდა, რომ კვირაში ორჯერ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. როდესაც მათ პრეზიდენტისგან რაიმე აინტერესებდათ, იცოდნენ, რომ ზვიადთან პირდაპირი კონტაქტი მქონდა და მოდიოდნენ ჩემთან. ამერიკელებს აინტერესებდათ ყველაფერი... ისინი მამლევდნენ სპეციალურ კითხვარებს, რომელიც პირდაპირ ვაშინგტონიდან მოდიოდა... კაცმა რომ თქვას, კითხვები რაიმე საიდუმლოს არ ეხებოდა... მახსოვს ძალიან დიდი ინტერესს იჩენდნენ ამერიკელები ნავთობსადენისდმი და ა.შ. მე ის ქალაქი, რომლითაც ჩვენთვის ექსკლუზიურ კითხვებს აგზავნიდნენ, რამდენჯერმე მინახავს ჩემი თვალთ და დღემდე გაოგნებული ვარ... ეს იყო სულ სხვანაირი ქალაქი... ტელეტაქსი არ იყო, არც ტელექსი იყო... ეს გახლდათ რაღაც სპეციფიკური რამ და გრიფი ჰქონდა ტოქსიკარტი.

ერთხელ როცა საქართველოში მოვფრინავდი, ამერიკელს ვთხოვე, რომ ეს ქალაქი თან წამომეღო, რადგან კითხვების გადაწერა მეზარებოდა, რაზეც მიპასუხა - ამის უფლება არ მაქვს! 1991 წლის ივნისში ამერიკელი მეუბნება - სულ მალე ამერიკა საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობს და ეს ამბავი თქვენს პრეზიდენტს შეატყობინეთ, მაგრამ ისიც უთხარით, ამ ამბავს ჯერ ნუ გაახმაურებთ! ზვიადი მაშინვე ჩავაყენე საქმის კურსში და გაგიჟდა კაცი სიხარულით... მთელი ის ზაფხული აქ ვიყავი და 1991 წლის აგვისტოს ბოლოს წავედი ფინეთში!... 1991 წლის 2 სექტემბერს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ცნობილი პროვოკაცია მოაწყო... ერთი სიტყვით, 2 სექტემბრის პროვოკაცია უკვე მომხდარია, ჰელსინკში ვარ, ამერიკელს ვხვდები და ვხედავ, რომ ის ძალიან ცუდ ხასიათზეა... ამერიკელმა პირდაპირ მითხრა - პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თქვენთან შეხვედრა ამიკრძალაო! უკვე მივხვდი, რომ ჩვენი საქმე ცუდად იყო... ამერიკელმა იქვე დაამატა - ამიკრძალეს თქვენთან შეხვედრები, მაგრამ მე ჩემი არხები მაქვს და ჩემი არხით ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობასო!.. ამერიკელი მალე ჟენევაში გადაიყვანეს სამუშაოდ, მაგრამ ვიდრე წავიდოდა, არ დაუმაღლავს და პირდაპირ მითხრა - ახლა მე თქვენ შეგახვედრებთ ჩემს შემცვლელსო! შემცვლელმა, რომელთანაც შეხვედრებს ვაგრძელებდი, პირდაპირ მითხრა, რომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას კური-რებდა ეღუარდ შევარდნამე!“ (ასავალ-დასავალი, 2007: 9 აპრილი).

სწორედ ე. შევარდნაძის „ნამოღვაწარის“ გამო მოხდა ის, რომ ზვიად გამსახურდიას დასავლეთის პრესაში „ფაშისტისა“ და „სადამ ჰუსეინის“ თიკუნებით ამკობდნენ.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში ზ. გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და ე. შევარდნაძის ჩამოყვანაში რუსეთ-მა შეასრულა ჯალათის როლი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსი) პუტჩის დაწყებას მწვანე შუქი აუწოდა, როცა ზ. გამსახურდიას მისამართით განაცხადა - „ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. ის უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს რა ხდება მსოფლიოში!“ (გამსახურდია, 2006: 109-110).

სწორედ ამასვე ამტკიცებს თავის გახმაურებულ საგაზეთო ინტერ-ვიუში ზ. გამსახურდია, როცა დაუფარავად აცხადებს - „შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართე-ბოდა ოკეანის გაღმადან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პი-რადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით. ბეიკერმა პირ-დაპირ მოუწოდა პუტჩისკენ საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია სა-ქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებუ-

ლი შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრეც არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვ რეგიონებში“ (რუსკაია პრავდა, 1992:3 ოქტომბერი).

### 1.3. ქართული ინტელექტუალური ელიტის ერთი ნაწილი საქართველოს წინააღმდეგ

ფსიქოლოგებმა, ფსიქიატრებმა, ზოოლოგებმა, კონფლიქტოლოგებმა, გენეტიკოსებმა, ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა, ალბათ, ერთობლივად და დიდხანს უნდა იმუშაონ იმ ზიზღისა და ენით აუწყრელი სიძულვილის მიზეზის ამოსახსნელად, რომლითაც ზვიად გამსახურდიას მისამართით არა მარტო პოლიტიკურად უმწიფარი გ. ჭანტურია და მისი მსგავსნი, არამედ, ერთი შეხედვით, ჭკუასაკითხავი და თითოთ საჩვენებელი ხალხი - ქართული თეატრის, კონოს, მწერლობისა და ზოგადად სახელოვნებო სფეროს მოღვაწეების ერთი ნაწილი განიმსჭვალა.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ტიპურია და მაშინდელი ქართული ელიტარული ინტელიგენციის გარკვეული წრეების, ცხოვრების წესისა და განწყობის გამომხატველია პროფესორ ნ. ლომოურის გასაოცარი აღიარებითი ჩვენება, რომელიც მან ჩემს მეგობარ ნ. ფოცხიშვილს საგაზეთ საუბრის დროს მისცა - „ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის მეც ვისროდი, ოღონდ ჰაერში, მიძნელებოდა ადამიანის მოკვლა...“

- როგორი რეაქცია გქონდათ, როცა ორიოდე წლის შემდეგ შეიტყვეთ, რომ ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა?

- გამიხარდა...

- რატომ, ბატონო ნოდარ?

- ყველა თვალსაზრისით უარყოფითი პიროვნება იყო!“ (ასავალ-დასავალი, 2006:11 სექტემბერი).

დაბეჯითებით ვამტკიცებთ, რომ როგორც საქართველოს, ისე ზვიად გამსახურდიას პიროვნულ ტრაგედიაში „ცოფიანმა ქართულმა შურმა“ - ამ საშიშმა და ყოვლის წამლევავმა სინდრომმა, რომელმაც ჩვენს სამშობლოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ყელი გამოჭრა, ამჯერადაც დამანგრეველი როლი ითამაშა. ე.წ. ელიტარულ ქართულ ინტელიგენციას თავიდან ბოლომდე სწორედ „ცოფიანი ქართული შურის“ სინდრომმა დარია ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებულია ცნობილი კონორეჟისორის სიტყვები - „თქვენ ახალგაზრდები ხართ და თქვენ ვიდაც ძალიან ცუდ გზაზე გვრავთ ხელს, გამოდითო! სადაც ზვიადი გავუშვით, იქ გაგიშვებთ თქვენც... გამოდით ქუჩაში... გამოვალთ ქუჩაში - რომ ყვირით, გამოდით ქუჩაში, გვაშინებთ?“ (სტუდენტური პაემანი, 1996:5 დეკემბერი).

გამაოგნებელია საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრისა და „მხედრიონის“ ერთ-ერთი გამორჩეული თავკაცის, თემურ ხაჩიშვილის მონაწილეობა და აღიარება, რომელიც მან ჩემს მეგობარს, ცნობილ უფლებადამცველსა და პოლიტიკურ პატიმარს ზაზა დავითაიას საგაზეთო ინტერვიუს დროს საჯაროდ დაუფიქსირა! აი, რას ამბობს თ. ხაჩიშვილი: „მხედრიონში“, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით, პირველ რიგში ჩამოყალიბდნენ - გიგა ბოკერია, ძმები რურუები, მამა-შვილი გაბაშვილები და სხვები. სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენდნენ „მხედრიონის“ იმ მანკიერ მხარეს, რასაც საზოგადოება გმობდა. მე არაფერი მსმენია პატიოსან და, იმავდროულად, ფულიან მხედრიონელსა და „ზვიადისტზე“. პირადად მე მრავალი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე ვიმუშავე, თუმცა, როგორც ხედავთ, ჩემი მატერიალური მდგომარეობა უმწვევარესია იმ ფონზე, როცა უღირსი „მხედრიონელები“ ფულის შოვნაზე იყვნენ ორიენტირებული და დღეს უზრუნველად ცხოვრობენ. პირველი პოლიტიკური წრთობა მათ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ქმედებებში მიიღეს. მაგალითად, გიგა ბოკერია სასტიკად არბევდა „ზვიადისტებს“, მან პირადად დააპატიმრა თბილისში „ზვიადისტების“ მხარდასაჭერად ჩამოსული რუსი დისიდენტი ვალერია ნოვოდვორსკაია... ვაცნობიერებ, რომ მეც მეკისრება ამ დარბევის გამო პასუხისმგებლობა, როგორც „მხედრიონის“ ხელმძღვანელს“. (ასავალ-დასავალი, 2014: 13 ოქტომბერი).

საბჭოთა უშიშროების გენერლის, თ. ეპიტაშვილის პერსონა საქართველოში კარგად არის ცნობილი. ერთხანს ის საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ იყო, ხოლო 1991 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დავალებით ქალაქ გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად და ცხინვალის კომენდანტად დანიშნეს. თენგიზ ეპიტაშვილის მონათხრობზე დაყრდნობით, რამინ ყურაშვილმა გამოსცა წიგნი - „მე - გენერალი ეპიტაშვილი“. გენერალი ეპიტაშვილი ზვიად გამსახურდიას დაუნდობელი ოპონენტი, ის პრეზიდენტს ხშირად აბსოლუტურად დაუმსახურებლად აკრიტიკებს... თუმცა უაღრესად საინტერესოა მისი შემდეგი განცხადება - „გამსახურდიამ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ციხეში გამოკეტა, ხოლო თავად შეიარაღებული კონგლომერატის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ხალხთან კი მხოლოდ იარაღის ენაზე უნდა ილაპარაკო, რაც ვერ გაითვალისწინა და მიუტევებელი შედომა დაუშვა, გნებავთ დააშვებინეს კიდევ... მათ მერე „სინდისის პატიმრები“ შეარქვეს, მაგრამ ვთვლი, რომ ისინი არანაირი „სინდისის პატიმრები“ არ იყვნენ. „ოპოზიციის“ ლიდერები მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძისგან იმართებოდნენ და სათანადო კონსულტაციებსაც მისგან დებულობდნენ!“ (ყურაშვილი, 2004:188).

გენერალი აშკარად საკუთარ თავს ეწინააღმდეგება! მართლაც, თუ გამსახურდიამ „პოლიტიკური მოწინააღმდეგეები“ ციხეში გამოკეტა, მა-

შინ რატომ არ იყვნენ ისინი „სინდისის პატიმრები“? აქ აშკარად ნონსესთან გვაქვს საქმე, რადგან ყველა, ვინც პოლიტიკური შეხედულების გამო სასჯელს იხდის, სინდისის პატიმარია... საინტერესოა, საქართველოში რა მოხდა ასეთი, რომ ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა დააპატიმრა „პოლიტიკური მოწინააღმდეგენი“, რომლებიც გენერლისავე აღიარებით „არავითარი სინდისის პატიმრები“ არ იყვნენ? საქმე ის გახლავთ, რომ ზვიად გამსახურდიას „პოლიტიკური მოწინააღმდეგეები“ კი არ დაუპატიმრებია, ქვეყნის არჩეულმა პირველმა პრეზიდენტმა დააპატიმრა პუტჩისტები, ბანდიტები და კრიმინალები, რომლებიც იმართებოდნენ სწორედ ე. შევარდნაძისა და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ!

#### **1.4. რუსეთი და დასავლეთის პოლიტიკური წრეები საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ**

რუსეთის სპეცსამსახურები რომ რუსთაველის პროსპექტზე გაჩაღებულ სისხლისღვრაში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდნენ და სამხედრო ოპერაციებს გეგმავდნენ, ამის შესახებ გენერალი თ. ეპიტაშვილი თავის მოგონებებში დაწვრილებით საუბრობს. როცა უშუალოდ პუტჩის დაწყების მიმოხილვასა და კვლევას შევუდგებით, ცხადია, ჩვენ ამ ცნობებს აუცილებლად გამივიწყებთ, მაგრამ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიტანოთ გენერლის ერთი მეტად საყურადღებო და სკანდალური აღიარება! აი, რას იგონებს ეპიტაშვილი – „ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დაცვა კი მინდოდა, მაგრამ გორიდან გამოსვლამდე მოსკოვიდან ჩემი მეგობრები „შემეხმიანნენ“ და მირჩიეს, ამ კონფლიქტიდან თავი მაინც შორს დამეჭირა. – თენგიზ ვასილიჩ, არ ჩაებათ ომში, მთელი რუსეთი იბრძვის შევარდნაძის მანდ ჩამოსაყვანად, იცოდეთ, ხალხი გაიჟლიტება, ქართველები ამოწყდებით... მოსკოველ „ინფორმატორს“ არც ის დაუმაღავს ჩემთვის, რომ დედაქალაქში „ამბოხებულთა“ დასახმარებლად (საჭიროების შემთხვევაში) უკვე მზადყოფნაში იყვნენ რუსული სპეცსამსახურის სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფები, რომლებიც რუსულ გარნიზონებში იყვნენ დისლოცირებულები!“ (ყურაშვილი, 2004:189-190).

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში რუსეთის რეგულარული არმიის სამხედრო ნაწილების მონაწილეობა ექვივარეშა. 1992 წლის 1 მარტს როკის გვირაბის გავლით, დიდი ლიახვის ხეობაში 36 ერთეული რუსული „ჯავშანმანქანა“, „ბმპ“ და „ბრდმ“ შემოვიდა.

1990 წლის 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოში „ველური, უზნეო და იმპერიული კაპიტალიზმის“ გაფეტიშებას არ აპირებდა. გამსახურდია სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად იღწვოდა და ეკონომიკურ ურთიერთობაში შერეული ფორმის მომხრე იყო. მას არც არც ველური კაპიტალიზმი იზიდავდა და არც ყბადაღებული სოციალიზმი!



ეროვნული ხელისუფლება საქართველოში წესრიგის დასამყარებლად იბრძოდა. სწორედ ამ მიზნით, 1990 წლის 20 და 28 დეკემბერს მიღებული იქნა ორი უმნიშვნელოვანესი კანონი. პირველი შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარები - ეროვნული გვარდია. გვარდიას უნდა დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და საზოგადოებრივი წესრიგი. ანუ გვარდიას თავიდანვე ჰქონდა ორი ფუნქცია - საარმიო და საზოგადოებრივი! რაც შეეხება 1990 წლის 28 დეკემბერს მიღებულ კანონს „კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ“, იგი ანტიკონსტიტუციურად აცხადებდა „მხედრიონსაც“, „იმედსაც“, „თეთრ გიორგისაც“ და მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან არსებულ შეიარაღებულ სტრუქტურასაც. ყველა, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებდა იარაღს, ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თითოეული ფორმირების წინააღმდეგ დაიწყებოდა სისხლის სამართლებრივი დევნა.

„მხედრიონის“ ლიდერი თავიდანვე აგრესიით შეხვდა 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოცემას და ჯ. იოსელიანმა გაზეთ „7 დღეს“ ასეთი რამ განუცხადა - „ეროვნული გვარდია ეს არის ნამდვილი ბლეფი. არავითარი გვარდია საქართველოში არ არსებობს. ეს არის იგივე მოსკოვის შინაგანი ჯარების გაძლიერების პროცესი... ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი. პირადად ვინმეს, თუნდაც ზვიად გამსახურდიას, ან სხვას ჩვენ არ დავემორჩილებით. ჩვენ ისე დავრჩებით, როგორც შევიქმენით. თუ ვინმე ჩვენს დაშლას მოინდომებს, ვურჩევ, ილუზიებს თავი გაანებოს. მართალია, სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს ჩვენი მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა... სხვა გამოსავალი არ არის! თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ, ჩვენ ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ!“ (7 დღე, 1991:4 იანვარი).

აი, ასეთ დროსა და სიტუაციაში, როცა ეროვნული ხელისუფლება კრემლის მიერ გაქეზებულ ოს სეპარატისტებსა და მათ საშიშ მეტასტაზს - ე.წ. სამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ებრძოდა, როგორც ვხედავთ „მხედრიონი“ სისხლისღვრისთვის ემზადებოდა და არც მალავდა, რომ თუ ხელისუფლება რუსეთს დაიხმარდა, ტყეში გაიჭრებოდნენ... ცხადია, სულ მალე მთელმა საქართველომ და მსოფლიომ დაინახეს თუ ვის მხარეს დადგა რუსი თავისი სამხედრო ტექნიკით, ჯარისკაცებითა და ოფიცრებით.

1991 წლის იანვრის დასაწყისში საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი ზვიად გამსახურდიას ტელეფონით დაუკავშირდა და ჰკითხა - მოაწერდა თუ არა ხელს საქართველო ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას? ზვიად გამსახურდიამ გორბაჩოვს ცივი უარი სტკიცა, რამაც გორბაჩოვი წონასწორობიდან გამოიყვანა და პირდაპირ მუქარაზე

გადავიდა – „არ მოაწერთ, ხომ? თქვენ შეგექმნებათ უდიდესი შიდა პრობლემა ცხინვალში. თქვენ უკვე ვერა გაქვთ საქმე კარგად, ასეა არა?“ (რცხილაძე, 2018:254)

ჯ. იოსელიანის ზემოხსენებული ინტერვიუს გამოქვეყნებიდან სულ რაღაც თვე-ნახევარში, კერძოდ, 1991 წლის 17 -18 თებერვლის ღამეს, თბილისში, შავნაბადაზე მოხდა სწორედ ის, რაზეც „მხედრიონის“ ლიდერი საეჭვოდ საუბრობდა - ჩვენ წინააღმდეგ „თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ, ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ!“

1991 წლის 17-18 თებერვლის ღამეს შავნაბადაზე, სადაც „მხედრიონელები“ იყვნენ დაბანაკებული, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საჯარისო ნაწილები შეიჭრნენ და ორმხრივ სროლის შედეგად დაიჭრა და დაშავდა რამდენიმე პიროვნება - ოთარ ბურჭულაძე, ვაჟა კარანაძე და მალხაზ რაზმაძე. რუსმა სამხედროებმა ამოიღეს დიდძალი იარაღი, ტყვია-წამალი და ათეულობით მსუბუქი და სტვირთო მანქანა, რომლებიც „მხედრიონელებს“ გაეტაცებინათ. ხელისუფლებამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა და ოფიციალურ კრიმინალურ ქრონიკაში არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ შეტაკება რუს სამხედროებსა და „მხედრიონელებს“ შორის მოხდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა - ზვიად გამსახურდია აშკარად გაურბოდა ახალი სკანდალისა და ბინძური ცილისწამების ნიაღვარს იმის შესახებ, რომ თითქოს ის ქართველების ამოსახოცად რუსებს შეეკრა და ა.შ.თუმცა ზ. გამსახურდია ამ ცილისწამებას მაინც ვერ ასცდა - სახალხო ფრონტის ლიდერმა ნ.ნათაძემ, რომელიც თბილისის ქუჩებში მიკროფონით ხელში დარბოდა, ქვეყანა გააყრუა - გამოდით ხალხო, ზვიად გამსახურდიამ შავნაბადაზე უდანაშაულო ბიჭები რუსის ჯარს ამოახოცინაო!

ცნობილია, რომ საქართველოს უზენაესის საბჭოს პრეზიდიუმმა შავნაბადაზე მომხდარი ფაქტის გამო მ. გორბაჩოვსა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს - დ. იაზოვს საპროტესტო წერილი გაუგზავნა, რაც გამსახურდიასა და რუს სამხედროებს შორის ფარულს ალიანსს გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, ბუნებაში არ არსებობს დოკუმენტი და იმის დამადასტურებელი ნივთმტკიცება, რომ 1991 წლის 18 თებერვალს შავნაბადაზე „მხედრიონის“ შტაბში შეჭრილი რუსის ჯარი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დირექტივით მოქმედებდა! პირიქით, რუსის ჯარი ზვიად გამსახურდიას არაფერს ეკითხებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ შავნაბადაზე „მხედრიონელებს“ განკითხვის დღე რუსებმა იმიტომ მოუწყვეს, რომ ამ ნაბიჯით ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგებს შორის დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავება სურდათ. კაცმა რომ თქვას, რუსებმა ამას მიაღწიეს კიდევ.

ამ ინციდენტის შეფასებისას სავსებით სამართლიანად შენიშნავს პროფესორი დიმიტრი შველიძე, როცა წერს - „კრემლის ხელმძღვანელობამ

და შესაბამისმა სტრუქტურებმა შესანიშნავად იცოდნენ – შავნაბადას აქცია კონგრესის მომხრეთა და უზენაეს საბჭოს შორის ურთიერთობის გამწვავების დამატებით ფაქტორად გადაიქცეოდა“ (შველიძე, 2008:160).

ასე იყო თუ ისე, 1991 წლის 18 თებერვალს შავნაბადაზე მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ ხელისუფლებას რაღაც უნდა ელონა, რადიკალური ნაბიჯები გადაედგა და ბანდფორმირებების პროვოკაციებისთვის, რომლებიც საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებდნენ, პასუხი გაეცა. გამსახურდიამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და საკმარისზე მეტი დრო გაფლანგა... კერძოდ, მთელი თვე-ნახევრის განმავლობაში ხელისუფლება ელოდებოდა როდის ჩააბარებდნენ უკანონო იარაღს ის ბანდიტები, რომლებიც არ მალავდნენ და პირდაპირ აცხდებდნენ – ზვიად გამსახურდიას აუცილებლად ვესვრითო!

დიახ, როგორც კი 1990 წლის 28 დეკემბერს საგანგებო დადგენილებით ყველა ბანდფორმირება კანონგარეშედ გამოცხადდა, ხელისუფლება მაშინვე რადიკალურ მოქმედებაზე უნდა გადასაულიყო და ვინც უკანონო იარაღს საკუთარი ნებით არ ჩააბარებდა, დაეპატიმრებინა. სამწუხაროდ, ეს არ გაეკეთდა, რამაც ხელისუფლების ავტორიტეტი შეარყია და ყველა პოტენციურ პუტჩისტსა და ბანდიტს გაუჩინა იმის ცთუნება, რომ დანაშაულისთვის ახალი დანაშაული დაემატებინათ.

შავნაბადას ინციდენტის შემდეგ ხელისუფლება იძულებული გახდა, რადიკალურ ქმედებაზე გადასულიყო. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1991 წლის 19 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და მთელ საქართველოში „მხედრიონის“ მეთაურები დააპატიმრა.

ცხადია, „კონგრესისტებმა“, რომელთა ავანგარდშიც სხვებთან ერთად „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ იდგა, ამის გამო დიდი ალიაქოთი ატეხა.

ეროვნული ხელისუფლების პოზიციები ერთგვარად გამყარდა 1991 წლის მარტსა და აპრილში, როცა უზენაესმა საბჭომ 17 მარტს გორბაჩოვის მიერ დანიშნული რეფერენდუმში საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალა და სამაგიეროდ 31 მარტი რეფერენდუმის დღედ გამოაცხადა. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ შეკითხვაზე – „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის საფუძველზე?“

ამ რეფერენდუმში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის აფხაზეთის მცხოვრებთა 60 პროცენტზე მეტმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა. ნიშანდობლივია, რომ არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში – ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ბოლნისში, მარნეულში, წალკასა და გარდაბანში დამოუკიდებლობის მსურველთა რაოდენობა 96 პროცენტზე ნაკლები არ ყოფილა.

იმ დროისათვის საქართველოში 3 მილიონ 657 ათას 477 ამომრჩეველი იყო. აქედან 3 მილიონ 307 ათას 572 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა 90,3 პროცენტმა რეფერენდუმში მიიღო მონაწილეობა და 98,9 პროცენტმა საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

საინტერესოა, რას იქმოდა 31 მარტის რეფერენდუმის დღეს ე. შევარდნაძე და მისცა თუ არა მან მოკოვში ხმა საქართველოს თავისუფლებას? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს 1992 წლის 19 აპრილით დათარიღებული ზვიად გამსახურდიას წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი, სადაც ვკითხულობთ - „...შემდეგ მე მოვითხოვე თქვენგან, დაგვხმარებოდით საქართველოს გამოყოფაში საბჭოთა კავშირიდან, თანაც შეგახსენეთ, რომ თქვენ თქვენი სამშობლოს მეტი არაფერი დაგრჩენოდათ და გეფიქრათ მის კეთილდღეობაზე. „დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც შემძლია!“ - ასეთი იყო თქვენი პასუხი. მე გკითხეთ, მიეცით თუ არა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას 31 მარტის რეფერენდუმზე, რაზეც დუმილით მიპასუხეთ. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ მხოლოდ 17 მარტის ე.წ. სამოკავშირეო რეფერენდუმში მიიღეთ მონაწილეობა და ხმა მიეცით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას“. (ახალი შვიდი დღე, 1998:8 მაისი).

31 მარტის რეფერენდუმამდე საქართველოში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა \_23 მარტს დაბა ყაზბეგში ჩამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელმაც ოფიციალურ დოკუმენტში ხელმოწერით დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის გაუქმების ფაქტი.

ელცინთან განშორების შემდეგ გამსახურდიამ ვიწრო გარემოცვაში ასეთი სიტყვა სთქვა \_ ვითომ ხომ ყველაფერზე დავითანხმეთ და ხელი მოვაწერინეთ, მაგრამ არც ერთი წუთით არ შეიძლება ელცინის ნდობა!

ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მთელი ქართველი ერი უდიდესი პატრიოტული აღმაფრენით შეხვდა, მაგრამ „კონგრესისტები“ და განსაკუთრებით გ. ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ უცნაურ განცხადებებს ავრცელებდა. ჭანტურია, რომელიც 31 მარტის რეფერენდუმის გამართვას ეწინააღმდეგებოდა, პარტიის მთავარი კომიტეტის პირით 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ დამოუკიდებლობაზე - „ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ე.წ. ლიტვური გზის მიმართ და ამჯერად აღარ გავიმეორებთ, თუ რატომ მიგვაჩნია „დამოუკიდებლობის დეკლარაციები“ მიზანშეუწონლად ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის!“ (შველიძე, 2008:206).

ანუ პარტია, რომელიც ვითომდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, სინამდვილეში დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგი იყო! ცხადია, ასეთ ხალხს გამსახურდია „კრემლის აგენტებსა“ და „მოღალატეებს“ ეძახდა, რაც ცუდი მოსასმენი იყო, მაგრამ სიმართლეს ასახავდა...

ზვიად გამსახურდიასა და ოპოზიციას შორის პრობლემა ვერც 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა გადაჭრა... პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ტრიუმფით ჩატარებულმა საპრეზიდენტო მარათონმა, რომელშიც გამსახურდიამ ხმათა 87 პროცენტი მიიღო, საქართველოში ხელისუფლების იარაღით დამხობის გეგმის შემუშავება დააჩქარა.

1991 წლის 12 აგვისტოს კი სიგუამ უზენაესი საბჭოს სხდომაზე ზვიად გამსახურდიას შემდეგი მინისტრების - დ. ხაბულიანის, მ. ძოძუაშვილის, კოპალიანის, ი. ჩხეიძისა და კვანტალიანის მოხსნა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თანამდებობიდან წასვლით დაიმუქრა. გამსახურდიამ მცირე პაუზის შემდეგ სიგუას უარი უპასუხა, რამაც პრემიერი გააცეცხლა და დემონსტრაციულად გავარდა სხდომათა დარბაზიდან. ეს იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ, ავთანდილ რცხილაძის განცხადებით, ყველა გაოგნებული დარჩა. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ სიგუას სთხოვა დაბრუნებოდა თავის პოსტს, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ პრეზიდენტი იძულებული გახდა თ. სიგუას შემცვლელი ეპოვნა და მის ნაცვლად პრემიერ-მინისტრად ბ. გუგუშვილი დაემტკიცებინა. (რცხილაძე, 2018:298-299).

ბუნებრივად დაისმის კითხვა - მაინც რა მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისეთი და რა პროცესები განვითარდა ივნისში, ივლისსა და აგვისტოში საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც საქართველოში სიტუაციის არევა მოჰყვა? ვფიქრობთ ამის მიზეზები ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უფროსი) მოსკოვსა და კიევში ვიზიტებსა და იქ გაკეთებულ განცხადებებში უნდა ვეძიოთ!

ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 6 ივლისს პრეზიდენტ ბუშს ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მისალოც გულთბილ წერილში წერდა - „იმედი გაქვს, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას, მსოფლიო ერთა თანამეგობრობის, დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატებისა და პირადად თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო!“ (სალუაშვილი, 1995:89).

ამის მიუხედავად 1991 წლის 31 ივლისს მოსკოვში ჩასულმა პრეზიდენტმა ბუშმა, რომელმაც უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას - სტრატეგიული შეიარაღების შემცირებას მიაღწია, ჯერ მოსკოვში და შემდეგ კიევში პირველმა გაუხსნა ცეცხლი ზვიად გამსახურდიას. მართალია, მას არც საქართველო და არც მისი პირველი პრეზიდენტი უხსენებია, მაგრამ მსოფლიოს ზესახელმწიფოს ლიდერის განცხადება ძალიან საშიშ

ქვეტექსტებს შეიცავდა - „უკრაინაში, რუსეთში, სომხეთსა და ბალტიკაში ჰყვავის თავისუფლების სული... ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათ, რომელნიც დამოუკიდებლობისთვის იმიტომ იბრძვიან, რომ შორიდან თავს მოხვეული ტირანია შეცვალონ ადგილობრივი დესპოტიზმით. ისინი არ დაეხმარებიან მათ, ვინც ალღივებს ეროვნებათა შორის სიმულვილზე დამყარებულ თვითმკვლელ ნაციონალიზმს!“ (იზვესტია, 1991:3 აგვისტო).

ცხადია, მწელი მისახვედრი არ იყო პრეზიდენტი ბუში სადაც უკაკუნებდა და კენჭებს ვის ბოსტანშიც ისროდა... არაერთგზის გვითქვამს, რომ ქართველი „დემოკრატების“ აქტიური მეცადინეობით, რომლებიც ცხინვალში ოსი სეპარატისტების მიერ დამწვარ ქართველებს სურათებს უღებდნენ და ოსებად ასაღებდნენ, ზვიად გამსახურდიას დასავლეთში უკვე შექმნილი ჰქონდა „ოსების მჩაგვრელის“ ყალბი და ცილისმწამებლური იმიჯი... (ცომაია, 2018:25).

ამერიკელი სოვეტოლოგი რიჩარდ პაიპსი ამაოდ არწმუნებდა ამერიკის ადმინისტრაციასა და დასავლეთს, რომ ზვიად გამსახურდიას მისამართით გავრცელებული „ვერცერთი ბრალდება ვერ უძლებდა კრიტიკას და მათი ძირითადი წყარო საბჭოთა მთავრობის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია იყო, რომელიც გამიზნული იყო იმისათვის, რომ უცხოეთის თვალში ჩირქი მოეცხო ქართველთა დამოუკიდებლობისათვის და შეენარჩუნებინა ძალაუფლება კავკასიაში.“ (კვესელავა, 2018:618).

პარალელურად ბუშმა უკრაინაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს ცენტრის, ანუ კრემლის ხარჯზე მხარს არ დაუჭერდა. (იზვესტია, 1991:3 აგვისტო).

ბუშის ამ განცხადებებმა საქართველოში სიტუაცია აჭრა. საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც ოთხივ კუთხივ შემოჯარულ შინაურ თუ გარეულ მტრებთან გაცხადებულ ომში იყო, ამერიკის ადმინისტრაციასთანაც ღია კონფრონტაციაში შევიდა და ოფიციალურ სამთავრობო პრესაში, მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით - „ჯორჯ ბუში მხარს უჭერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას“? უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიამ ამერიკის პრეზიდენტის მიმართ ასეთი რამ განაცხადა - „ჯორჯ ბუშმა - ვაშინგტონის, ჯეფერსონისა და ლინკოლნის მემკვიდრემ - მოუწოდა დაპყრობილ ხალხებს ნებაყოფლობით ჩამოიცივან კისერზე იმპერიის ყულფი და შეურიგდნენ მონობას!“

უფრო მკაცრი იყო საქართველოს მთავრობის მიერ 9 აგვისტოს გაკეთებული განცხადება, სადაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ბრალი დასდეს სამოკავშირეო ხელშეკრულების აგიტაციაში! ამ გართულებული ურთიერთობის ფონზე ჯორჯ ბუშს საქართველოსადამისი პრეზიდენტის

მხარდაჭერას სთხოვდა საქართველოს დიდი მეგობარი და ლობისტი დოქტორი ესაია გოლშტეინი, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს ურჩევდა - კომუნიზმს მხარს ნუ უჭერ და ზვიად გამსახურდია ამერიკაში ოფიციალური ვიზიტით მიიწვიეთო! (საქართველოს რესპუბლიკა, 1991:10 აგვისტო).

ცხადია, ესაია გოლშტეინის ვედრება ამერიკის ადმინისტრაციის მიერ გაზიარებული არ იქნა...

### 1.6. სანქცია საქართველოში პუტჩის დაწყების შესახებ

საფიქრებელია, რომ საქართველოში ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობა და ე. შევარდნაძის ჩამოყვანა საბოლოოდ სწორედ 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე გადაწყდა, როცა პრეზიდენტი ბუში და გორბაჩოვი მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ. ამ შეხვედრის არაოფიციალურ ნაწილს დიდი ალბათობით აუცილებლად დაესწრებოდა ედუარდ შევარდნაძეც...

სწორედ ამით უნდა აიხსნას პრემიერ-მინისტრს თ. სიგუას უცნაური ქცევა და ზ. გამსახურდიასადმი წაყენებული ულტიმატუმი, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემდეგაც პრემიერმა უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზი დემონსტრაციულად დატოვა. არადა, 1991 წლის 31 ივლისს, გადადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე თ. სიგუა ტელეჟურნალისტ თ. ბერიძეს უმტკიცებდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სრულიადაც არ იყო უიმედო და „შემოდგომისთვის სრულად თუ არა, ნაწილობრივ ყველაფერი გამოსწორდებოდა!“ ( შველიძე, 2008:206).

ისიც საინტერესოა, რატომ ერიდებოდა პრეზიდენტი ბუში 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე საქართველოსა და ზვიად გამსახურდიას პირდაპირ ხსენებას... ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამით ბუშის ადმინისტრაცია საქართველოს პრეზიდენტს აფრთხილებდა და მოსაფიქრებლად დროს აძლევდა. მაინც რა უნდა მოეფიქრებინა ზვიად გამსახურდიას და რას უწყუნებდა მას დასავლეთი ისეთს, რის გამოც, მაგალითად, სომხეთში „თავისუფლების სული ჰყვავოდა“, ხოლო საქართველოში არა?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხს გვამლევს ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის საქართველოში ჩამოსვლა 1991 წლის 31 მარტის ისტორიული რეფერენდუმის დღეს და მისი ერთი ერთზე შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა.

როგორც ცნობილია, ამ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის როლს, სადაც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ეროვნული ინტერესები წინა პლანზე წამოსწია.

ცხადია, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ავტორებსა და პირველ რიგში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს საქართველოს პრეზიდენტის, როგორც

დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშის სტატუსი ხელს არ აძლევდა. პლანეტის ბედის გამგებლებს საქართველოში სჭირდებოდათ ისეთი ლიდერი, რომელიც ამ „წესრიგს“ მოერგებოდა. ვფიქრობთ, ასეთი კაცის - ე. შევარდნაძის შერჩევა სწორედ 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე მოხდა, როცა პრეზიდენტი ბუში მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა.

გავიხსენოთ, რა განუცხადა 1991 წლის სექტემბრის დასაწყისში საქართველოდან ფინეთში დაბრუნებულ რენო სირაძეს მეგობარმა ამერიკელმა, რომელიც „ცს“ ძალიან მაღალი რანგის ოფიცერი იყო - ხელმძღვანელობამ თქვენთან შეხვედრა ამიკრძალაო!

ანუ როცა ეს სიტყვები ითქვა, საქართველოს პირველ პრეზიდენტს განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა!

ყველაფერი კი ისევ და ისევ „სხვის ქვეყანაში ატეხილი ჭირით“ დაიწყო, როცა 1991 წლის 19 აგვისტოს შეთქმულებმა ყირიმში მყოფი გორბაჩოვი გადაყენებულად გამოაცხადეს და შექმნეს ე.წ. „გეკაჩეპე“ იური იანაევის, „კაგებეს“ მინისტრ კრიუჩკოვის, თავდაცვის მინისტრ იაზოვისა და პრემიერ-მინისტრ პავლოვის მეთაურობით. შეთქმულებმა აკრძალეს მიტინგები, პოლიტიკური პარტიები, გაზეთები... აჯანყებულებმა მოსკოვში ტანკები და მძიმე ტექნიკა შეიყვანეს და ქუჩები გადაკეტეს. საქართველოს ხელისუფლება დიღემის წინაშე აღმოჩნდა. ზ. გამსახურდიამ „გეკაჩეპეს“ მიმართ თავისი დამოკიდებულება ასე გამოხატა - „პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა მეტად რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს თუ მხოლოდ გარიგება ან შოუ...“ (ცომაია, 2018:59).

მოსკოველმა პუტჩისტებმა თბილისში მაშინვე მოავლინეს თავიანთი ემისარი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გ.შურავლიოვი, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო ფორმირებების დაუყოვნებლივ დაშლა მოსთხოვა, წინაარმდეგ შემთხვევაში დაიშუქრა, რომ ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ ბრძანება უკვე გაცემული იყო. აი, ასეთ სიტუაციაში, როცა საფრთხე რეალური იყო, 1991 წლის 19 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ბრძანებულება ეროვნული გვარდიის „რეორგანიზაციის“ შესახებ, რომლის თანახმადაც გვარდიას მიენიჭა „განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის“ სტატუსი, გაუქმდა მისი სარდლის ფუნქცია და ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

ფაქტობრივად, ზ. გამსახურდიამ გვარდია შეინარჩუნა, მაგრამ მას ის სტატუსი გაუძლიერა, რაც თავიდანვე დაკისრებული ჰქონდა - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა!

გაოგნებას იწვევს ის ფაქტი, რომ თ. კიტოვანი ზვიად გამსახურდიას ამ გადაწყვეტილებას მიესალმა და 1991 წლის 25 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს გვარდიელში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით



- „გვარდია რკონში“. კიტოვანი წერილში ხაზგასმით წერს, რომ პრეზიდენტს გვარდია არ გაუუქმებია და რომ გვარდიის რკონში გასვლა წინასწარ შეთანხმებული სვლა იყო. (საქართველოს გვარდიელი, 1991:25 აგვისტო). უფრო მეტიც, კიტოვანმა ასევე ამხილა გ. ჭანტურიას მიერ რკონში მიგზავნილი პროვოკატორები, რომლებიც გვარდიელებს შორის პროკლამაციებს ავრცელებდნენ და ახალგაზრდებს მოუწოდებდნენ - „დღესვე გაეკეთებინათ არჩევანი და გამიჯნოდნენ ბოროტ გამსახურდიას, რომელიც ატყუებდა გვარდიელებს და მათ ქართველი და-ძმების დასახოცად ამზადებდა!“

ხელისუფლებისადმი გამოჩენილი ამ „ლოიალობის“ მიუხედავად, თ. კიტოვანი 1991 წლის 19 აგვისტოდან გვარდიის სარდალი უკვე აღარ იყო და რკონში მისი ყოფნა ვერცერთ კანონში ვერ ჯდება...

როცა „გეკაჩეპეს“ საფრთხემ ჩაიარა და პუტჩისტები დააპატიმრეს, 1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით ზვიად გამსახურდიამ გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის სტატუსი უმაღლესად მოუხსნა და გვარდიელებს მოუწოდა დაბრუნებოდნენ თავიანთ დისლოკაციის ადგილებს ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა და თენგიზ კიტოვანი, რომელიც 25 აგვისტოს წერდა – გამსახურდიას გვარდია არ გააუქმებიაო, ხელისუფლების კონტროლიდან გავიდა!

არსებობს ერთი ძალიან საინტერესო ფოტო, რომელიც 1991 წლის ზაფხულში რკონის ტყეშია გადაღებული. მასზე გამოსახული არიან თ. კიტოვანი და რუსეთის დღევანდელი თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ. კიტოვანს რომ პუტჩის დღეებში გენერალ ს. ბეჰავეის კაბინეტში ეძინა, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ, როგორც ჩანს, შოიგუ 1991 წლის ზაფხულში რკონში შემთხვევით არ ჩასულა. ფაქტია, რომ 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩმა საქართველოზე დამანგრეველი ზეგავლენა იქონია და ზვიად გამსახურდია ორცეცხლს შუა აღმოჩნდა – თუ „გეკაჩეპეს“ მიმართ კომპრომისზე არ წავიდოდა, საქართველოს დაბომბვისა და მიწასთან გასწორების საფრთხე რეალური იყო, ხოლო კომპრომისზე წავიდა და ჩასაფრებულმა შიდა ოპოზიციამ მაშინვე ქვეყანა გააყრუა – გამსახურდია პუტჩისტებს შეეკრაო!

არადა, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 20 აგვისტოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ ცივილიზებულ სამყაროს მოუწოდა, რომ „სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე ცნონ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან!“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1991: 20 აგვისტო).

გასაოცარია „სახალხო ფრონტის“ ლიდერის ნ. ნათაძის მოგონება, რომელიც მან 2002 წელს თავის მემუარებში - „რაც ვიცი“ დაწერა... „რა შეცდომებზე შემიძლია ლაპარაკი?.. რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას

ხელისუფლებას არ ჰქონდა გამოცდილება, მაგრამ ზვიადს ჰქონდა გადაწყვეტილების მიღების უნარი. დღევანდელი გადასახედიდან ზვიადის ყველა გადაწყვეტილება სწორი იყო. მოსკოვში რომ პუტჩი მოხდა, ზვიადი ყაზბეგში იყო. თბილისი დაბნეულობამ მოიცვა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შეიკრიბა და ამ დროს ზვიადიც ჩამოვიდა. ძალიან მძიმე ვითარება იყო, პუტჩისტებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის გაძლიერება უნდოდათ. ეს კი ნიშნავდა სისხლსა და ნგრევას საქართველოში და ჩვენი ისევ დამონებას. ზვიადმა მშვიდად თქვა, პუტჩი უნდა დავგმოთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის სხვა სახელმწიფოში მოხდა და ვერ ჩავერევითო. ბოლოს კი დასძინა, ერთხელ მაინც მოვიქცეთ ისე, ჩვენი ქვეყანა სხვის ნანგრევებში არ მოყვესო. ასეც გავაკეთეთ. ოპოზიცია კი მოითხოვდა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩავრთულიყავით. იყო მიტინგები და გამოსვლები. განსაკუთრებით ედუ და გიორგი ჭანტურია აქტიურობდნენ. ბრალად გვდებდნენ, სამშობლოს უღალატეთო! მახსოვს, როდესაც პუტჩისტების თავკაცმა იანაევმა დაურეკა ზვიადს, გვერდით ვედექი. იანაევმა მხარდაჭერა მოითხოვა. ზვიადმა კი უპასუხა, მე ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვიო. მაშინ თბილისს ისე დავბომბავ, მისგან მტვერიც არ დარჩებაო... ამას ვერ შეძლებო, უთხრა ზვიადმა. როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ პიკს მიაღწია, მაშინ საბჭოთა კავშირის შსს-მ საქართველოს შს მინისტრ გორგოძისგან მოითხოვა, მილიციაში არსებული შეიარაღება მოსკოვში გადაეზავნათ. დაახლოებით 20 ათასი ერთეული ავტომატური იარაღი გაიგზავნა მოსკოვში. გორგოძე არც შეწინააღმდეგებია რუსებს. გასაგებია, ისიც მოსკოვს ემორჩილებოდა, მაგრამ ასეთ მზაკვრულ ბრძანებას „ხუთიანზე“ მაინც ნუ შეასრულებ... ხელისუფლებაში რომ მოვედით და ქვეყნის მშენებლობას ვიწყებდით, ერთი ცალი ავტომატური იარაღი არ გვქონდა, არადა ისეთი არმიის შექმნა გვინდოდა, რომელიც სამშობლოს დაიცავდა. ამიტომ სკოლებსა და ინსტიტუტებში არსებული სასწავლო იარაღების გადაკეთება დავიწყეთ. როდესაც იანაევმა დაგვირეკა და დაგვემუქრა, ზვიადმა უპასუხა\_შენი არ მეშინია, ამას ვერ გააკეთებო! ამას ამბობდ აკაცი, რომელსაც ზურგს 100 ცალი გადაკეთებული სასწავლო იარაღი უმაგრებდა. ოდნავი შიში და უპრინციპობა რომ გამოეჩინა მაშინ გამსახურდიას, ჩანასახშივე მოკვდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა“ (ნათამე, 2002:178).

მიუხედავად ამისა, პუტჩისტური ოპოზიცია ავრცელებდა ბინძურ ცნობებს ზვიად გამსახურდიას მიერ ვითომდა იანაევისადმი გაგზავნილი „დასახვრეტა სიის“ შესახებ. თ. სიგუა კი თავისი სიცოცხლის ბოლომდე ამაოდ ელოდებოდა „იანაევის დაკითხვის ოქმებს“, სადაც თითქოსდა ზვიად გამსახურდიას კავშირი „გეკაჩეპესთან“ დადასტურდებოდა. ისტორიის ქარბორიამ ეს ნაგავი და სიბილწე ნელ-ნელა გაფანტა და

ზვიად გამსახურდიას სახელი, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც შეუბღალავი დარჩა.

ექსპერტმა თ.ანდრიაშვილმა შეისწავლა „დასახურეტთა სია“ და დაასკვნა, რომ „დოკუმენტზე“ ზვიად გამსახურდიას ხელმოწერა გაყალბებული იყო.

თომას გოლცის აზრით, „საქართველოს სახელმწიფოებრივი თვით-მკვლევლობა“ 1991 წლის 19 აგვისტოს დაიწყო, როდესაც მოსკოვში „გე-კაჩეპე“ შეიკრიბა. „ზვიადის დახასიათებით, ეს გადატრიალება გახლდათ რუსეთის მორიგი თაღლითობა. ამ სიტყვების შემდეგ გამსახურდიას შესახებ საუბრობდნენ, როგორც შემლილზე. ზოგიერთები უფრო შორს წავიდნენ, როცა იგი ამ პუტჩის მხარდამჭერადაც გამოაცხადეს. (გოლცი, 2014:73).

მოსკოვის პუტჩის დღეებში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბუშს ჰკითხა - საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა გამსახურდიამ განაცხადა, რომ შესაძლოა, მოსკოვში მომხდარი ამბები გორბაჩოვის მიერ იყოს მოწყობილი და თქვენ რას ფიქრობთ? ამაზე ბუშის პასუხი ასეთი იყო - „მე ვფიქრობ, რომ ამ კაცმა (გამსახურდიამ), ცოტათი მაინც უნდა დაამუშაოს ის განცხადებები, რომლის გაკეთებასაც აპირებს. ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. ის უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში“ (გამსახურდია, 2006:109-110).

ამ გადაცემის შესახებ გ. გაჩეჩილაძემ მაშინვე დაურეკა აშშ-დან ზვიად გამსახურდიას და გააფრთხილა - ბუშმა ასეთი და ასეთი განცხადება გააკეთა და შეფასებებში უფრო ფრთხილი იყავითო! ამაზე ზვიად გამსახურდიამ გ. გაჩეჩილაძეს ზუსტად ასეთი რამ უთხრა - „მაგათ უთხარი, მდინარის დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო!“ (ასავალ-დასავალი, 2005:12 ოქტომბერი).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის პუტჩის დღეებში, 1991 წლის 20 აგვისტოს, ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ გაკეთებული საბედისწერო განცხადება - „გამსახურდია მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ!“ - საქართველოს უახლეს ისტორიაში ავბედითი ტეხილია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული სვე-ბედი ათეული წლების განმავლობაში განსაზღვრა!

პრეზიდენტ ბუშის განცხადება - „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“ - იყო სანქცია და ნებართვა პუტჩზე, რომელიც პერმანენტული შეიარაღებული დაპირისპირების სახით 1991 წლის სექტემბერში დაიწყო და 1991 წლის 22 დეკემბერს ე.წ. ზამთრის ომში გადაიზარდა.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში სამხედრო კრიმინალური გადატრიალების ათვლის წერტილად მიჩნეული უნდა იქნეს არა 1991 წლის 22 დეკემბერი, არამედ 1991 წლის 25 სექტემბერი, როცა დიდუბეში თელასის შენობას თ. კიტოვანის გვარდიელები დაესხნენ. თელასს

მილიცია იცავდა... თავდასხმის შედეგად დაიღუპა მილიციის სამი თანამშრომელი და კიტოვანის ორი გვარდიელი. თელასის პარალელურად ამბოხებულებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეტაკებები მოხდა ცირკთან და სხვა ადგილებში...

25 სექტემბერს წინ უსწრებდა 2 სექტემბერი - ავბედიტი თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში, როცა საქართველოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრაზე იმყოფებოდა ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფი სემ გიბონსის ხელმძღვანელობით. სწორედ ასეთ სიტუაციაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა წინა დამით „კინოს სახლში“ რიყის ქვები შეზიდეს და მეორე დღეს, ტრადიციულ საორშაბათო მიტინგზე, დაახლოებით 16:00 საათზე ინციდენტმაც არ დააყოვნა. კერძოდ, შეხლა-შემოხლამოჰყვა ჭანტურიასთანაპარტიელების მცდელობას „კინოს სახლთან“ დაედგათ ხმის გამამღიერებელი აპარატურა. ე.წ. ომონისა თუ ღმერთმა უწყის ვისი რიგებიდან, მოხდა გასროლა, რომლის ექიმ ჯერ საქართველოს პრეზიდენტთან სტუმრად მყოფი ამერიკელი კონგრესმენები „შეამფოთა“, ხოლო შემდეგ როგორც ამერიკის ადმინისტრაცია, ისე შავრაზმული რუსული პოლიტიკური ელიტა. 2 სექტემბერს დაჭრილი არავის უნახავს, მაგრამ ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ „ხელისუფლებამ ხალხს ესროლა“.

პროვოკაციულ გასროლას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებმა იმით უპასუხეს, რომ „კინოს სახლში“ წინდაწინ მომარაგებული რიყის ქვები მილიციის განსაკუთრებულ ძალებს დაუშინეს...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა წევრმა მამუკა გიორგაძემ საგაზეთო საუბარში აღიარა, რომ 1991 წლის 2 სექტემბრის დამეს „ედპ“-მ რესტორან „სამადლოში“ დიდი ბანკეტი გადაიხადა და „გამარჯვება“ იზეიმა! როგორც ჩანს, ნ. ნათაძის აღიარებას - „პატრიოტმა და გამოკვეთილმა დისიდენტმა მითხრა, სექტემბერში ზვიადის წასვლის პროცესი დაიწყებო!“ - რეალური საფუძველი ჰქონდა... (ცომაია, 2018:68).

3 სექტემბერს კიტოვანის „გვარდია“, რომელიც უკვე წვევამდელებისგან დაცლილი იყო და ძირითადად კრიმინალებისა და თავგაცხელებული ავანტიურისტებისგან შედგებოდა, თბილისში შემოვიდა და შვნაზადაზე დადგა. კიტოვანმა განაცხადა, რომ თუ ხელისუფლება მომიტინგეებს კვლავ დაარბევდა, ის მათ დაიცავდა! (შველიძე, 2008:336).

მთელი შემდგომი პროცესები - 16 სექტემბერს ტელევიზიის შენობის წინ კიბეზე ჟურნალისტებისა და მათი მხარდამჭერების იმავე დღეს გ. ჭანტურიასა და ი. სარიშვილის დაპატიმრება, რომლებიც შევარდნაძესთან მიფრინავდნენ ანგარიშის ჩასაზარებლად; 22-24 სექტემბერს შეიარაღებული ოპოზიციისა და კიტოვანის გვარდიელების მიერ ტელევიზიის, ვარაზისხევისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორიის დაკავება, ემსახურებოდა მხოლოდ ერთადერთ მიზანს - 1991 წლის 25 სექტემბერს თბილისში „ოპოზიციად“ წოდებულმა ბანდებმა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყეს!

### გამოყენებული ლიტერატურა:

kveselava, igor. (2018). *saqartvelos istoriis qronikebi, VI. saqarTvelo da msofflio udzvelesi droidan XX saukunis 90-iani wlebis dasawyisamde. wigni pirveli*. tbilisi: gamomtsemloba „universal“ (კვესელავა, იგორ. (2018). საქართველოს ისტორიის ქრონიკები, VI. საქართველო და მსოფლიო უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე. წიგნი პირველი. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“).

dzabiradze, vakhtang. (2007). *erovnuli modzraobis shuq-chrdilebi*, tbilisi. (ძაბირაძე ვახტანგ (2007): „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები“. თბილისი).

dumbarze, tamaz. (1999). *tqvens gasagonad, bichebo!* tbilisi. (დუმბაძე თამაზ (1999). *თქვენს გასაგონად, ბიჭებო!* თბილისი).

shevardnadze, e. (2006). *figrebi warsulsa da momavalze. memuarebi*. gamomtsemloba: „palitra L“ (შევარდნაძე, ე. (2006) *ფიქრი წარსულსა და მომავალზე. მემუარები*. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“).

gazeti „asaval-dasavali“, (2007). 9 aprili. tbilisi (გაზეთი „ასავალ-დასავალი“. (2007). 9 აპრილი. თბილისი).

tsomaia, leila. (2018). *prezident zviad gamsakhurdias khelisuflebis damk-hoba*, tbilisi: gamomtsemloba „inteleqti“ (ცომაია, ლეილა (2018). *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა*, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“).

gazeti „asaval-dasavali“, (2020). 28 dekemberi, tbilisi (გაზეთი „ასავალ-დასავალი“. (2020). 28 დეკემბერი. თბილისი).

tvalavadze, ivane. (2019). *erovnuli modzraobis kvaldakval*. gamomtsemloba „inteleqti“. (თვალავაძე, ივანე. (2019). *ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ*. გამომცემლობა „ინტელექტი“).

gazeti „qronika“, (2016). 10 dekemberi, tbilisi (გაზეთი „ქრონიკა“. (2016). 10 დეკემბერი. თბილისი).

gazeti „asaval-dasavali“, (2020). 24 agvisto, tbilisi (გაზეთი „ასავალ-დასავალი“. (2020). 24 აგვისტო. თბილისი).

kveselava, igor. (2014). *saqartvelos sakhelmcifoeriv-politikuri paradigmebi da dilemebi*. tbilisi: gamomtsemloba „universal“. (კვესელავა, იგორ. (2014). *საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები*, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“).

rtskhiladze, avtandil (2018). *mze kavkasiisa*. tbilisi (რცხილაძე, ავთანდილ. (2018). *მზე კავკასიისა*. თბილისი).

goltz, thomas. saqartvelo. (2014). *omisa da politikuri qaosis politikuri qronika post-sabchota kavkasiashi*. tbilisi: gamomtsemloba „universal“. (გოლცი, თომას. (2014). *საქართველო. ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“).

gamsakhurdia, k.z. (2006). *tbilisi dinebis sacinaagmdegod*. tbilisi (გამსახურდია, კ.ზ. (2006). *დინების საწინააღმდეგოდ*. თბილისი).

gazeti „*russkaia pravda*“. (1992). 3 oqtomberi, sankt-peterburg (გაზეთი „*რუსკაია პრავდა*“). (1992). 3 ოქტომბერი. სანკტ-პეტერბურგი).

gazeti „*saqartvelo*“. (1998). 27 marti, tbilisi (გაზეთი „*საქართველო*“). (1998). 27 მარტი. თბილისი).

bartaia, nomadi. (2020). *erovnuli modzraobis dgiurebidan* (1988-1993), tbilisi: gamomtsemloba „*inteleqti*“. (ბართაია, ნომადი. (2020). *ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან* (1988-1993), თბილისი: გამომცემლობა „*ინტელექტი*“).

shvelidze, dimitri. (2008). *politikuri dapirispirebebi da erovnuli khelisu-flebis damkhoba saqartveloshi* (1987-1992). tbilisi: gamomcemloba „*universali*“. (შველიძე დიმიტრი. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში* (1987-1992). თბილისი: გამომცემლობა „*უნივერსალი*“).

gazeti „*iberia speqtri*“. (1999). 9 ivnisi, tbilisi (გაზეთი „*იბერია-სპექტრი*“). (1999). 9 ივნისი. თბილისი).

ioseliani, jaba. (2013). *sami ganzomileba*. tbilisi: „*bakur sulakauris gamomtsemloba*“. (იოსელიანი, ჯაბა (2013). *სამი განზომილება*. თბილისი: „*ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა*“).

gazeti „*asaval-dasavali*“. (2006). 11 seqtemberi, tbilisi (გაზეთი „*ასავალ-დასავალი*“). (2006). 11 სექტემბერი. თბილისი).

gazeti „*akhali qutaisi*“. (1999). 12 maisi, qutaisi (გაზეთი „*ახალი ქუთაისი*“). (1999). 12 მაისი. ქუთაისი).

gazeti „*studenturi paemani*“. (1996). 5 dekemberi, tbilisi (გაზეთი „*სტუდენტური პაემანი*“). (1996). 5 დეკემბერი, თბილისი).

lomouri, nodar. (2011). *saqartvelo tsarsuli saukunis bolos da eduard shevardnadze*. tbilisi: gamomtsemloba „*universali*“ (ლომური, ნოდარ. (2011). *საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე*. თბილისი: გამომცემლობა „*უნივერსალი*“).

gazeti „*saqartvelos respublik*“. (1995). 23 noemberi. tbilisi (გაზეთი „*საქართველოს რესპუბლიკა*“). (1995). 23 ნოემბერი. თბილისი).

gazeTi „*asaval-dasavali*“. (2014). 13 oqtomberi. tbilisi (გაზეთი „*ასავალ-დასავალი*“). (2014). 13 ოქტომბერი. თბილისი).

gazeti „*komunisti*“. (1990). 30 oqtomberi, tbilisi (გაზეთი „*კომუნისტი*“). (1990). 30 ოქტომბერი. თბილისი).

gazeti „*7 dge*“. (1991). 4 ianvari, tbilisi (გაზეთი „*7 დღე*“). (1991). 4 იანვარი. თბილისი).

gazeti „*tavisufali saqartvelo*“. (1991). 1 marti, tbilisi (გაზეთი „*თავისუფალი საქართველო*“). (1991). 1 მარტი. თბილისი).

gazeti „*iveria*“. (1990). 29 seqtemberi. tbilisi (გაზეთი „*ივერია*“). (1990). 29 სექტემბერი. თბილისი).

gazeti „*akhali shvidi dge*“. (1998). 8 maisi. tbilisi (გაზეთი „*ახალი შვიდი დღე*“). (1998). 8 მაისი. თბილისი).

saluashvili, m. (1995). *saqartvelos prezidenti z.gamsakhurdia*. tbilisi. (სალუაშვილი, მ. (1995). *საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია*. თბილისი).

gazeti „*izvestia*“. (1991). 3 agvisto, moskovi (გაზეთი „იზვესტია“. (1991). 3 აგვისტო. მოსკოვი).

gazeti „*saqartvelos respublika*“. (1991). 10 agvisto. tbilisi (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1991). 10 აგვისტო. თბილისი).

gazeti „*saqartvelos gvardieli*“. (1991). 25 agvisto. tbilisi (გაზეთი „საქართველოს გვარდიელი“. (1991). 25 აგვისტო. თბილისი).

gazeti „*saqartvelos respublika*“. (1991). 20 agvisto. tbilisi (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. (1991). 20 აგვისტო. თბილისი).

natadze, nodar. (2002). *rats vitsi*. tbilisi. (ნათაძე, ნოდარ (2002). *რაც ვიცი*, თბილისი).

gazeti „*asaval-dasavali*“. (2005). 12 oqtomberi. tbilisi (გაზეთი „ასავალ-დასავალი“. (2005). 12 ოქტომბერი. თბილისი).

gazeti „*megapolis eqsperesi*“. (1990). 30 agvisto, moskovi (გაზეთი „მეგაპოლის ექსპრესი“. (1990). 30 აგვისტო, მოსკოვი).

### Доменти Чубинидзе

Докторант факультета права и международных отношений Грузинского технического университета.

ORCID ID: 0000-0002-6818-0832

Ditochubini@yahoo.com

T. +995 599 64 25 77

## Предпосылки государственного переворота в Грузии с декабря по января 1991-1992 гг.

### Резюме

У государственного переворота 1991–1992 гг. много авторов, но среди них выделяется персона Эдуарда Шеварднадзе. Шеварднадзе был главным информатором и подстрекателем реакционных кругов правительства России и Запада, которые с самого начала стремились свергнуть национальное правительство Грузии. Эдуард Шеварднадзе стоял за преступно-номенклатурной группировкой «Мхедриони», на которой приходится львиная доля свержения национального правительства Грузии, а также беспрецедентного террора и грабежа населения. Именно Шеварднадзе советовался с непримиримыми врагами национального правительства Звиада Гамсахурдия, снабжал деньгами и оружием тех преступников, которые стреляли в первого президента избранного народом. Шеварднадзе финансировал пресс-конференции с участием иностранных жур-

налистов, которые были приглашены в Москву псевдопатриотами и враждебно относились к родине. С учетом всего вышесказанного, без преувеличения можно сказать, что в многовековой истории Грузии Эдуард Шеварднадзе, как предатель и кондотьер, «конкурирует» с любым из своих предшественников и никому не отдаст первенства. Действительно, Грузия никогда и ни в одну эпоху не видала таких масштабов территориального, демографического, морального, экономического распада и разрушения, которые ей нанес Шеварднадзе и его преступная стая!

**Ключевие слова:** Грузия, Соединенные Штаты Америки, Звиада Гамсахурдия, Эдуард Шеварднадзе, «Мхедრიონი», Джаба Иоселиани.



ეთნოლოგია, კულტუროლოგია, ანთროპოლოგია

## **THE CULTURAL CODE-SWITCHING AS A SECURITY STRATEGY**

**კროს-კულტურული კოდური გადართვა, როგორც  
უსაფრთხოების სტრატეგია**

**Liana Melikishvili**

Doctor of historical sciences,  
Corresponding member of the Georgian National Academy of Sciences.

Chairman of the Scientific Council

Internacional Reserch Institute of the Peoples of the Caucasus,

ORCID: 0000-0002-4396-6513

E-mail: [lmelikishvili@hotmail.com](mailto:lmelikishvili@hotmail.com)

Tel: + 995 577 40 40 12

**Natia Jalabadze**

Doctor of History,

Ivane Javakhishvili Tbilisi Sate university

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ORCID: 0000-0002-0026-8782

E-mail: [natia\\_jalabadze@yahoo.com](mailto:natia_jalabadze@yahoo.com)

tel.: + 995 577 53 53 27

### **Abstract**

The article deals with the issue of cross-cultural code-switching in the context of ethnic culture. This process can be interpreted as a purposeful switching of a representative of one culture to any culturally established traditions, norms of behavior of another culture, in order to adapt various cultural norms for the corresponding behavior. The coexistence of two different cultures would be impossible without this phenomenon. In multi-ethnic Georgia, acculturation processes have been going on for centuries in the direction of integration, which means the preservation of cultural identity by the ethnic group on the one hand and involvement in a foreign culture, on the other. The principle of switching cultural codes plays an important role in these processes, which leads to the development of a security strategy.

In a multicultural society, the switching of ethnic codes can be observed both at the individual and group levels. Mainly at the initiative of ethnic minorities, code-switching is frequent in the social and religious spheres (baptism, a joint religious celebration of Christians and Muslims). The important role of code-switching in the process of integration In the multicultural regions of

Georgia is obvious: interpersonal and intergroup contacts and the number of mixed marriages are increasing, cases of intergroup clashes and conflicts are decreasing, different ethnic groups participate in each other's religious rites, the number of joint events is increasing.

**Key words:** Georgia, Cross-culture code switching, Acculturation, Integration, Multiethnic Society

### **ლია მელიქიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  
კავკასიის ხალხთა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი  
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე  
ORCID: 0000-0002-4396-6513  
E-mail: lmelikishvili@hotmail.com  
ტელ: + 995 577 40 40 12

### **ნათია ჯალაბაძე**

ისტორიის დოქტორი  
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი  
ORCID: 0000-0002-0026-8782  
E-mail: natia\_jalabadze@yahoo.com  
ტელ.: + 995 577 53 53 27

## **კროს-კულტურული კოდური გადართვა, როგორც უსაფრთხოების სტრატეგია**

### **აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია კროს-კულტურული კოდური გადართვის საკითხი ეთნიკური კულტურის კონტექსტში. ეს პროცესი გულისხმობს, ერთი კულტურის წარმომადგენლის მიზანმიმართულ გადართვას სხვა კულტურაში დამკვიდრებულ ტრადიციებზე, ქცევის ნორმებზე, რათა ადაპტირდეს უცხო კულტურულ გარემოსთან. ამ ფენომენის გარეშე ორი განსხვავებული კულტურის თანაარსებობა შეუძლებელი იქნებოდა. მრავალეთნიკურ საქართველოში აკულტურაციის პროცესები საუკუნეების განმავლობაში ძირითადად ინტეგრაციის მიმართულებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, ეთნიკური ჯგუფის მიერ კულტურული იდენტობის შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, უცხო კულტურაში ჩართვას. ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს

ასრულებს კულტურული კოდების გადანაცვლების პრინციპი, რასაც უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებამდე მივყავართ.

მულტიკულტურულ საზოგადოებაში ეთნიკური კოდების გადართვა შეიძლება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე. ძირითადად ეთნიკური უმცირესობების ინიციატივით, ხშირია კოდების გადართვა სოციალურ და რელიგიურ სფეროებში (სხვადასხვა კონფესიათა წარმომადგენლებს შორის ნათლობა, მათი ერთობლივი რელიგიური დღესასწაულები). კროს-კულტურულ კოდურ გადართვას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ინტეგრაციის პროცესში, რაც თვალსაჩინოა საქართველოს მულტიკულტურულ რეგიონებში: იზრდება ინტერპერსონალური და ჯგუფთაშორისი კონტაქტები და შერეული ქორწინებების რაოდენობა, მცირდება ჯგუფთაშორისი შეტაკებების და კონფლიქტების შემთხვევები, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები მონაწილეობენ ერთმანეთის რელიგიურ რიტუალებში, იზრდება ერთობლივი ღონისძიებების რიცხვი.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, კულტურათშორისი კოდების გადართვა, აკულტურაცია, ინტეგრაცია, მრავალეთნიკური საზოგადოება

### შესავალი

კულტურული კოდების გადართვა, იგივე, კროს-კულტურული კოდური გადართვა, ლინგვო-კულტურული კონცეპციაა და გულისხმობს სხვადასხვა ენებზე მოსაუბრეთა ენობრივი კოდების გაცვლას, ვერბალური კომუნიკაციის დროს, რამდენიმე ენის ნიშანთა ერთდროულ ხმარებას (Heller, 1988). ეს ცნება, ამავე დროს, ქცევის კულტურულად დამკვიდრებული სისტემების ერთი კულტურიდან მეორეში გადანაცვლების აღსანიშნავად, სოციალურ ფსიქოლოგიაშიც გამოიყენება (Myers-Scotton Carol, 1993). ამ პროცესს ადგილი აქვს უცხო კულტურულ გარემოსთან ადაპტაციის შემთხვევაში.

როგორც ვიცით, კულტურული კოდები გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიმბოლოები და სისტემებია, რომელსაც აღიარებს ამა თუ იმ კულტურის ან სუბკულტურის მატარებელი ჯგუფი და გამოიყენება ჯგუფის შიგნით კავშირების გასაიოლებლად, ასევე უცხო ჯგუფებისთვის კონკრეტული მნიშვნელობის დასაფარავად. კულტურული კოდები უშუალო

კულტურულ კოდთა გადართვის თვალსაზრისით საინტერესოა ორგანიზაციული ქცევის მკვლევრის – ენდრიუ მოლინსკის ნაშრომი, „კროს-კულტურულ კოდური გადართვა: უცხო კულტურასთან ურთიერთობისას ადაპტური ქცევის ფსიქოლოგიური პრობლემები“ (Molinsky, 2007). მოლინსკიმ შეიმუშავა კროს-კულტურულ კოდურ გადართვის პრაქტიკაში გამოყენების მეთოდი. ეს არის კოდური გადართვის სწავ-

ლება უცხოელი სტუდენტებისათვის, რათა მათ იოლად მოახდინონ ახალ კულტურასთან ადაპტაცია ამ კულტურისთვის ტიპური ქცევების ათვისებით. ასევე, მათ უცხო კულტურაში (კონკრეტულ შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებში) დამკვიდრებული ქცევები იოლად აითვისონ და განსხვავებულ ნორმებს მოერგონ. მკვლევრის ვარაუდით, ქცევების გადართვის შესწავლით, სტუდენტები შეძლებენ წარმატებით შეეგუონ სხვა ქვეყნის ღირებულებით სისტემებს და, ამავდროულად, თავიანთი ღირებულებითი სისტემის ერთგულნი დარჩნენ (ჯალაბაძე, 2011: 230). უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მოვლენა კულტურის სისტემის მუდმივი მახასიათებელია, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ორი განსხვავებული კულტურის თანაარსებობა.

### **მეთოდები.**

შესასწავლი საკითხი განხილულია საქართველოში მხოვრები, მრავალეთნიკური საზოგადოების მაგალითზე. ნაშრომი ემყარება გ. ჩიტაიას კომპლექსურ - ინტენსიური, უშუალო დაკვირვების, ინტერვიუების მთლიან შეკრებილ საველე ეთნოგრაფიულ მასალასა და ლიტერატურულ მონაცემებს. კვლევისას გამოყენებულია შედარებითი მეთოდი.

### **მსჯელობა და შედეგები.**

ეთნიკური კულტურის კონტექსტში, კროს-კულტურული კოდური გადართვის საუკეთესო მაგალითია მრავალეროვანი საქართველო, რომლის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა მიზეზით, თავს იყრიდნენ სხვადასხვა წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფები; დროთა მანძილზე ისინი ახალ კულტურულ გარემოსთან ადაპტირდებოდნენ, და უმეტეს შემთხვევაში განიცდიდნენ ინტეგრაციას, რაც გულისხმობდა იდენტიფიკაციას, როგორც საკუთარ, ისე ახალ კულტურასთან.

სახელმწიფო ინტეგრაციის სტრატეგიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ჯგუფის აკულტურაციის პოტენციურ შესაძლებლობებს, ანუ, იმას, თუ რამდენად მიისწრაფვის ინდივიდი ან ჯგუფი, განსხვავებულ ტრადიციასთან კონტაქტის შედეგად კულტურის მოდიფიკაციისკენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენად ახერხებს შეინარჩუნოს თავისი ორიგინალური კულტურა და, ამავე დროს, ყოველდღიურ ურთიერთობაში დომინანტ კულტურაზე გააკეთოს სწორება. ეს არის პროცესი, რომელიც უკავშირდება ორ სხვადასხვა კულტურას შორის დამოკიდებულების ან ქცევის ცვლილებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კულტურული ელემენტების შერევა ან შერწყმა. აკულტურაციის პროცესში ინდივიდმა ან ჯგუფმა უნდა გადაჭრას ძირითადად ორი პრობლემა - თავისი კულტურული იდენტობის შენარჩუნება და უცხო კულტურაში ჩართვა (ინტეგრაცია), ან იზოლაცია. ამ დროს

აკულტურაციის ორი - ინტეგრაციისა და იზოლაციის სტრატეგიები ერთმანეთთან მუდმივ “ბრძოლაში” არიან.

აკულტურაციის დროს, უმეტეს შემთხვევაში, სოციალურ აქტივობას უმცირესობის წევრები იჩენენ; ისინი არღვევენ თავიანთი კულტურის ნორმებს, გადალახავენ ტრადიციის საზღვრებს და აწესებენ რაიმე სოციალურ ქმედობას, რათა მათ მიმართ განწყობა, ნეგატიურიდან პოზიტიურში გადაიზარდოს; ამ პროცესში კულტურულ კოდთა გადართვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. უფრო რომ დავაზუსტოთ, ჩვენ შემთხვევაში, უმცირესობა უმრავლესობისთვის მისაღები რომ იყოს, პირველი ხდება მეორის კოდური სისტემის თანაზიარი, ანუ, გარკვეულ სიტუაციაში, გარკვეული დროით ის აღიარებს მისი კულტურისთვის უცხო კოდ(ებ)ს და ამით ცდილობს ჩაეწეროს „იმათ“ სისტემაში, თავი მათ წევრად წარმოაჩინოს. ამგვარი ქმედობა კი უსაფრთხოების ერთ-ერთი სტრატეგიაა.

მაგალითად, ქვემო ქართლში ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით: ქართველებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ ორ მეზობელ სოფელს შორის ისტორიულად მტრობა ყოფილა ჩამოვარდნილი.

დმანისის რაიონის ქართველებით დასახლებული სოფელი ბოსლები და მის მახლობლად მდებარე კაკლიანი, რომელსაც აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლების გამო ხალხი აზკაკლიანს (აზერბაიჯანელების კაკლიანს) უწოდებს, ისტორიის მანძილზე მრავალჯერ ყოფილან დაპირისპირებული. სოფელ ბოსლევიში გადმოცემით იციან, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ამ ორ სოფელს შორის საკმაოდ მტრული დამოკიდებულება ყოფილა. აზკაკლიანის მცხოვრებთ არაერთხელ განუხორციელებიათ თავდასხმა და საქონელი გაუტაციათ. ამას ხალხიც კი შეწირვია. საფლავის ქვა ხშირად ახსენებს მსგავს სიტუაციას ბოსლების მკვიდრთ (წარწერა: “1919 წ. თათრები დაგვეცნენ ჩვენ უბედურ ბოსლებს. მე და ჩემ შვილ შუა გვესროლეს თოფის ტყვია. ჩვენი ჰალალი ცხვარი და ძროხა წასხეს ჩვენ თვალთ წინა. მე ჩამივარდა გულში ძალიან დარდი. ის გახდა ჩემი წერა”). და ბოლოს, ურთიერთობა 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის შემდეგ გამწვავებულა. ამ პერიოდში, როგორც რესპოდენტები გადმოგვცემენ, მთელი სოფელი ტყეში იყო გახიზნული, რადგანაც ხმა დაირხა, რომ აზერბაიჯანელები სოფელზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ. იგივე პროვოკაციული ქმედება აზკაკლიანშიც გავრცელდა და ისინიც ტყეში ქართველებს ემალებოდნენ. იმ პერიოდში ბევრმა აზერბაიჯანელმა ქვემო ქართლი საერთოდ დატოვა. აზერბაიჯანელების გადმოცემით, დაპირისპირების ასარიდებლად და სიტუაციის განსამუხტავად, მათ ასეთი სტრატეგია შეიმუშავეს: ისინი ქრისტიანულ დღესასწაულზე - აღდგომა დღეს წითელ კვერცხებს ღებავენ და შესაწირითაც (საკლავითაც) მიდიან სამების ეკლესიის

ნანგრევებთან, სადაც ბოსლევის ქართველობა აღდგომიდან მესამე დღეს იკრიბება; ასევე დაახლოებით 40-60 წელია გასული მას შემდეგ, რაც “ქირობა” (ნათლ-მირონობა) და “დოსტობა” (დამეგობრება) დაიწყეს. როგორც თვითონვე ხსნიან, “ჩვენს შორის რომ კარგი ურთიერთობა იყოს, ამიტომ ქართველებს ბავშვებს ვანათვლინებთ” (მელიქიშვილი, 2008-2010).

დმანისელი რესპონდენტების ინფორმაციით: “არის შემთხვევები, რომ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს ნათლიებად მიჰყავთ ერთმანეთი. ქართველს იმიტომ ანათვლინებენ, რომ ახლობლობა უნდათ იმასთან ჰქონდეთ. იყო ერთი მაგალითად, ჩვენ სოფელში და ქართველმა მონათლა. თუ მუსულმანი არაა, იმას ნათლობის დროს ეტყვიან, რა და როგორ უნდა გააკეთოს და ასწავლიან. ისევე ასრულებს, როგორც ჩვენი წესია..“

„ნათლიებად მიყავთ ქართველები აზერბაიჯანელებს. მაგალითად ჩვენი სვანი გაბიანი წაიყვანეს ნათლიად. ასეთ დროს მოძღვარი აძლევს კურთხევას, თუ სთხოვენ ნათლიობას. მონათვლინეს ბიჭი თავიანთი წეს-ჩვეულებით. აზერბაიჯანელებისათვის ნათლია არის ყველაზე დიდი ნათესავი ბიძაშვილზე, მამიდაშვილზე უფრო მეტი“ (ჯალაბაძე, 2008 -2010).

ნათლიად მოკიდების პრაქტიკა არაქრისტიანსა და ქრისტიანს შორის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ფაქტია. ეს ტრადიცია მოქმედებდა ჩრდილოეთ კავკასიელ მუსულმან ხალხებსა და მათ მეზობელ ქრისტიანებს შორისაც. თავისთავად ცხადია, რომ ამ რიტუალში ერთ-ერთი მხარე მეორის ქცევის კულტურულ კოდებზე უნდა გადართულიყო, რაც, გარკვეული დროით, მას მეორე ჯგუფის კულტურის თანაზიარად აქცევდა.

ქვემო ქართლში, სოფ. წერაქვში სულ რამდენიმე ათეული ოჯახი ცხოვრობს. ინფორმატორის თქმით, აქ მცხოვრებ სომხებსა და ქართველებს საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ. “განსხვავება ტრადიციაში და სალოცავებში არ გვქონდა” - ამბობენ ისინი. ამ სოფელში ორი ეკლესიაა ქართული - წმინდა მარიამისა და სომხური სუბგევორქის (წმინდა გიორგის სახელობის). აგვისტოში მარიამობას სომხები და ქართველები ერთად ზეიმობენ წმინდა მარიამის ეკლესიაში, ხოლო ნოემბერში გიორგობას კი - სომხურ სუბგევორქში. ტერტერა და მღვდელი არ ჰყავთ. მსგავსი სიტუაციაა ბოლნისის რაიონის სოფ. ხატისოფელში, სადაც ნოემბერში წმინდა გიორგის ეკლესიაში აზერბაიჯანელები და ქართველები ერთად ზეიმობენ გიორგობას. ყოველივე ის კი მათ მიერ შემუშავებული თანაცხოვრების უსაფრთხოებისა და თვითგადარჩენის სტრატეგიაა.

როგორც ცნობილია ქვემო ქართლის რეგიონში არც ისე შორეულ წარსულში, კერძოდ კი საბჭოთა პერიოდში, პოლიეთნიკურ მიკრორეგიონებში ხერხდებოდა მშვიდობიანი თანაცხოვრება, რასაც მაშინდელი

იდეოლოგიურ-პოლიტიკური სისტემა განაპირობებდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში კი ვითარება კარდინალურად და სწრაფად შეიცვალა. მოხდა სერიოზული დაპირისპირება ეთნიკურ ჯგუფებს შორის (ქართველები – აზერბაიჯანელები; სომხები – აზერბაიჯანელები; ბერძნები – ქართველები; დუხობორები – დანარჩენი მოსახლეობა); შემდგომ ეტაპზე კი ეთნიკური ჯგუფები, ერთნი, სრულიად განსხვავებული კულტურით, რელიგიური ორიენტაციით, თავის საზოგადოებაში ჩაკეტილნი, ახერხებდნენ მშვიდობიან თანაცხოვრებას ერთმანეთის კულტურის საზღვრების გადაულახავად (მაგ. დღეს ეკომიგრანტი სვანები და ადგილობრივი აზერბაიჯანელები); მეორენი კი, კულტურის საზღვრების დარღვევით, მიუხედავად საზოგადოების დახურულობისა, არა მარტო მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, არამედ ახერხებდნენ უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას (სოფელი ბოსლევის მაგალითი ადგილობრივი ქართველები და აზერბაიჯანელები) (მელიქიშვილი, 2011: 352, 353).

საქართველოში სასაზღვრო ზოლში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური და, თუნდაც, კონფესიური ჯგუფები, ზოგადად, მკვეთრად რეგლამენტირებული არიან თავისი შიდა კულტურით და მათი საზღვრები საკმაოდ მყარია; ურთიერთობა დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლებთან უფრო მეტად უარყოფით სტერეოტიპზეა დაფუძნებული, ეთნოჯგუფები შემოსაზღვრული არიან თავისი ტრადიციული კულტურით და არ ხსნიან ამ საზღვრებს მათ გააჩნია კულტურის თავისი, უფრო მეტად დახურული სისტემა.

სასაზღვრო ზოლი, უპირველეს ყოვლისა, კონტაქტებისა და შეტევითი თუ თავდაცვითი ხასიათის ნეგატიური სოციალურ-ფსიქოლოგიური ენერჯის ინტენსიური კონცენტრაციის და, მაშასადამე, უდიდესი ფსიქოლოგიური დამაბულობის ზონაა. ამგვარი ენერჯის დაგროვება ზრდის ამ ზოლში მცხოვრებ ხალხებს შორის ფსიქოლოგიურ დისტანციას და, თანაც, არათანაბრად; თითოეულ მხარეზე ყალიბდება საკუთარი სასაზღვრო ზოლი, საკუთარი დისტანცია. ამ შემთხვევაში, არა მარტო პიროვნება, არამედ ჯგუფიც, თავისი საზღვრების გაფართოებით, ახალ იდენტობაში სიმშვიდესა და სტაბილურობას ეძებს, განსაკუთრებით პოლიეთნიკური საზოგადოების განვითარების კრიზისულ პერიოდებში.

შიდაეთნიკური ინტეგრაციის ნათელი მაგალითი იყო პანკისის ხეობა, სადაც ჯგუფები ეთნიკურად განსხვავებული არიან, მაგრამ, ამის მიუხედავად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ აქ ერთ დროს ჩამოყალიბდა ერთიანი სოციალური ორგანიზმი, რომელიც მოგვიანებით თავისებურ სუბკულტურად მოგვევლინა. უკანასკნელ დრომდე, ქართველ მოსახლეობასთან ერთად, აქ მაცხოვრებელი ოსები და ქისტები ორიენტირებული იყვნენ საქართველოზე, არა მარტო ეკონომიკურად, არამედ სოციალურად, იდეოლოგიურად და პოლიტიკურადაც.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ხეობა ერთიან სოციალურ ორგანიზმად იქცა, რის გარეშეც ვერ მოხერხდებოდა საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრება. ყოველმა ეთნოჯგუფმა უსაფრთხოების გარანტიად კავკასიური ტრადიციები (ძმადნაფიცობა) გამოიყენა. კავკასიელ ხალხებში ფართოდ გავრცელებული ძმადნაფიცობის ინსტიტუტი აქ ყველაზე აქტიურად მოქმედებდა. არ არსებობდა ქისტი, რომელსაც კახელი ძმადნაფიცი არ ჰყოლოდა. ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი ფორმა, ნათელმირონობა კი განსხვავებული რელიგიის მატარებელმა (მუსლიმები, ქრისტიანები) ჯგუფებმა წმინდა რელიგიური რიტუალიდან ერთაშორისი მშვიდობიანი ურთიერთობისა და დაახლოების საწინდრად გაიხადეს; უსაფრთხოების დაცვის გარანტიების მოთხოვნილება, არღვევდა ეთნიკური ტრადიციების საზღვრებს და გარკვეული სუბკულტურის კუთვნილება ხდებოდა.

დიდი როლი შეასრულა ამ მხრივ ხეობაში ფართოდ მოქმედმა (კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი) სინკრეტულმა რელიგიურმა რწმენა-ჩვეულებებმა და კულტმსახურების ერთობლივმა პრაქტიკამ, რაც მთის მოსახლეობაში სისხლხორცეულად იყო გამჯდარი. მაგ.: ქართულ რელიგიურ დღესასწაულებში ქისტები და ოსებიც მონაწილეობდნენ. მათ ჰქონდათ საერთო სალოცავები, სადაც ატარებდნენ თითქმის იდენტურ რიტუალებს. მოსულმა ჯგუფებმა ადვილად გაითავისეს ქართველთა რელიგიური შეხედულებები. ქისტი მოსახლეობა ქართველებთან და ოსებთან ერთად მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე და შემდგომ 2000 წლამდე აღნიშნავდნენ ხეობაში არსებულ წმ. გიორგის, თუშოლის, კოპალას, ლაშარის სახელობის დღეობებს.

შეიძლება ითქვას, რომ პანკისელი ქისტები და ოსები, კულტურათა შორის დიდი განსხვავების მიუხედავად, ძლიერ იყვნენ ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში; უსაფრთხოების საჭიროებამ საზოგადოების თვითდაცვის მექანიზმად ტრადიციული კულტურის ელემენტების გამოყენება განაპირობა. თავდაცვის მექანიზმი იჭრებოდა კულტურის სფეროში და ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს - ეთნოჯგუფის ეგზოგამიურობას არღვევდა. მათ შორის ხდებოდა შერეული ქორწინებები (მელიქიშვილი, 2002: 310, 311).

სოციალური ფსიქოლოგების შეფასებით, ინტეგრაციის სტრატეგიის გატარება მულტიკულტურულ საზოგადოებებში შესაძლებელია მაშინ, თუ არსებობს წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიტიური მულტიკულტურული იდეოლოგია, ანუ კულტურული მრავალფეროვნების აღიარების ნება; ამ შემთხვევაში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ეთნოცენტრიზმი, რასიზმი და დისკრიმინაცია, გამორიცხული იქნეს ჯგუფთაშორისი სიძულვილი, კულტურულ ჯგუფებს შორის უნდა არსებობდეს დადებითი განწყობა და პოზიტიური ურთიერთშეფასება, უფრო დიდ ჯგუფთან ან საზოგადოებასთან იდენტიფიცირების სურვილი (Berry, 1997: 5 – 68)



პანკისის ხეობა თავისებურად ძალიან საინტერესოა კროს-კულტურული კოდური გადართვის საფუძველზე უსაფრთხოების სტრატეგიის გამომუშავების კონტექსტში. წარსულში თითქმის 150-წლიანი არსებობის მანძილზე ინტენსიური ინტერკულტურული კომუნიკაციის საფუძველზე სხვადასხვა ეთნოჯგუფების ინტეგრაცია აქტიურად მიმდინარეობდა და ხეობა ერთ მთლიან მშვიდობიან ორგანიზმად ჩამოყალიბდა; ყოველი ჯგუფი საკმაოდ მკაცრად იცავდა თავის ტრადიციებს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყველაზე ინტეგრირებულნი ქისტები იყვნენ, რომლებმაც შეითვისეს ქართული ენა, ტრადიციული წესები, მატერიალური კულტურა, რელიგიური დღესასწაულები, თუმცა, მათი ასიმილაცია არ მომხდარა, განსხვავებით საქართველოს ოსების ნაწილისა ქართლში, სადაც, ხშირ შემთხვევაში, ათასობით ოსმა ქართული იდენტობა აღიარა და ასიმილაციის სტრატეგია აირჩია.

მიუხედავად პანკისის საზოგადოების ასეთი წარმატებული ადაპტაციისა და ინტეგრაციისა, ბოლო წლებში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. პოლიტიკურმა და სოციალურმა ვითარებამ გამოცდა მოუწყო ტრადიციულ კულტურას. საზოგადოებათაშორისი მასტაბილიზებული ელემენტები სწრაფად ამოვარდა და კრიზისში ჩააგდო საზოგადოება. მთლიანი, ერთიანი კულტურა დანაწევრდა მიკრო ეთნოკულტურებად, რომელიც თითოეულ ცალკე აღებულ ჯგუფს ახასიათებდა. ამას კი, რა თქმა უნდა, ორიენტაციის ცვლილებებმაც შეუწყო ხელი. ადრე საქართველოზე ორიენტირებული ქისტები, მასთან მიმართებაში, უსაფრთხოების წესებს იმუშავებდნენ. ამჟამად ახალგაზრდა თაობის ორიენტაცია და მსგავსი წესების ძიება უფრო მეტად ჩეჩნეთისკენაა მიმართული. ამ პროცესებში მიშენელოვანი როლი ითამაშა ჩეჩენი ლტოლვილების პანკისის ხეობაში შემოსვლამ (გასული საუკუნის მიწურულს, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამოისობით) და ზოგადად, პოსტსაბჭოთა პერიოდის გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ; ხეობაში ე.წ. რე-აკულტურაციის პროცესები დაიწყო; კულტურულ კოდთა გადართვა ახლა სხვა მიმართულებით წარიმართა, მოხდა ძველი ტრადიციების გადახედვა - კორექტირება, უარი ითქვა იმ ელემენტებზე, რომლებიც ინარჩუნებდნენ საზოგადოების ერთიანობას, უსაფრთხოებას და ხელს უწყობდნენ მის განვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ პანკისის ხეობის საბჭოთა პერიოდისდროინდელი ერთიანი საზოგადოება, როგორც ერთი ორგანიზმი დაიშალა (ოსებმა ხეობა დატოვეს, ქისტები ქართველებთან ერთად აღარ ასრულებენ რელიგიურ დღესასწაულებს). ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან შეწყვეტა არსებობა ზოგადად, მაგრამ მან შეწყვიტა არსებობა იმ პირობებში და ოდინდელი ფორმით, ანუ საზოგადოებამ იცვალა სახე.

აკულტურაციას წინ უსწრებს ჯგუფების მიერ ერთმანეთის კულტურის გაცნობა, მათი აღიარება და მათ კონტექსტებში ჩართვა, რაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური ჯგუფების განსახლების (შერეული ან იზოლირებული) სტრუქტურას. ყველაზე საკრალური რამ, როგორც რელიგიური ტოლერანტობაა, აღინიშნება განსაკუთრებით იმ მოსახლეობაში, რომელიც ტრადიციულად ერთმანეთის მეზობლად ან შერეულად ცხოვრობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოდითგანვე ქართულ - ვაინახურ ურთიერთობებში ტერიტორიულმა სიახლოვემ წარმოქმნა საერთო სალოცავები საზღვრის ორივე მხარეს. ასეთი ისტორიული ურთიერთობა დროდადრო დაპირისპირებულ ორ მხარეს ხელს უწყობდა მშვიდობიან თანაცხოვრებაში, რის გარეშეც ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობა წარმოუდგენელი იყო. ასევე ნიშანდობლივია ის რელიგიური დღესასწაულები, რომლებსაც ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა ერთად აღნიშნავდა. ამის მაგალითია ხევსურეთში, შატილში გამართული ქრისტიანული (წარმართული ელემენტებით) დღესასწაული ათენგენობა.

### დასკვნა.

ამრიგად, აკულტურაციის ინტეგრაციის სტრატეგია განაპირობებს განსხვავებულ ეთნო-კულტურულ ჯგუფებს შორის კულტურულ კოდთა გადანაცვლებას, რაც შესაბამისად ხელს უწყობს ინტერპიროვნული და ინტერჯგუფური კონტაქტების, შერეულ ქორწინებათა რიცხვის მატებას, ინტერჯგუფური დაპირისპირების და კონფლიქტების შემცირებას; ჯგუფები სტუმრის სტატუსით ჩართულები არიან ერთმანეთის რელიგიურ პრაქტიკაში, იზრდება ნდობა სახელმწიფოს მიმართ და კმაყოფილება მათი რეგიონში საქმიანობის გამო, მატულობს ერთობლივ ღონისძიებათა რიცხვი; ყოველივე ეს კი სამოქალაქო ინტეგრაციის საფუძველი უნდა გახდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

Berry, J.W. (1996). Handbook of Cross-cultural Psychology. *Social behavior and applikations*, Vol. 3. Boston.

Berry, J. W. (1997). Immigration, Acculturation, and Adaptation. *Applied Psychology. An International Review*. 46(1).

Heller, M. (1988). *Codeswitching: Anthropological and sociolinguistic perspectives*. Berlin.

jalabadze, n. (2011). ak'ult'uratsiis taviseburebani p'oliet'nik'ur sazogadoebashi. *sotsialuri usaprtkხოebis etnik'uri asp'ekt'ebi p'olietnik'ur sazogadoebashi*. tbilisi: gamomtsemloba „mts'ignobari“. ISBN 978-9941-424-18-2. (ჯალაბაძე, ნ. (2011). აკულტურაციის თავისებურებანი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. *სოციალური*

*უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში.* თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“, ISBN 978-9941-424-18-2).

jalabadze, n. savele masala. kvemo kartli, 2008 -2010 ts'ts'. (ჯალაბაძე, ნ. საველე მასალა. ქვემო ქართლი, 2008 -2010 წწ.).

melikishvili, l. (2011). etnik'uri ident'oba da k'ult'uruli pakt'orebi. *sotsialuri us-aprtkheobis etnik'uri asp'ekt'ebi p'olietnik'ur sazogadoebashi.* tbilisi: gamomtsemloba „mts'ignobari“, ISBN 978-9941-424-18-2 (მელიქიშვილი, ლ. (2011). ეთნიკური იდენტობა და კულტურული ფაქტორები. *სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში.* თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“, ISBN 978-9941-424-18-2).

melikishvili, l. (2002). k'ult'uris k'rizisi sazogadoebis k'rizisia. *usaprtkheobis st'rat'egiis etnik'uri asp'ekt'ebi (p'ank'isis k'rizisi).* tbilisi: gamomtsemloba „memat'iane“, ISBN 99928-0-487-4. (მელიქიშვილი, ლ. (2002). კულტურის კრიზისის საზოგადოების კრიზისია. *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი).* თბილისი: გამომცემლობა „მემატიანე“, ISBN 99928-0-487-4).

melikishvili, l. savele masala. kvemo kartli, 2008-2010 ts'ts'. (მელიქიშვილი, ლ. საველე მასალა. ქვემო ქართლი, 2008-2010 წწ.).

Myers-Scotton Carol. (1993). *Duelling Languages: Grammatikal Structure in Codeswitching.* Oxford.

Molinsky, A. (2007). Cross-cultural code – switching: The psychological challenges of Adapting behavior in foreign cultural Interaktions. *Akademy of Management Review*, Vol. 32, No. 2.

Thompsonend, R. H. (1996). Assimilation. *Encyclopedia of Social and Cultural Antropology.* Vol 1.

Садохин, А. П. (2005). *Введение в теорию межкультурной коммуникации.* Москва.

ლიანა მელიქიშვილი, ნათია ძვალაბაძე

## **Переключение кросс-культурного кодирования, как стратегия безопасности.**

### **Резюме**

Концепция «межкультурного кодирования» - это процесс переноса любого поведения, установленного в культуре, из одной культуры в другую, который происходит при адаптации к чужой культурной среде. Без этого было бы невозможно сосуществование двух разных культур. В многонациональной Грузии процессы аккультурации продолжаются веками, что подразумевает сохранение культурной идентичности этнической группы и ее вовлечение в чужую культуру среду посредством смены культурных кодов и, таким образом, разработки стратегии безопасности.

Кросс-культурное кодирование на индивидуальном и групповом уровне, происходит в основном на границе страны, компактно населенном этническим меньшинством. Аккультурация смогла нарушить довольно патриархальные правила среди христиан и мусульман, а также между различными этническими группами. Часты переключения кодов по инициативе этнических меньшинств при крещении, посещении святынь или храмов для участия в праздновании. Это событие нарушает даже самую важную характеристику - экзогамию этноса. Все это обусловлено механизмом самозащиты общества, с помощью которого они вырабатывают стратегию безопасности совместного проживания и самосохранения. В обществе увеличиваются межличностные и межгрупповые контакты, Увеличивается количество смешанных браков, уменьшается количество межгрупповых столкновений и конфликтов, группы, в качестве гостей, вовлекаются в религиозные обряды друг друга, растет доверие к государству и удовлетворенность своей деятельностью в своем регионе, увеличивается количество совместных мероприятий, что должно стать основой для дальнейшей гражданской интеграции.

წყაროთმცოდნეობა

## Georgian and Greek Texts of “The Life” of John and Euthymius as Historical Sources

იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ქართულ-ბერძნული ტექსტები, როგორც საისტორიო წყარო

**Jaba Samushia**

professor of Faculty of the Humanities, Tbilisi Iv. Javakhishvili State University  
jabasamushia@yahoo.com

### Abstract

John the Hagiorite and Euthymius the Hagiorite's contribution to the revival of monastic life at Mount Athos and to the development of Georgian and Byzantine literatures have been adequately described in scholarly works; however, there are individual issues still attracting historians and philologists' attention. The present paper will address a problem of interrelationships of individual parts of the Georgian redaction of the comprehensive version of the joint life of John and Euthymius, Georgian synaxarion redaction, and the Greek “Life of John, Euthymius, and George the Athonites.” It will also discuss some significant historical records having reached our days thanks to this work. A comprehensive version of the life of John and Euthymius, as well as synaxarion and Greek redactions provide unique information about the histories of Georgia and Byzantium; the composition is particularly interesting for in terms of studying Athonite monks' way of life.

“The Life of our Fathers John and Euthymius and Recital of their virtuous works” by George the Hagiorite has been justly considered one of the distinguished specimens of Old Georgian literature. It has been investigated rather well by historians and philologists; hence, in the present paper I will not draw my attention to all the details. This kind of work has already been done by individual researchers. Iv. Javakhishvili regards George the Hagiorite, the author of of “The Life” of John and Euthymius, the best representative of Georgian literature referring to him as a renowned historian. K. Kekelidze provided a substantial study of sources George the Hagiorite applied; it was him who for the first time wrote about the existence of monastic records at Athos which were extensively used by the author. Besides, he made use of testaments, official letters, deeds.

The composition by George the Hagiorite should have been preceded by a shorter redaction of “The Life” of Euthymius the Athonite being included in “The Big Synaxarion” as the first original Georgian synaxarion life. E. Gabidzashvili supposes that it was written in 1028-1029, assuming Basil, son of Bagrat,

as its author. The shorter redaction of “The Life” was likely used by George the Hagiorite when he compiled its comprehensive version. Probably, it was this synaxarion redaction from which Georgian monks translated individual records for the Greek author in the early 18<sup>th</sup> century. This assumption is due to the coincidences being observable between the synaxarion reduction and individual parts of the Greek version. Before I discuss the issue in point, we should briefly address the original Greek composition “Lives and Virtuous Works of our Blessed and Divine Fathers – John, Euthymius, and George, Ktitors of our Holy and Greatest Georgian Monastery,” written in the earlier half of the 18<sup>th</sup> century. Initially, Georgian scholars thought that it was a Greek hagiographic work translated from Georgian; however, M. Machkhaneli’s study demonstrated that “βίος και πολιτεία” was an independent work belonging to the pen of a monk at the Iviron Monastery. The author makes use of various sources and, among them, of information provided by a Georgian monk. Here is how the author describes this detail: “I cannot say for certain who his parents were, while from those, who had read about him in Georgian books, we learnt they were from the royal family.” The Greek “Life” partly follows the Georgian synaxarion redaction; however, in some episodes, the author of “βίος” adds some other information as well. M. Machkhaneli believes that the Greek author made use of Greek folklore sources. The sources, cited by the scholar, should be appended by Greek written sources, specifically, the 984 well-known deed by Athanasius the Athonite to John the Athonite. I would like to add that individual details of Euthymius’ death in Constantinople should be ascribed to an unknown source. The text of “βίος και πολιτεία” states that the tragic accident, having caused Euthymius the Athonite’s death, took place in the part of Constantinople called Plataea. The injured Holy Father “was taken to the house where he dwelt. There he was given holy communion, and, some days later, on May 13, departed.” A distinct text from this narrative is contained both in the comprehensive “Life” of the Athonite monks and in the synaxarion redaction. It is difficult to imagine that, in the 18<sup>th</sup> century, people at Athos would remember the name of the part of Constantinople where Euthymius the Athosite fell from the mule. I tend to assume that the author adopted the detail from a written source.

The three sources are of great importance for the study of lives of Athonite fathers. Irrespective of the fact that the Greek “Life” was composed in the 13<sup>th</sup> century, individual details, rendered in it, append our knowledge of the founders of the Iviron Monastery, nothing to say about the composition by George the Hagiorite and the synaxarion redaction. The three compositions are significant historical sources.

**Key words:** Georgia, Mount Athos, Iviron Monastery, Greek folklore, Constantinople

## ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი  
jabasamushia@yahoo.com

### აბსტრაქტი

იოვანე და ეფთვიმე ათონელების ღვაწლი ათონის სამონასტრო ცხოვრების აღორძინების საქმეში, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების წინაშე მეცნიერებაში სათანადოდაა შესწავლილი, თუმცა ცალკეული საკითხები დღემდე კვლავ იქცევს ისტორიკოსთა თუ ფილოლოგთა ყურადღებას. წინამდებარე სტატიაში გვსურს შევხვთ იოვანესა და ეფთვიმეს ვრცელი ცხოვრების ქართული რედაქციის, ქართული სვინაქსარული რედაქციისა და „იოანეს, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული ცხოვრების“ ცალკეული მონაკვეთების ერთმანეთან მიმართების საკითხს. ასევე განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან საისტორიო ცნობას, რომელიც ამ ნაწარმოების წყალობითაა შემონახული ჩვენამდე. იოვანესა და ეფთვიმეს ვრცელი „ცხოვრება“, ასევე სვინაქსარული და ბერძნული რედაქცია უნიკალურ ცნობებს იძლევა საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის შესახებ, განსაკუთრებით საინტერესოა ეს თხზულება ათონელი ბერების ყოველდღიურობის შესასწავლად.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ათონის მთა, ივერიის მონასტერი, ბერძნული ფოლკლორი, კონსტანტინოპოლი, ბიზანტია.

### შესავალი

გიორგი მთაწმინდელის თხზულება - „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“ სრულიად სამართლიან ითვლება ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლად (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967; გიორგი მთაწმინდელი, 1946; ამ ძეგლის ლათინური, ფრანგული და ინგლისური თარგმნები იხ. Peeters, 1917-1919; Martin-Hisard, 1991; Grdzeldze, 2009). იგი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ისტორიკოსთა თუ ფილოლოგთა მიერ, ამიტომაც წინამდებარე სტატიაში ყველა დეტალზე არ გავამახვილებთ ყურადღებას. ეს სამუშაო ცალკეულ მკვლევართა მიერ უკვე შესრულებულია (კეკელიძე, 1955; კეკელიძე, 1956; კეკელიძე, 1957; კეკელიძე, 1983; მეტრეველი, 1996; გაბაშვილი, 1983; კახიძე, 1954; სირაძე, 1987: 163-188; ხინთიბიძე, 2014: 207-226; ხინთიბიძე, 1966; ალიბეგაშვილი, 2014: 115-146; მეტრეველი, 2014: 76-117; კუჭუხიძე, 2014: 48-75; ჭყოიძე, 2011; ქადაგიშვილი, 2012: 85-87). ივ. ჯავახიშვილი იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ავტორს გიორგი მთაწმინდელს ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევდა და

მას გამოჩენილ ისტორიკოსად იხსენიებდა (ჯავახიშვილი, 1946: 1). კ. კეკელიძემ საფუძვლიანად გაარკვია რა პირველწყაროებს ეფუძნებოდა გიორგი მთაწმინდელი, პირველმა დასვა საკითხი ათონის სამონასტრო ჩანაწერების არსებობის შესახებ, საიდანაც ავტორს უხვად უსარგებლია. ამას გარდა იგი იყენებდა ანდრემ-მონაწერებს, ოფიციალურ წერილებს, სიგელებს (კეკელიძე, 1983: 26-27).

გიორგი მთაწმინდელის თხზულებას უნდა უსწრებდეს ეფთვიმე ათონელის „ცხოვრების“ მოკლე რედაქცია, რომელიც შესულია „დიდ სკნაქსარში“, როგორც პირველი ორიგინალური ქართული სვინაქსარული ცხოვრება (გაბიძაშვილი, 1968; გიორგი მთაწმინდელი, 1946). მის შექმნას ე. გაბიძაშვილი ვარაუდობს 1028-1029 წლებში, ხოლო სავარაუდოდ ავტორად მიიჩნევს, ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს ბასილ ბაგრატის ძეს (გაბიძაშვილი, 1968: 96. სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორად ბასილ ბაგრატის ძეს მიიჩნევს ელ. მეტრეველიც. ელ. მეტრეველი, 1996:139). „ცხოვრების“ მოკლე რედაქცია უნდა გამოეყენებინა გიორგი მთაწმინდელს ვრცელი „ცხოვრების“ შედგენისას. სავარაუდოდ, სწორედ ამ სვანაქსარული რედაქციიდან უნდა ეთარგმნათ ქართველ ბერებს ცალკეული ცნობები XVIII საუკუნის დასაწყისში ბერძენი ავტორისათვის. ამას გვაფიქრებინებს ის დათხვევა, რომელიც შეიმჩნევა სვინაქსარულ რედაქციასა და ბერძნულ „ცხოვრების“ ცალკეულ მონაკვეთებს შორის. ვიდრე ამ საკითხს მიმოვიხილავთ, მოკლედ შევხებით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ათონზე შეიქმნილ ორიგინალურ ბერძნულ ნაწარმოებს - „ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარი და ღმერთმემოსილი ჩვენი მამების - იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისა, ჩვენი წმინდა და უდიდესი ქართველთა მონასტრის ქტიტორებისა.“ ქართველი მკვლევარები თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ეს თხზულება ქართულიდან ნათარგმნი ბერძნული აგიოგრაფიული ნაწარმოები იყო (კეკელიძე, 1955: 8-9; კახიძე, 1954: 92), თუმცა მ. მაჩხანელის გამოკვლევამ კარგად აჩვენა, რომ „βίος και πολιτεία“ დამოუკიდებელი ძეგლია, რომელიც ეკუთვნის ივერთა მონასტერში მოღვაწე ბერს (მაჩხანელი, 1982: 6-19. ე. ჭყოიძის მინიშნებით ბერძნული „ცხოვრების“ ავტორმა „სრულყოფილი თუ არა, ელემენტარული ქართული“ იცოდა და ამიტომ ქართული წყაროებითაც სარგებლობაო (იხ. ჭყოიძე, 2011: 765); ეს შეხედულება არ შეესაბამება სიმართლეს, რამეთუ თავად უცნობი ავტორი საგანგებოს აღნიშნავს, რომ მას იოვანეს წარმომავლობა იმათგან შეუტყვია, ვისაც ქართული წიგნებიდან ამოუკითხავთ. შესაბამისად მისთვის ქართველ ბერებს უთარგმნიათ იოვანესა და ეფთვინეს „ცხოვრებდა“ ცალკეული მონაკვეთები.). ავტორი ეყდნობა სხვადასხვა წყაროს, მათ შორის ქართველი ბერის მიერ მიწოდებულ ინფორმაცია. ამ უკანასკნელ დეტალს თავად ავტორი აღნიშნავს: „ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები, ხოლო იმათგან, ვისაც ქართულ წიგნებში



ამოუკითხავს, შევიტყვეთ, რომ ისინი ყოფილან სამეფო გვარიდან (მაჩხანელი, 1982: 123).“ ბერძნული „ცხოვრება“ ნაწილობრივ მიჰყვება ქართულ სვინაქსარულ რედაქციას, თუმცა ზოგიერთ ეპიზოდში „წიფ“-ის ავტორი სხვა ცნობებსაც უმატებს (მაჩხანელი, 1982: 35-47; ათონელი მამების ბერძნული ცხოვრების ცალკეულ მონაკვეთებზე საინტერესო დაკვირვება ეკუთვნის ასევე გ. ალიბეგაშვილს. იხ. გ. ალიბეგაშვილი, 2014: 115-146). მ. მაჩხანელის აზრით, ბერძენი ავტორი ბერძნულ ფოლკლორულ წყაროებით სარგებლობდა (მაჩხანელი, 1982: 35). იქვე მეცნიერის მითითებით დასახელებულ წყაროებს უნდა მიემატოს ბერძნული წერილობითი წყაროები, კერძოდ, 984 წლის ათანასე ათონელის ცნობილი სიგელი იოვანე ათონელისადმი (მაჩხანელი, 1982: 35.). ჩვენ დავამატებდით, რომ უცნობი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს ასევე ეფთვიმეს კონსტანტინოპოლში გარდაცვალების ეპიზოდის ცალკეული დეტალები. „წიფ και πολιτεία-ს“ ტექსტში აღნიშნულია, რომ კონსტანტინოპოლში ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელსაც ეფთვიმე ათონელი შეეწირა, მომხდარა „ქალაქის ერთ ნაწილში, ე.წ. პლატეაში (მაჩხანელი, 1982: 142; ბერძნული „ცხოვრება“ უნდა დასდებოდა საფუძვლად „ათონური პატერიკის“ ცნობილ კრებულში შესულ ქართველ მთაწმინდელების „ცხოვრებას“ (იხ. Афонский патерик. 1897: 419).“ დამავებული წმ. მამა „მიიყვანეს იმ სახლში, სადაც დაედო ბინა. აქ მან მიიღო საღვთო ზიარება და რამდენიმე დღის შემდეგ, 13 მაისს, მიიცვალა (მაჩხანელი, 1982: 142).“ ამ მონათხრობისაგან განსხვავებული ტექსტს შეიცავს როგორც ათონელ ბერთა ვრცელი „ცხოვრება,“ ასევე სვინაქსარული რედაქცია. ძნელი წარმოსადგენია, რომ XVIII საუკუნეში ათონზე გადმოცემის გზით ხსომებოდათ კონსტანტინოპოლის იმ უბნის სახელი. სადაც სახედრიდან გადმოვარდა ეფთვიმე ათონელი. ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ ეს დეტალიც ავტორს წერილობით წყაროდან უნდა ჰქონდეს აღებული.

### **ქართულ-ბერძნული ტექსტების მნიშვნელობისთვის**

ბერძნული „ცხოვრების“ მიხედვით, იოვანეს საერო ცხოვრებიდან განშორების შემდეგ პატარა ეფთვიმე აღსაზრდელად პაპამ, იოვანეს მამამ წაიყვანა, რომელიც მოგვიანებით შვილიშვილთან ერთად კონსტანტინოპოლში ჩავიდა. სწორედ აქ ნახა ბერმა იოვანემ საკუთარი შვილი (მაჩხანელი, 1982: 129-130). გიორგი მთაწმინდელის მიერ შექმნილი ვრცელი ქართული „ცხოვრების“ მიხედვით კი ეფთვიმეს აღმზრდელი პაპა იყო დედის მამა ანუ იოვანეს სიმამრი: „ხოლო ვინაფთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან, ცოლის-ძმათა მამისა იოვანესთა ძე მისი ეფთვმე სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მოჰგუარეს მეფესა. ესე რაჲ ცნა იოვანე, უნდა თუ არა,

უნებლიეთ თავი თვსი გამოაცხადა და სამეუფოდ ქალაქად აღვიდა და. ვინაფთგან მეფენი მეცნიერ იყვნეს აბუჰარბისა, რომელი იყო სიმამრი მამისა იოვანესი, და იოვანესდაცა ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთილად მოიკითხეს (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 43).“ ამდენად, გამორიცხულია ბერძენ ავტორს „ცხოვრების“ ვრცელი რედაქციით ესარგებლა, სადაც ცალსახად მითითებულია ეფთვიმის აღმზრდელი პაპის სახელი - აბუჰარბი და მისი ნათესაური კავშირი იოვანესთან. ეს შეცდომა უნდა მომდინარეობდეს სვინაქსარული „ცხოვრების“ შესაბამისი ადგილის არაზუსტი წაკითხვიდან: „ხოლო სანატრელი ეფთვიმე წარიყვანა დედისაგან თვისსა პაპამან მისმან, კაცმან წარჩინებულმა და ძლიერმან, და ზრდიდა მას ყოვლითა ფუფუნებითა (გაბიძაშვილი, 1968: 332).“ სვინაქსარული რედაქციიდან არ ჩანს ვინ არის ეფთვიმეს პაპა, დედის მამაა თუ მამის. კონტექსტი ისეთ ასოციაციას იწვევს, რომ საუბარი უნდა იყოს მამის მამაზე, რომელმაც წაიყვანა დედისაგან შვილი აღსაზრდელად. როგორც ჩანს ასე ესმოდათ ეს მონაკვეთი ქართველ ბერებს და შესაბამისად უთარგმნეს იგი ბერძენ ავტორს. მეორე მონაკვეთი, რომელიც ასევე ადასტურებს ბერძნულ ვარიანტში ქართული სვინაქსარული რედაქციიდან ინფორმაციის მომდინარეობას, არის ბიზანტიის იმპერატორის ნიკიფორე ფოკას მოხსენიება. გიორგი მთაწმინდელის „იოვანესი და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ მითითებული არ არის ვინ იყო იმპერატორი, რომლის დროსაც პატარა ეფთვიმე კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს მძევლად. ნაწარმოებში ზოგადადაა მითითებული „ხოლო ვინაფთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგანო (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 43).“ „ცხოვრების“ ვრცელი რედაქციისგან განსხვავებით იმპერატორის სახელს იცნობს „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვიმის“ სვინაქსარული „ცხოვრება.“ მასში ნათქვამია: „ხოლო სანატრელი ეფთვიმე წარიყვანა დედისაგან თვისსა პაპამან მისმან... ხოლო შემდგომად ჟამთა რაოდენთამე წარვიდა ყრმითურთ სამეფოდ ქალაქად საქმისა რომლისათვისმე წინაშე ნიკიფორ ღმრთის-მსახურისა მეფისა (გაბიძაშვილი, 1968: 332).“ ამას იმეორებს იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრებაც“: როცა ეფთვიმე კონსტანტინოპოლს ჩაიყვანეს, „მაშინ ბერძენთა მეფე იყო დიდი ნიკიფორე - ფილომონახი და ფილარეტი (მაჩხანელი, 1982: 129).“

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ იოვანე მთაწმინდელისა და დავით კურაპალატის ურთიერთობის საკითხს და ამ უკანასკნელისადმი „ზემონი ქვეყნების“ გადაცემის პრობლემას.

იოვანე მთაწმინდელი ერისკაცობაში დავით კურაპალატის ერთ-ერთი წარჩინებული და საჩინო მთავარსარდალი იყო. მის სამხედრო საქმეში დახელოვნებაზე უნდა მიუთითებდეს გიორგი მთაწმინდელის

მინიშნება, რომ იგი იყო „განთქმული წყობათა შინა.“ ალბათ, ამიტომაც ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. „ცხოვრება“ იოვანეს ოჯახური გარემოს შესახებაც შეიცავს ცნობებს - მას მეუღლე და რამდენიმე შვილი ჰყოლია. მისი ცოლიც იმიერტაოს სამეფოს წარჩინებულთა გვარს ეკუთვნოდა, ყოველ შემთხვევაში, იოვანეს სიმამრი და ცოლის ძმები აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ დავით კურაპალატის კარზე და ბიზანტიაში საპატიო დიპლომატიურ მისიასაც ხელმძღვანელობდნენ (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 43). თავის დროზე კ. კეკელიძემ ეჭვი შეიტანა გიორგი მთაწმინდელის მიერ მოწოდებულ ცნობაში, რომ „ესე ნეტარი მამად ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპადთგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოდ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მკნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 42).“ მეცნიერის მითითებით: „იოანე ბერად აღკვეცილა და სამშობლოდან გასულა, სანამ დავითი კუროპალატობას მიიღებდა; მაშასადამე, ის ვერ იქნებოდა „საჩინოდ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა,“ როგორც ამას ბიოგრაფი გადმოგვცემს, მის „ახოვნებასა და განთქმულებასა წყობათა შინა“ ადგილი ექნებოდა დავითზე გაცილებით ადრეო (კეკელიძე, 1957: 93).“ კ. კეკელიძის ეს მოსაზრება მომდინარეობს „ზემონი ქვეყნების“ თაობაზე ტაოს სამეფოსა და ბიზანტიას შორის გაფორმებული შეთანხმების 961 წლით დათარიღებიდან.

961 წელს ადარნასე III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმიერტაოს სამეფო ტახტი დაიკავეს ერისთავთ ერისთავმა ბაგრატმა და დავით მაგისტროსმა. ოშკის წარწერებში რამდენიმეჯერ მოიხსენიება ბაგრატი და დავითი, როგორც „მეფენი ჩუენნი (სილოგავა, 2006: 127).“ ძმების ერთად მმართველობა ხუთი წელი გაგრძელდა (სამუშია, 2020: 39-49). ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს იმიერტაოს მეფეთა და ბიზანტიის იმპერატორის ნიკიფორე ფოკას სამხედრო თანამშრომლობის ფაქტი. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა ვ. კოპალიანი, რომელმაც ყურადღება მიაქცია კ. განის მიერ შეკრებილ და რუსულად გამოცემულ კავკასიის შესახებ არსებულ ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს. 964 წლის ამბების გადმოცემისას სკილიცე-კედრენე და ზონარა ახსენებენ ნიკიფორე ფოკას ლაშქარში იბერების მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით კი ვ. კოპალიანი წერს: „გიორგი ათონელის ერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთ ტაოს მმართველს დავით ბაგრატიონს ამ ომში მონაწილეობისთვის სათანადო კომპენსაციაც უნდა მიეღო მიწა-წყლის სახით (კოპალიანი, 1969: 23).“ სკილიცეს თხზულების ეს მონაკვეთი შემდეგს მოგვითხრობს: „მისი (ნიკიფორეს) მეფობის მეორე წლის ივლისში, მეშვიდე ინდიქტიონს, ნიკიფოროსი კილიკიისკენ დაიძრა რომაელების დიდძალი ჯარით, რომელსაც თან ახლდა იბერიელებისა

და სომხების მოკავშირეთა ძალები (John Scylitzes, 2000: 257).“ ბიზანტიელ მემატანესთან საუბარია 964 წლის ზაფხულზე დაწყებულ სამხედრო მოქმედებებზე არაბთა წინააღმდეგ, რომელიც შესვენებებით გაგრძელდა 966 წლის მიწურულამდე. რა ეტაპზე მონაწილეობდნენ ქართველთა რაზმები ამ ლაშქრობაში, ამის თქმა ძნელია, თუმცა, ვ. კოპალიანის ვარაუდი, რომ ამ სამხედრო მხარდაჭერის სანაცვლოდ ქართველებს უნდა მიეღოთ „ზემონი ქუეყანანის“ ნაწილი, სიმართლესთან ახლოსაა (კოპალიანი, 1969: 23-24).

ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის გააქტიურება მოსალოდნელია 963 წლის შემდეგ, როდესაც საიმპერატორო ტახტი დაიკავა განთქმულმა სარდალმა ნიკიფორე ფოკამ. როგორც ჩანს, იმპერატორმა თავიდანვე იმიერ ტაოსთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარა, რასაც მოწმობს კიდევ სკილიცეს ზემოთ ნახსენები ცნობა, რომლის მიხედვით, 964 წელს „იბერები“ ბიზანტიელთა ჯარებთან ერთად არაბებს უტევენ. სამართლიანად ფიქრობდა ვ. კოპალიანი, რომ ეს დახმარება ქართველთა მხრიდან „კეთილი“ ნების გამოხატულება არ უნდა ყოფილიყო და ამის სანაცვლოდ ტაოს მეფეები კონკრეტულ სარგებელს ელოდნენ. ნიკიფორე ფოკამ აზიაში აქტიური სამხედრო მოქმედებები 966 წელს დაასრულა. მომდევნო წლიდან კი მან მთელი ყურადღება იმპერიის ევროპულ ნაწილზე გადაიტანა. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „იოვანესი და ეფვემეს“ ცხოვრების და „ეფთჳმი ქართველის მთაწმიდელის“ მოკლე სვინაქსარული „ცხოვრების“ მიხედვით, ბიზანტიაში მოციქულის გაგზავნის ინიციატივა ეკუთვნის ერთ ქართველ მეფეს - დავითს. ამ მოვლენებში ბაგრატ ერისთავთ ერისთავი არ ჩანს. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ 966 წლის 2 ოქტომბერს ბაგრატ ერისთავთ ერისთავი გარდაიცვალა. ბიზანტიასთან შეთანხმება კი ამის შემდეგაა სავარაუდო.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ გიორგი მთაწმინდელი დროში ურევდა ამ ფაქტებს და „ზემონი ქუეყანანის“ გადმოცემა ბარდა სკლიაროსის აჯანყების შემდეგ უნდა მომხდარიყო (ვრცლად ამ საკითხზე იხ. ბადრიძე, 1984: 57-72). დღეისათვის გარკვეულად უნდა ჩაითვალოს საკითხი იმის შესახებ, რომ დავითმა ორ ეტაპად მიიღო „ზემონი ქუეყანანი.“ პირველი გადაცემა უნდა მომხდარიყო დაახლოებით 966 წლის მიწურულს ან 967 წლის დასაწყისში, როცა ბაგრატ ერისთავთ ერისთავი ცოცხალი აღარ იყო, მეორეჯერ - ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშორის შემდეგ. და თუ ეს მართალია, გამოდის, რომ იოვანე ბიზანტიაში ამ მოვლენიდან ცოტა ხნით ადრე ჩასულა. მთაწმინდელ მამათა ვრცელი „ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ ოთხთა ეკლესიაში ბერად შედგომიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ იოვანე ულუმბოს (ოლიმპოს) მთაზე გადავიდა სამოღვაწეოდ (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 43). ამ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება გამოვთქვათ

ვარაუდი, რომ დაახლ. 966/967 წლების მიჯნაზე იგი მაქსიმუმ ორი-სამი წლის ბერად აღკვეცილი იქნებოდა. ამ შემთხვევაში იოვანეს მიერ საერო ცხოვრების მიტოვება დაახლ. 963 წლის ახლო ხანებშია სავარაუდო. ამ დროს კი დავით მაგისტროსი (მოგვიანებით კურაპალატი), თავის მმასთან ერთად, უკვე სამი წელია მართავდა ქვეყანას (სამუშია, 2020: 39-44). ამდენად გიორგი მთაწმინდელის მითითება არავითარ ანაქრონიზმს არ შეიცავს.

ბერძნული „ცხოვრება“ არ ახსენებს თორნიკე ერისთავს. ამას თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი, თორნიკე, რა თქმა უნდა, იმ მასშტაბის საეკლესიო მოღვაწე არ იყო, როგორც იოვანე და ეფთვიმე, მეორეც, ბოლომდე ბერძნები მაქსიმალურად ცდილობდნენ ივერიელთა მონასტრის დაარსებაში ქართველთა მატერიალური მონაწილეობის დამალვას. სამაგიეროდ ქართული ვრცელი „რედაქცია“ თორნიკეს (ბერობაში იოვანე) ბიოგრაფიის ათონურ პერიოდზე ვრცლად მოგვითხრობს და ყველაზე მეტად ყურადღებას ამახვილებს სწორედ მის მიერ მონასტრის დაარსებისას გაწეულ ფინანსურ შემწეობაზე. დასაწყისში თორნიკე ულუმბოს მთაზე ჩავიდა, რამეთუ იოვანე აქ ეგულებოდა, მაგრამ წმინდა მამა უკვე ათონზე იყო გადასული და თორნიკემაც იქ მიაშურა. სწორედ იოვანესგან მიიღო მან კურთხევა მონაზვნობისა. ათონზე იოვანემ და იოვანე-თორნიკემ ერთად ააგეს ქართველთა მონასტერი.

\*\*\*

976წ. ზაფხულში ბიზანტიაში იფეთქა ბარდა სკლიაროსის აჯანყებამ, რომელმაც დიდი ხნის მანძილზე დაარღვია მშვიდობა იმპერიაში. სკლიაროსის გვერდით აღმოჩნდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ჯარისა და სომეხ წარჩინებულთა მნიშველოვანი ნაწილი. მოკლე დროში აჯანყებულებმა შეძლეს მნიშვნელოვანი ქალაქების დაკავება, როგორც ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, ასევე კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ მთავარ მაგისტრალზე.

იმპერია კატასტროფის წინაშე იდგა. იმპერატორების მომხრე ძალები გაფანტული აღმოჩნდა მთელს იმპერიაში. საჭირო იყო მათი გაერთიანება და შეკავშირება. იმპერატორების ბიძამ და რეგენტმა, პარაკიმომენმა ბასილმა გადაწყვიტა ორი დაუძინებელი მტერის - ბარდა სკლიაროსისა და ბარდა ფოკას დაპირისპირებით ამ ურთულესი ვითარებიდან გამოსვლა. ამ ორ ცნობილ მხედართმთავარს დიდი ხნის შუღლი ჰქონდათ. პარაკიმომენ ბასილს სჭირდებოდა ისეთი მხედართმთავარი, რომელსაც ჯარი გაჰყვებოდა და თან ბარდა სკლიაროსის მტერი იქნებოდა. ასეთად კი სწორედ გადასახლებაში მყოფი ბარდა ფოკა მიიჩნიეს, რომელსაც სამხედრო გამოცდილებასთან ერთად, სკლიაროსთან პირადი შუღლი და ანგარიში ჰქონდა. 978 წლის 19 ივნისს სკლიაროსმა შეძლო თავისი დაუძინებელი მტრის დამარცხება. ბარდა ფოკას არმიამ უკან დაიხია. ამ

მარცხმა საიმპერატორო კარი ძალიან შეაშფოთა. საჭირო იყო დამატებითი ძალების მოზილიზირება. მართალია, იმპერატორების მომხრე სამხედრო რაზმები გადაურჩა განადგურებას, მაგრამ ბრძოლის გასაგრძელებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. კონსტანტინოპოლში მოკავშირეების ძიება დაიწყო. მნელია ითქვას, ვის იდეას წარმოადგენდა ამ კრიზისულ მომენტში ტაოს ქართული სამეფოს გამგებელთან დავით მაგისტროსთან დაკავშირება. სკილიცეს თუ ვენდობით, ეს იდეა ბარდა ფოკას ეკუთვნოდა: „ამ ბრძოლის შემდეგ ფოკა დაუყოვნებლივ რაც შეეძლო სწრაფად გაემართა იბერიაში, მივიდა იბერთა არქონტთან დავითთან და სთხოვა მას დამხმარე ჯარი; იმანაც სიამოვნებით აღუთქვა დახმარება (დავითი მეგობრობდა ფოკას იმ დროიდან, რაც ეს ხალდიის დუკა იყო) (გიორგი კედრენე, 1963: 30; John Scylitzes, 2000: 309).“ ამ ცნობისგან განსხვავებით არსებობს ქართული წყარო, რომელშიც მოვლენები ცოტა სხვა რაკურსითაა განხილული. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფემესი“ ვრცლად მოგვითხრობს სკლიაროსის აჯანყებისა და მასში ქართველთა მონაწილეობის შესახებ. თავის დროზე ნ. ადონცმა ეჭვი შეიტანა „იოვანეს და ეფემეს“ ცხოვრების სანდოობაში (ADONTZ, 1965: 301-302), თუმცა შ. ბადრიძემ საფუძვლიანად გააბათილა ყველა ის არგუმენტი, რასაც ნ. ადონცი ემყარებოდა (ბადრიძე, 1983: 65-69; იხ. ასევე, ბადრიძე, 1984: 51-55). ამ საკითხების განხილვისაგან, ამჯერად, თავს შევიკავებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „იოვანეს და ეფემეს“ ცხოვრება უნიკალურ ცნობებს შეიცავს და, მთლიანობაში, გიორგი მთაწმინდელის მონათხრობი კარგა ჯდება მოვლენების საერთო განვითარებაში. ქართული წყაროს მიხედვით, დავით მაგისტროსთან დაკავშირების ინიციატივა მოდიოდა საიმპერატორო სასახლიდან, ხოლო შუამავლობა სთხოვეს ათონზე მოღვაწე ბერს იოანეს, თორნიკეყოფილს. ის ფაქტი, რომ თორნიკე ნამდვილად შუამავლობდა ბიზანტიის ხელისუფლებასა და ტაოს მეფე დავითს შორის, დასტურდება ათონზე გადაწერილ ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებულის ანდერძ-მინაწერებიდან.

როგორ შეიძლება სკილიცესა და გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფემეს“ ცნობების შეჯერება? ჩვენი აზრით, მათ შორის წინააღმდეგობა არ არის, პირიქით მიგვაჩნია, რომ ბიზანტიელი მემატიანე და გიორგი მთაწმინდელი ერთი მოვლენის სხვადასხვა ეტაპზე საუბრობენ. იმას, რასაც სკილიცე გვიყვება ბარდა ფოკას ტაოს მეფესთან დავით მაგისტროსთან ჩასვლაზე, ეს შეიძლება მართლაც მომხდარიყო, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთოდ გაირკვეოდა ქართველთა მეფის დავითის პოზიცია. ფოკა არ იყო უფლებამოსილი ეწარმოებინა მოლაპარაკება საიმპერატორო სახლის სახელით და, რომც ჰქონოდა ესეთი უფლებები დელეგირებული, საეჭვოა 978 წლის 19 ივნისის შემდეგ რამდენიმე თვე მაინც მას ამის

შესაძლებლობა ჰქონოდა, სკლიაროსის მოსალოდნელი თავდასხმის შიშით. სიტუაცია კი დახანებას არ ითმენდა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ დავით მაგისტროსთან მოლაპარაკება უკვე ივნის-ივლისში დაიწყო და ამის ინიციატორი პარაკიმომენი ბასილი იყო. ამიტომაცაა, რომ კონსტანტინოპოლში ჩასულ თორნიკეს სწორედ იგი მასპინძლობს.

„იოვანეს და ევჯემეს“ ცხოვრებიდან კარგა ჩანს, რომ მოლაპარაკება ბასილის შუამავლობით ხორციელდება. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს: „და მას ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ და ჴმელითკერძიყოველიდაიპყრადამეფენიდადედოფალიშეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჴირითა და იწროებითა. და ამას რაჲ შინა იყვნეს, განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“. და ვინადთგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წავლენაჲ არა ეგებოდა, და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგევითარი კაცი, რომელმანმცა სრულ-ყო ნებაჲ გულისა მათისაჲ და ესრეთ რაი ეურვოდეს ამის პირისათჳს, ესმა იოვანესთჳს და თორნიკისთჳს და ცნეს, რამეთუ ლავრასა დიდისა ათანასესსა არიან, და მეყსეულად სევასტოფორი, კაცი წარჩინებული (მათ ჟამთა შინა) მთავართა შორის დედოფლისათა, წიგნებითა სამეუფოთა ლავრას წარმოავლინეს და, ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები თითოეულად, ვითარცა აქუნდა ბრძანებაჲ, ერთი ათანასის და ერთი თორნიკს და ერთი იოვანეს (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 45-46).“ ამ პასაჟში ერთ დეტალზე გვინდა ყურადღების გამახვილება, ვინ იყო საიმპერატორო კარის მოხელე „*sebastophoros*“, რომელმაც აწარმოა მოლაპარაკება ათონზე მყოფ თორნიკესთან. ამ პერსონის ვინაობის გარკვევა, შესაძლებლობას მოქცევს სრულიად სხვა რაკურსით დავინახოთ პროცესები. საერთოდ სევასტოფორის თანამდებობა საიმპერატორო კარზე სავარაუდოდ 963-975 წწ. შორის შეიქმნა. მისი ფუნქცია მაინც და მაინც ზუსტად განსაზღვრული არ არის, თუმცა სავარაუდოდ ის ასრულებდა იმპერატორის პირადი წარმომადგენლის ფუნქციას. სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული ბიზანტინისტიკაში, რომ იგი უფრო საპატიო ტიტულს წარმოადგენდა, რომელიც მოგვიანებით საერთოდ გაქრა (Guilland, 1963: 199-207). ამ პერიოდში იმპერიის სევასტოფორი იყო იმპერატორ რომანოზ ლეკაპენის (920-944) შვილიშვილი ევნუხი რომანოზი. ამ უკანასკნელს ბიძად ეკუთვნოდა, ჩვენთვის უკვე ცნობილი, პარაკიმომენი ბასილი, რომელიც იმპერატორ რომანოზ ლეკაპენის უკანონო შვილი იყო (Guilland, 1963: 200-201). ბიზანტიელი მემატიანის ლეონ დიაკონის თქმით, ბიძის პარაკიმომენ ბასილის წაქეზებით მოწამლა სევასტოფორ რომანოზმა იოანე ციმისკე, როდესაც ეს უკანასკნელი ეწვია მას სახლში, ოლიმპოს მიდამოებში (Talbot, A.-M.; Sullivanwith., D.F. 2005: 219). ეს მოვლენა კი სკლიაროსის აჯანყებამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. როგორც ჩანს, სევასტოფორი რომანოზი ბიძის პოლიტიკური კლანის აქტიური წევრია

და განსაკუთრებული ნდობით გამოირჩევა. ეს რეალობა კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ დავით კურაპალატის ჩართვა სკლიაროსის წინააღმდეგ ბასილის მოფიქრებული იყო და მისი უახლოესი გარემოცვა ცდილობდა ამ საქმის ორგანიზებას. ამასთანავე, ჩვენ არ გვეჩვენება შემთხვევითად არც ის ფაქტი, რომ პირადად სევასტოფორი რომანოზი ჩადის ათონზე და აწარმოებს მოლაპარაკებას. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული უსაფრთხოების მიზნით, ანუ საიმპერატორო კარი ერიდებოდა ეს საკითხი არ გასაჯაროვებულიყო დროზე ადრე.

„ცხოვრების“ მიხედვით, თორნიკე წინააღმდეგი ყოფილა კონსტანტინოპოლში წასვლაზე (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 46). წმინდა ათანასე და იოვანე ბერი მთელი ერთი კვირა არწმუნებდნენ თორნიკე კონსტანტინოპოლში წასვლას და იმპარატორთა თხოვნის შესრულებას. ბოლოს როგორც იქნა დაითანხმეს. საიმპარატორო სახლის თხოვნით თორნიკე დავით მაგისტროსთან გამოაგზავნეს და თან იმპარატორების წერილები გამოატანას. მთელს ამ ისტორიაში არაფერი არ არის წარმოდგენილი. მეტიც ზოგიერთი დეტალი გვაფიქრებინებს, რომ გიორგი მთაწმინდელს ისეთი პირველწყარო ჰყავდა, რომელიც დაწვრილებით იცნობდა ამ მოვლენებს. მან იცის წერილის ჩამომტანის სტატუსი - „სევასტოფორი,“ წერილთა რაოდენობა, ათანასეს, იოვანეს და თორნიკეს ცალ-ცალკე რომ მოუვიდათ სამეფო კორესპონდენცია, იცის რა დრო დასჭირდათ წმ. ათანასესა და იოვანეს თორნიკეს დასათანხმებლად, ზედმიწევნით ერკვევა იმ პერიოდის სამეფო კარზე არსებულ ვითარებაში - პარაკიმომენ ბასილის გავლენებში („ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა.“) და სხვა. ამ ფონზე არ ვერწმუნოთ ქართულ წყაროს არა გვაქვს უფლება. ბუნებრივია, „ცხოვრებაში“ წარმოჩენილი იქნებოდა ქართველთა ბერების როლი, მაგრამ ამაში დასაძრახი არაფერია. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფჳმესი“ იმავდროულად დოკუმენტი იყო ქართველებისთვისა და ბერძნებისთვის თუ როგორ, რა სახსრებით შეიქმნა ათონზე ივერთა მონასტერი. ამიტომაცაა, რომ გიორგი მთაწმინდელი განსაკუთრებით ყურადღებას უთმობს სკლიაროსის აჯანყებაში ქართველთა დამსახურების წარმოჩენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მის მიერ მოთხრობილი ტყუილია. ამიტომაც ჩვენ უნდა მოვახდინოთ არა უკუგდება ამ ცნობებისა, არამედ მათი შეჯერება ბიზანტიურ წყაროებთან.

ვრცელი „ცხოვრების“ მიხედვით, დავით კურაპალატს 12 ათასიანი ლაშქრი მიუშველებია ბარდა ფოკასთვის და ამ ძალებით ბიზანტიელთა და ქართველთა გაერთიანებულ ჯარს დაუმარცხებია სკლიაროსი. „იოვანეს და ეფთვიმეს“ ცხოვრების მიხედვით აჯანყებულთა მიმართ ანგარიშწორებას დიდი მასშტაბები მიუღია: „შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია და მერმე



შეიქცა და სიტყვსაებრ მეფეთადას დატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვთ დაიმჭირა ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქროდ და ვერცხლი და სტავრაჲ და სხუაჲ ესევეთარი და უკუნიქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა და იჯმნა და მეფეთავე წინაშე მოვიდა (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 48).“ როგორც ვხედავთ, საიმპერატორო კარის ბრძანებით, სასტიკად დაუსჯიათ ბიზანტიაში დარჩენილი სკლიაროსის მომხრეთა ოჯახები, მათი ქონება კი „ცხოვრების“ მიხედვით, თორნიკეს ჯარისთავის გაუნაწილებია, ნაწილი ალაფი თავისთვის დაუტოვებია. ამ ბრძოლაში აღებული „საფასითა და განძით,“ მოგვიანებით, ბერმა იოანემ, თორნიკეყოფილმა ათონზე ივერთა ლავრა დაარსა. „იოვანესი და ეფემეს“ ცხოვრების მიხედვით: „ხოლო თორნიკ, ვინაფთგან ფოტა სკლიაროსი და კუალად აქავე მოიქცა ურიცხვთა საფასითა და განძითა, – რამეთუ უფროდს ათორმეტისა კენდინარისა მოიღო განძი ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე, — რომელი იგი ყოველივე მამისა თვისისა სულიერისა იოვანეს ჯელთა მისცა და თავი თვისი სრულიად უარყო და არცა თუ მცირედი რაიმე დაუტევა ჯელმწიფებასა ქუეშე თვისსა, არამედ ეგევითარმან (მან) განთქუმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაჲ თვისი მოიკუეთა და სრულებით შეუდგა მოჩილებასა მისსა (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 50).“ 1 კენტინარი 100 ლიტრა ანუ 32.7 კილოგრამ ოქროს უდრიდა. 12 კენტინარი 392.4 კილოგრამი ოქროს ტოლფასი იყო (The Oxford Dictionary of Byzantium, 1975: 146-151). როგორც წყაროშია მითიებული 12 კენტინარი განძი, თორნიკეს შეწირულობის მხოლოდ ნაწილი იყო. ეს სიმდიდრე ქართველმა ბერებმა მარტოოდენ ივერთა მონასტრის აშენებას როდი მოახმარეს, არამედ მათ ათონის სხვა მონასტრებსაც მდიდარი შეწირულობა გაუგზავნეს. სწორედ ამიტომაც გიორგი მთაწმინდელი ახსენებს ყველას ამ ფაქტს და ცდილობს ქართველთა ათონზე ყოფნას, მათ სტატუს სხვა სამართლებლივი საფუძველი მოუძებნოს.

**ივირონის დაარსებაში ქართველთა როლის შესახებ** „ცხოვრების“ ქართული, როგორც სვინაქსარული, ასევე ვრცელი რედაქცია აღნიშნავს მხოლოდ იოვანესა და თორნიკეს მიერ ივირონის დაარსებას და ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრების მშენებლობას. ბერძნული სახელი ამ ადგილისა ქართულ რედაქციებში ნახსენები არ არის. იოანეს, ეფთვიმეს და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“ კი პირიქით ხაზგასმით გვეუბნება, რომ ქართველმა წმინდა მამებმა აღმართეს საკუთარი ლავრა რომელსაც ძველად კლიმენტოსს ეძახდნენ, მოგვიანებით კი ივერიონი ეწოდაო (მაჩხანელი, 1982: 126-127). თითქმის ისე ჩანს, რომ ქართული მონასტერი, ამ ადგილებზე არსებული ძველი ბერძნული მონასტრის აღორძინების შედეგად წარ-

მოიშვა. ქართული რედაქცია ამას არც ახსენებს. მეტიც „ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ქვეტექსტად მიჰყვება ანტიბიზანტიური განწყობა. ამას თავის ახსნა აქვს. XI საუკუნის 20-30 წლების მიჯნაზე ივერთა მონასტრის ქართველი ბერები ძალიან შეავიწროვეს ბერძენმა ბერებმა. საქმე იმპერატორის სასამართლომდე მივიდა. სწორედ ამ ფაქტის გამო გიორგი მთაწმინდელი იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრებაში“ დაწვრილებით გვიყვება ყველა იმ შეწირულობაზე რაც ქართველებს ჰქონდათ გაკეთებული ათონის სამონასტრო მშობისადმი, მათ შორის დიდ ლავრისადმი გაწეულ დახმარებაზე, ასევე ცალკეული მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ამით გიორგი მთაწმინდელს სურდა, რომ ეჩვენებინა ქართველები ცარიელ ნიადაგზე არ მოსულან ათონზე და რომ მათ წმინდა მთაზე სამონასტრო ცხოვრების აღორძინების საქმეში დიდი წვლილი იუძღვოდათ. ეს არის ერთგვარი რეესტრი ყველა იმ შეწირულობისა რომელიც იოვანემ და თორნიკემ გაიღეს და რომელიც ქართველებს სრულფასოვანი მოღვაწეობის უფლებას ანიჭებდა ათონზე (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 52-54).

გიორგი მთაწმინდელი თავის თხზულებაში ხაზგასმით უთითებს ივირონის დამაარსებელ მამათა სურვილზე რათა მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ მონასტრის სამშობში. თორნიკე ერისთავმა, ბარდა სკლია-როსის დამარცხების შემდეგ, ტაოდან „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“ ჩაიყვანა ათონზე. იოვანე მთაწმინდელთან ერთად გადაწყდა ცალკე ქართველთა მონასტრის დაარსება. თორნიკე მოითხოვდა, რომ „ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 49).“ აქ, რა თქმა უნდა, ეთნიკურ ქართველებზეა საუბარი, რამეთუ ბერძნები, რომელთა არშეშვებას მოითხოვდა თორნიკე, ასევე მართმადიდებლები იყვნენ. ამ კონტექსტში რელიგიურ კუთვნილებაზე არ კეთდება აქცენტი, ეს არის პატარა ერის შვილების წმინდაწყლის თავდაცვითი ნაბიჯი, ათონზე საკუთარი ნაციონალური თვითმყოფადობის შეინარჩუნების მიზნით. ქართველმა ათონელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ბერძნულ სამყაროში მულტინაციონალურ მონასტერში ქართულ ეროვნულ სულს ვერ შეინახავდნენ. ასეთი გადაწყვეტილება ბერძნების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართ, უბრალოდ, ქართველ ბერებს სურდათ საკუთარი მონასტერი დაეცვათ ელინიზირებისაგა. ზუსტათ იგივე პირობას ჩადებს ერთი საუკუნის შემდეგ გრიგოლ ბაკურიანის ძე პეტრიწონის ტიპიკონში და მოითხოვს რომ მონასტერი პირწმინდათ ქართული ყოფილიყო (მხოლოდ ერთი ბერძენი ბერი დაიშვებოდა, რომელსაც მწერალ-მთარგმნელობა ევალებოდა). ათონზე საბოლოოდ ამის მიღწევა გაუჭირდათ: „გარნა, ვინაფთგან ამისი ქმნაჲ შეუძლებელ იყო, იიძულნეს ბერძენთაცა შემოყვანებაჲ, რამეთუ ჩუნ, ვითარცა ხედავთ, ზღვსა რადთურთით გამოცდილებაჲ არაჲ გუაქუს, და ჩუნეი ყოველი გასარომელი ზღვთ შემოვალს, და მერმე

თვნიერ მჭედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მევენაჯეთა და ნავის–მოქმედთა და სხუათა ესევეითართა ამის ესევეითარისა ვრცელისა ლავრისა დამჭირვად უღონო არს (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 49).“ ერთგვარი ანტიბერძნული განწყობით სრულდება ნაწარმოები. გიორგი მთაწმინდელს მოჰყავს ივერიონის ძმობის შეთანხმების ტექსტი, რომელშიც საუკუნო ხსენება და კურთხევაა განწესებულნი იმათ მიმართ ვინც მონასტერში ქართველთა გამრავლებაზე იღვაწებს და „ასე წმინდასა ადგილსა ნათესავსა ჩვენსა დაუმტკიცებს.“

როგორც ზემოთ აღნიშნა, ბერძნული „ცხოვრება“ თორნიკე ერისთავს არ ახსენებს. არც სვინაქსარულ რედაქციაშია სრულყოფილად მისი ღვაწლი წინ წამოწეული. სამაგიეროდ გიორგი მთაწმინდელი იოვანესა და ეფთვიმეს გვერდით საინტერესო ცნობებს გვაწვდის თორნიკეს ბერობის დროინდელ პერიოდზე. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ გიორგი მთაწმინდელი ფაქტების მშრალ კონსტანტაციას კი არ იძლევა, არამედ ცდილობს თავისი მონათხრობი ცოცხალი ისტორიებით გაამდიდროს, სადაც კარგა ჩანს ნაწარმოების მთავრი გმირების (იოვანეს, თორნიკეს, ეფთვიმეს...) შინაგანი ბუნება, ხასიათი. მიუხედავად ათონის მონასტერთა მკაცრი ტიპიკონისა, ბერები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ავლენდნენ ჩვეულებრივ ადამიანურ სისუსტეებს. ნაწარმოებში სასწაულებზე თხრობის პალარელურად გადმოცემულია ათონელ ბერების პირადი განცდები, ქცევები. ეს პასაჟები მხოლოდ ამდიდრებს „იოვანეს და ეფთვიმეს“ ცხოვრებას. განსაკუთრებით საინტერესოა ბერი იოანე–თორნიკეს შესახებ დაცული ცნობები, რომელშიც შერწყმულია დაყუდებული ბერისა და ერისკაცის ხასიათი. „წყობათა შინა აღზრდილი“ თორნიკე მონასტრის სამძოს თუ მოსულ პირებს თავის ერისკაცობის დროინდელ ამბებს უყვებოდა ხოლმე („უბნობად და ჰამბავი უყუარდა“) (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 51). მონასტრის წინამძღვარი იოვანე მთაწმინდელი ყველანაირად ერიდებოდა თორნიკესათვის შენიშვნის მიცემას. განსაკუთრებით აფრთხობდა მას ის ფაქტი, რომ მონასტრის ძმობისთვის განსაკუთრებით პოპულარული იყო ყოფილი მხედარმთავრის სამხედრო თუ პოლიტიკური თავგადასავალი. ამასთანავე თორნიკესთან „წარჩინებული და პატიოსანი“ კაცთა სტუმრობა გახშირებულა, მაშინ კი იოვანე მთაწმინდელმა ბერს მიუთითა, რომ საერო ამბების თხრობა და მათი გახსენება მის სულს ავნებდა. წინამძღვარმა ლოცვა–კურთხევა მისცა თორნიკეს, რომ ამიერიდან მას თავისი თავგადასავალი მხოლოდ გაბრიელ ხუცესისთვის მოეთხრო. გიორგი მთაწმინდელი იქვე აღნიშნავს, რომ „ხოლო ხუცესი იგი ესევეითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოდ სიტყუად არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოდ და სულიერი (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 51).“ წინამძღვარმა, ამდენად, იოვანე–თორნიკეს ერთის მხრივ არ აუკმალა საკუთარი ისტორიების

თხრობა, ხოლო მეორეს მხრივ მონასტრის სამმო ამ ამბებიდან დელი-კატურად ჩამოაშორა. ამიერიდანო, თორნიკე „და მიერთგან მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებინ, გარნა თუ უცხოდ ვინ მოვიდის და მცირედი რადმე სიტყუად მიუგის მას (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 51).“ ეს ერთი პატარა დეტალი არა მხოლოდ უკვე ასაკში მყოფი თორნიკეს პიროვნულ თვისებებს გვიხატავს, არამედ მონასტრის ყოველდღიურობასაც აცოცხლებს.

ერთობ საინტერესოა ქართული და ბერძნული რედაქციების შეპირისპირება ეფთვიმეს ბერძნულად და ქართულად განსწავლასთან დაკავშირებით. გიორგი მთაწმინდელი იჩენს უკიდურესად პროქართულ პოზიციას - „პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძნულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 60).“ ბერძნული ცხოვრება კი გვიყვება, რომ იოვანემ თავისი ვაჟი „მიაბარა ბერძნულ მეცნიერებათა სკოლაში და ყველამსურველს შეეძლო ენახა, როგორ მოჰყვებოდა სასწაული სასწაულს (მაჩხანელი, 1982: 132).“ ქართულ ვრცელ „ცხოვრებაში“ თვალშისაცემია ერთი შეუსაბამობა. როგორც ზემოთ აღინიშნა გიორგი მთაწმინდელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეფთვიმემ ჯერ ქართული ისწავლა (როგორც მშობლიური) და მხოლოდ შემდეგ ბერძნულიო, თუმცა სახვა ადგილას ავტორი აღნიშნავს, რომ პატარა ეფთვიმეს, დასაწყისში, უჭირდა ქართულად საუბარიო. ნაწარმოებიდან ისე ჩანს, რომ მან მშობლიურ ენაზე მეტყველება დაიწყო მას შემდეგ რაც ყმობისას სწეულს, ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნა. გიორგი მთაწმინდელის თქმით, ავადმყოფ ეფთვიმეს ღვთისმშობელი ქართულად ესაუბრა. ეს ამბავი იმდენად გახმაურებული ყოფილა ივირონის მონასტერში, რომ გიორგი მთაწმინდელა მოჰყავს იოვანე ათონელის მოგონება: „და იტყოდა ნეტარი იოვანე, ვითარმედ: „მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, ხოლო მიერთგან დაუყენებლად ვითარცა წყაროდ, აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 61).“ ამკარაა, რომ გიორგი მთაწმინდელი აქ ეწინააღმდეგებოდა საკუთარ მოსაზრებას. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ავტორი ორი სხვადასხვა წყაროთი სარგებლობდა და მათი სინქრონიზაცია არ მოუხდენია. რაც შეეხება ეპიზოდს, რომელშიც გადმოცემულია ეფთვიმის მიერ ქართული ენის სასწაულის წყალობით შესწავლის ისტორია, ასევე ღვთისმშობლის გამოცხადებისა და მისი ქართულად საუბრის პასაჟი ეს მიმართული უნდა ყოფილიყო იქითკენ, რომ მკითხველისათვის ეჩვენებინა ქართული ენის მნიშვნელობა და ის, რომ იგი არაფრით ჩამოუვარდებოდა ბერძნულს. კონტექსტის პოლიტიკური ქვეტექსტი გასაგებია - ქართული ენაც უფლისგანაა კურთხეული, რამეთუ ღვთისმშობელი და წმ. მამა ერთმანეთში სწორედ ქართულად საუბრობდნენო. ქართული ენის მნიშვნელობაზე აქცენტის გაკეთება

აღბათ მონასტერში XI ს 20 იან წლებში არსებულმა ვითარებამ განაპირობა, როდესაც ივირონის მესამე წინმძღვრის გიორგის დროს მონასტერში ბერძენთა გაძლიერებას მოჰყვა ქართულად წირვა-ლოცვის შეზღუდვა. მონასტრის წინამძღვარმა გიორგიმ „კულად ბერძენნი ფრიად რამდე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრიკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რამდე და უნდონი, უგულებელსყვნა და შეამცირნა (გიორგი ხუცესმონაზონი, 1967: 92).“ ბერძენთა წინამძღვრით ქართველთა მონასტერს ნაციონალური სახე დაეკარგა. რა თქმა უნდა, ეს წინამძღვრის პრობიზანტიულობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ ტენდენციას „ცხოვრების“ ავტორი უპირისპირებს საკუთარ პატრიოტულ კონცეფციას, რომ ათონის მთის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა წმინდანმა ეფთვიმემ დასაწყისში მხოლოდ ქართული იცოდაო. ეს პასაჟი ივირონის ბერების ნაციონალური პროგრამის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, რომლითაც ისინი ბერძენ ბერებს უპირისპირდებოდნენ.

### დასკვნა

ამდენად, ათონელ მამების ცხოვრების შესწავლისათვის სამივე წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული „ცხოვრება“ XVIII საუკუნეშია შექმნილი, მასში მოთხრობილი ცალკეული დეტალები ავსებენ ჩვენს ცოდნას ივერიელთა მონასტრის დამაარსებლების შესახებ. აღარაფერს ვამბობთ, გიორგი მთაწმინდელის თხზულებისა და სვინაქსარულ რედაქციის შესახებ. სამივე ეს ძეგლი მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

Alibegashvili, G. (2014). *wmida aToneli mamebis - ioanes, eftvimesa da giorgis „cxovrebi“ berZnuli versia (hagiografiuli paralelebi). atonis sarvtismetyvelo-literaturuli skola*. Tbilisi. (ალიბეგაშვილი გ. (2014). წმიდა ათონელი მამების - იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის „ცხოვრების“ ბერძნული ვერსია (ჰაგიოგრაფიული პარალელები). ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა. თბილისი).

Badridze Sh. (1983). *pirveli qartveli atonelebis morvawebis istoriuli foni. ivironi-1000*. Tb. (შ. ბადრიძე (1983). პირველი ქართველი ათონელების მოღვაწეობის ისტორიული ფონი, *ივირონი-1000*, თბ, 1983.

Badridze Sh. (1984). *saqartvelo da bizantia, saqartvelos urtiertobebi bizantiasa da dasavlet evropastan*, Tb. 1984; (შ. ბადრიძე (1984). საქართველო და ბიზანტია, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ.).

Baramidze R. (1966). *narkvevebi mxatvruli prozis istoriidan*, Tb.; (ბარამიძე რ. (1966). *ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან*, თბ.).

Gabashvili V. (1983). *atonuri hagiografiuli literaturis zeglebi rogorc wyaro, ivi-*

*roni-1000*, Tb. (ვ. გაბაშვილი (1983). ათონური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები როგორც წყარო, *ივირონი-1000*, თბ, 1983).

Giorgi Mtawmindeli (1946). *tsxovrebai iovanesi da eftvimesi. gamosacemad daamzada iv. javaxisvilma*. Tb. (გიორგი მთაწმინდელი (1946). *ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი*. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. თბ.).

Machkhaneli M. (1982). *Ioane, Eftvime da Giorgi atonelebis berznuli „cxovreba“, berznuli teqsti qartuli targmanita da gamokvlevit gamosatsemad moamzada manana machkhanelma*. Tb. (მაჩხანელი მ. (1982). იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა, თბ.).

Kaxidze M. (1954). *qartvelebi bizantiis politikursa da kulturul cxovrebaSi*. Tb. (კახიძე მ. (1954). *ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში*. თბ.).

Kedrene Giorgi (1963). *istoriuli mimoxilva. georgika t. V, teqstebi qartuli targmaniturt gamosca da ganmartebebi daurto simon yaxCiSvilma*, Tb. (კედრენე გიორგი (1963). ისტორიული მიმოხილვა. *გეორგიკა ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა*, თბ.).

Kekelidze K. (1955). *qartuli wvlili bizantiur literaturaSi. etiudebi Zveli qarTuli literaturis istoriidan*. t. III, Tb. (კეკელიძე კ. (1955). ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. III, თბ.).

Kekelidze K. (1956). *zogierti sakitxi eqvtime qartvelis cxovrevisa da moRvawebis Sesaxeb. etiudebi Zveli qarTuli literaturis istoriidan*. t. I, Tb. (კეკელიძე კ. (1956). ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. I, თბ.).

Kekelidze K. (1957). *ori eqvTime Zvel qarTul mwerlobaSi. etiudebi Zveli qarTuli literaturis istoriidan*, t. IV, Tb. (კეკელიძე კ. (1957). ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. IV, თბ.).

Kekelidze K. (1983). *ATonis literaturuli skolis istoriidan. ivironi-1000*, Tb. (კეკელიძე კ. (1983). ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან. *ივირონი-1000*, თბ.).

Kopaliani V. (1969). *saqartvelosa da bizantiis politikuri urtiertoba 970-1070 ww*. Tb. (კოპალიანი ვ. (1969). *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ*. თბ.).

kuchuxidze G. (2014). „Ioanesa da Eqvtimes cxovreba“, „cxovreba Giorgi mtawmindelisa“ (saxismetyvelebiti sakitxebi). *Atonis sarvtismetyvelo-literaturuli skola*. Tb. (კუჭუხიძე გ. (2014). „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, „ცხოვრება გიორგნი მთაწმინდელისა“ (სახისმეტყველებითი საკითხები). *ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა*, თბ.).

Metreveli E. (1996). *narkvevebi atonis kulturul-saganmanatleblo keris istoriidan*.

Tb. (მეტრეველი ე. (1996). *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*. თბ.).

Metreveli S. (2014). *wmida Ioanesa da Eftvimes cxovrebi*” ikonografiuli saxism-etyveleba. *atonis sarvtismetyvelo-literaturuli skola*. Tb. (მეტრეველი ს. (2014). *წმიდა იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების” იკონოგრაფიული სახისმეტყველება. ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა*. თბ.).

SamuSia J. (2020). *Davit III kurapalati*. Tb. (სამუშია ჯ. (2020). *დავით III კურაპალატი*. თბ.).

Silogava V. (2006). *Oshki, X s. memorialuri tadzari*. Tb. (სილოგავა ვ. (2006). *ოშკი, X ს. მემორიალური ტაძარი*. თბ.).

Siradze R. (1987). *qartuli agiorgarfia*. Tb. (სირაძე რ. (1987). *ქართული აგიორგარფია*. თბ.).

Kadagishvili S. (2012). *etnikurobis, rogorc koleqtiur-kulturuli identobis, aRqma wmindia iovane, eqytime da giorgi atonelebis cxovrebebis mixedvit. qartvelologiuri kvlevebi - Ziritadi tendenciebi da tanamedrove problemebi*. axalgazrda mkvlevarta erovnulli interdisciplinuri samecniero konferencia. 26-27 aprili, Tb. (ქადაგიშვილი ს. (2012). *ეთნიკურობის, როგორც კოლექტიურ-კულტურული იდენტობის, აღქმა წმინდა იოვანე, ექვთიმე და გიორგი ათონელების ცხოვრებების მიხედვით. ქართველოლოგიური კვლევები - ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები. ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნ. კონფერენცია 26-27 აპრილი*, თბ.).

Giorgi xucesmonazoni (1967). *cxoreba netarisa mamisa chuenisa iovanesi da eftvimesi da uwyeba girsisa mis moqalaqobisa maTisa, aRwerili glaxakisa georgis mier xucesmonazonisa. zveli qartuli agiografiuli literaturis zeglebi*. wigni II (XI-XV ss.), ilia abula-Zis xelmZRvanelobiTa da redaquiit. Tb. (გიორგი ხუცესმონაზონი (1967). *ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწრილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი II (XI-XV სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.).

gabizachvili e. (1968). *Zveli qarTuli agiografiuli literaturis Zeglebi, wigni IV, svinaqsaruli redaaciebi (XI-XIII ss.), gamosacemad moamzada da gamokvleva darto e. gabiZaSvilma*, Tb. (გაბიძაშვილი ე. (1968). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა*, თბ.).

Chkoidze E. (2011). *Ioanesa da Eftvimes cxovrebi*“ qarTuli da berdznuli te-qstebis ideologiuri urtiertmimarteba. *bizantinologia saqartvelosi* . 3. Tb. (ჭყოიძე ე. (2011). *იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების” ქართული და ბერძნული ტექსტების იდეოლოგიური ურთიერთმიმართება. ბიზანტინოლოგია საქართველოში*. 3, თბ.).

Khintibidze E. (2014). *Atonis literaturuli skola da axali mxatvruli stili qarTul agiografiaSi, aTonis saRvTismetyvelo-literaturuli skola*, Tb. (ელ. ხინთიბიძე (2014). *ათონის ლიტერატურული სკოლა და ახალი მხატვრული სტილი ქართულ*

აგიოგრაფიაში. *ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა*, თბ.).

Khintibidze E. (1982). qartul-bizantiuri literaturuli urtiertobis istoriisatvis. Tb. (ხინთიბიძე ელ. (1982). ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ.).

Javaxishvili Iv. (1946). giorgi mtawmindeli rogorc istorikosi (winasityvaoba). *Giorgi mtawmindeli, cxovrebai iovanesi da eftvimesi, gamosacemad daamzada iv. javaxiSvilma*. Tb. (ჯავახიშვილი ივ. (1946). გიორგი მთაწმინდელი როგორც ისტორიკოსი (წინასიტყვაობა). გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ.).

Adontz N. (1965). *Etudes Armeno-Byzantines*. Lisbonne.

Dagron, G., Morriison C. (1975). Le Kentènarion dans les sources byzantines. *Revue numismatique*. 6<sup>e</sup> série, T. 17.

Grdzeldize T. (2009). The Life of Our Blessed Fathers John and Euthymios, and The Story of their Worthy Citizenship as Described by the Poor Hieromonk George. *Georgian Monks on Mount Athos. Two Eleventh-Century Lives of the Hegoumenoi of Iviron*. Translation, notes and introductin by Tamara Grdzeldize, London, 2009.

Guilland R. (1963). Études sur l'histoire administrative de l'empire byzantin: le sébastophore. *Revue des études byzantines*. t. 21.

Talbot, A.-M.; Sullivanwith, D.E. (2005). The History of Leo the Deacon: Byzantine military expansion in the tenth century. Introduction, translation, and annotations by Alice-Mary Talbot and Denis F. Sullivanwith the assistance of George T. Dennis and Stamatina McGrathIntrod., DC. Washington.

Martin-Hisard B. (1991). La vie de jean et Euthyme et le status du monastere des Iberes sur L' Athos. *Revue des Etudes Byzantines*. XLIX , 1991;

The Oxford Dictionary of Byzantium (1991). The Oxford Dictionary of Byzantium, Vol. 2, Edited by Alexander P. Kazhdan. New York and Oxford Oxford University Press. 1991.

Peeters P. (1917-1919). Histoires monastiques Georgiennes. *Analecta Bollandiana*. XXXVI-XXXVII.

Scylitzes John (2000). *A synopsis of Byzantine History. 811–1057*. Introduction, Text and Notes Translated by John Wortley. Cambridge.

Афонский патерик (1897). Афонский патерик или жизнеописание святых, на Святой Афонской горе просиявших. Ч.1. Изд.7-е. М. 1897.



## Грузино-греческие тексты «Жизни» Иоанна и Евфимия, как исторический источник

**Джаба Самушиа**

Профессор гуманитарного факультета Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили  
jabasamushia@yahoo.com

### **Резюме**

Вклад Иоанна и Евфимия Афонцев в деле возрождения монастырской жизни на Афоне и развития грузино-византийской литературы изучен должным образом. Однако отдельные вопросы до сих пор привлекают внимание историков и филологов. В предлагаемой статье рассмотрен вопрос взаимоотношений пространной и синаксарной грузинских редакций Жизни Иоанна и Евфимия с отдельными разделами греческой «Жизни Иоанна, Евфимия и Георгия Афонцев». Рассмотрены также несколько важных исторических сведений, которые сохранились благодаря этому произведению. Пространная «Жизнь» Иоанна и Евфимия, а также синаксарная и греческая редакции предоставляют уникальные информации об истории Грузии и Византии. Особенно важно это сочинение для изучения повседневного быта афонских монахов.

Ключевые слова: Грузия, гора Афон, Иверский монастырь, греческий фольклор, Константинополь, Византия

კულტუროლოგია

## INNSBRUCK PLATE – ENCYCLOPEDIA OF MEDIEVAL GEORGIAN CULTURE

ინსბრუკის ლანგარი, როგორც შუა საუკუნეების ქართული  
კულტურის ენციკლოპედია

**Beka Chichinadze**

Bachelor of History

ORCID ID: 0000-0002-6952-1969

[beqasiao@gmail.com](mailto:beqasiao@gmail.com)

+995 555 57 65 80

### Abstract

In Innsbruck, Austria, is preserved a unique Medieval art artefact, an enamel-decorated plate. Its height - five Centimeters, Diameter - twenty-five Centimeters. Dark Red, Yellow, Green, Blue, Turquoise, Black and White Colors are used in his images. In the middle of the plate, a circle depicts a famous story, The Rise of Alexander the Great - the young man holds crossed sticks in his hands, surrounded by two birds. Around the circle containing image of Alexander, there are six other circles below the plate and six on the lower side and images of Peacocks, lions, as well as a wide variety of compositions: Snakes with Eagle claws, Winged Horses, Wrestlers, Dancers and Acrobats, Flute players, Birds and Trees of life. Inscription shows, that this plate received as a gift one of the Artuqid rulers - Amir Daud (1114-1142), the owner of Hisn Kaifa. According to some researchers, this product belongs to the Georgian school of enamel. Many images of plate are repeated on various monuments of Georgian art of this era.

We have shown several cases, when various stories and plant motifs reflected on the plate, are repeated in the Georgian ecclesiastical art.

In the Middle Ages, enamel products had a very high price, which is why this product was considered a suitable royal gift in Georgia. Georgian chronicles pay great attention to the royal gift and attach special importance to the ability to choose a worthy gift among the qualities necessary for the king.

The Innsbruck plate also belongs to this tradition, as a magnificent monument of Medieval art, where many images from this era can be found, which, unlike ecclesiastical art, are not limited.

**Key words:** Innsbruck, Georgia, Plate, Alexander the Great, Enamel.

**ბექა ჭიჭინაძე**

ისტორიის ბაკალავრი

ORCID ID: 0000-0002-6952-1969

[beqasiao@gmail.com](mailto:beqasiao@gmail.com)

+995 555 57 65 80

### **აბსტრაქტი**

ავსტრიაში, ინსბრუკში, ფერდინანდუმის მუზეუმში დაცულია შუა საუკუნეების ხელოვნების ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში, მინანქრის გამოსახულებებით შემკული ლანგარი, მისი სიმაღლე ხუთი სანტიმეტრია, დიამეტრი ოცდახუთი სანტიმეტრი. მრავალფეროვან გამოსახულებებში გამოყენებულია მუქი წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი, შავი და თეთრი ფერები. ლანგარის შუაგულში, წრეში გამოსახულია ალექსანდრე მაკედონელის ამაღლების ცნობილი სიუჟეტი, ახალგაზრდა კაცს ხელებში გადაჯვარედინებული კვერთხები უჭირავს, გარს კი ორი ფასკუნჯი უდგას. ალექსანდრეს ამაღლების სცენის მომცველი წრის ირგვლივ გამოსახულია ექვსი სხვა წრე ლანგარის შიდა მხარეს, ექვსი კი ქვედა მხარეს, სადაც გვხვდება ფარშევანგებისა და ლომების გამოსახულებები, ამასთანავე, ლანგარზე მოცემულია საკმაოდ მრავალფეროვანი კომპოზიციები: არწივი ბრჭყალებში მოქცეული გველით, ფრთოსანი ცხენები, მოჭიდავეები, მოცეკვავეები და აკრობატები, მეჩონგურეები, ფლეიტაზე დამკვრელები, ჩიტები და სიცოცხლის ხეები.

მკვლევართა აზრით, ლანგარი საქართველოდან ძღვნის სახით უნდა ჰქონდეს მიღებული ერთ-ერთ ართუკიდ მმართველს, ჰისნ ქაიფას მფლობელ ამირ დაუდს (1114-1142). ყურადსაღებია, რომ ლანგარის მრავალი გამოსახულება მეორდება ამ ეპოქის ქართული ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებზე.

შუა საუკუნეებში მინანქრის ნაკეთობებს ძალიან მაღალი ფასი ჰქონდათ, ჩანს, სწორედ ამიტომ მიიჩნიეს ის საქართველოში შესაფერის სამეფო ძღვნად. ქართული მატრიანეები ძალზედ დიდ ყურადღებას უთმობენ სამეფო ძღვენს და მეფისათვის აუცილებელ თვისებებს შორის ღირსეული ძღვნის შერჩევის უნარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, სწორედ ამ ტრადიციის ფარგლებში თავსდება ინსბრუკის ლანგარიც, როგორც ქართველი ხელისუფლისაგან ძღვნად შერჩეული შუა საუკუნეების ხელოვნების დიდებული ძეგლი, სადაც ამ ეპოქის საერო სულისკვეთების ამსახველი მრავალი გამოსახულებაა დატანილი, რომელიც საეკლესიო ხელოვნების ნიმუშებისგან განსხვავებით კონფესიური ნიშნით შეზღუდული არაა, ამიტომაც მისი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება „ოქროს ხანის“ ქართული კულტურის შესასწავლად, მეტად მაღალია.

**საკვანძო სიტყვები:** ინსბრუკი, საქართველო, ლანგარი, ალექსანდრე მაკედონელი, მინანქარი

### შესავალი

ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში, ფერდინანდუმის მუზეუმში ინახება შუა საუკუნეების ხელოვნების ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში, მინანქრის გამოსახულებებით უხვად შემკული ლანგარი, მისი სიმაღლე ხუთი სანტიმეტრია, დიამეტრი კი ოცდახუთი. გამოსახულებები მოცემულია მუქი წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი, შავი და თეთრი ფერებით (სურ. 1). ლანგარზე დატანილ ცენტრალურ წრეში გამოსახულია ცნობილი სიუჟეტი, ალექსანდრე მაკედონელის ამალეზა: ახალგაზრდა კაცს ხელებში გადაჯვარედინებული კვერთხები უჭირავს, მის გარშემო კი ორი ფასკუნჯია გამოსახული (სურ. 2). აღნიშნული სიუჟეტი მომდინარეობს ფსევდოკალისტენეს რომანიდან „ალექსანდრიანი“, რომელიც შუა საუკუნეების ყველაზე პოპულარული ნაწარმოები იყო. ალექსანდრეს ამალეზის სცენის მომცველი წრის ირგვლივ ლანგარის შიდა მხარეს გამოსახულია ექვსი წრე, ექვსი კი ქვედა მხარეს (სურ. 3), რომლებშიც მოთავსებულია ფარშევანგებისა და ლომების გამოსახულებები. გარდა ამისა, ლანგარზე მცენარეული ორნამენტების ფონზე მოცემულია საკმაოდ მრავალფეროვანი კომპოზიციები: არწივი ბრჭყალებში მოქცეული გველით, ფრთოსანი ცხენები, მოჭიდავეები, მოცეკვავეები და აკრობატები, მეჩონგურეები, ფლეიტაზე დამკვრელები, ჩიტები და სიცოცხლის ხეები, განსაკუთრებით შთამბეჭდავი მათგან, ვფიქრობ, მოცეკვავე ქალებისა და აკრობატების (ძველ ქართულად მუშაითების) გამოსახულებებია (სურ. 4, 5).

ლანგარს კიდებზე დაუყვება შეცდომებით სავსე არაბული წარწერა, რაც მოწმობს იმას, რომ ის არაბულ სამყაროში არ უნდა იყოს შექმნილი.

ინსბრუკის ლანგარის მკვლევარი, სკოტ რედფორდი აცხადებდა, რომ მინანქარი არსებითად უცხო იყო ისლამური სამყაროსათვის, ჩანს, ის ძღვნის სახით მიიღო ართუკიდმა მმართველმა, ჰისნ ქაიფას მფლობელმა ამირ დაუდმა (1114-1142), ვისი სახელი და გენეალოგიაც დატანილია ხსენებულ ფსევდოარაბულ წარწერაზე, რომელიც, როგორც აღინიშნა, უამრავ ისეთ შეცდომას შეიცავს, რომლის გათვალისწინებითაც შეუძლებელია ის ისლამურ სამყაროში იყოს დამზადებული.

მკვლევრები შენიშნავენ, რომ შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში ისლამურ ნაწარმზე მაღალი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ხშირად არაბული წარწერებით ქრისტიანებიც კი ამკობდნენ ქსოვილებსა და ჭურჭლეულს (Redford, 1990:132).

საერთოდ, მინანქრის დამზადება უაღრესად შრომატევადი პროცესი იყო, რომელიც ვირტუოზულ ტექნიკას, უზარმაზარ ძალისხმევასა და

დროს მოითხოვდა, ამიტომაც მინანქრის ნაკეთობები გამორჩეულად ფასობდნენ.

მინანქრის მრავალრიცხოვანი გამოსახულებებით უხვად მორთული ინსტრუქის ლანგარი იმდენად დიდებული ნახელავია, რომ თამამად შეიძლება ითქვას, ის წარმოუდგენელად მაღალღირებული ნაკეთობაა.

ერთი შეხედვით ლანგარი ბიზანტიური მინანქრის სკოლის პროდუქციას მოგვაგონებს, მაგრამ მთელი რიგი ნიშნების მიხედვით ის სხვა კულტურული სამყაროს პროდუქტი უნდა იყოს, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც ბიზანტიურ-ქრისტიანული, ისე ისლამური კულტურის ელემენტებსაც, ამიტომაც რედფორდი, რომელმაც ყველაზე საფუძვლიანად შეისწავლა ნაკეთობა, სავსებით სამართლიანად, უკავშირებს მას საქართველოს, როგორც ქრისტიანული და ისლამური კულტურების ჰარმონიზების დიდი ტრადიციის მქონე ქვეყანას, სადაც, ამასთანავე, მინანქრის ნაკეთობების წარმოების დიდი ტრადიცია არსებობდა (Redford, 1990:132).

### **მეთოდი**

ნაშრომში შესწავლილია შუა საუკუნეების მინანქრის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშის, ინსტრუქის ლანგრის გენეზისის საკითხი.

ნაკეთობის მრავალრიცხოვანი კომპოზიციები პარალელიზირებულია ამავე ეპოქის ქართულ რელიეფებთან, ჰორელიეფებთან და მხატვრობასთან. სხვადასხვა წერილობითი წყაროების ჩვენებების საფუძველზე კონსტრუირებულია ის კულტურული კონტექსტი, რომელმაც მისი მხატვრული თავისებურებები განსაზღვრა.

### **შედეგები**

წინამდებარე სტატიაში, განსახილველი საკითხის გარშემო უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემების შეჯამების გარდა, მოცემულია ახალი მტკიცებულებებიც საკვლევი ნაკეთობის ქართული წარმომავლობის შესახებ:

1. ლანგრის ცენტრალური კომპოზიცია ალექსანდრეს ამაღლების გამოსახულებით, სიუჟეტურად და სტილისტურად ზედმიწევნით იმეორებს ხახულის ტაძრის რელიეფზე გამოსახულ ალექსანდრეს ამაღლებას, რაც ლანგრის ქართული წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს.
2. ლანგრის ერთ-ერთი კომპოზიცია, არწივი ბრჭყალებში მოქცეული ნადირით, ზედმიწევნითი სტილისტური იგივეობით გამეორებულია ხახულის ცნობილ არწივის ჰორელიეფში.
3. ლანგარზე კომპოზიციების ფონად მოცემულია სამყურა ყვავილი, რომელიც ყველაზე პოპულარული დეკორატიული მოტივი საქარ-

თველოში მე-12 საუკუნეში იყო, სწორედ იმ ეპოქაში, რომელსაც განეკუთვნება ინსბრუკის ლანგარი.

4. უცხოელ მკვლევართა ნაწილის აზრით მინანქრის ეს ლანგარი ართუკიდ მმართველს საქართველოს მეფე დიმიტრი პირველმა მიუძღვნა, კვლევაში ნაჩვენებია, რომ ამ თვალსაზრისს მნიშვნელოვანი საფუძველი მოეპოვება იმ დიდმნიშვნელოვანი გარემოების სახით, რომ მეფე დიმიტრი უშუალოდაა დაკავშირებული მინანქრის ქართულ სკოლასთან, რამდენადაც ხახულის კარედის მინანქრის ხატებით შემკობა სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული.

### **მსჯელობა და დასკვნები**

ინსბრუკის ლანგარის ცნობილმა მკვლევარმა, სკოტ რედფორდმა განიხილა შემთხვევები, როდესაც ლანგარზე მოცემული გამოსახულებები საოცარი მსგავსებითაა გამოჩენილი ამავე ხანის ქართული კერამიკის მოხატულობაში, მაგალითად, ლანგარზე გამოსახული ლომი, რომლის პოზა, აგებულება და ცალკეული დეტალებიც იგივენაირადაა გადმოცემული ამავე ეპოქის ქართული თასების ლომის გამოსახულებებზეც, გარდა ამისა, ლანგარზე ასახული მოცეკვავეც სტილისტურად იმეორებს ამავე ეპოქის ქართულ თასებზე გამოსახულ მოცეკვავეებს. მნიშვნელოვანია, რომ ლანგარზე და თასზე მოცემული მოცეკვავეები ატარებენ ერთნაირ სამოსსა და თავსაბურავებს, უფრო მეტიც, ს. რედფორდის დაკვირვებით საოცარი მსგავსებაა მოცეკვავეთა თვალ-წარბსა და ცხვირებს შორისაც, ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული თასების მცენარეული ხვეულები სტილისტურად ეხმიანებიან ინსბრუკის ლანგარის ხვეულებს, ამ მნიშვნელოვან დეტალს, ჩვენის მხრივ შეიძლება დავუმატოთ ის საგულისხმო გარემოებაც, რომ ინსბრუკის ლანგარის მცენარეული ორნამენტების ძირითადი მოტივი სამყურა ყვავილია (სურ. 6), გ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი აღნიშნული მოტივი ქართულ ხელოვნებაში ყველაზე პოპულარული სწორედ მე-12-საუკუნეში იყო (ჩუბინაშვილი, 1959:561).

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პარალელს, რომელიც სკოტ რედფორდისთვის უცნობი დარჩა.

ხახულის მე-10-საუკუნის ტაძრის სამხრეთ შესასვლელზე გამოსახულია საკმაოდ საინტერესო, ჩვენი მიზნებისთვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობის კომპოზიცია, ალექსანდრე დიდის ამადლების რელიეფი (სურ. 7). როგორც ითქვა, ეს სიუჟეტი შუა საუკუნეებში ძალიან პოპულარული იყო და თითქმის მთელ იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში გვხვდება, მაგრამ ხახულის რელიეფი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება (ხუნდაძე, 2007: 49). როგორც შენიშნავდით, ხახულის ტაძარზე გამოსახული ალექსანდრე მაკედონელი და ფასკუნჯები

სტილისტურად ზედმიწევნით იმეორებენ ინსბრუკის ლანგრისას. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ანდრე გრაზარი საუბრობს მე-12-საუკუნის თასზე კავკასიიდან, რომელზეც, აგრეთვე, ალექსანდრეს ამალღებაა გამოსახული, ამიტომაც უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ არსებობდა ალექსანდრეს ამალღების იკონოგრაფიის ქართული ვარიაცია, რომელიც ხახულის რელიეფზე, ინსბრუკის ლანგარზე და ზოგ სხვა მასალაზეა მოცემული. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ალექსანდრე მაკედონელი ლამის ჰაგიოგრაფიულ პერსონაჟად იქცა, ქრისტიანული წყაროები მას ჭეშმარიტი ღმერთის აღმსარებლად წარმოგვიდგენენ, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ძველი აღთქმის მართლად შერაცხილი ალექსანდრე ხახულის რელიეფზე წმინდანის შარავანდედითაა გამოსახული. ქართული წყაროები კიდევ უფრო შორს მიდიან, ლეონტი მროველი ალექსანდრე მაკედონელს ფაქტობრივად ქართული ეთნიკური იდენტობის დამფუძნებლად მიიჩნევს, მიაწერს რა მას ქართლიდან უცხოტომელთა განდევნასა და ხელისუფლების დაწესებას (ყაუხჩიშვილი, 1942:12). გასათვალისწინებელია შემდეგიც: როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში საქართველოს მეფე მიიჩნეოდა „ალექსანდრეს ჭიშკრის“, ანუ დარიალის მცველად, და ამდენად ალექსანდრეს მესაყდრედ, ადგილმონაცვლედ, რომელიც ჭიშკრის მიღმა მყოფ ბარბაროსთა შეკავებით ალექსანდრესაგან დაწყებულ საქმეს აგრძელებდა. ყველაფერ ამის გამო ალექსანდრეს იკონოგრაფიას საქართველოში უნივერსალურთან ერთად კონკრეტული, საკუთრივ ქართული განზომილებაც გააჩნდა.

ხახულის კომპოზიცია, ვფიქრობ, მრავალ სხვა მონაცემთან ერთად ნათელს ჰფენს ლანგრის წარმომავლობის საკითხს.

ინსბრუკის ლანგრის სიუჟეტებთან ქართული პარალელების თვალსაზრისით, ვფიქრობ, საყურადღებოა ხახულის ცნობილი ჰორელიეფიც - არწივი ბრჭყალებში მოქცეული ცხოველით. აღნიშნულ კომპოზიციას სიუჟეტურად და სტილისტურად ზედმიწევნით იმეორებს ლანგრის ერთ-ერთ წრეში გამოსახული არწივი და მის ბრჭყალებში მოქცეული ნადირი (სურ. 8, 9).

ლანგრის გამოსახულებების მსგავსება ქართულ მასალასთან არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული კერამიკის მოხატულობასთან და რელიეფებთან პარალელებით. თვალსაჩინო მსგავსების დანახვა შესაძლებელია მე-12-საუკუნის ქართულ ხელნაწერთა მინიატურებთანაც და, ცხადია, მინანქრის ხატებთანაც. ს. რედფორდი ფიქრობს, რომ ამის საპირისპიროდ, ლანგრის გამოსახულებებს ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო ბიზანტიურ მინანქართან, მკვეთრი ფერებითა და გაბედული მონასმებით ინსბრუკის ლანგარი იმეორებს ქართული მინანქრის მთავარ თავისებურებებს, მაგრამ, ავტორის აზრით, ლანგრის ქართული წარმომავლობის შესახებ მეტყველებს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი

გარემოებებიც, კერძოდ, ისტორიული კონტექსტი და წარწერის შინაარსი (Redford, 1990:132). აქ იგი გულისხმობს იმ ურთიერთობებს, რომელიც ბაგრატიონებსა და ართუკიდებს შორის არსებობდა. ართუკიდი ილ-ლაზის შემდეგ განსაკუთრებული ინტერესი კავკასიის მიმართ სწორედ ლანგრის წარწერაში მოხსენიებულ დაუდს, ჰისნ ქაიფას გავლენიან ართუკიდ მფლობელს ჰქონდა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ კოალიციურ ლაშქრობაშიც მონაწილეობდა. გ. ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ მოსულის ძლიერი ათაბაგის, იმად ად დინ ზენგის აგრესიამ შეზღუდა გავლენიანი და ენერგიული დაუდის აქტიურობა, (ჯაფარიძე, 1995:65), რაც მას ძლიერ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობებისკენ უბიძგებდა. თავის მხრივ, ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მეზობელთან კეთილმეზობლური ურთიერთობები მისაღები იყო საქართველოსთვისაც, რომელიც დემეტრე პირველის მმართველობისას უწინდებურად აქტიურ საგარეო პოლიტიკას ვერ აწარმოებდა.

ს. რედფორდის კვლევებზე დაყრდნობით ალი მინათმა გამოთქვა სავსებით მისაღები მოსაზრება, რომ „ეს ლანგარი შესაძლოა ძღვნად ჰქონდეს მიღებული დაუდს დიმიტრი პირველისაგან, დავით მეოთხის მემკვიდრისაგან“ (Mynat, 2017:185). ვფიქრობთ, დემეტრე პირველის მოღვაწეობა, მეტადრე მისი კულტურული პოლიტიკა, მხარს უჭერს ამგვარ თვალსაზრისს. ლანგრის არაბული წარწერა ხოტბას ასხამს დაუდ ჰისნ ქაიფას, უწოდებს რა მას ბრწყინვალე წინამძღოლს, ურწმუნოთა მსვრელს, ღმრთივდამყარებულსა და რწმენის მახვილს. თავისთავად გასაკვირი იმაში არაფერია, რომ ქრისტიანი ხელისუფალი პატივისცემით, თუნდაც განდიდებით მიმართავდეს მუსლიმ ხელისუფალს, მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ ამ შემთხვევაში ქრისტიანი ხელისუფლისაგან მუსლიმი მიმართველი არა ნეიტრალური, არამედ საკუთრივ მუსლიმური რელიგიური ფორმულებითაა განდიდებული, თუმცა ეს, ერთი შეხედვით, უცნაური გარემოება აღარ გაგვიკვირდება, თუ გავიხსენებთ, რომ თავად მუსლიმი ხელისუფლებიც თავიანთ მიმართველებში საქართველოს მეფეებს ამგვარადვე განადიდებდნენ. ქართველი მონარქები მუსლიმთა მიმართ გასაოცარი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულები, განსაკუთრებით ამ მხრივ დავითი და მისი ვაჟი, სწორედ დემეტრე გამოირჩეოდნენ. ამ შემწყნარებლური გარემოს შესახებ თავად მუსლიმი ავტორები გვაწვდიან შთამბეჭქდავ ცნობებს, ზაქარია ალ ყაზვინი წერს: „ალ ქურრის (მტკვრის) ერთ ნაპირზე [მუსლიმური] ლოცვისკენ მოუწოდებენ, მეორეზე კი ზარს რეკენ“ (ცეტიტიშვილი, 1975:40).

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი იმ პრივილეგიების შესახებ, რაც მუსლიმურ თემს დავით აღმაშენებლმა მიანიჭა. გამორჩეულად ყურადსაღები ისაა, რომ მუსლიმი ისტორიკოსის, ალ ფარიკის გადმოცემით, დავითმა მუსლიმებს სხვასთან ერთად მოუხსნა უშრისა და ხარაჯის გადასახადებიც, ამასთან დაკავშირებით მკვლევრები



შენიშნავენ, რომ ხსენებული გადასახადებისაგან მუსლიმები საკუთრივ მუსლიმურ ქვეყნებში, მუსლიმური ხელისუფლების პირობებშიც არ ყოფილან გათავისუფლებულები (ჯაფარიძე, იქვე, 235), სწორედ ამგვარი შეღავათები წარმოადგენდნენ რეალურ საფუძველს ალ ფარიკის ცნობისა, რომ საქართველოში მან ნახა ისეთი „პატივისცემა მუსლიმებისა, როგორც მათ ბაღდადშიც არ ექნებოდათ“ (სიხარულიძე, 1985:90). არაბულენოვანი თურქი ისტორიკოსის, სიბტ იბნ ალ ჯაუზის მიხედვით, დავითმა „ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის, დააწესა მათთვის სტუმართმოყვარეობა“ (ცქიტიშვილი, 1967:205). მნიშვნელოვანია, რომ მუსლიმთა და მათი წრიდან გამოსული კულტურის მოღვაწეების მიმართ ასეთივე გულისხმიერი იყო დავითის ვაჟი, დემეტრეც. ალ ფარიკი ქართველი მუსლიმების შესახებ წერს: „მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები, მლოცველები, რომელთაც მეფე (დიმიტრი) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა, ის კეთილად ექცეოდა [მათ], რისი მსგავსიც არ არსებობს (სიხარულიძე, 1985:90). ამ ხელშეწყობის წყალობით არაერთი მუსლიმი კულტურის მოღვაწე ეწეოდა ნაყოფიერ საქმიანობას მუსლიმურ ღვთისმეტყველებაში, პოეზიაში, ფილოსოფიასა თუ მედიცინაში.

ჩვენთვის ცნობილია ათ თიფლისისა და ალ-ქურჯის ნისბის მატარებელი არაერთი მუსლიმი მოღვაწის სახელი, ას\_სამ’ანი წერს, რომ „გამოვიდა აქედან ჯგუფი მეცნიერთა და ჰადისის მცოდნეთა... აბუბაქრი აქ დაიბადა. იგი იყო ავტორიტეტი, სანდო, ბევრი ჰქონდა ნამუშევარი ჰადისებზე... ალ ჰუსეინ ათ თაფლისი... ითვლებოდა იგი რჩეულად და აღმატებულად... ალ მადაინი ათ თაფლისი... ალ-ქ(გ)ურჯი... ეს არის ნისბა ქურჯისათვის... გამოვიდა აქედან მრავალი მავლა, რომლებიც ისმენდნენ ჰადისებს და გადმოსცემდნენ. (სიხარულიძე, 1976ა:47).

ალ ჯაუზის გადმოცემით, დავითი „ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი, ისმენდა ხუტბასა და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეზინებს მრავალ ოქროს“ (ცქიტიშვილი, იქვე).

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ როგორც მუსლიმი ისტორიკოსები გადმოგვცემენ მუსლიმებს საქართველოში შეეძლოთ: „აშკარად და დაუფარავად ეკითხათ ყურანი“ (სიხარულიძე, 1976ა:47)

იბნ ჰაუკალის თხზულების მე-12-საუკუნის ჩანართში ნათქვამია: „ქურჯთა (გურჯთა) მეფე, მიუხედავად მისი ურწმუნოებისა, მწყსავს მის (თბილისის) (მუსლიმურ) მოსახლეობას და იცავს მათ მხარეს ყოველგვარი ზიანისაგან. ისლამის წესები იქ ისევე [სრულდება], როგორც წინათ. საკრებულო მეჩეთი დაცულია ყოველგვარი უკეთურობისგან. მეფე ანთებს იქ სანთელსა და კანდელს და ასრულებს, რაც საჭიროა. აზანი მის ყველა მეჩეთში წარმოითქმის აშკარად და ჭემმარიტად. მათ

ვერავინ აყენებს ვნებას. ახლა ერთმანეთშია არეული მუსლიმი და ქურჯი (სიხარულიძე, 1976ბ:35). ჰაუკალის მე-12-საუკუნის ჩანართში ასახული სინამდვილე, მუსლიმთა და გურჯთა მშვიდობიანი თანაცხოვრება, თავისებურად ასახულია ქრისტიანულ წყაროებშიც. მე-12-საუკუნის ცნობილი ქრისტიანი კანონისტი, ბალსამონი შეშფოთებული იყო იმით, რომ ქართველები, მიუხედავად მათი მართლმადიდებლობისა, უნათესავდებოდნენ მუსლიმებს (ვრიონისი, 1971:176). საქართველოში ამგვარი ტოლერანტობის პირობებში, რომლის გარანტიც სწორედ მეფე დემეტრე იყო, ვფიქრობ, კარგად გასაგები ხდება ლანგრის წარწერაზე დატანილი მუსლიმი მმართველის ხოტბა. განცვიფრებაში მოვყავართ ბრწყინვალე მუსლიმი პოეტის, ხაყან შარვანელის ცნობასაც, რომლის თანახმადაც მუსლიმური ჰაჯის შესრულებასა და წმინდა ადგილების მოლოცვაში მას სწორედ დემეტრე დაეხმარა (კვაჭაძე, 2019:29). დემეტრეს მუსლიმ მმართველებთან არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამეცნიერო ურთიერთობებიც აკავშირებდა. აბულ ჰასან ბეიხაკი წერს, რომ მეფე დიმიტრიმ სულთან სანჯარს არაბულ და სირიულ ენებზე შედგენილი რამდენიმე შეკითხვა გაუგზავნა, რომლის პასუხებიც სულთნის ბრძანებით ხსენებულმა ბეიხაკმა შეადგინა (ჯავახიშვილი, 1902:399). მაგრამ ეს ყველაფერი არაა. ჩვენი მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეფე დემეტრე უშუალოდაა დაკავშირებული მინანქრის ქართულ სკოლასთან - ხახულის დიდებული კარედი სწორედ დემეტრემ შეამკობინა მინანქრის ხატებითა და პატიოსანი თვლებით. ვფიქრობ, დემეტრეს ამ ფართო კულტურული და მორალური პერსპექტივის ფარგალში თავსდება ინსბრუკის მომინანქრებული ლანგარიც, რომელზეც მუსლიმი მმართველის ხოტბაა წარწერილი, როგორც ნივთიერი გამოხატულება საქართველოს მეფის მუსლიმური კულტურისადმი პატივისცემისა.

ლანგრის მრავალფეროვანი გამოსახულებები შეუფასებელი ღირებულების წყაროა მე-12-საუკუნის ქართული კულტურის შესასწავლად, რამდენადაც ის მთელი სისრულით გადმოსცემს ეპოქის ლაღ, შეიძლება ითქვას, „ვეფხისტყაოსნის“ სულს. ინსბრუკის ლანგრის კომპოზიციები სწორედ ამ სულისკვეთების, მაჟორული სინამდვილის უკუფენაა: მოჭიდავეები, მოცეკვავე ქალები და კაცები, აკრობატები, მეჩონგურეები თუ ფლეიტაზე დამკვრელები მე-12-საუკუნის საქართველოს მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრების ანარეკლებია, ეს ეგზოტიკური და ფანტასტიკური ცხოველები და ფრინველები ამ ეპოქის ადამიანთა მდიდარ მხატვრულ წარმოსახვასა და წარმოდგენებს გვიშლიან თვალწინ. უეჭველია, რომ ეს ძველი ქართველი ხელოვნებათმცოდნეების შესწავლის საგანი გახდება. ამჯერად კი უცხოელ სპეციალისტთა კვლევებზე დაყრდნობით გვაქვს უფლება განვაცხადოთ, რომ ეს მაღალმხატვრული ნაკეთობა, რომლის

ზედაპირიც მთლიანადაა დაფარული ძვირფასი ქართული მინანქრის კომპოზიციებით, უაღრესად დიდი ღირებულებისაა, ამიტომაც ის მართლაც სამეფო ძღვენია, თანაც ისეთი ძღვევამოსილი და კულტურულად დაწინაურებული სახელმწიფოსი, როგორც მე-12 საუკუნის საქართველოა და ისეთი მაღალ კულტურული მონარქისა, როგორც დემეტრე პირველი იყო.

ცნობილია, რომ ძღვენს დიპლომატიურ ურთიერთობებში განუზომლად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. უცხოელ ხელისუფალთათვის საკადრისი ძღვნის გაგზავნა სახელმწიფოს პრესტიჟის საკითხი იყო და ამ ტრადიციას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა<sup>1</sup>. დავით

1 ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რომის იმპერატორ ადრიანესა (117-138) და ქართლის მეფის ფარსმან ქველის დიპლომატიურ ურთიერთობებში საჩუქრების საკითხს. ადრიანე (117-138) უხვი საჩუქრებით ცდილობდა ფარსმანისაგან მშვიდობის ყიდვას, ძვირფასი საჩუქრების გარდა იბერთა მეფეს მან სპილო და ორმოცდაათ კაციანი რაზმიც გაუგზავნა, რომელიც ავტორები შენიშნავენ, რომ ყველაზე მეტი საჩუქარი ადრიანემ ფარსმანს გაუგზავნა, ამ სინამდვილის ამსახველი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ადრიანეს აურეუსები საქართველოში ორჯერ მეტია მიკვლეული, ვიდრე სხვა რომელიმე იმპერატორისა (დუნდუა, 2017:9). ეს, ალბათ, ადრიანეს უხვი საიმპერატორო ძღვნის ნაწილი იყო. საპასუხოდ ფარსმანმაც გულუხვი ძღვენი გაიღო, მათ შორის მოოქრული წამოსასხამები გამოირჩეოდნენ. ამის თაობაზე წერილობით მითითებას დამაჯერებლობას მატებს სათანადო არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, ბაგინეთის სამეფო სარკოფაგში მიკვლეული ქსოვილის ნაშთები, რომელნიც იბერიის სამეფო სახლის წევრების, სეფეწულების მოსასხამებს განეკუთვნებოდნენ, სწორედ იმ ეპოქით თარიღდებიან, როდესაც ფარსმანმა ადრიანეს მოოქრული წამოსასხამები გაუგზავნა, ბაგინეთის სარკოფაგში ამ ნაფლეთების გარდა მრავლად იყო შემონახული ოქროს კილიტები, მოწკარუნე ფირფიტები და ოქრომკედის ნაწყვეტები (ლომთათიძე, 1977:25), ანუ ის მასალა, რითაც მოოქრული იყო საკვირველი ქსოვილის ეს წამოსასხამები, მაშასადამე, აქ სწორედ იმ ტექნიკით დამზადებულ წამოსასხამებთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორც ფარსმანისაგან ადრიანესთვის გაგზავნილი მოოქრული წამოსასხამების შემთხვევაში იყო. მათი დამზადების საიდუმლო თანამედროვე მკვლევართათვისაც კი ამოუცნობია, აქ ვხედავთ ქსოვილის ისეთ ხარისხს, რომლის მისაღებად თვითბოლო დრომდეც საჭირო იყო თანამედროვე, რთული დაზგების გამოყენება და წლების მანძილზე გამომუშავებული გამოცდილება. ყოველივე ამასთან შეპირისპირებით შემთხვევითი არ ჩანს ის ხაზგასასმელი ფაქტი, რომ ფარსმანი იმპერატორს სწორედ მოოქრულ წამოსასხამებს უგზავნის, არ შეიძლება შეუნიშნავი დაგვრჩეს საგულისხმო შესაბამისობა ერთის მხრივ არქეოლოგიური მონაცემებით გამჟღავნებულ იბერიულ წამოსასხამთა გამორჩეულ ღირსებებსა და მეორეს მხრივ იმ გარემოებას შორის, რომ ის საკადრის საიმპერატორო ძღვნად მიიჩნის. იმპერატორი ფარსმანს განსაკუთრებულ საჩუქარს, სპილოს ჩუქნის, ჩანს, ფარსმანმა საპასუხოდ თვითონაც გამორჩეული ძღვნის შერჩევა სცადა, რამდენადაც მისი და იბერიის პრესტიჟი



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3




სურ. 4. მოცეკვავე ქალი

აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფისათვის აუცილებელ თვისებებს შორის საგანგებოდ ასახელებს „მეძღვნეთათვის ჯეროვან მისაგებელს“ და „მოსაკითხავის შესატყვის მოკითხვას“ (ყაუხჩიშვილი, იქვე, 225). დავითის მაღალი კულტურული ტრადიციები და სტანდარტები

მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით უნდა განსაზღვრულიყო. ბაგინეთის სარკოფაგში მიკვლეული სწორედ ამ ეპოქის მოოქროვილი იბერიული წამოსასხამების თითქმის 1800-წლის ნაფლეთებმაც კი, ძაფის სიწმინდით, ქსოვის სინატიფითა და ფერთა განსაცვიფრებლად გემოვნებიანი შეხამებით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საგონებელში ჩააგდო თვით თანამედროვე სპეციალისტებიც კი, მით უმეტეს საკვირველი უნდა ყოფილიყო იგი იმ შორეულ ეპოქაში, ამიტომაც სავსებით გასაგებია, რომ ეს ჩინებული მოოქროვილი წამოსასხამები ფარსმანმა რომის მედიდური იმპერატორის საკადრის ძღვნად მიიჩნია.




სურ. 5, აკრობატები, „მუშაითნი“



სურ. 6, მცენარეული ხეულებების  
სამყურა ყვავილები



სურ. 7, ხახულის რელიეფი,  
ალექსანდრეს ამალღება



ინსბრუკის ლანგარი, ალექსანდრეს  
ამალღება



სურ. 8, ხახულის ჰორელიეფი, არწივი



სურ. 9, ინსბრუკის ლანგარის  
გამოსახულება, არწივი

გრძელდებოდა მისი ვაჟის, დემეტრეს მიერ, ამიტომ, ვფიქრობ, ინს-ბრუკის ლანგრის გენეზისი ორგანულადაა დაკავშირებული წყაროში ასახულ ამ ტრადიციასთან. შესაძლებელია, საქართველოდან დაუდ ჰისნ ქაიფასთვის მინანქრის დიდებული ლანგრის გაგზავნას წინ უძღოდა თავად დაუდისაგან გაღებული ძვირფასი ძღვენი.

იმის გათვალისწინებით, რომ უცხო სახელმწიფოებში საქართველოდან ძღვნად იმგვარი „საუცხოო“ პროდუქცია იგზავნებოდა, რომლის წარმოების ტექნიკაც ქართულ კულტურაში ყველაზე მაღალ დონეზე იდგა და რომელსაც დიდი ტრადიცია ჰქონდა, იქნებოდა ეს მაღალი ხარისხის ტექსტილის თუ მინანქრის ნაწარმი, ინსბრუკის ლანგარი, რომელიც ტექნიკური, სიუჟეტური და ისტორიული კონტექსტის თვალსაზრისითაც ქართულ სამყაროს უკავშირდება, თავსდება ქართული წყაროებისაგან საგანგებოდ ხაზგასმული „ჯეროვანი მისაგებელისა“ და „შესატყვისი მოსაკითხის“ სამეფო ტრადიციაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

dundua, t. (2017). *publikius agripa, flavius dade da ormagi moqalaqeoba – aris tu ara es momavali evropis modeli?* tbilisi. (დუნდუა, თ. (2017). *პუბლიკიუს აგრიპა, ფლავიუს დადე და ორმაგი მოქალაქეობა - არის თუ არა ეს მომავალი ევროპის მოდელი?* თბილისი).

Vryonis S. (1971). *The Decline of Medieval Hellenism in Asia Minor and the Process of Islamization from the Eleventh Century through the Fifteenth Century*. London.

kvachadze, m. (2019). *khaqhani sharvanelis khotba, midzghvnili qartveli mefisadmi. jemat ajiaSvilis 75 wlistavisadmi mizrvnili samecniero konferencia - kulturata dialogi grzeldeba. programa da tezisebi*. tbilisi. (კვაჭაძე მ. (2019). „ხაყანი შირვანელის ხოტბა – მიძღვნილი ქართველი მეფისადმი“. *ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია - კულტურათა დიალოგი გრძელდება*. პროგრამა და თეზისები. თბილისი).

lomtatidze, g. (1977). *saqartvelos mosakhleobis kultura da qhofa pirvel met-samete saukuneebshi*. tbilisi. (ლომთათიძე, გ. (1977). *საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა პირველ-მეცამეტე საუკუნეებში*. თბილისი).

Mynat. A. (2017). *Cultural and socio-economic relations between the Turkmen states and the Byzantine empire and West with a corpus of the Turkmen coins in the Barber Institute Coin Collection*. University of Birmingham.

Redford, S. (1990). *How Islamic is it? The Innsbruck Plate And Its Setting*. *Muqamas*. 7. London

sikharulidze, e. (1976a). *as\_ samanis cnobebsi saqartvelos shesakheb. saqartvelos istoriis aghmosavluri masalebi*. wigni 1. tbilisi. (სიხარულიძე, ე. (1976ა). *ას\_სამანის ცნობები საქართველოს შესახებ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*. წიგნი 1. თბილისი).

sikharulidze, e. (1976b). ibn haukali tbilisis shesakheb. *saqartvelos istoriis aghmosavluri masalebi*. წიგნი 1. თბილისი. (სიხარულიძე ე. (1976ბ). იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ. *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*. წიგნი 1. თბილისი).

sikharukidze, e. (1985). al fariki saqartveloshi. *semitologiuri dziebani*. თბილისი. (სიხარულიძე, ე. (1985). ალ ფარიკი საქართველოში. *სემიტოლოგიური ძეგანი*. თბილისი).

qaukhchishvili, s. (1942). Kartlis tskhovreba. anaseuli redaktsia. gamosacemad moamzada s. qaukhchishvilma. თბილისი. (ყაუხჩიშვილი, ს. (1942). „ქართლის ცხოვრება“. ანასეული რედაქცია. გამოსაცემად მოამზადა ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი).

cqitishvili, o. (1967). sibt ibn al jauzis cnoba davit aghmasheneblis shesaxeb. *tbilisis saxelmwifo universitetis shromebi. aghmosavletmtsodneobis seria*. № 6. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. (ცეციტიშვილი, ო. (1967). სიბტ იბნ ალ ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია*. № 6. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

tsqitishvili, o. (1975). *zaqaria al kazvinis cnobebi saqartvelosa da kavkasiis shesakheb*. თბილისი. (ცეციტიშვილი, ო. (1975). ზაქარია ალ კავკასიის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბილისი).

javakhishvili, i. (1902). *aghmosavletis khalkhta istoria da saqartvelos da somkhetis istoriis monacemebi*. თბილისი. (ჯავახიშვილი, ი. (1902). *აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები*. თბილისი).

jafaridze, g. (1995). *saqartvelo da makhlobeli aghmosavletis islamuri samqharo*. თბილისი. (ჯაფარიძე, გ. (1995). *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*. თბილისი).

khundadze, t. (2007). aleqsandre didis amaghleba khakhulis eklesiis reliefze. *saqartvelos sizveleni*. № 10. თბილისი. (ხუნდაძე, თ. (2007). ალექსანდრე დიდის ამღლება ხახულის ეკლესიის რელიეფზე. *საქართველოს სიძველენი*. № 10. თბილისი).

Чубинашвили, Г. (1959). *Грузинское чеканное искусство*. Тбилиси.

**Бека Чичинадзе**

ORCID ID: 0000-0002-6952-1969

beqasiao@gmail.com

т. +995 555 57 65 80

## **Инсбрукский поднос – энциклопедия средневековой грузинской культуры**

### **Резюме**

В Инсбруке (Австрия) Фердинандумском музее хранится уникальный образец средневекового искусства - эмалированный поднос. Его высота пять а ширина - двадцать пять сантиметров. Используются пурпурный, жёлтый, зелёной, синий и бирюзовые цвета. В центре подноса изображена знаменитая сцена - возвышение Александра Македонского. Молодой человек держит скрещенные жезлы, вокруг него два павлина. Вокруг данной сцены изображено шесть кругов в нутри подноса и шесть внизу, где изображены павлины и львы. В месте с этим, на подносе встречается и многообразные композиции: Орёл когтями держащий змею, крылатые кони и акробаты; Играющие на струнный инструментах и на флейте, птицы и деревья жизни. После изучения подноса выяснилось что, его скорей всего подарили как дар, одному из Артукидских правителей - Хисн Кайафскому правителю Амуре Дауду ( 1114-1142) Часть исследователей считает данный поднос образцом грузинской школы, множество изображений повторяют грузинские памятники. Мы показали несколько примеров, когда стиль растений и образов повторяет грузинское церковное искусство того времени. Такие изделия в средневековье дорого ценились, именно по этому в Грузии считалось достойным царским подарком. Грузинские летописцы большое внимание обращали на царские дары и способность выбора достойных даров. Именно под эти критерии попадает Инсбрукский поднос, как великолепный пример средневекового искусства на котором встречается множество изображений в духе того времени, которые со сравнением с церковным искусством - не ограничены конфессиональными признаками.



კულტუროლოგია

## SOME ISSUES OF CULTURAL LIFE IN GURIA IN THE XIX CENTURY (ALEGROBA)

კულტურისა და ხელოვნების ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის გურიაში (ალეგრობა)

IRMA GHONGHADZE

PHD student of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

ORCID ID:0000-0002-4225-0601

i.ghonghadze@gmail.com

+995 599 52 75 46

### Abstract

Guria with all its culture, morals and customs and only its characteristic mosaic is an interesting region for everyone. It is said that the character of the nation is expressed in its national dance and song, and Gurian folklore furthermore emphasizes mosaic character of the Gurians. Gurian folklore is distinguished. Gurian “Krimanchuli” is considered to be the peak of Georgian polyphony. Anzor Erkomaishvili compared it to a swallows’ flutter. Gurian “Kanuri” or “Naduri” are also well-known. From the old Gurian dances are known: “Partsakuku”, “Kalmakhoba”, “Leaf dance” and others. “Partsakuku” is a mass dance of war-winning horsemen and is performed with women. It is known the three-storey “Partsakuku” in Guria. Gurians and in particular the intelligentsia of the whole Rioni district to raise the level of education and culture used such means as – sport spectacles, alleys, donations, beauty prize draws. Progressive-minded intelligentsia knew perfectly well how great the role of culture was in educating the society, it is therefore noteworthy that Lanchkhuti has become one of the important hotbeds of theatrical culture.

Guria is an interesting place for everyone with all its culture, morals and only its characteristic color. It is said that the character of the nation is seen in its national dance and song, and Gurian folklore further emphasizes the already colorful nature of the Gurians. Gurian folklore is distinguished. Gurian “Krimanchuli” is considered to be the peak of Georgian polyphony. Anzor Erkomaishvili compared it to the flight of swallows. Gurian “Khanuri” or “Naduri” is also known. From the old Gurian dances it is known: “Partsakuku”, “Kalmakhoba”, “Dancing with leaves” etc. “Partsakuku” is a mass dance of war-winning horsemen and is performed with women. They knew the three-storey “Partsakuku” in Guria.

“Alegroba” is a holiday spread in Guria centuries ago. “Allegro” is an Italian

word and means “fast music”. It is true that the Gurians can not be compared to the Italians in terms of music, but so many Italians visited Guria, suddenly they copied the spectacle from them and one day they organized a Gurian-Italian celebration, which was called “Alegroba” by the guests.

**Key words:** Chant, Gurians, Ozurgeti, Periodical Press.

### ირმა ღონღაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორი

ORCID ID:0000-0002-4225-0601

i.ghonghadze@gmail.com

+995 599 52 75 46

### აბსტრაქტი

გურია მთელი თავისი კულტურით, ზნე-ჩვეულებებითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლორიტით ყველასთვის საინტერესო კუთხეა. ნათქვამია, ერის ხასიათი მის ეროვნულ ცეკვასა და სიმღერაში ჩანსო და გურული ფოლკლორიც კიდევ უფრო უსვამს ხაზს გურულების ისედაც კოლორიტულ ბუნებას. გამორჩეულია გურული ფოლკლორი. გურული „კრიმანჭული“ ქართული პოლიფონიის მწვერვალად ითვლება. ანზორ ერქომაიშვილი მას მერცხლების ფრენას ადარებდა. ასევე ცნობილია გურული „ყანური“ ანუ „ნადური“. ძველი გურული ცეკვებიდან ცნობილია: „ფარცაკუკუ“, „კალმახოზა“, „ფოთლით ცეკვა“ და სხვა. „ფარცაკუკუ“ ომში გამარჯვებული მხედრების მასობრივი ცეკვაა და ქალებთან ერთად სრულდება. გურიაში სამსართულიანი „ფარცაკუკუ“ სცოდნიათ. გურულები და კერძოდ მთელი რაიონის ინტელიგენცია ამ კუთხის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებისთვის იყენებდა ისეთ საშუალებებს, როგორებიც იყო სპორტული სანახაობები, ალეგრები, შემოწირულობები, სილამაზის პრიზის გათამაშებები. მოწინავე ინტელიგენციამ მშვენივრად იცოდა, რამდენად დიდი იყო კულტურის როლი საზოგადოების განათლების საქმეში, ამიტომ აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთი თეატრალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდა.

**საკვანძო სიტყვები:** გალობა, გურულები, ოზურგეთი, პერიოდული პრესა.

### შესავალი

XI საუკუნეში, რუსი ფიკატორული პოლიტიკის პირობებში, კულტურულმა აღორძინებამ ცალკეულ პიროვნებათა, ენთუზიასტ და უანგარო შემოქმედ ადამიანების მხრებზე გადაიარა, გურულების საქმიანობაში

მკვეთრად ჩანდა ქართული, თეატრის, ფოლკლორის და ზოგადად კულტურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. მიუხედავად ცარისტული რეჟიმის მკაცრი კონტროლისა, გურულები ყოველთვის ახერხებდნენ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების საშუალებით წარმოეჩინათ თავიანთი პროტესტი და სათქმელი.

სტატიაში, შევეცადეთ წარმოგვედგინა ცნობები „ალეგრობის“ გამართვის შესახებ, ასევე გაშუქდეს, თუ რატომ იღებდნენ გურულები აქტიურად მონაწილეობას ამ ღონისძიებაში.

ნაშრომი შედგენილია, ძირითადად ქართული და რუსული პრესის მასალებზე და თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო შრომებზე დაყრდნობით.

### **მეთოდი**

სტატიაში შესწავლილი და გაშუქებულია საკითხი: როგორ მიმდინარეობდა XIX საუკუნის 80-იან წლებში კულტურული ცხოვრება გურიაში.

კვლევა ეყრდნობა, პირველადი მასალის შესწავლას, შედარებას, გაანალიზებას და მის მრავალმხრივ წარმოდგენას. მეთოდები. ნაშრომზე მუშაობის დროს, უმეტესად, დავეყრდენით მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში არსებული პერიოდიკის საარქივო მასალას. ეს იმან განაპირობა, რომ აუცილებელი გახდა წერილებით სარგებლობა და შემდეგ გაჩნდა სურვილი, ჯერ მოგვეძია, მერე კი გაგვეერთიანებინა ბევრი საინტერესო მოსაზრება, რომელსაც, ამავე დროს, საკუთარი ნაფიქრი და ნააზრევიც დავურთეთ.

### **შედეგები**

1. სტატიაში წარმოდგენილია ქართული საზოგადოების ამ შემთხვევაში გურულების დამოკიდებულება ქართული კულტურისა და ხელოვნების მიმართ. განსაკუთრებით ფოლკლორისა და „ალეგრობის“ გამართვის მიმართ.

2. კვლევაში ნათლად გამოჩნდა თუ როგორი დევნებოდა არარუსი ხალხის კულტურა. იკრძალებოდა დედაენაზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა და ბავშვების სწავლება. ასეთ პირობებში აუცილებელი გახდა, ისეთი ღონისძიების მოფიქრება („ალეგრობა“), რომელიც ქართული კულტურის წინსვლისა და განმტკიცებას ხელს შეუწყობდა და ხელს შეუშლიდა ცარიზმს თავისი მიზნების გახორციელებაში.

3. ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გურიაში კულტურული ცხოვრების შენარჩუნებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის გურიელებს და განსაკუთრებით მამია გურიელს. საზოგადო მოღვაწეებს, ინტელიგენციისა თუ, ასევე, უბრალო ხალხის დიდი მოქალაქეობრივი შეგნებას და საზოგადოებრივი აზრის

პროგრესულობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხის იდენტობის შენარჩუნებაში.

4. გურულები და კერძოდ მთელი რაიონის ინტელიგენცია ამ კუთხის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებისთვის იყენებდა ისეთ საშუალებებს, როგორებიც იყო სპორტული სანახაობები, ალევრები, შემოწირულობები, სილამაზის პრიზის გათამაშებები. მოწინავე ინტელიგენციამ მშვენივრად იცოდა, რამდენად დიდი იყო კულტურის როლი საზოგადოების განათლების საქმეში, ამიტომ აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთი თეატრალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდა.

### მსჯელობა

გურია მთელი თავისი კულტურით, ზნეჩვეულებებითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლორიტით ყველასთვის საინტერესო კუთხეა. ნათქვამია, ერის ხასიათი მის ეროვნულ ცეკვასა და სიმღერაში ჩანსო და გურული ფოლკლორიც კიდევ უფრო უსვამს ხაზს გურულების ისედაც კოლორიტულ ბუნებას. აქ უამრავი სახალხო და რელიგიური დღესასწაული აღინიშნება: ალევრობა, კალანდა, ფერიცვალება და ა.შ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დიდი ზეიმით აღინიშნება. ამ დღეს სუფრაზე ალაგებენ ხილს, ზოგადად იმ წლის მოსავალს, რომელიც ახლად შესულია სიმწიფეში და სიმბოლურად ბუნების გარდამტეხ დროს აღნიშნავენ. თუმცაღა, დღესასწაულის მთავარი მოვლენა დოღია, რომელიც ბახმაროში ტარდება. ფერიცვალების დღეს დოღზე დასასწრებად ბახმაროს მთელი საქართველოდან სტუმრობენ. გურულები ოდითგანვე უზადლო მხედრები იყვნენ. გურული მხედრული ოსტატობა მსოფლიოში გახდა ცნობილი. მათ არაერთგზის იმოგზაურეს ევროპასა და ამერიკაში. ლანჩხუთში აღდგომის დღესასწაულს ტრადიციულად ლელოს თამაში. მოწინააღმდეგე მხარეები თავისთვის ჩაუთქვამენ რომელიმე გარდაცვლილი ახალგაზრდა ადამიანის ან ფრიად საპატივცემულო პიროვნების საფლავზე ბურთის ატანას, სულთათანას თქმას და შესანდობარის დაღევას. გამარჯვებული გუნდის წარმომადგენლები დამარცხებულთან ერთად მიდიან საფლავზე და იქ შესანდობარი ისმევა.

გამორჩეულია გურული ფოლკლორი. გურული „კრიმანჭული“ ქართული პოლიფონიის მწვერვალად ითვლება. ანზორ ერქომაიშვილი მას მერცხლების ფრენას ადარებდა. ასევე ცნობილია გურული „ყანური“ ანუ „ნადური“. ძველი გურული ცეკვებიდან ცნობილია: „ფარცაკუკუ“, „კალმახობა“, „ფოთლითცეკვა“ დასხვა. „ფარცაკუკუ“ ომში გამარჯვებული მხედრების მასობრივი ცეკვაა და ქალებთან ერთად სრულდება. გურიაში სამსართულიანი „ფარცაკუკუ“ სცოდნიათ (<https://georgiantravelguide.com/ka/guria>, retrieverd in 25.05.2021).

ის, რომ კულტურა და ხელოვნება „შიოდათ“ გურულებს, კარგად ჩანს გაზეთ ივერიის ფურცლებზე მოტანილი წერილიდან: „ჩვენ მაინც

ისეთს უბედურს ვარსკვლავზედა ვართ დაბადებულნი, რომ არა თუ ისეთი საქმე, რომლის შესახებაც ნებართვა და თხოვნა-მუდარაა საჭირო, არამედ ისეთი საქმეც, რომლის მორთვა და მოწყობა საკუთრად ჩვენს ხელშია, გაგვიჭიანურდება და ხშირად ხელიდამაც წაგვივა ხოლმე. ოცი წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც ფილიმონ ქორიძე გულმოდ-გინედ შეუდგა ჩვენის ეროვნულის ხმების შეკრებასა და ნოტებზე გადაღებას. ამ ხნის განმავლობაში ამ უანგარო მუშაკს ბევრი გაჭირვება და განსაცდელი აუტანია, ბევრი შეწუხება და ვაივაგლახი გარდახდია თავს, მაგრამ ვერაფერს ვერ შეუფერხებია, ვერაფერს გაუტეხია. დღესაც თითქმის იმავე გაჭირვებით, ხოლო წინანდელზე უფრო მეტის მუყაითობით და ერთგულობით ეწევა ჭაპანს ამ საქვეყნო საქმისას. ეშურება, ეჩქარება, რაც შეიძლება, ადრე გადილოს ნოტებზე როგორც საღმრთო საგალობლები, ისე საერო სასიმღეროები. ბოლოს დროს ამ საქმეში თითო-ოროლა თანამგრძნობნიც გამოუჩნდნენ და, რითაცკი შეუძლიათ, შველიან. სხვათა შორის განიზრახეს საღმრთო საგალობელის სრულიად და სავსებით გადაღება ნოტებზე. ამ საგალობელის ზედმიწევნით მცოდნე გურიაში ამ ჟამად ერთად-ერთი კაციღა მოიპოვება და ეს ერთი გახლავთ აზ. ანტონ დუმბაძე, რომელსაც თუ გალობის ცოდნაში, თუ ხმის სიმშვენიერეში ტოლი და ბადალი არ მოეპოვება. რომ გასწყრეს ღმერთი და ანტონი ან მოგვიუმლოურდეს. ან ხელიდამ გამოგვეცალოს, მასთან ერთად დაიმარხება ჩვენებური გალობაცა. ამიტომაა, რომ ქორიძე და იმის თანამგრძნობნი ეშურებიან ჩქარა დაითანხმონ ამ კეთილ საქმეზე ბ-ნი დუმბაძე. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საქმე ჭიანურდება და თავს ვერ მოდის. რადგანაც დუმბაძე, მიუხედავად იმისა, რომ გასამრჯელოს აძლევენ, თურმე ვერ დაუთანხმებიათ.

გვიკვირს და საკვირველიცაა ეს ამბავი! ბ-ნი ანტონ დუმბაძე ჩვენში შეგნებულ და მიხვედრილ კაცად არის ცნობილი, შვილები ჰყავს და ყველა ნასწავლი და განათლებულნი არიან. ნუ თუ ასეთ კაცს არ უნდა ესმოდეს მნიშვნელობა საღმრთო საგალობელის ნოტებზე გადაღებისა? რა მადლია, რომ ანტონ დუმბაძის შემდეგ დაიკარგოს ეგ ეროვნულ თავისებურობის ბეჭედი? მერე ვინ არ იცის, რომ აქ მარტო ეროვნული თავისებურობაც არ არის, რადგანაც დედა-ენაზე და ეროვნულ კილოზე გალობას დიდი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მნიშვნელობაცა აქვს. ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდეს ბ-ნმა ანტონ დუმბაძემ და არა გვეგონია, რომ გაგვწიროს მთელი ერი, რომელიც ემუდარება, მამა-პაპათაგან დატოვებული ცოდნა ჩვენც გვინაწილეო, ხოლო ჩვენ სამუდამოდ და საშვილისშვილოდ უზრუნველ ვყოფთ ამ ცოდნასაო. ამითი ბ-ნი ანტონ დუმბაძეს არა თუ არაფერი დააკლდება, პირიქით უკვდავი და საუკუნოდ ნეტარ-ხსენებული იქნება მისი სახელი, რადგანაც: „სჯობს სახელისა მოხვეჭაყოველსა მოსახვეჭელსა“, ხოლო „თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას: ნანერგითა შენით მარგე“ („ივერია“, 1893).

უკვე მეოცე საუკუნის დამდეგს, ზუსტად 1900 წელს, „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს, ერთი ფრიად სასარგებლო საქმე განუზრახავს: გადაუწყვეტია ქ. ოზურგეთში გახსნას ქართული გალობა-სიმღერის შესასწავლებელი კაბინეთი, ისეთი როგორც ტფილისში იყო და სადაც ყველა მსურველები სწავლობდნენ ჩვენებურ გალობა-სიმღერას. ამ აზრის განსახორციელებლად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მოითხოვა დახმარება ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობისაგანაც, რომელ-მაც ამ კაბინეთისათვის შესაფერი ბინა უნდა იშოვოს. ქალაქის მოურავმა ყოველნაირი დახმარება აღუთქვა ყოვლად სამღვდელოს ამ საქმეში. პირველად გალობის მასწავლებლად მოწვეულია ათონში გაზდილი და ტფილისის კაბინეთის დამაარსებელი თ. მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელსაც ყოვლად სამღვდელომ ყოველ ნაირი ხელის გაწყობა დაჰპირდა, თუ კი ის საქმეს ჯეროვანად დააყენებს. იმედია, ცოტა ხნის შემდეგ, უწმ. სინოდის საკმაო დახმარებას აღმოუჩენს ამ სასარგებლო საქმეს. გურიაში მართლა ნამდვილი საჭიროებაა გალობის მასწავლებლის დაარსებისა: აქ შენახულია ყოველ ნაირი ჩვენი ძველი გალობის კილო და ცოცხალია დღესაც ბევრი ჩვენებური ზეპირი გალობის კარგად მცოდნე პირები, რომლების ცოდნით, უეჭველად, უნდა ვისარგებლოთ, თუ გვინდა აღვადგინოთ ჩვენში ძველი გალობა-სიმღერა“ („ცნობის ფურცელი“, 1900).

იმავე წელს, გაზეთის ფურცლებზე ამ ამბის გაგრძელებაც დაიბეჭდა: „15 მარტს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, დაპირებისამებრ, მოზრ-ძანდა ქალაქ ოზურ-გეთში საგალობელი კაბინეთის დასაარსებლად. ამ დროისათვის მოწოდებული იყო ქ. ოზურგეთში მთელი მაზრის სხვა და სხვა სოფლებიდან სამღვდელოება, რომელიც შეიკრიბა საღამოს ქალაქის მოურავის ნიკო თავდგირიძის სახლში, სადაც მოვიდნენ სხვა თანამგრძნობელნიც ამ საქმისა. ყოვლად სამღვდელომ გამოუცხადა ყველა შეკრებილთ თავის სურვილი ქ. ოზურგეთში ჩვენებური საეკლესიო გალობის მასწავლებლის დაარსების და სთხოვა მათ თანამგრძნობა-შემწეობა აღმოეჩინათ ამ ახალი კეთილი დაწყებულებისათვის. შემდეგ ნიკო თავდგირიძემ დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ამ „საგალობელი კაბინეთის“ დაარსებისათვის შემუშავებული წესდება, რომელიც ყველასაგან მოწონებული იქმნა. შემდეგ იქვე მთლად შეკრებილი საზოგადოება ჩაეწერა წევრებად და შეძლებისამებრ ყოველ წლიური შემწეობა აღუთქვეს ამ საქმეს. თვით ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომლის მეოხებით, განსაკუთრებული მეცადინეობით და შემოწირულებით არსდება ეს საქმე, მთელმა კრებამ ერთხმად აირჩია სამუდამო საპატიო წევრად; ამ ჟამად ყოვლად სამღვდელომ ასი მანეთი დაასდვა და აღუთქვა ყოველივე საჭიროების დროს დახმარება ნივთიერადაც, სხვა მრავალნაირ ხელის გაწყობა - თანამგრძნობის

გარდა. აქვე საპატიო წევრად ჩაიწერნენ და ასი მანეთი ნაწილ-ნაწილად აღუთქვენ: ნიკო თავდგირიძემ, ბლალოჩინმა არსენ თოხაძემ, ბლალოჩინმა დიმიტრი ქიქოძემ, მღვდელმა ლუკა ურუშაძემ და საეპარქიო კანცელარიის მდივანმა ჩაჩანიძემ; ყოველწლიური შემწეობა ხუთ-ხუთი მანეთით აღუთქვეს ყველა სოფლის მღვდლებმა და ბევრმა დამსწრემ საზოგადოებისაგან; შემდეგ კრებამ აირჩია გამგეობა ამ საქმის მომწყობ-გამძღოლი: საპატიო თავმჯდომარედ ყოვლად სამღვდლო ალექსანდრე. მის თანაშემწედ - ნიკო თავდგირიძე; წევრებად: ბლალოჩინი არსენ თოხაძე, მღვ. ლუკა ხუნდაძე (ხაზინადრად), მღვდელი გიორგი თოხაძე და მღვდელი დავით დუმბაძე. ამ გვარად დაიწყო ოზურგეთის საგალობელი კაბინეტის საქმე“. (ცნობის ფურცელი, 1900 )

მოგეხსენებათ, აღნიშნული დისერტაცია გურიაში საგანმანათლებლო ვითარებას შეეხება. ერთი შეხედვით, ფოლკლორს, თითქოსდა, პირდაპირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს უშუალოდ განათლებასთან, თუმცა სწორედ რომ ფოლკლორის ცოდნა და მისი გავლენა აყალიბებს ყველა კუთხის ხალხის და მათ შორის გურულების ფსიქოტიპსაც, რაც ჩვენთვის, ვგიჟრობ, საინტერესო უნდა იყოს. გარდა ამისა, სწორედ რომ ხელოვნების მუშაკთა, მომღერალთა, ფოლკლორისტთა მიერ გამართულ ღონისძიებებზე შეგროვილი თანხით იხსნებოდა გურიაში ბიბლიოთეკები და სკოლები, რამაც გადამაწყვეტინა, ორიოდე სიტყვა ქართულ ფოლკლორზეც დამეწერა.

„ალეგრობა“ - ეს არის საუკუნეთა წინ გავრცელებული დღესასწაული გურიაში“. „ალეგრო“ იტალიური სიტყვაა და „ჩქარ მუსიკას“ ნიშნავს. მართალია, გურულები მუსიკალურობით იტალიელებს მაინც ვერ შეედრებიან, მაგრამ გურიაში იმდენი იტალიელი იყო, უცხად გადმოიღეს მათგან სანახაობები და ერთ მშვენიერ დღეს გურული-იტალიური ზეიმიც მოაწყეს, რომელსაც სტუმრების ხათრით „ალეგრობა“ დაარქვეს, ბოლოს კი გააგურულეს კიდევ.

ოზურგეთში აღნიშნებოდა ქალაქის დღესასწაული „ალეგრო“, რომელიც ოქტომბრის ერთ-ერთ დღეს იმართებოდა. ალეგრო იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „მხიარულად“, მისი წარმოშობა გურიაში მოღვაწე იტალიელ მისიონერებს უკავშირდება, „ალეგრობის“ დამკვიდრების ისტორია კი გურიის უკანასკნელი მთავრის - მამია V გურიელის (1789-1826) დროიდან უნდა ვეძიოთ, რომლის სასახლე იმ დროის ევროპული კულტურული სალონი იყო მთელ დასავლეთ საქართველოში.

მამინდელ ოზურგეთში უცხოელების გამოჩენა არავის უკვირდა. ქალაქში იტალიელი მისიონერებიც უნახავთ და გერმანელი მოხეტიალე მსახიობ-კომედიანტადასიც-გურიელმა თავის კარზე რომ დაიტოვა სანახაობათა მოსაწყობად, ამიტომ „ალეგრობა“ - როგორც ზემოთ ვთქვით - იტალიური შინაარსის სიტყვა რომ ეწოდა მხიარულ, მრავალფეროვან და მასობრივ დღესასწაულს, დღევანდელი გადასახედიდან თითქოს არც უნდა გაგვიკვირდეს.

იმ ადრინდელი „ალეგროების“ შესახებ ცნობები კი ძველმა გაზეთმა და თანამედროვეთა მოგონებებმა შემოგვინახეს. სხვადასხვა წლებისა და ეპოქის „ალეგროებს“ ჩაქურტიან-ყაბალახიანი, უღვაშაწკეპილი გურული ვაჟკაცებიც ახსოვთ და „ცარსკებით“ დამშვენებული, „ჩესუნჩისა“ თუ სატინის ბლუზებიანიც; ნაწნავ-თავსაფრიანი უმშვენიერესი ასულებიც და მხიარულ „ბუზიკაზე“ „ფოქსტროტისა“ და „ვალსის“ მოცეკვავე გოგონებიც. ყოფილა დიდი მხიარულება, სეირნობა, ქალ-ვაჟთა „გადა-ნახულება“, მუშაობდა „სიყვარულის ფოსტა“ „ბედისკასრი“, იმართებოდა შეჯიბრი ცეკვებში... უზუცეს ოზურგეთელებს ახსოვთ, დღესასწაულის ყველაზე ლამაზ გოგონას ქადეიშვილის ქალის განთქმულ ტორტს რომ მართმევედნენ პრიზად, თეთრი ვარდებით მორთულ ფაეტონში ჩასვამდნენ და არემარეს ზარზეიმით შემოატარებდნენ. „ალეგრობაზე“ ბევრი ქალ-ვაჟის ბედი გადაწყვეტილა.

„ალეგრო“, როგორც სახალხო სანახაობა, საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა ეწყობოდა ლატარია, რომლიდან შემოსული თანხაც მთლიანად საზოგადოებრივ-საქველმოქმედო დანიშნულებით იხარჯებოდა. (<http://guria.gov.ge/geo/static/239>, retrieverd in 25.05.2021).

ამაზე მეტყველებს 1896 წელს ქაქუთის დაწყებითი სკოლის დამაარსებლის - რაჟდენ კონტრიძის ჟურნალ „კვალისადმი“ მიწერილი წერილი: „მოვაწყეთ ლატარია-ალეგრო“, გაკეთდა შემოწირულობანი, შემოსული თანხა (49 მანეთი და 20 შაური) შეგროვდა სკოლის სასარგებლოდ. განსაკუთრებით განთქმული იყო ბახვის, ლიხაურის, შემოქმედის, კვირიკეთის, ჩოხატაურის „ალეგროები“.

სერგო ჩხაიძის მოგონებიდან: „ჩვენ ქალაქში (ლანჩხუთში) ხშირად იმართებოდა ალეგროები (ზეიმები). იგი იმართებოდა ლევან ჟორდანიას, სარდიონ ებრალიძის, ნადია ურუშაძის, ლუკა ჩხარტიშვილის, მელიტონ ებრა-ლიძის, დავით თევზაძის, კოწია ჟორდანიას, მიშიკო იმნაძის ოჯახებში.“ გაგუა, 1974 : 35

ალეგრობის ორგანიზატორები წინასწარ ჩამოივლიდნენ მოსახლეობაში, თითოეული ოჯახი მოვალედ თვლიდა თავს, საკუთარი წვლილი შეეტანა საქველმოქმედო საქმეში. სწირავდნენ სხვადასხვა სანოვაგეს: ხილს, ქვის კეცზე გამომცხვარ ხაჭაპურს, ქათამს, გოჭს. მთელი ეს სურსათ-სანოვაგე თავს იყრიდა სახელდახელოდ გაკეთებულ ბუფეტში. საგრძნობ შემოსავალს იძლეოდა ლატარეა, ასევე იყო „სიყვარულის ფოსტა“ „ბედისკასრი“ და სხვა გასართობები. შემდეგ იწყებოდასცენის მოყვარულთა წარმოდგენები, ერთმოქმედებიანი ვოდვეილები სკეტჩების, მონოლოგების, კუპლეტების სახით. ასევე იმართებოდა შეჯიბრება ცეკვაში, ბოლოს კი სახალხო სეირნობის გვირგვინი - „ამერიკული ატრაქციონი“. შემოსავალი ხმარდებოდა კულტურულ-საგანმათლებლო დაწესებულებებს. ასევე თამაშდებოდა სილამაზის პრიზები, რომელთა მფლობელები გახდნენ მშვენიერი ლანჩხუთელი ქალბატონები - მარო მათითაიშვილი, ჩიტო



ურუშაძე, ლუბა ჩხარტიშვილი... შემოსავალი ხმარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ალევრობის ეს მშვენიერი ტრადიცია 1941 წლამდე არსებობდა და მეორე მსოფლიო ომმა შეაჩერა.

აქვე უნდა ითქვას გურულების გამორჩეულ დღესასწაულზე, რომელსაც „კალანდა“ ჰქვია. მაშინ როდესაც მსოფლიო ახალ წელს წელიწადში ერთხელ ზეიმობს, მართმადიდებელი ქრისტიანები მას ორჯერ ავლნიშნავენ – ძველი და ახალი სტილით – 1 და 14 იანვარს. 14 იანვრის აღნიშვნა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, განსხვავებული ტრადიციებით, რიტუალითა და სახელწოდებითაც ხდება, რაც საუკუნეების განმავლობაში ტრადიციად იქცა.

გურულები ძველით „ახალ წელს“ „კალანდას“ ეძახიან. „კალანდის“ მთავარი ატრიბუტია ჩიჩილაკი, რომელსაც მსხვილი თხილის ჯოხისაგან ამზადებენ. ჩიჩილაკი წმინდა ბასილის სახელთან არის დაკავშირებული. გურიაში მას "ბასილის ფაფუკ წვერებსაც" ეძახიან.

ძველად, „კალანდას“ ახალ წელიწადს გურიაში მამლის ყივილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგება. მამაკაცები ღორის თავს, ბასილას (საახალწლო კვერი), საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისკენ გაემურებიან. მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმამოუღებლად საახალწლო გობს მიწაზე დადგამს, ჩაფს ღვინით გაავსებს და დაჩოქილი წმინდა ბასილის ოჯახის ბედნიერებას შესთხოვს. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებს და წმ.ბასილას ეხვეწება, რომ ამ კაკლივით მისი ოჯახი ყოველივე სიკეთით აავსოს. თუ გატეხვის შემდეგ კაკალი ცარიელი აღმოჩნდა, რაც მისი რწმენით უბედურების მომასწავებელია, ის ხელმეორედ ეხვეწება წმ. ბასილს, რომ მისი ოჯახი ცარიელ კაკალს არ დაამსგავსოს.

დასასრულს პროცესია სახლისკენ გაემართება და მეკვლეს კარებს სამჯერ დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: „კარი გამიღე!“ სახლიდან სამჯერ უპასუხებენ „რა მოგაქვს?“ ამაზე მეკვლე უპასუხებს მთელი რიგი სანატრელი საგნების ჩამოთვლით. შემდეგ კარებს უღებენ და იწყება საახალწლო მილოცვები. (<http://guria.gov.ge/geo/static/239retrieverd> in 25.05.2021)

## დასკვნა

როგორც ვნახეთ, მოცემული თემის ირგვლივ არსებული მასალის შეძლებისდაგვარად საფუძვლიანად შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, ნათლად დაგვეჩვენა საქართველოს კუთხეში - გურიაში არსებული მდგომარეობა კულტურული ცხოვრების მხრივ XIX საუკუნის ბოლოს.

ვნახეთ, როგორ ებრძოდა მთავრობა საქართველოში ქართულ ენასა და კულტურას, როგორ მიმდინარეობდა რუსიფიკაციის საკითხი და რომ არა ქართველი ხალხის გონიერება და მონდომება, ეს მართლაც გარდაუვალი იქნებოდა.

სწორედ ქართველთა გარუსების მცდელობის გამო იყო სწორედ, რომ მაქსიმალურად იზღუდებოდა სასიკეთო საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობები, ხდებოდა აშკარა დაპირისპირება პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მასწავლებლებთან, რომელთაც მომავალი თაობები უნდა აღეზარდათ. რასაკვირველია, რუსული პოლიტიკა ტარდებოდა ყველგან, თუმცა დაფასდა ის თავდადება და ბრძოლა მშობლიური კულტურისადმი, რომელიც საზოგადო მოღვაწეებმა, პედაგოგებმა და უბრალო ადამიანებმა ერთად გასწიეს. ისინი ერთმანეთის მიყოლებით ხსნიდნენ ეროვნული შინაარსის კულტურის კერებს, ეს ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ გურიაში ხდებოდა, რამაც ამ კუთხის მიმართ ჩვენი ასეთი ინტერესი გამოიწვია.

აქ არა მხოლოდ ინტელიგენცია, არამედ გლეხიც კი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, პროგრესული აზროვნებითა და აქტიურობით გამოირჩეოდა. მართალია, არსებობდა გამონაკლისებიც, მაგრამ მათი რიცხვი აინუნში ჩასაგდებიც არ არის. გურულების დიდი უმრავლესობა დაუღალავად იმალებდა ხმას, რომ კულტურა და განათლება ჰქონოდა თავადაც და, რაც მთავარია, მომავალ თაობას, რომელიც მხოლოდ ასე თუ შეცვლიდა ქვეყანას უკეთესობისაკენ. ამ ყველაფერს აუწონავი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის იდენტურობის შენარჩუნებისა და მომავალი თავისუფლების მოპოვებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

Gagua, v. (1974). *saxalxo ganatleba me-19 saukunis repormisshemdgom saqartveloshi*. tbilisi (გაგუა, ვ. (1974). *სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“).

### პერიოდული პრესა

gazeti „*iveria*“ (1875). N99, tpilisi (გაზეთი „ივერია“. (1893). N99, ტფილისი).

gazeti „*cnobis furcel*“ (1900). N1053, tpilisi (გაზეთი „ცნობის ფურცელი“, N1053, 1900 ტფილისი).

gazeti „*cnobis furceli*“ (1900). N1084, tpilisi (გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №1084, 1900 ტფილისი).

### ინტერნეტრესურსები

<http://guria.gov.ge/geo/static/239>

<http://guria.gov.ge/geo/static/239>

<https://georgiantravelguide.com/ka/guria>

Ирма Гонгадзе

## Некоторые вопросы культуры и искусства в Гурии XIX века (Алегроба)

### Резюме

Гурия со всей своей культурой, нравами, обычаями и колоритом, характерным только для него - самое интересное место для всех. Сказано, что характер нации проявляется в ее национальных танцах и песнях, а гурийский фольклор еще больше подчеркивает и без того колоритный характер гурийцев. Выделяется гурийский фольклор. Гурийское «Криманчули» считается вершиной грузинской полифонии. Анзор Эркомаишвили сравнивал его с полетом ласточек. Известны также гурийские «Канури» или «Надури». Из старинных гурийских танцев известны: «Парцакуку», «Калмахоба», «Танец с листьями» и др. «Парцакуку» - массовый танец всадников-победителей в войне и исполняется вместе с женщинами. В Гурии знали трехэтажный «Парцакуку». Гурийцы и в частности интеллигенция всего района для поднятия уровня образования и культуры в этом регионе использовали такие средства, как спортивные зрелища, латарей, пожертвования, розыгрыши призов красоты. Передовая интеллигенция прекрасно осознавала огромную роль культуры в образовании общества, поэтому примечательно, что Ланчхути стал одним из важных центров театральной культуры.

ქართველოლოგია უცხოეთში

## გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი - 80

როინ მეტრეველი

ავთანდილ არაბული

გამოჩენილ გერმანელ ქართველოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრს, პროფ. ჰაინც ფენრიხს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

მართლაც გამორჩეულია ის ღვაწლი, რაც ბატონ ჰაინცს ქართული მწიგნობრული კულტურის, ქართული და ქართველური ენების კვლევისა და ფართო პოპულარიზაციის საქმეში მიუძღვის, მასშტაბურია ის შედეგები, რაც მისმა მრავალმხრივმა ნაყოფიერმა სამეცნიერო ძიებებმა მოიტანა, დამსახურებულია ის აღიარება და სიყვარული, რაც მას ქართველი საზოგადოებისაგან ერგო წილად.

ჰაინც ფენრიხი - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორი, ამ უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 1996 წელს აირჩია თავის უცხოელ წევრად. მაშინ ბატონი ჰაინცი 55 წლის გახლდათ და უკვე ესოდენ თვალსაჩინო იყო მისი წვლილი ქართველოლოგიის წინაშე. მას შემდეგ კიდევ მეოთხედი საუკუნე გასულა მეცნიერის ნაყოფიერი, მუხლჩაუხრელი შრომისა და მისი სამეცნიერო მონაგარიც ორმაგად გაზრდილა.

სწორედ ნაყოფიერება და მრავალმხრივობა იქცევს გერმანელი მეცნიერის ნაღვაწის გაცნობისას უპირველეს ყურადღებას. მისი ქართველოლოგიური ნაშრომების საერთო რაოდენობა 200 ერთეულს აღემატება, ხოლო მათგან 35-ზე მეტი ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი. მაგრამ წიგნიცაა და წიგნიც: მისი ნაშრომები - ეს არის ფუნდამენტური ტომები, რომლებიც გამოცემისთანავე იქცევა ხოლმე ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნების განუყოფელ ნაწილად.

ჰაინც ფენრიხმა 1960 წელს ჩააბარა იენის უნივერსიტეტის არქეოლოგიის სპეციალობაზე. მამიებელი სტუდენტის ინტერესი მალევე გადაიხარა ქართველოლოგიის შესწავლისაკენ, იგი გადავიდა აღნიშნული უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილებაზე და ცნობილი ქართველოლოგის, პროფესორ გერტრუდ პეჩის ხელმძღვანელობით შეუდგა ქართულ-ქართველურ ენობრივი სამყაროს შესწავლას. გამოცდილი მასწავლებლის სამეცნიერო კავშირებმა განაპირობა ის, რომ ჰაინცი 1966 წელს თბილისში ჩამოვიდა და უშუალოდ დიდი ქართველი ენათმეცნიერის, აკად. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით დაიწყო

ქართულ ენის შესწავლა და ქართველოლოგიის საფუძვლების დაუფლება. აქ გაიცნო და დაუმეგობრდა იგი იმდროინდელ გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს - თამაზ გამყრელიძეს, გივი მაჭავარიანს, ტოგო გუდავას, გურამ რამიშვილის, გივი ნებიერიძეს..., ვისთან ურთიერთობაც ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა მომავალი ქართველოლოგის დაოსტატებისათვის, მისი დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულების განსაზღვრისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ჰაინც ფენრიხმა სწორედ თბილისში მოღვაწეობის შედეგად მოამზადა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მისი ოპონენტები გახლდნენ აკაკი შენიძე, შოთა ძიძიგური და ტოგო გუდავა. ეს იყო 1971 წელს, ანუ მაშინ ბატონი ჰაინცი 30 წლის ახალგაზრდა მეცნიერი იყო.

ეს ფაქტი თავისთავად იყო უნიკალური მოვლენა, რადგან საბჭოთა სისტემაში უცხოელი მეცნიერის მიერ დისერტაციის დაცვა გამონაკლისს წარმოადგენდა და მას მართლაც დასჭირდა მოსკოვის დასტური. მეორე წინააღმდეგობაც იყო: საბჭოურ საკვალიფიკაციო სისტემაში პირდაპირ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დაცვა არ შეიძლებოდა. აქ გასათვალისწინებელია, რომ მანამდე, 1969 წელს, ჰაინცმა იენაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართულიდან გერმანულად მანქანური თარგმანის ენათმეცნიერული პრობლემები“ (ამ საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა, თავის მხრივ, ადასტურებს დამწყები ქართველოლოგის სამეცნიერო თვალსაწიერის განსაკუთრებულ სიფართოვეს) და, როგორც ჩანს, ეს დაცვა იქნა ჩათვლილი პირველ საკვალიფიკაციო საფეხურად თბილისური დაცვისათვის.

ამგვარად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვაზე საპაექროდ იყო წარმოდგენილი მისი თეორიულად და მასალობრივად ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი - „ენათა გენეტიური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძემდის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც თსუ გამომცემლობამ 1978 წელს გამოსცა როგორც მეცნიერის პირველი მონოგრაფია. ამ ნაშრომში ავტორი აყალიბებს საკუთარ თვალსაზრისებს კომპარატივისტიკის არსებითად ყველა ძირითად საკითხზე: ბგერათმშესატყვისობების კანონები, ენათა დიფერენციაციისა და ფუძემდის პრობლემა, გლოტოქრონოლოგიური მეთოდის შესაძლებლობები, შედარებითი, ტიპოლოგიური და არეალური კვლევის ურთიერთმიმართება და სხვ. რაც მთავარია, ამ ნაშრომში ჩამოყალიბებულია ქართველურ ძირეულ მორფემათა ძირითადი მოდელები და პირველადი ძირების მნიშვნელოვანი რეესტრი. სწორედ ამ მონაცემებმა დაუდო სათავე მეცნიერის მიერ ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის იმ მიმართულებას, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბატონი ჰაინცის სამეცნიერო მოღვაწეობაში და მოგვიანებით ფრიად საფუძვლიანი შედეგებიც მოგვცა.

ჰაინც ფენრიხმა ქართულისა და ქართველური ენების შესწავლის განსაკუთრებული ინტერესი და უნარი გამოავლინა. იშვიათად ყოფილა ქართველოლოგიის ისტორიაში უცხოელი სპეციალისტი, ვინც ესოდენ ღრმად გაეცნო ქართულ ლიტერატურას, ვინც ასე საფუძვლიანად, ფაქტობრივ სამეტყველო ნიუანსების დონეზე დაეუფლა სალაპარაკო ქართულ ენას; ასევე ღრმად შეისწავლა ძველი ქართული, ისე, რომ ხელნაწერი მემკვიდრეობის დონეზე შეძლო ქართული წერილობითი წყაროებით სარგებლობა.

მისი ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო ინტერესი - ქართველური ენების შედარებითი კვლევის - ამოცანები მოითხოვდა მეცნიერისაგან ცალკეული ქართველური ენების ღრმად გაცნობას და იგი ფაქტობრივ თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა სვანურის შესწავლას. 1967 წლის შემდეგ იგი უშუალოდ სვანეთში, სოფელ-სოფელ იწყებს სვანურ სამეტყველო ნაირსახეობებზე დაკვირვებასა და მასალის შეკრებას. 2016 წელს პროფ. იზა ჩანტლადისადმი გაგზავნილ წერილში მეცნიერი ჩამოთვლის სვანეთის იმ უამრავი ადგილის სახელს, რომლებიც მას ფეხით მოუვლია თუ თავის „მოგზაურობის“ წიგნში მოუხსენებია: ლენტეხი, ბაბილი, ბავარი, ბულეში, ხელედი, ხერია, ხიდრულა, ჯახუნდერი, გვიმბრალა, ლაგვირკა, ლასკადურა, ყვედრეში, საყდარი, სასაში, ჩიხარეში, ფაყი, ყარიში, იფხი, იფრარი და სხვა მრავალი.

განსაკუთრებით ქართველურ ენათა ლექსიკის გამოვლენა-შესწავლა იყო ამექსპედიციებისათუნიარგვარი წყაროების შესწავლისას გერმანელი მეცნიერის გაუნელელებელი ინტერესის საგანი. ერთი მხრივ, ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევებისათვის აინტერესებდა მას ეს მასალა, მეორე მხრივ - როგორც ლექსიკის აღწერითი მხარე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ პროფ. იზა ჩანტლადესთან თანამშრომლობით ჰაინც ფენრიხმა მოამზადა სვანურ-გერმანული ლექსიკონი, ხოლო პროფ. ოთარ ქაჯაიასთან ერთად - მეგრულ-გერმანული ლექსიკონი.

სვანურით დაინტერესების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ისიც, რომ ჰაინც ფენრიხი თანმიმდევრულად თარგმნიდა და გერმანულად გამოსცემდა სვანურ თქმულებებს (1984 წ.), სვანურ ზღაპრებს - შეკრებილს უჩა ცინდელიანის მიერ (1992 წ.). ასეთივე შრომა გასწია მან მეგრულ-ლაზური ფოლკლორის თარგმნა-გამოცემისათვის: ლაზური ზღაპრები და თქმულებები (აახენი, 1995), მეგრული ზღაპრები (იენა, 1997). სვანურ-ზანური ენობრივი მონაცემების ზედმიწევნითი ცოდნა საშუალებას აძლევდა მეცნიერს ეკვლია ამ ენების აგებულების საკვანძო საკითხები (მაგ., პირის გამოხატვა, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია და სხვ.), ქართველური კომპარატივისტიკის კუთხით სრულიად ორიგინალურად დაესვა რეკონსტრუქციის საკითხები (მაგ., განმტკიცებული თვალსაზრისის საპირისპიროდ ეთქვა, რომ სახლ-ფუძე კი არ არის შესატყვისი მეგრ. ოხორ-ი სიტყვისა, არამედ ძვ. ქართ.

ხორ-ი „ბოსელი“, რომლის ძირეული ამსახველია, თავის მხრივ, სვანური ნა-მ-ხორ „ნანგრევები“ და სხვ.

სვანური და ზანური ზღაპრებისა და თქმულებების დასახელება საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ ჰაინც ფენრიხის დიდი დაინტერესება, საზოგადოდ, ქართული ფოლკლორითა და მითოლოგიით, ქართული სიტყვიერების მნიშვნელოვანი ნიმუშებით, რაც თავის გამოხატულებას პოვებდა ცალკეულ თარგმანებსა თუ სალიტერატურო მიმოხილვებში. ამისი შესანიშნავი მაგალითია ისეთი სოლიდური გამოცემები, როგორებიცაა: Hinter neun Bergen: Märchen der Kartwelier, Greiz/Thür.: König 2011, 666 გვ.; Königin des Waldes. Sagen und Mythen aus Georgien, Greiz/Thür.: König 2012, 655 გვ., ასევე: „ამირანის ეპოსი“ (ვაიმარი, 1978), „ქართული ზღაპრები“ (ლაიფციგი, 1980), „ქართული თქმულებები“ (ვაიმარი, 1984), „ქართული ანდაზები“ (აახენი, 1994); „ქართული მითოლოგიის ლექსიკონი“, გამოცემული ვისბადენში 1999 წელს (359 გვერდის მოცულობით)...

ჰაინც ფენრიხის ფართო სამეცნიერო ინტერესებში წამყვანი ადგილი მაინც ქართველურ ენათა მონაცემების ისტორიულ-შედარებით კვლევებს ეკუთვნის. ეს არის სამეცნიერო ძიებათა სფერო, რომლის მიმართაც მეცნიერის ყურადღება არასოდეს შენელებულა - დაწყებული პირველი საკვალიფიკაციო ნაშრომით და დამთავრებული უკანასკნელი წლების გამოცემებით. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით შინაარსიანი და ნაყოფიერი გამოდგა გერმანელი მეცნიერის ნაცნობობა და თანამშრომლობა ფაქტობრივ თანატოლ ქართველ კოლეგასთან - პროფ. ზურაბ სარჯველაძესთან. მათმა სამეცნიერო პარტნიორობამ შედეგად მოგვცა ისეთი ფუნდამენტური ნაშრომი, როგორიცაა „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც პირველად 1990 წელს გამოიცა თბილისში. მისი გერმანული ვერსია 1995 წელს ქალაქ ლაიდენში დაიბეჭდა (მეორე გამოცემა კი - 2007 წელს). შემდგომ ამ ლექსიკონის საკმაოდ განახლებული რედაქცია 2000 წელს კვლავ თბილისში გამოიცა. ბატონ ჰაინცს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ამ ლექსიკონზე მუშაობა და ის გერმანულად ბოლოხანს მნიშვნელოვნად განახლებული და გავრცობილი სახით დაიბეჭდა. ქართველური ენების ისტორიულ-შედარებით შესწავლაში საუთარი ზოგადი შეხედულებების წარმოსაჩენად ჰაინც ფენრიხმა 1998 წელს იენაში დაბეჭდა ნაშრომი „მოსაზრებანი ქართველური რეკონსტრუქციების შესახებ“ და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ინტერესებმა ჰაინც ფენრიხის კვლევის არეალში ასევე მოაქცია მთის კავკასიურ ენათა მონაცემები და ამ მიმართულებით რამდენიმე საინტერესო დაკვირვება გამოაქვეყნა; მაგალითად: „ორი მსგავსი სიტყვა ქართველურსა და დაღესტნურ ენებში“, გამოქვეყნებული გივი მაჭავარიანისადმი მიძღვნილ კრებულში 1979 წელს (რომელიც

„ციცინათელა“ და „წიწილა“ სიტყვების შედარებას ეხება); „იბერიულ-კავკასიური და დრავიდული ენები“, ვრცელი გამოკვლევა, გამოქვეყნებული „მომოხილველში“ (6-9, 1972), რომელიც სემანტიკურ ბუდეებად წარმოდგენილი დიდი მოცულობის მრავალენივან შეპირისპირებას გვთავაზობს.

ზურაბ სარჯველაძესთან თანამშრომლობით მომზადდა ასევე ევროპული ქართველოლოგიისათვის მნიშვნელოვანი სამაგიდო წიგნი - „ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი“, რომელიც გერმანულად ჯერ 1999 წელს დაიბეჭდა ჰამბურგში, 313 გვერდის მოცულობით, საბოლოოდ კი 2005 წელს გამოიცა და უკვე 1632 გვერდს შეიცავს (20 000-ზე მეტი სალექსიკონო ერთეული).

ჰაინც ფენრიხს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული მწიგნობრული ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევაში. ჯერ კიდევ 1986 წელს გამოვიდა ლაიფციგში ქართულის ძირითადი გრამატიკული მიმოხილვა: *Kurze Grammatik der georgischen Sprache*, რომელიც კიდევ ორჯერ გამოიცა - 1987 და 1993 წლებში. 1987 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ დაბეჭდა ე. ბაბუნაშვილსა და ნ. ნადარეიშვილთან თანამშრომლობით შექმნილი სახელმძღვანელო წიგნი „ქართულ-რუსულ-გერმანული სასაუბრო“ (224 გვ.).

აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ გამოცემის შემდეგ ჰაინც ფენრიხი ინტენსიურად მუშაობდა ამ სახელმძღვანელოს გერმანულ თარგმანზე. მოწაფისა და უმცროსი კოლეგის მხურვალე მიწერ-მოწერა დიდ მასწავლებელთან ასახავს მის ღრმა დაინტერესებას ძველი ქართულის გრამატიკული აგებულებით. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბატონმა ჰაინცმა ჯერ ა. შანიძის მითითებული სახელმძღვანელოს თარგმანი გამოსცა, შემდეგ კი თავად მიუბრუნდა ძველი ქართულის ენობრივ თავისებურებებს და 1994 წელს ჰამბურგში დაბეჭდა შესაბამისი ვრცელი სისტემური აღწერა: *Grammatik der altgeorgischen Sprache*.

დაბოლოს, ჰაინც ფენრიხმა ნ. ოდიშელიძესა და ნ. რაინეკთან თანაავტორობით შექმნა ქართული ზმნის სისტემური ანალიზის შთამბეჭდავი მოცულობის ნაშრომი: *Georgische Verben. 3 Bde (gemeinsam...)*. Aachen: Shaker 2014, 2600 გვ. დიდი გერმანელი ქართველოლოგის, გერჰარდ დეეტერსის სოლიდური მონოგრაფიის შემდეგ (*Das kharthwelische Verbum*, ლაიფციგი, 1930) ეს მართლაც საგანგებო მოვლენაა.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზევე გამოავლინა ჰაინც ფენრიხმა განსაკუთრებული დაინტერესება ქართული ლიტერატურის ისტორიით, ცალკეული მწერლებითა და ნაწარმოებებით (მათ შორის - ისტორიული რომანებით). ჯერ კიდევ 1981 წელს მან გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის საკმაოდ ფართო მიმოხილვა (*Die Georgische Literatur*, თბილისი). უპირველესად ყურადღებას იქცევს ამ წიგნის ორიგინალური სტრუქტურა: ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვას



ავტორი ჯერ ქართული ენის ზოგად დახასიათებას წაუშეშვარებს, შემდეგ - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ სურათს, შემდეგ კი გვამცნობს, რომ წიგნში 6 პერიოდად იქნება წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის განვითარება: დამწერლობამდელი ეპოქა, ადრეფეოდალური ლიტერატურა (მე-5-მე-11 სს), განვითარებული ფეოდალიზმის ლიტერატურა (მე-11-მე-13 სს), გვიანფეოდალური ლიტერატურა (მე-16-მე-19 საუკუნის შუაწლებამდე), ახალი დროის ლიტერატურა (მე-19ს-ისმეორენახევარი-მე-20ს-ისპირველიმეოთხედი) და თანამედროვე ლიტერატურა. ამას მოსდევს განმაზოგადებელი თავი: „ქართული ლიტერატურის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში“ და ერთვის საცნობარო მონაკვეთები: ქართული ლიტერატურის გერმანული თარგმანების ჩამონათვალი, გერმანული შრომები ქართული ლიტერატურის შესახებ და, ბოლოს, ფრიად შთამბეჭდავი სია იმ ქართველი მწერლებისა, რომლებიც ამ ვრცელ ლიტერატურულ ექსკურსში მოხვდნენ. უკვე ეს ინფორმაციაც მეტყველებს, თუ რაოდენ საინტერესოდ აქვს ავტორს წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის ისტორია. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომის გადამუშავებული გამოცემა 1993 წელს განხორციელდა გერმანიაში, აახენში.

იმავე წელს და იმავე გამომცემლობამ გამოსცა ბატონი ჰაინცი კიდევ ერთი ვრცელი საცნობარო ნაშრომი ქართული ლიტერატურის შესახებ - „Georgische Schriftsteller“ (306 გვ.). ავტორი ჩვეული შრომისმოყვარეობით ქმნის ფრიად მოცულობით ნუსხას მეტ-ნაკლებად ცნობილი ქართველი მწერლებისას, საჭირო ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი ინფორმაციით, რაც, ცხადია, ქართული მწერლობის ფართო პოპულარიზაციის ამოცანას ემსახურებს.

გამოჩენილ გერმანელ მეცნიერს არც საქართველოს ისტორია დაუტოვებია ყურადღების გარეშე. მან საქართველოს ისტორიის მონდობამდელი პერიოდის ვრცელი მიმოხილვა წარმოდგინა წიგნში „Geschichte Georgiens, Von den Anfängen bis zur Mongolenherrschaft“ (200 გვ.), რომელიც 1993 წელს გამოიცა აახენში. ამ წიგნის უმთავრესი დანიშნულება, ცხადია, საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარობის გაზრდაა.

სრულიად განსაკუთრებულია ჰაინც ფენრიხის წვლილი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების გერმანულად თარგმნის საქმეში. ფოლკლორულ-მითოლოგიური ტექსტების თარგმანები უკვე ვახსენეთ. უმნიშვნელოვანესია მის მიერ თარგმნილი ძველი ქართული საისტორიო და მხატვრული ტექსტები: გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (იენა, 2000), გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (იენა, 2001), „თამარ მეფის ცხოვრება“ (იენა, 1998 და აახენი, 2004), „ამრანდარეჯანიანი“ (იენა, 1999). ახლა - აღორძინების შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურა. მხოლოდ მოცულობით

ეს თარგმანები ათასობით გვერდს შეადგენს და წარმოგვიდგენს სულ სხვადასხვა ავტორთა პროზასა თუ პოეზიას. 1973 ბერლინში გამოვიდა მის მიერ თარგმნილი სულხა-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. 1975 წელს დაიბეჭდა გრ. აბაშიძის ისტორიული რომანის „ლაშარელას“, ხოლო 1978 წელს - „დიდი ღამის“ თარგმანები. 2000 წელს იენაში გამოვიდა თანამედროვე ქართველი მწერლების ჰაინცისეული რჩეული თარგმანების კრებული - „Zwischen Felsen und Geschichten, Erzählungen aus Georgien“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი ჰაინცის საქართველოს შესახებ მოგონებათა და შთაბეჭდილებათა წიგნი „An der silbernen Stirn der Erde – Reisen in Georgien“ (ახენი, 1993 წელი, 282 გვ.). ეს წიგნი დაწერილია ჩვენი ქვეყნის დიდი სიყვარულისა და გულშემატკივრობის გრძნობით, გარდასული ისტორიისა და კულტურის სათანადო დაფასებითა და თანამედროვე ყოფითი რეალობის თანაგანცდით, ქართველ კოლეგებსა და მეგობრებთან გულითადი ურთიერთობების დიდი სითბოთი...

უაღრესად დატვირთულ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ჰაინც ფენრიხმა ასევე შინაარსიანი და მრავალმხრივი სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა გასწია ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის წარმატებისათვის. დიდად ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა როგორც იენის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელისა; მისი წინამძღოლობით აქ მაღალ დონეზე წარიმართებოდა ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური კვლევები, იზრდებოდნენ ქართველოლოგთა ახალი თაობები, რომელთაც ხელმძღვანელი უშუალოდ გადასცემდა ქართული ენის ცოდნასა და სიყვარულს. პროფესორ ჰაინცის ხელმძღვანელობით იენაში 1973-1988 წლებში გამოვიდა რვა სამეცნიერო კრებული, რომელშიც ქართველ და გერმანელ მეცნიერთა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაიბეჭდა ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობისა თუ ისტორიოგრაფიის სფეროში. 1997 წელს ასევე ბატონმა ჰაინცმა შექმნა იენის უნივერსიტეტის გამომცემლობაში სამეცნიერო სერია (Kaukasien Reihe), რომლის რამდენიმე მნიშვნელოვანი ტომი გამოვიდა. დღეს ყველასთვის ნაცნობია ქართველოლოგიის ძვირფასი მემკვიდრეობა - გერმანულ-ქართული (იენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების) ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალი „გეორგია“, მაგრამ ბევრს შეიძლება აღარც ახსოვს, რომ მისი არსებობის სათავეებთან სწორედ ჰაინც ფენრიხი დგას. 1978 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ამ ჟურნალს და სწორედ მისი სამაგალითო მონდომებით გახდა ის მაღალი სანდოობის რეგულარული გამოცემა, რომელმაც მალე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, მისი შრომისმოყვარეობითა და მონდომებით გაიკაფა გზა ამ გამოცემის მემკვიდრეობით არაერთი ქართულველის მეცნიერულმა აზრმა ევროპელი მკითხველისაკენ.

ჰაინც ფენრიხმა მართლაც გამორჩეულად შინაარსიანი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო, მან ცოდნისა და მეცნიერების უხვი სიკეთე დათესა და იმ ხალხის საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურა, ვისი ენისა და კულტურის სამსახურსაც უძღვნა მთელი შეგნებული ცხოვრება. სასიხარულოა, რომ გამოჩენილი ქართველოლოგი თავისი დაბადების 80 წლის იუბილეს კვლავაც მხნედ და შემართებით ხვდება. საყურადღებოა, რომ გამოჩენილი მეცნიერი საკუთარ საიუბილეო თარიღს ახალი მონოგრაფიით შეხვდა - მისი ახალი საჩუქარი ქართველოლოგიური საზოგადოებისათვის გახლავთ ისტორიოგრაფიული წიგნი ქართველ ფარნავაზიანთა დინასტიის შესახებ, რომელიც საქართველოს ისტორიის ვრცელ მონაკვეთს - თორმეტ საუკუნეს მოიცავს და ამ დინასტიის ოთხ ათეულზე მეტ წარმომადგენელს მოითვლის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თითოეული წევრის, მთელი ქართველოლოგიური საზოგადოების სახელით ვულოცავთ მას ამ იუბილეს და მივმართავთ სიტყვებით, რომელსაც აკად. აკაკი შანიძე მოწაფისათვის გაგზავნილ პირად წერილებში იყენებდა: „ჩვენო ძვირფასო ჰაინც... გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კვლევა-ძიების ცეცხლის დაუშრეტელობას!“

## მილოცვა



გამოჩენილ ფრანგ ქართველოლოგს ბერნარ უტიეს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. თვალსაჩინოა მისი წვლილი საზღვარგარეთული ქართველოლოგიის წარმატებაში. მეცნიერი ხუთი ათეული წელია გულმოდგინედ იკვლევს ძველ ქართულ ფილოლოგიის საკითხებს, ბიზანტიურ-ქართულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-არაბულ, ქართულ-სირიულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებს. პარიზის ეროვნულ მუზეუმში ბერნარ უტიემ მიაკვლია და გამოსცა VII საუკუნის

ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტები. მანვე გამოაქვეყნა არაერთი ძველი ქართული ტექსტი, აგრეთვე, მნიშვნელოვანი გამოკვლევები და რეცენზიები საქართველოში გამოცემული წიგნების შესახებ. ის 200-მდე წიგნისა და სტატიის ავტორია. ღვაწლმოსილი მკვევარი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ერთხმად აირჩია თავის უცხოელ წევრად. ის საფრანგეთის სამეცნიერო გამოკვლევების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელია. ჟურნალ „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრია.

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტმა ბერნარ უტიე დააჯილდოვა ოქროს საწმისის ორდენით ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევაში, ასევე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. გულითადად ვულოცავთ თვალსაჩინო ქართველოლოგსა და ჩვენი ქვეყნის ერთგულ მეგობარს სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ ბედნიერებასა და შემოქმედებით გამარჯვებებს.

## გახსენება



გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ვალერიან გაბაშვილის** (1911-1985) დაბადებიდან 110 წელი შესრულდა.

ვალერიან გაბაშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე (1950-1973), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი (1957-1960), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი. იკვლევდა აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისს, ქართული და აღმოსავლეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის პრობლემებს; აგრეთვე, ქართული სამართლის, დიპლომატიკის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს. ავტორია რომანისა „აივნიანი ქალაქი“.

\* \* \*



110 წელი გავიდა ქართული ფილოსოფიური სკოლის თვალაჩინო წარმომადგენლის, აკადემიკოს **შალვა ხიდაშელის** (1911-1994) დაბადებიდან. იგი წარმატებით იკვლევდა IV-XIX საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ისტორიას, ქართული რენესანსის პრობლემას, რუსთველოლოგიის საკითხებს. განსაკუთრებულია მისი კვლევის შედეგები შუა საუკუნეების ქართული კულტურის აქსიოლოგიის (ღირებულების თეორიის) სფეროში. ქართული ფილოსოფიის ისტორიაში მისი მრავალმხრივი კვლევა-

მიების შეჯამება იყო 1988 წელს გამოქვეყნებული წიგნი "ქართული ფილოსოფიის ისტორია", სადაც შესულია მისი კვლევა-მიების შედეგები ქართული ფილოსოფიის, ისტორიის, ქართული რენესანსის და რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ. მისი შრომები გამოქვეყნებულია რუსულ და გერმანულ ენებზეც.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო რუსთაველის ეპოქის მუზეუმში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილი; 1946 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში; 1967 წლიდან სათავეში ედგა ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას. 1990-იან წლებში იგი აქტიურად იღვწოდა პუბლიცისტიკის სფეროში, კერძოდ, მისი სტატიები მიძღვნილი იყო ეროვნული პრობლემების, ზნეობისა და პოლიტიკის საკითხებისადმი.

\* \* \*



გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს **ნანა ხაჩარაძის** (1931-2019) დაბადებიდან 90 წელი შესრულდა. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებს წარმოადგენდა: ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და სამხრეთ ევროპის ეთნოკულტურული და პოლიტიკური ისტორია, თანამედროვე ისტორიის კონფლიქტოლოგიური ასპექტები. საქართველოში პირველად შეისწავლა ლუვიური ენა. მის ნაშრომებში განხილულია ფრიგიასთან დაკავშირებული საკითხები, უძველესი ქართველური ტომების, მოსხების და მესხების ისტორია, „მოსხიკეს“ და „მოსხური მთების“ ლოკალიზაცია, ტიბარენებისა და მათიენების ისტორია, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, ძველადმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო, წმინდა ხის კულტი საქართველოში, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები, გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროები, ბიბლია და ქართველი ხალხის განსახლების ისტორია, თაბალის ისტორია და სხვა საკითხები. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც დააარსა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის მიმართულება. მიღებული ჰქონდა სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია (1985), ღირსების ორდენი (1996), ექვთიმე თაყაიშვილის და გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემიები (2010), საქართველოს სახელმწიფო პრემია (2010). გამოქვეყნებული აქვს 214 სამეცნიერო ნაშრომი (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე), მათ შორის 12 წიგნი, აქედან 3 - სახელმძღვანელო.

\* \* \*



ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **დავით ჩხიკვიშვილის** (1921-1987) დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს შეადგენდა კულტუროლოგიის აქტუალური პრობლემები, რომელსაც ასამდენა შრომი მიუძღვნა, მათ შორის, ხუთი მონოგრაფიაა. ის, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორი, სათავეში ედგა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის გამოცემის საქმეს როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორი. დ. ჩხიკვიშვილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს კულტურის მინისტრი (1957-1961), ა. კუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი (1961-1969); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (1972-1980); საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი (1981-1987).

## ქრონიკა და ინფორმაცია

### ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ხუთწლიან სამეცნიერო-კვლევით პროექტზე - „საქართველოს საზღვრები“ (ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი გიორგი ჭიიშვილი), რომელიც დაფინანსდა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში.

პროექტის მიზანია ისტორიული, ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევების საფუძველზე, შესწავლილი იქნას როგორც ფიზიკური, ისე მეტაფორული საზღვრები. ის ხელს შეუწყობს: საზღვრების პრობლემის კომპლექსურ გააზრებასა და მრავალწახნაგოვან კვლევას; Frontier Studies, როგორც ისტორიულ-ანთროპოლოგიური მიმართულების შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას საქართველოში; საქართველოს ისტორიის უკეთ გააზრებას. კომპლექსური მიდგომით, პროექტი ნაყოფიერ ნიადაგს შექმნის წარსულში, თუ თანამედროვეობაში არსებულ კულტურულ-პოლიტიკური დელიმიტაციის პრობლემებზე პასუხის გასაცემად. მეცნიერული შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო დაწესებულებებში (როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში), ჰუმანიტარულ, სოციალურ და სხვა კვლევებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საექსპერტო, თუ სხვა საქმიანობაში.

პროექტში, საკვლევი თემატიკის მიხედვით, გამოიყო ხუთი მიმართულება, რომელთა შესრულებაშიც მონაწილეობას იღებენ შეაბამისი პროფილის სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულები, ბიბლიოთეკა, ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი.

1. **საზღვრები ძველ საქართველოში: კონცეფცია და პრაქტიკა** - შემსრულებელი ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება (მიმართულების ხელმძღვანელი - ლევან გორდეზიანი - მთავარი მ/თ);
2. **ქართული ერთობის საზღვრები IV-XVIII საუკუნეებში: წარმოსახვა და რეალობა** - შემსრულებელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება (მიმართულების ხელმძღვანელი - მარიამ ჩხარტიშვილი - მთავარი მ/თ);
3. **საქართველოს საზღვრები XIX-XXI საუკუნეებში** - შემსრულებელი ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება (მიმართულების ხელმძღვანელი - ავთანდილ სონღულაშვილი - მთავარი მ/თ);
4. **ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები მოსაზღვრე კავკასიის ხალხებთან და მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება** - შემსრულებლები: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება და ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია (მიმართულების ხელმძღვანელები - როლანდ თოფჩიშვილი - მთავარი მ/თ, ლიანა ბითაძე - მთავარი მ/თ);
5. **საზღვრების ეთნო-კულტურული განზომილებები** - შემსრულებელი საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება (მიმართულების ხელმძღვანელი - ქეთევან ხუციშვილი - მთავარი მ/თ).

პროექტის მიხედვით, 2020 წელს მოხდა წყაროთა ბაზის განსაზღვრა, მოძიებული და დამუშავებული იქნა თეორიული და კონკრეტული ლიტერატურა, ასევე, ეთნოგრაფიული მასალის, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების მონაცემების საფუძველზე, ანალიზის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომებით, შესრულდა თემები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული



შედეგები განხილული იყო განყოფილებებისა და საინსტიტუტო სემინარებზე. მეცნიერული სიახლეები წარდგენილი იქნა სამეცნიერო ფორუმებზე.

2020 წელს ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: 1) **საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი: ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ასპექტები და თანამედროვეობა** (FR-19-8876, 2020-2022 წწ., ხელმძღვანელი ნინო მინდაძე); 2) **სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა** (FR-17\_144, 2017-2020 წწ., ხელმძღვანელი დავით ჭითანავა, დაიბეჭდა მონოგრაფია); 3) **თრუსო - ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები** (BRG-I-19-1990, 2019-2020 წწ., ხელმძღვანელი როლანდ თოფჩიშვილი, დაიბეჭდა მონოგრაფია); 4) **კოლხური გვარსახელების გენეზისი მრუდე სარკეში** (SP-19-146, 2019-2020 წწ., სამეცნიერო-საგამომცემლო გრანტი, ხელმძღვანელი დავით ჭითანავა, დაიბეჭდა მონოგრაფია).

ინსტიტუტის 13 მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც დაფინანსდა სხვადასხვა ფონდის (შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი - რონდელის ფონდი; „განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი“ (NorGePart: Norwegian-Georgian Partnership Program for Research-Based Educational Collaboration in Anthropology - ნორვეგია); რიჩარდ პაიპსის სახელობის გრანტი (პოლონეთი), საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკი) მიერ სხვა ორგანიზაციების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; კავკასიის ხალთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) ბაზაზე.

2020 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: „ქრონოსი“ N 1 (ISSN 2667-9477); „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ N 1 (24) (ISSN 1512-3154); „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XX (ISSN 1987-7374); „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ 1 (27) (ISSN 2667-9582); „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XXII (ISSN 1987-9563). ასევე, დაიბეჭდა ინსტიტუტში 2019 წელს ჩატარებული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტით დაფინანსებული და ჩატარებული წმ. გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ - მასალები: „წმიდა გრიგოლ ფერაძე 120“ (ISBN 978 9941-26-647-8).

გასულ წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა ავტორობითა და თანავტორობით საქართველოში გამოიცა 8 მონოგრაფიული ნაშრომი; სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში და კონფერენციების მასალათა კრებულებში საქართველოში დაიბეჭდა 69 სტატია, ხოლო საზღვარგარეთ - 11 სტატია.



2020 წელს დისტანციურად ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:

**10 ნოემბერი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ დისკუსიას „საუბრები ეთნოლოგიაზე“. პირველი დისკუსიის თემა იყო - „საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდოლოგია დღეს“. დისკუსია ჩატარდა შერეული ფორმატით. ზუმის პარამეტრები:

<https://zoom.us/j/3391936123?pwd=cjdGdUNleXlpQW8wWTNvbWRyYbFAXdz09>

Meeting ID: 339 193 6123, Passcode: 19641997;

**23 დეკემბერი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო



კონფერენცია, ჩატარდა დისტანციურად, ზუმის ფორმატში. გამოიცა კონფერენციის მოხსენებათა თეზისები: ISBN 978-9941-8-2923-9, DOI: 10.6084/m9.figshare.13377176;

**8 ოქტომბერი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის FR-17\_144 (ხელმძღვანელი დავით ჭითანავა) ფარგლებში, დისტანციურად, ზუმის ფორმატში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „**სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა.**“ კონფერენციის იდენტიფიკატორი: 731 951 5915, წვდომის კოდი: 8HQnKF.

გასულ წელს, ინსტიტუტის თანამშრომლებმა, როგორც მომხსენებლებმა და თანამომხსენებლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში (საქართველოში - 35, საზღვარგარეთ - 8). მოხსენებათა ნაწილი გამოქვეყნებულია.

2020 წელს გრძელდებოდა ინსტიტუტის ტრადიციული მუდმივმოქმედი სემინარი - „**საინსტიტუტო საუბრები**“, რომელზეც წარმოდგენილი იქნა მოხსენებები როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის, ასევე მოწვეული მეცნიერების მიერ.

2020 წელს, თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „**ჰორიზონტი 2020**“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - „**მეცნიერება კაპიტანია**“ - ფარგლებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის

ინსტიტუტის პოპულარიზაციის მიზნით, გადაიღეს ფილმი „შემოაღე კარი მეცნიერებაში - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.“ ფილმში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის ღვაწლმოსილმა და ახალგაზრდა მეცნიერებმა; წარმოდგენილი იქნა ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში დაცული ფონდები და საკოლექციო ნიმუშები; ასევე, ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში არსებული XVII-XX საუკუნეების უნიკალური რარიტეტული გამოცემები.

ინსტიტუტის საარქივო ფონდის აუდიო ჩანაწერები და ფოტომასალა გამოყენებული იქნა მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტებსა და გამოცემებში.

გასული წლის 10 ნოემბერს, ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ლავრენტი ჯანიაშვილს გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სიგელი.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დასრულდა ანთროპოლოგიის მუზეუმის სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის ჩატარებაც, თსუ-ს ადმინისტრაციის შუამდგომლობის საფუძველზე, ითავა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ. მუზეუმში განთავსდა ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის კრანოლოგიურ ფონდში დაცული უნიკალური მასალა, 3000-მდე თავის ქალა საქართველოდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან, აგრეთვე, დერმატოგლიფიკური და ოდონტოლოგიური კოლექციები, რაც აქტიურად იქნება გამოყენებული სასწავლო-კვლევით პროცესში.

\* \* \*

### კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და ამავდროულად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიძველეთსაცავი. აქ მიმდინარეობს ხელნაწერთა შემსწავლელი ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები და სამუზეუმო-საგანმანათლებლო საქმიანობა.

**ქართველოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, არმენოლოგია - კოდი-კოლოგიურ-ტექსტოლოგიური და წყარომცოდნეობითი კვლევები:** ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევები მიზნად ისახავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების ტექსტების კვლევას, რედაქციულ ანალიზს, ტექსტების გადმოწერას, კრიტიკული ტექსტის დადგენას და მეცნიერთათვის მათ ხელმისაწვდომობას. ასევე, საცნობარო და აღწერილობითი კატალოგების მომზადებას. **2020 წელს** მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: ოსმალთა ფაღმავლების საქართველოში დაცული სიგელები; სომხური ხელნაწერების აღწერილობა და ალბომი; აღმოსავლურ ხელნაწერთა ალბომი; მატენადარანში დაცული ქართული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების აღწერილობა; „წიგნი სიმამაცისა“ („Şecâ'at-nâme“) ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ (XVI ს.); თარიხ-ე ჯაჰანგოშას პარიზული ნუსხა Pers-206 (ცნობები საქართველოს შესახებ); აღმოსავლური ფონდის სამივე კოლექციის არაბული ხელნაწერების ერთობლივი კატალოგის შედგენა; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ყდების კატალოგის შედგენა; ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი



ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში (ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი); Q და H ფონდის ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული აღწერილობა; ამბროსი ხელაიას ქადაგებები (ნაქადაგები რუსულად და ნათარგმნი ქართულად); უცხოეთის სამონასტრო-მწიგნობრულ კერებს შორის ურთიერთობები, კავშირები საქართველოსთან; არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნი იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ კრიტიკული ტექსტის დადგენა; არისტოტელეს „პერი ერმენეიას“ კომენტარების ანონიმისეული თარგმანის ძირითადი ტექსტის შედარება დანარჩენ ხელნაწერებთან; ანტონ პირველი კათალიკოსი - ჰიმნოგრაფი (ორიგინალური ჰიმნოგრაფია); სამკურნალო შინაარსის შემცველი

ტექსტები უძველეს „კურთხევანებში“; ექვთიმე მთაწმინდელის რედაქციის სახარების შესახებ; აპოკრიფული მწერლობა (IX-XI სს-თა ქართული ხელნაწერი ტრადიციის მიხედვით) (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი); ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა მონაცემების განთავსება საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში; ქართული ვერსია ევანგელე პონტოელის თხზულებისა - „სიტყვისგებაი ვნებათათვის“; ფსევდობასილის „სწავლანი ლოცვისათვის“; მარკოზ განშორებულის თხზულებათა ქართული ვერსია; ანდრია კრეტელის საკითხავი ამოებისათვის; ეფრემ ასურის სწავლანი (მე-2 ტომი); ამბროსი ნეკრესელის კრებული H-1283 - სასულიერო და საერო შინაარსის მასალის შემცველი შერეული კრებულის ტიპური ნიმუში.

**წყაროთმცოდნეობითი კვლევები:** მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: ეპიგრაფიკული იურიდიული აქტების კორპუსის შედგენა და გამოსაცემად მომზადება; დაუმუშავებელი ისტორიული დოკუმენტების კატალოგიზაცია, Qd ფონდის ისტორიული საბუთების ელექტრონული კატალოგის შექმნა-რედაქტირება და სხვ.; XI-XII საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა და ბიზანტიური ისტორიოგრაფია; დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორია XVII- XVIII საუკუნეებში; ატენის (ტანას) ხეობის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლა და მისი მფლობელობის საკითხი (V-XIX სს.); ხელნაწერთა მინაწერი საბუთების კორპუსი; მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორია საისტორიო საბუთების, ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი.

**ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების მიმართულებით** 2020 წელს მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული X-XVI საუკუნეების მოხატული ხელნაწერების საძიებელი; ჯრუჭის ოთხთავის თავფურცლისა და თავსართი მინიატიურების იკონოგრაფიისათვის; ორნამენტის გენეზისი და როლი XV-XVI საუკუნეების საეკლესიო ხელნაწერების გაფორმებაში.

**საარქივო, საფონდო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმისწარმოება; სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის დამუშავება:**

ა) არქივების დამუშავება/გადამუშავება და კვლევა: გიორგი ჩუბინაშვილის, კარლო ინსარაძის, ივანე ნანუაშვილის, ირაკლი აბაშიძის არქივების დამუშავება; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ექვთიმე თაყაიშვილის

პირადი არქივის გადამუშავება; ვაჟა-ფშაველას პირადი არქივის აღწერილობის გამოსაცემად მომზადება; ფონდ „სხვადასხვას“ კატალოგის დამუშავება; ილია ჭავჭავაძის პირადი ჩანაწერებისა და ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების მომზადება აკადემიური გამოცემისათვის;

**ბ) სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის დამუშავება:** 2020 წელს მუშავდებოდა ლიტურგიკული ტერმინოლოგია.

**გ) ფონდები და ბიბლიოთეკა:** ახლადშემოსული ლიტერატურის ტექნიკური დამუშავება და კატალოგიზაცია; წიგნის ბიბლიოგრაფიული მონაცემების ელექტრონულ ბაზაში (Access) შეტანა; ახლადმიღებული ლიტერატურის გამოფენა და ანოტაციის შედგენა ვებგვერდისათვის; 2020 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა შენობის რეკონსტრუქცია - შეიქმნა ახალი სივრცე მემორიალური კაბინეტებისათვის; ასევე გარემონტდა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.

დასრულდა ლევან და დავით მუსხელიშვილების წიგნების კოლექციის აღწერა და ტექნიკურად დამუშავება. წიგნად ფონდს შემოემატა ისტორიკოს ელენე ცაგარეიშვილის უმდიდრესი ბიბლიოთეკა, გასაკუთრებით აღსანიშნავია სომხურენოვანი წიგნები, რომლებიც აღინუსხა და დამუშავების პროცესშია.

**კონსერვაცია-რესტავრაცია, დიგიტალიზაცია** - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალის, ისტორიული საბუთების, საბიბლიოთეკო წიგნების დაცვის მიზნით მათი დიგიტალური ვერსიების დამზადება, ასევე, მათი დაცვის და შენახვის მიზნით საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება. ფონდების და ფონდსაცავების მონიტორინგი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციებიდან რესტავრირებული ერთეულების პასპორტებისა და ფოტოების ელექტრონული ბაზის შედგენა. 2020 წელს მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: ტერმინოლოგიური ლექსიკონი (კონსერვაციასა და რესტავრაციის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი); წერილობითი მემკვიდრეობისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია-რესტავრაციის ძველი და თანამედროვე მეთოდოლოგია (მეთოდური სახელმძღვანელო, ნაწილი II);

**სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები; გამოცემები-პუბლიკაციები, მოხსენებები :**

**სამეცნიერო სემინარები:**

12 თებერვალი - კორნელი კეკელიძის სახელობის რიგით 131-ე სემინარი. მოხსენება წაიკითხა, თამარ ოთხმეზურმა - „იოანე სინელის „კლემასის“ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში.“

18 სექტემბერი - რუსუდან გვარამიას სახელობის სემინარი (ონლაინ ფორმატით). მოხსენება თემაზე „ოსმალური ნარატიული წყაროები 1578 წელს ქართლის დაპყრობის შესახებ“ წარმოადგინა თ. პაპუაშვილმა.

**სამეცნიერო კონფერენცია:**

4 ივნისი - გაიმართა ვიდეო-კონფერენცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კელნის უნივერსიტეტის რესტავრაცია-კონსერვაციის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით.

**მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2020:**

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი - 2020“ განხორციელდა

ევროპის მკვლევართა ღამის პროექტის “CAPTAIN - მეცნიერება კაპიტანია” ფარგლებში.

- 27 ნოემბერი - Zoom-ის პლატფორმაზე გაიმართა პანელური დისკუსია - ვახუშტი ბაგრატიონის „მსოფლიოს გეოგრაფია“.
- 28 ნოემბერი - ცენტრმა ჩაატარა ონლაინექსკურსია - „ამბავი ქიმიის ქმნისა“. ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ ქიმიის, ფიზიკის, არითმეტიკის, პლანიმეტრიისა თუ გეომეტრიის უძველეს ხელნაწერებს.

#### **გამოცემები:**

- ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, IV (შ-ჰ).
- ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, XI.
- ქართული ხელნაწერი.
- Georgian Manuscript.
- ახალი „ქართლის ცხოვრება“, ტ. III.
- ა. თაბუაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მეფე ერეკლე II-ის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის.
- იური პიატნიცკი, ქართული სიძველეები ერმიტაჟში.
- უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში.
- ძველი მეტაფრასული კრებულები.
- ლია კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა.
- ნინო ქაჯაია. საღმრთო ჟამისწირვის სახისმეტყველება.

გარდა ამისა, ცენტრის თანამშრომლების მიერ 2020 წელს სხვადასხვა , ჟურნალებში, ელ-გამოცემებში გამოქვეყნდა **სტატიები**: საქართველოში - 76, უცხოეთში - 20; საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო **კონფერენციებზე** წაკითხული მოხსენებები: საქართველოში - 37, უცხოეთში - 6; ცენტრის თანამშრომლების მიერ 2020 წელს გამოცემული **წიგნები (მონოგრაფიები, სა-ხელმძღვანელოები, კრებულები)** - 15;

#### **საგრანტო პროექტები:**

2020 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ცენტრის ბაზაზე ხორციელდებოდა ფუნდამენტური კვლევების, მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო კომბინირებული ღონისძიებების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო საკონფერენციო და ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო პროექტები:

დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით, განხორციელდა საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამა „დავით აღმაშენებელი - რას მოგვითხრობენ ხელნაწერები?“

#### **საგანმანათლებლო პროგრამები, გამოფენები:**

ცენტრმა „ევროპულ სკოლაში“ წარადგინა საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ასახავს ცენტრში დაცულ სხვადასხვაენოვან კოლექციას: ქართული ანბანის სამივე სახეობის ხელნაწერები, ლათინურ, ბერძნულ, იტალიურსა და სხვა ენებზე შესრულებული ხელნაწერები. „ევროპულ სკოლაში“ გამოიფინა მეფე თამარის მიერ დაკვეთილი ხელნაწერის, ე.წ. „ვანის ოთხთავის“ მულაჟი; მოეწყო 3D ინსტალაცია.

ჩატარდა მორიგი, XV საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღ-ლებამდე“. ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საზოგადოებას შესთავაზა მუსიკალური ხელნაწერების მრავალფეროვანი კოლექციის ფოტოასლები.



გია ყანჩელის სახელობის ბაღში დამთავალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა ეხილა: X საუკუნის საოცარი ხელნაწერი - მიქაელ მოდრეკილის იადგარი, რომელმაც შემოგვინახა უძველესი სანოტო ნიმუშები - ნევმები, X-XI საუკუნეების საგალობლების უნიკალური კრებული, საქართველოში სამ ხმად ჩაწერილი ქართული გალობის ყველაზე ადრეული ნიმუში - დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ შექმნილი კრებული „იოანე

ოქროპირის წირვის წესი“ (1863 წ.), ექვთიმე კერესელიძისა და ფილიმონ ქორიძის მიერ გადარჩენილი და ნოტებში ჩაწერილი ქართულ საგალობელთა კრებულები.

განხორციელდა მეფე ერეკლეს დაბადებიდან 300 წლის საიუბილეოდ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსი - „მიულოცე მეფეს!“ კონკურსში მონაწილეობა მიიღო სკოლის დაწყებითი საფეხურის 341-მა მოსწავლემ მთელი საქართველოდან.

### **საქართველოს რეგიონებში:**

ქუთაისში, გელათის აკადემიაში, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა დავითობის დღესასწაულზე წარადგინა ფოტოგამოფენა სახელწოდებით „გალობის გელათური სკოლა“, რომელიც მომზადდა ცენტრში დაცული ხელნაწერების მიხედვით. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მუსიკალური აზროვნების ისტორიის ამსახველი ხელნაწერები, X საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია, რომლის ფარგლებში ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო: „ხელმწიფის კარის გარიგება“ და ამ თხზულებაში აღწერილი ტრადიცია, მეფისათვის ახალ წელს ღვინის მირთმევისა; ისტორიული საბუთები ვენახის ნასყიდობის, ღვინის დაჭაშნიკებისა და ღვინის შეწირვის, ასევე მეღვინეთუხუცესისა თუ მეღვინეთა შესახებ; „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალურ ხელნაწერებში დადასტურებული ვაზის ორნამენტები და სხვ.

### **საერთაშორისო პროექტები:**

გამოფენას „ავხაზეთი - ხელნაწერები საუბრობენ დაფარულზე“ უმასპინძლა საქართველოს საელჩომ ნიდერლანდების სამეფოში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 1300 წელს მოქვის მონასტერში გადაწერილი ოქრომელნით შემკული უნიკალური ოთხთავი (მულაჟი) და საარქივო მასალები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის ტაძართან არსებული „წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის“ თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა საინტერესო კალიგრაფიული ნიმუშები შექმნეს. მათ მიერ შექმნილი ალბომი შესაძლებლობას გვაძლევს გავცნოთ ესპანეთში მცხოვრები ბავშვების მიერ იზოლაციის რთულ დღეებში ქართულ ენაზე შესრულებულ ტექსტებს.

კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილები. ნიდერლანდების სამეფოში არსებული „ქართული კულტურის ცენტრისა“ და საქართველოში მოქმედი ფონდის - „დასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ - ინიციატივით, უცხოეთსა და საქართველოში მყოფი მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის შეიქმნა ონლაინ შემეცნებითი კურსები - „კალიგრაფიის ონლაინ გაკვეთილები“.

ცენტრმა, ფონდთან „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ ერთად 26 მაისს საზოგადოებას შესთავაზა საგანმანათლებლო პროექტი: „ჩემი გენერალი - გიორგი კვინიტაძე“. პროექტი განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ჩაერთვნენ პროგრამაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე საკვირაო სკოლებისა თუ კულტურის ცენტრების ბაზაზე.

ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში 2020 წლის 2 და 3 ოქტომბერს აღინიშნა „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“. პროგრამაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიც ჩაერთო კომპლექსური პროექტით „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“. ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგებოდა: - „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ - მხარდაჭერით. ამავე დღეს „წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის“ მოსწავლეებისათვის ჩატარდა კიდევ ერთი ონლაინექსკურსია, სადაც მოზარდებმა მოისმინეს ქრისტეს შობამდე III საუკუნეში შექმნილი ჰომეროსის ნაწარმოებების პაპირუსზე შექმნილი ფრაგმენტების ისტორია, ქართველებისა და ჯვაროსნების თანამშრომლობისა და კულტურული ურთიერთობის საკითხები და სხვა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და იმავე ფონდის თანამშრომლობით იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლის საიუბილეოდ განხორციელდა პროექტი „ქართული დიასპორები სტუმრად იაკობთან“. ონლაინ შეხვედრის ფარგლებში 75-მა მსმენალმა, მსოფლიოს 15 ქვეყანაში.

### **პრეზენტაციები:**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემული წიგნების წარდგენა. ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოებისათვის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგების წარდგენა სამეცნიერო გამოცემების სახით.

გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების კოორდინირებულ მუშაობას აღნიშნულ კომიტეტთან.

საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ჩატარდა ცენტრის საქმიანობის პრეზენტაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტში შედგა ხელნაწერთა ცენტრის პროექტის - „სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიმკვლეუსაცავებში“ - ფარგლებში შემუშავებული სასწავლო კურსის - „სამედიცინო ცოდნა ხელნაწერ მემკვიდრეობაში“ - მოდულების პრეზენტაცია.



## ახალი წიგნები

### **რ. მეტრველი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 2021**

წიგნი ეძღვნება ქართველი ხალხის დიდგორის ბრძოლაში ძლევამოსილი გამარჯვების ცხრაასი წლისთავს. მასში ქართული და უცხოური ნარატიული და სხვა სახის მასალის შეჯერების საფუძველზე, XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ზოგად ფონზე გადმოცემულია დავით IV აღმაშენებლის ზეობის პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები; განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული დიდგორის ბრძოლის მიზეზებზე, მიმდინარეობასა და შედეგებზე, საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ერთიან ქართულ ქართულ სამეფოსთან შემოერთებაზე.

საიუბილეო გამოცემა განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

### **ვ. ასათიანი, ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო. თბ., 2021**

ავტორი მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ის მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, რომლებიც საქართველოს დღემდე ევროპული კულტურის საფუძველთან - ელადასთან აკავშირებს.

წიგნში განხილულია უძველესი ქართულ-ბერძნული მითოლოგია (ამირან-პრომეთეს პრობლემა), ძველი კოლხეთი და ბერძნული სამყარო, ანტიკური მითოლოგიის კვალი ძველ ქართულ მწერლობაში, ჰომეროსი ქართულ მწერლობაში, ქრისტიანობა, ბიზანტიური ჰუმანიზმი და ბიზანტიურ-ქართული ადრეული ლიტერატურული ურთიერთობები, ელინოფილური მიმართულება XI-XII სს. ქართულ მწერლობაში, რუსთველი და ანტიკურობა, ანტიკურობა XIII-XVIII სს. ქართულ მწერლობაში, ანტიკურობის გამოძახილი თანამედროვე ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში, ბერძენ-ქართველთა ურთიერთობები XIX-XX სს., კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა ნეოგრეცისტიკის განვითარება საქართველოში. წიგნს ერთვის ანტიკური თემების, სიუჟეტებისა და მოტივების შემცველი ქართული ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ტექსტების ზოგიერთი ნიმუში.

წიგნი განკუთვნილია, როგორც სპეციალისტთათვის, ისე ამ თემით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

### **ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 2020**

ექვთიმე თაყაიშვილის „თხზულებანის“ მე-9 ტომში წარმოდგენილია მასალა, რომელიც ავტორმა 1910 წელს გამოაქვეყნა „საქართველოს სიძველენის“ III ტომში. ეს გახლავთ 1408-1836 წლებს შორის პერიოდში გაცემული ისტორიული დოკუმენტები: სიგელ-გუჯრები, წყალობის, ნასყიდობის, ფიცისა და მზითვის წიგნები და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა გამოცემაში წარმოდგენილი დოკუმენტების ის ნაწილი, რომელიც ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, სამეფო ტახტის გაუქმებას, საქართველოს რუსეთთან შეერთებასა და სხვა არაერთ პრობლემას.

ამას გარდა, ამავე ტომში წარმოდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, 1920 წელს გამოცემული, პალეოგრაფიული ალბომის (რვეული II) ფოტოტიპური ასლი.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსთათვის, აგრეთვე, საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

### **ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი, ტ. X, 2020**

ექვთიმე თაყაიშვილის „თხზულებანის“ მე-10 ტომში წარმოდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა – მიმოწერა სხვადასხვა პიროვნებასა თუ დაწესებულებასთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილს, მისი მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში, მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული არა მარტო საქართველოს, არამედ უცხოეთის სამეცნიერო წრეებთანაც, რამაც ასახვა მის მიმოწერაშიც ჰპოვა. ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერის მასალები უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს შეიცავს როგორც თავად მეცნიერის ცხოვრებამოღვაწეობის, ისე, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. გამოცემაში ერთად თავმოყრილია ექვთიმე თაყაიშვილის როგორც გამოქვეყნებული, ასევე საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი მიმოწერა. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი მასალა, მისი მოცულობის გამო ერთ ტომში ვერ მოთავსდა და ორ ნაწილად გაიყო. შესაბამისად, წინამდებარე ტომში წარმოდგენილია მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის პირველი ნაწილი. ნაშრომი გამოცემულია შესაბამისი სრული სამეცნიერო აპარატის დართვით, მათ შორის, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებით.

### **იუვალ ნოახ ჰარარი, საპიენსი, კაცობრიობის მოკლე ისტორია (თარგმნა ნ. სამუშიამ), თბ., 2020**

100 000 წლის წინ დედამიწაზე ადამიანთა, სულ მცირე, ექვსი სახეობა ცხოვრობდა. მათგან მხოლოდ ჩვენი სახეობა – ჰომო საპიენსი – გადარჩა.

როგორ მოვადწიეთ დღემდე? როგორ მოახერხეს ჩვენმა მონადირე-შემგროვებელმა წინაპრებმა ქალაქებისა და სამეფოების შექმნა? რატომ გვჯერა ღმერთების, ერების და ადამიანის უფლებების? როგორ აღმოვჩნდით ბიუროკრატიის, განრიგებისა და კონსუმერიზმის ტყვეობაში? რა სახეს მიიღებს სამყარო ახალ ათასწლეულში?

იუვალ ნოახ ჰარარის ამ თამამ და ამბიციურ წიგნში დასმული კითხვები ეჭვქვეშ აყენებს ყველაფერს, რაც გვეგონა, რომ კაცობრიობის წარმოშობის, აზროვნების, ქცევის, შესაძლებლობებისა და მომავლის შესახებ ვიცოდით. ავტორი ბიოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, პალეონტოლოგიურ თუ ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღწერს, როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში ადამიანთა საზოგადოებები, მათ ირგვლივ არსებული ფლორა და ფაუნა, თვით ადამიანთა ქცევები და ხასიათის თავისებურებები. თარგმნა ნიკა სამუშიამ.

## **სულხან სალაძე, ძველი ტფილისის ევროპული გრავიურები, თბილისი, 2020**

„ძველი ტფილისის ევროპული გრავიურები“ თბილისის შესახებ არსებული ევროპული გრავიურების პირველი ალბომია, რომელიც აერთიანებს თბილისის ჩანახატებს. 1673 წლიდან XIX საუკუნის ბოლომდე. ალბომში შეტანილი ასამდე გრავიურა, ძველი თბილისის ხედების გარდა, ქალაქსა და მის მცხოვრებთა ყოფასაც ასახავს. გრავიურების დიდი ნაწილი უნიკალურია და საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ბევრი მათგანი პირველად გამოიცემა ქართულ ენაზე. ალბომი საინტერესო წყარო იქნება ძველი თბილისის ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებისათვის.

### **დიანა ანფიმიადი, საკვანძო სიტყვა ფერეიდან, თბ., 2020**

წიგნი ეძღვნება XVII საუკუნეში ირანში, ფერეიდანში ძალდატანებით გადასახლებული ქართველების შთამომავლობის დღევანდელ ყოფაზე.

რა ეცოდინება მკითხველს ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ? – ის, რაც ფაქტობრივი მონაცემების მიღმა: კონკრეტული ადამიანების, მათი ტკივილისა და სიხარულის, ოცნებების ამბები. მათი ბრძოლა იდენტობის შენარჩუნებისთვის, რომლის მთავარ და დაუმარცხებელ იარაღადაც ენა ქვეულა. მათი სამშობლოც სწორედ ამ ენაში დააბინავეს და ისე შემოინახეს.

„საკვანძო სიტყვა – ფერეიდან“ არის წიგნი, სადაც წარმოჩენილია გზა, რომლითაც ფერეიდნელები ჩვენთან ბრუნდებიან და კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ, რა არის მთავარი, რას უნდა გავუფრთხილდეთ და რა არ უნდა დაგვავიწყდეს.

### **დიმიტრი სილაქაძე, რუსეთ-საქართველოს ომი (100 ამბავი), თბ., 2021**

100 წლის წინ საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ. ომი ხუთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და საქართველოს ოკუპაციით დასრულდა. განცდილმა მარცხმა საქართველო 70-წლიან საბჭოთა ექსპერიმენტში ჩაითრია, რომლის შედეგებისგან ქართული საზოგადოება ბოლომდე ჯერაც არ გათავისუფლებულა.

საბჭოთა პროპაგანდა მომხდარს ოკუპაციას არ უწოდებდა და ისე წარმოაჩენდა, თითქოს წითელარმიელები საქართველოს მოსახლეობას არასასურველი რეჟიმის დამხობაში დაეხმარნენ. ომს 70 წლის განმავლობაში ადამიანების მესხიერებიდან განგებ აქრობდნენ და ყოველ 25 თებერვალს საქართველოს მოსახლეობას „გასაბჭოებას“ აზიემებდნენ.

წიგნი მოგვითხრობს რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების, საგმირო ეპიზოდების, წარმატებული სამხედრო ოპერაციების, მძიმე შეცდომებისა თუ უბრალო ადამიანური ამბების შესახებ.

### **სტეფანე ბურნაშევი, კავკასია XVIII საუკუნის II ნახევარში, რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბ., 2020**

პოლკოვნიკი სტეფანე ბურნაშევი იყო ეკატერინე II-ის საგანგებო რწმუნებული ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე და ამავე დროს 1783-1787

წლებში გეორგიევსკის ტრაქტატის შესაბამისად საქართველოში მყოფი რუსული ჯარის მეთაური. საქართველოში მსახურობისას მან შექმნა სამი ანალიტიკურ-აღწერილობითი ნაშრომი, რომელთა ქართული თარგმანები რუსულ დედნებთან ერთად პირველად წარდგება მკითხველის წინაშე. „საქართველოს სურათი...“ მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა XVIII ს-ის 80-იანი წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიისა და რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიისათვის. ამ აღწერილობიდან თვალსაჩინოდ ვლინდება, როგორ დამძიმდა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა 1783 წლის შემდეგ. „ადრეუბიჟანული ქვეყნების აღწერაში“ ეხება სამხრეთ კავკასიასა და უფრო სამხრეთით მდებარე ისლამურ სახანოებში არსებულ ვითარებას: სახანოების საზღვრები და პოლიტიკური სტატუსი, ხანების პოლიტიკური ორიენტაცია და კავშირები, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები, ქრისტიანთა კომლობრივი რაოდენობა და ა.შ. „მთიელ ხალხთა აღწერა“ ეთნოგრაფიული ნაშრომია. აქ მრავალი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ყაბარდოელთა ყოფის, სოციალური მდგომარეობის, ადათ-წესების, ეროვნული ხასიათისა და სხვა თავისებურებათა შესახებ. ამიტომ ეს თხზულება კავკასიელ ხალხთა ეთნოლოგიის მკვლევართათვის საყურადღებო წყაროა.

**არქანჯელო ლამბერტი, წმინდა კოლხეთი, იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცეციტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა და განმარტებები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბ., 2020**

არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ ფასდაუდებელი მნიშვნელობის წყაროა XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. მასში მოთხრობილია საქართველოში თეატელთა კათოლიკური მისიის 1626-1649 წლების მთელი ისტორია. ნაშრომში უამრავი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ქართული სამეფო-სამთავროებისა და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის შესახებ.

„წმინდა კოლხეთი“ ცალკე წიგნად პირველად წარდგება ქართველი სამეცნიერო საზოგადოების ფართო წრისა და დაინტერესებული მკითხველის წინაშე. ამავე დროს ეს არის ამ წიგნის პირველი გამოცემა 1657 წელს ავტორის მიერ ნეაპოლში მისი გამოქვეყნების შემდეგ და ნიშანდობლივია, რომ იგი სწორედ ქართულ ენაზე განხორციელდა.

**არტანუჯის და ბათუმის ლივების აღწერის ვრცელი დავთრები, დადგენილი ოსმალური ტექსტი ქართული თარმანით, ვრცელი შესავლითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2020**

ნაშრომში მოცემულია არტანუჯის და ბათუმის ლივების აღწერის ვრცელი დავთრები არტანუჯის დავთარი შედგება ტაოსკარის, ფასინისა და ანზავის ნაჰიეებისაგან. ბათუმის ლივის აღწერა - ათინას, არხოვას, იგივე ლაზისა და ჰემშინეს ნაჰიეებისაგან. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება აღნიშნული რეგიონის სოციალუმეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა. აღნიშნული წყაროების პუბლიკაციები მიზნად ისახავს XVI-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების უკეთ წარმოჩენას. წიგნი განკუთვნილია

მკვლევარებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის.

**ოსმალური დავთრები ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესახებ, დადგენილი ოსმალური ტექსტი ქართული თარმანით, ვრცელი შესავლითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2021**

ნაშრომში მოცემულია თორთუმის, ისპირის, ფასინის, ზმო და ქვემო აჭარის, არტანუჯისა და ახალციხის ლივების აღწერის ვრცელი და მოკლე დავთრები. აღნიშნული წყაროების პუბლიკაციები მიზნად ისახავს XVI-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების უკეთ წარმოჩენას. წიგნი განკუთვნილია მკვლევარებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის.

## მეგზური ავტორებისთვის

### სტატიის წარმოდგენის ტექნიკური პარამეტრები:

სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულ ვერსიით Word-ის ფორმატში (\*.doc ან \*.docx) გაფართოებით), შრიფტით Sylfaen, ფაილის სახელწოდება უნდა იყოს ავტორის გვარი, მაგალითად, akhalkatsi.doc. სტატიის მოცულობა (გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და სხვა ტიპის დანართების ჩათვლით) უნდა იყოს არანაკლებ ხუთი (10 ათასი ნიშანი) და არაუმეტეს 20 კომპიუტერული გვერდისა (40 ათასი ნიშანი). სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით; ინტერვალი 1; შრიფტის ზომა 11; ოთხივე მხრიდან დატოვებული მინდორი 2,54 სმ.

### სტატიის სტრუქტურა:

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომი უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით. ნაშრომი სტრუქტურირებული უნდა იყოს IMRAD (Introduction, Methods, Results, Discussion) ფორმატის მიხედვით.

**სტატიის სათაური:** სტატიის სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ და სტატიის ორიგინალ ენებზე (შრიფტის ზომა 12, გამუქებული). იწერება შუაში. ინგლისურენოვანი სათაური ფორმდება მთავრული ასოებით. სათაური უნდა იყოს მოკლე, კონკრეტული (არა ზოგადი) და ასახავდეს სტატიის შინაარსს. მოერიდეთ შემოკლებებს, აბრევიატურებს, ორიენტირდით მაქსიმალურად ფართო საზოგადოებაზე.

სათაურის ზემოთ მარცხენა მხარეს უნდა მიეთითოს დარგი/ქვედარგი.

**ავტორი/ავტორები:** სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) ინგლისურ და სტატიის ორიგინალ ენებზე უნდა მიეთითოს ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკად. ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი, ელ.ფოსტა, ORCID კოდი (თუ ჯერ არ ხართ დარეგისტრირებული, დარეგისტრირდით ვებ. მისამართზე: <https://orcid.org/>).

**აბსტრაქტი (მოკლე შინაარსი):** ინგლისურ და სტატიის ორიგინალ ენებზე 200-250 სიტყვა (დაახლ. კომპიუტერული ნაბეჭდი ერთი გვერდი). ავტორს შეუძლია აბსტრაქტი წარმოადგინოს მეორე უცხო ენაზე (ფრანგული, გერმანული, რუსული, იტალიური, ესპანური და ა. შ.) აბსტრაქტი უნდა იყოს ინფორმაციული, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე. ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. აბსტრაქტი გამოყოფილია ცალკე სტატიისგან. ამიტომ, მითითებები თავიდან უნდა იქნეს აცილებული;

აბსტრაქტში კატეგორიულად უნდა ავიცილოთ თავიდან ზოგადი, არაფერის მთქმელი სიტყვები, რაც მხოლოდ ზრდის ტექსტის მოცულობას, მაგრამ ხელს არ უწყობს სტატიის შინაარსის გახსნას. მოკლედ, უნდა იყოს არსებითად ორიგინალური. საჭიროა მოკლე და ფაქტობრივი აბსტრაქტი.

**საკვანძო სიტყვები/keywords:** სტატიას თან უნდა ახლდეს სწორად შერჩეული საკვანძო სიტყვები (5-8). გამოიყენეთ მხოლოდ მიღებული შემოკლებები;

**სტატიის შესავალი/Introduction:** გამოკვეთილი უნდა იყოს: პრობლემის

არსი; თქვენი მიზნები; როგორია თქვენი ჰიპოტეზა; თქვენი ნაშრომის მნიშვნელობა; რა იყო გაკეთებული ადრე (ლიტერატურის მიმოხილვა, გამოყავით რამდენიმე ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ნაშრომი, მათ შორის უკანასკნელი გამოცემები; რეკომენდირებული არ არის დიდი რაოდენობა დამოწმებული ლიტერატურისა, რომელსაც კავშირი არა აქვს თემასთან, ან არამიზნობრივი ჩანართები საკუთარ მიღწევებზე); რა შედეგებს მიაღწიეთ. წარმოდგენილი უნდა იყოს ლაკონურად;

**მეთოდები/Methods:** სტატია უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად აგებული, ანუ უნდა ჩანდეს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. აღწერეთ როგორ შეისწავლეთ დასმული საკითხი: მოიყვანეთ ვრცელი ინფორმაცია;

**შედეგები/Results:** შედეგები უნდა იყოს ნათელი და მოკლე. დაალაგეთ ეს პარაგრაფი ჰიპოთეზების/თეზისების მიხედვით. მონაცემების გასაზოგადებლად გამოიყენეთ გასაგები ილუსტრაციები (დიაგრამები, ცხრილები, სურათები და სხვ). ილუსტრაციები და ტექსტი არ უნდა იმეორებდეს ერთმანეთს. ილუსტრაციების დასახელებებს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მოწოდებული მასალა უნდა წარმოდგეს ინტერპრეტირებულად: მკითხველები ხშირად უყურებენ ჯერ ილუსტრაციებს – შემდეგ კითხულობენ. ამიტომ, ილუსტრაციები უნდა იყოს გასაგები და ინფორმაციული;

**მსჯელობა/Discussion:** ამ პარაგრაფში წარმოჩენილი უნდა იყოს ნაშრომის შედეგების მნიშვნელობა და არ იმეორებდეს მათ. თავი აარიდეთ ვრცელ ციტატებსა და გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვას. გამოკვეთეთ რას ნიშნავს თქვენი შედეგები (რა მნიშვნელობა აქვთ მათ). მსჯელობა უმნიშვნელოვანესი ნაწილია, იგი უნდა შეესაბამებოდეს შედეგებს. არ ღირს იმ ნაშრომების იგნორირება, რომელთა შედეგები ეწინააღმდეგება თქვენსას – გამართეთ მათთან დისკუსია და დაარწმუნეთ მკითხველი თქვენს სისწორეში. განიხილეთ თქვენი შედეგების შინაარსი, შეადარეთ თქვენი შედეგები მანამდე არსებულ კვლევებს.

**დასკვნები:** ამ პარაგრაფში წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის მთავარი დასკვნები.

**გამოყენებული ლიტერატურა:** დასახელებული ლიტერატურა და წყაროები ლაგდება ანბანთრიგზე.

**მადლიერება:** სტატიის ბოლოს, ცალკე პარაგრაფში, შენიშვნებამდე, მადლიერება გამოხატეთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც დაგეხმარნენ კვლევისას. ეს პარაგრაფი არ მიუთითოთ სქოლიოს სახით სათაურთან ან სხვაგვარად.

**სქოლიო:** შეეცადეთ, ხშირად არ გამოიყენოთ სქოლიო. თუ რაიმე მნიშვნელოვანია, ის ტექსტში ჩაწერეთ, სხვა შემთხვევაში გამორიცხეთ. სქოლიო დანომრეთ არაბული ციფრებით თანმიმდევრულად ტექსტის დამუშავების პროგრამების საშუალებით. სხვა შემთხვევაში შეძლება მიუთითოთ ვარსკვლავის ნიშანი(\*), ხოლო შენიშვნა გამოიტანოთ იმავე გვერდზე ტექსტის ბოლოს.

გამოსაქვეყნებელ სტატიებში ციტირება და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს APA სტილის მიხედვით. ავტორებმა უნდა გამოიყენონ Microsoft Word-ის ბიბლიოგრაფიის ხელსაწყო (REFERENCES), ან ბიბლიოგრაფიის მენეჯმენტის პროგრამები (მაგ. Mendeley, Zotero, RefMan, Endnote, JabRef).

**მითითების სტილი:** გამოკვლევისა და წყაროს მითითება ხდება სტატიის შიგნით: მრგვალ ფრჩხილებში უნდა მოთავსდეს ინდექსი, სადაც მიეთითება ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი ორიგინალის ენაზე (**სახელის ინიციალი არ არის სჭირო**), ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ ორწერტილი და შესაბამისი გვერდი. მაგ.: (თაყაიშვილი, 1920: 23).

გაითვალისწინეთ, რომ ყველა წერილობითი მასალა, რომელიც მითითებულია ტექსტის შიგნით, ასევე შეტანილი უნდა იყოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც და პირიქით. გამოუქვეყნებელი მასალა და პირადი კავშირების გზით მიღებული ინფორმაცია არ არის რეკომენდირებული იყოს ლიტერატურის ჩამონათვალში, მაგრამ შეიძლება აღნიშნული იყოს ტექსტში. თუ ეს მასალები მითითებულია ლიტერატურის ჩამონათვალში, მაშინ ის უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალში მასალის მითითების სტანდარტულ სტილს. გამოუქვეყნებელი გამოკვლევის დასახელების ბოლოს დართული სიტყვა - „ბეჭდვაში“ ნიშნავს, რომ ნაშრომი გამოსაქვეყნებლად მიღებულია.

**გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების მითითება ტექსტის შიგნით და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში:**

სტატიას ბოლოს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც ლაგდება ანბანთრიგზე. არაქართულენოვანი ლიტერატურა და წყაროები, სადაც გამოყენებულია ლათინური შრიფტი (მაგ. ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), მიეთითება ორიგინალის ენაზე. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები, სადაც არ არის გამოყენებული ლათინური შრიფტი (მაგ. ქართული, სომხური), წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ტრანსლიტირებული ფორმით, ისე - ორიგინალის ენაზე. ქართული ლიტერატურის და წყაროების ტრანსლიტირება უნდა განხორციელდეს „რომანიზაციის ქართული ეროვნული სისტემის მოდელზე“ (იხ. [www.google.com](http://www.google.com) – ამ დასათაურებით). ტრანსლიტირაციის შრიფტი შეგიძლიათ გააინსტალიროთ კომპიუტერში, ან ქართული ტექსტის ტრანსლიტირება განხორციელოთ პროგრამულად (მაგ., <https://translit.net/ge/>; <http://ge.translit.cc/>). ტრანსლიტირებული ფორმა ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ორიგინალს. ამავე დროს წერტილები და მძიმეები უნდა დაისვას ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

**ინდექსის ფორმა განისაზღვრება გარკვეული წესით. ქვემოთ მოგვაქვს კონკრეტული მაგალითები.**

**ზოგადი სავალდებულო წესი:** თუ მონოგრაფიას ვიმოწმებთ, მაშინ ლიტერატურის ჩამონათვალში დახრილად (კურსივით) ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ სტატიას ვიმოწმებთ, დახრილად (კურსივით) ვბეჭდავთ ჟურნალის, კრებულის ან გაზეთის სახელწოდებას, შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნალი“, „კრებული“, „გაზეთი“.

## 1. წიგნი ერთი ავტორით –

### ა). მითითება ტექსტის შიგნით:



კეკელიძე, 1987: 45

**იმავე ავტორის იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

k'ek'elidze, k'. (1987). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria (V-XVIII ss.)*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“ (კეკელიძე, კ. (1987). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.)*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

**ბ). მითითება ტექსტის შიგნით**

Успенский, 2001: 45

**იმავე ავტორის იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

Успенский, Ф. (2001). *История Византийской Империи*. т. 2. М.: изд. «Наука».

**გ). მითითება ტექსტის შიგნით**

Sayse, 1882: 56

**იმავე ავტორის იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

Sayse, A. H. (1882). *The Cuneiform Inscriptions of Van*. part 7. JRAS 14.

**დ). ერთი ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე წიგნი-**

k'ak'abadze, s. (1921)a. *dasavlet sakartvelos saek'lesio sabutebi*. ts'. 1. t'p. (კაკაბაძე, ს. (1921)ა. *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*. წ. 1. ტფ.).

k'ak'abadze, s. (1921)b. *dasavlet sakartvelos saek'lesio sabutebi*. ts'. 2. t'p. (კაკაბაძე, ს. (1921)ბ. *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*. წ. 2. ტფ.).

**ე). წიგნი ორი ავტორით –**

**მითითება ტექსტის შიგნით**

მეფისაშვილი, თუმანიშვილი, 1989; 120

**იმავე ავტორების იგივე ნაშრომი გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში:**

mepisashvili, r. tumanishvili, d. (1989). *banas t'adzari*. tb.: gamomtsemloba „merani“ (მეფისაშვილი, რ. თუმანიშვილი, დ. (1989). *ბანას ტადარი*. თბ.: გამომცემლობა „მერანი“).

**ვ). წიგნი ორზე მეტი ავტორით –**

ქორიძე და სხვები, 2000: 45

**იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

koridze, n. akhvlediani g. giorgadze d. dvali, r. (2000). *sakartvelo gardamaval khashashi*. tbilisi: gamomtsemloba “evrik'a”). (ქორიძე, ნ. ახვლედიანი, გ. გიორგაძე, დ. დვალი რ. (2000). *საქართველო გარდამავალ ხანაში*. თბ.: გამომცემლობა

„ევრიკა“).

**ზ). წიგნი ავტორის გარეშე, რომელსაც ჰყავს შემდგენელი ან რედაქტორი -  
მითითება ტექსტის შიგნით**

ქრონიკები, 1897: 48

**იგივე წიგნი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

*kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa.* (1897). shek'rebili, kronologiurad dats'qobili da akhsnili t. zhordanias mier. ts'. 2. t'p. (*ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* (1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. 2. ტფ.).

**ზემოთ მოყვანილ (1: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ) შემთხვევებში დახრილად იბეჭდება წიგნის სათაური.**

## **2. სტატია ჟურნალიდან**

**ა). მითითება ტექსტის შიგნით**

ჯაველიძე, 2020: 21

**იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:**

Javelidze, n. (2020). K'at'olik'uri simboloebi XIII s. kartvel mepeta mon-etebeze. *matsne. Ist'oriis, arkeologiis, etnologiisa da khelovnebis ist'oriis seria.* № 2. tbilisi. (ჯაველიძე, ნ. (2020). კათოლიკური სიმბოლო XIII ს. ქართველ მეფეთა მონეტებზე. *მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* № 2. თბ.).

**ბ). სტატია პერიოდული გამოცემიდან-**

**მითითება ტექსტის შიგნით**

შანიძე, 1962: 67

**იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:**

shanidze, ak'. (1962). basili ezosmodzghvis ist'oriuli tkhzulebis erti sherqvnili adgilis gamartvisatvis. *tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi.* t'. 99. (შანიძე, აკ. (1962). ბასილი ეზოსმოდღვის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. 99.)

**გ). სტატია კრებულიდან-**

**მითითება ტექსტის შიგნით**

მუსხელიშვილი, 2019: 110

**იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:**

muskhelishvili, d. (2019). kartveli erisa da skhelmtsipo t'erit'oriis chamoqalibebis problemisatvis. *Sametsniero k'rebuli midzghvnili roin metrevelis 80 tsvlistavisadmi*. tbilisi: gamomtsemloba "artanuji". (მუსხელიშვილი, დ. (2019). ქართველი ერისა და სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბების პრობლემისათვის. ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბ.: გამომცემლობა „არტანუჯი“).

**ზემოთ მოყვანილ (2: ა, ბ, გ) შემთხვევებში დახრილად იწერება ჟურნალის, პერიოდული გამოცემის ან კრებულის კრებულის სახელწოდება.**

**3. სტატია გაზეთიდან-**

**ა). მითითება ტექსტის შიგნით**

გურგენიძე, 1999: 8

**იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:**

gurgenidze, d. (1999). brdzola gadarchenistvis. *iberia-spekt'ri*. № 5. tbilisi. (გურგენიძე, დ. (1999). ბრძოლა გადარჩენისთვის. *იბერია-სექტრი*. № 5. თბ.)

**ბ). საგაზეთო სტატია ავტორისა და სათაურის გარეშე –**

**მითითება ტექსტის შიგნით**

გაზეთი „ივერია“. 1897: 2

**იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:**

gazeti „iveria“ (1897). №2, t'pilis (გაზეთი „ივერია“. (1897). №2, ტფილისი).

**ორივე შემთხვევაში დახრილად იწერება გაზეთის სახელწოდება.**

**4. საენციკლოპედიო ან ქრესტომათიული სტატია –**

shoshiashvili, n. (1975). abuserisdzeni. *kartuli sabtchota entsik'lopedia*. t'. 1, tb. (შოშიაშვილი, ნ. (1975). აბუსერისძენი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1, თბ.).

Силогава, В. (2001). Анисская Эпархия. *Православная Энциклопедия*. т. II. М.

**დახრილად იბეჭდება ენციკლოპედიის სახელწოდება.**

**5. ისტორიული წყაროები –**

**ა). „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები**

**მითითება ტექსტის შიგნით**

ლეონტი მროველი, 2008: 50

ან

ბასილი ეზოსმოდვარი. 1959: 80

**იგივე წყარო ლიტერატურის ჩამონათვალში:**

Leont'i mroveli. (2008). tskhoreba kartvelta mepeta da pirveltaganta mamata da natesavta. *kartlis tskhovreba*. Mtavari redakt'ori r. Met'reveli. tbilisi: gamomtsemloba "meridian". "artanuji". (ლეონტი მროველი. (2008). ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. *ქართლის ცხოვრება*. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ.: გამომცემლობა „მერიდიანი“. „არტანუჯი“).

basili ezosmodzhvari. (1959). tskhovreba mepet-mepisa tamarisi. *kartlis tskhovreba*. t. II. t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eri mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tb.: gamomtsemloba „sabtchota sakartvelo“. (ბასილი ეზოსმოდვარი. (1959). ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. *ქართლის ცხოვრება*. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

**ბ). „ქართლის ცხოვრების“ ანონიმური თხზულება -**

**მითითება ტექსტის შიგნით**

ცხორებად მეფეთ-მფისა დავითისი, 2008: 105

**იგივე წყარო ლიტერატურის ჩამონათვალში:**

tskhorebai mepet-mepisa davitisi. (2008). *kartlis tskhovreba*. Mtavari redakt'ori r. Met'reveli. tbilisi: gamomtsemloba "meridian". "artanuji". (ცხორებად მეფეთ-მფისა დავითისი. (2008). *ქართლის ცხოვრება*. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ.: გამომცემლობა „მერიდიანი“. „არტანუჯი“).

**ორივე (5: ა, ბ) შემთვევაში დახრილად იწერება კრებულის სახელწოდება (ქართლის ცხოვრება).**

**გ). „ქართლის ცხოვრების“ თხზულების ცალკე გამოცემა**

**მითითება ტექსტის შიგნით**

ჟამთააღმწერელი, 1987: 45

**იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:**

zhamtaaghm'ts'ereli. (1987). asts'lovani mat'iane. t'ekst'i gamosatsemad moamzada,shesavali, shenishvnebi, leksik'oni da sadzieblebi daurto r. k'ik'nadzem. tb.: gamomtsemloba „metsniereba“. (ჟამთააღმწერელი. (1987). ასწლოვანი მატთანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“).

დახრილად იწერება წყაროს სათაური.

**6. თხზულება „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ სერიიდან-**

**ა). მითითება ტექსტის შიგნით:**

იოვანე საბანის-ძე, 1963: 67

**იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:**

Iovane sabanis-dze. (1963). *ts'amebai ts'midisa da net'arisa mots'amisa qrist'eisisa haboisi, romeli ets'ama kartls shina kalaksa t'philiss, khelita sark'onoztaita, gamotkumuli iovane dzisa sabanisi brdzanebita krist'eis mier samoel kartlisa k'atalik'ozisaita. dzveli kartuli agiographiuli lit'erat'uris dzegebi*. t. I. (V-X ss.). dasabetchdad moamzades i. abuladzem, n. atanelishvilma, n. goguzdem, l. kajaiam, ts. Kurtsik'idzem, ts. Tchank'ievma da ts. jghamaiam i. abuladzis khelmdzghvanelobita da redaktsiit. (იოანე საბანის-ძე. (1963). *წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოისი, რომელი ეწამა ქართლს შინა ქალაქსა ტფილისს, კელითა სარკინოზთადათა, გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისადათა*. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. (V-X სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.).

დახრილად იწერება თხზულების სათაური.

**ბ). ანონიმური თხზულება „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ სერიიდან**

**მითითება ტექსტის შიგნით:**

მარტვილობად ევსტათი მცხეთელისად, 1963: 31

**იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:**

Mart'vilobai evst'atati mtskhetelisi. (1963). *Mart'vilobai da mokalakobai evstat'ati mtskhet'elisi. dzveli kartuli agiographiuli lit'erat'uris dzegebi*. t. I. (V-X ss.). dasabetchdad moamzades i. abuladzem, n. atanelishvilma, n. goguzdem, l. kajaiam, ts. kurtsikidzem, ts. Tchank'ievma da ts. jghamaiam i. abuladzis khelmdzghvanelobita da redaktsiit. tbilisi. (მარტვილობად ევსტათი მცხეთელისად. (1963). *მარტვილობად და მოქალაქობად ევსტათი მცხეთელისად. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. I. (V-X სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.).

დახრილად იწერება წიგნის სათაური.

**7. თხზულება სერიიდან „გეორგიკა“-**

**მითითება ტექსტის შიგნით**

თეოდოსი განგრელი, 1940: 40

**იგივე ავტორი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

teodosi gangreli. (1940). *georgik'a. bizant'ieli mwerlebis cnobebi saqrtvelos shesakheb*. tsigni IV. nak'veti I. berdznuIi tekst'i kartuli targmaniturt gamostsa da ganmart'ebebi daurto s. qaukhchishvilma. tbilisi. (თეოდოსი განგრელი. (1940). *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*. წიგნი IV. ნაკვეთი I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ.)

**დახრილად იწერება წიგნის სათაური.**

**8). ხელნაწერთა აღწერილობა –**

**მითითება ტექსტის შიგნით**

A ფონდის აღწერილობა, 1973: 230

**იგივე წიგნი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

A pondis aghts'eriloba. (1973). *kartul khelnats'erta aghts'eriloba. qopili saek'lesio muzeumis (A) k'olektsiis*. sheadgines da dasabetchdad moamzades t. bregadzem,ts. Kakhabrishvilma, t. Mgaloblishvilma, m. Kavtariam, I. Kutateladzem da i.jghamadzem el. met'revelis redaktsiit. t. II. tb. (A ფონდის აღწერილობა. (1973). *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის*. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ი. ჯღამაძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით. ტ. II. თბ.)

**დახრილად იწერება წიგნის სახელწოდება.**

**9. გამოქვეყნებული ისტორიული საბუთი -**

**ა). იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელი ერთია: მითითება ტექსტის შიგნით**

დოლიძე, 1970: 57

**იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:**

(დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)*. ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ.)

**ბ). იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელი ორზე მეტია: მითითება ტექსტის შიგნით**

ენუქიძე და სხვები, 1984: 47

**იგივე წიგნი ლიტერატურის ჩამონათვალში:**

ენუქიძე, თ. და სხვები (1984). *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ,

ნ. შოშიაშვილმა. თბ.).

**ორივე (6: ა, ბ) შეთხვევაში დახრილად იწერება წიგნის სათაური.**

**10. საარქივო მასალა-**

**სტატის შიგნით**

ფონდი 210: 50

**ლიტერატურის ჩამონათვალში**

ფონდი 210. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.  
ფონდი 210. აღწერა 3. საქმე 14.

11. ციფრული წიგნის დასამოწმებლად იხელმძღვანელებთ ნაბეჭდი წიგნის მითითებისთვის არსებული წესებით. სტანდარტული ელემენტების გარდა ბიბლიოგრაფიაში ინტერნეტში განთავსებული წიგნებისთვის მიუთითეთ URL მისამართი და წვდომის თარიღი. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL მისამართი არ არის საკმარისი; დაურთეთ მაქსიმალური ინფორმაცია გამოცემის შესახებ, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძებნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ URL მისამართი შეიცვლება. თუ გვერდის ნომრები არ არის აღნიშნული, ციტირებული მონაკვეთის ადგილმდებარეობა მიუთითეთ აღწერილობითად, მაგ. წამმდვარებული ქვესათაურით.

ა.: სახელი გვარი, წელი, სათაური, გამოცემის ნომერი (გამოცემის ადგილი: გამომცემელი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Julian Samora and Patricia Vandel Simon. (2000). A History of the Mexican-American People, rev. ed. (East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University), under “Civil War in Mexico,” <http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

ბ.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Samora Julian and Patricia Vandel Simon. (2000). A History of the Mexican-American People. Rev. ed. East Lansing, MI - Julian Samora Research Institute, Michigan State University. <http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას მიუთითეთ წიგნის ფორმატიც.

ა.: სახელი გვარი, წელი, სათაური (გამოცემის ადგილი: გამომცემელი), წიგნის ფორმატი.

Thomas H. Davenport and John C. Beck. (2001). The Attention Economy: Understanding the New Currency of Business (Cambridge, MA - Harvard Business School Press). **TK3 Reader e-book.**

ბ.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. წიგნის ფორმატი.

Hellman, Hal. (2004). Great Feuds in Technology - Ten of the Liveliest Disputes Ever. New York: John Wiley. **Rocket e-book**.

შესაძლებელია ინტერნეტ წყაროები შევიდეს ლიტერატურისა და წყაროების საერთო ჩამონათვალში ან გაკეთდეს ცალკე ჩამონათვალი (მაგალითად, ლიტერატურისა და წყაროთა ჩამონათვალის შემდეგ).

### **ილუსტრაციების წარმოდგენის ინსტრუქცია**

ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტში ჩასმული ან ცალკე ფაილის სახით.

ილუსტრაციები უნდა წარმოადგინოთ შემდეგ ფორმატში:

EPS (ან PDF): დიაგრამები, ცხრილები და სქემები, ყველა გამოყენებული ფონტით;

TIFF (ან JPEG): ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათი, რუკები, გაფართოება მინიმუმ 300 dpi;

TIFF (ან JPEG): შავ-თეთრი გრაფიკული ნახატი, ავტოგრაფიული ჩანახატი, გაფართოება მინიმუმ 1000 dpi;

TIFF (ან JPEG): კომბინირებული (ფერადი და შავ-თეთრი) სურათი, გაფართოება მინიმუმ 500 dpi.

ტექსტში გამოყენებული ილუსტრაციები თანმიმდევრულად დანომრეთ. თითოეულ ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს წარწერა. წარწერები დაწერეთ ცალკე და არა ილუსტრაციაზე. წარწერა უნდა შეიცავდეს სათაურს და მოკლე აღწერას. გააკეთეთ მოკლე წარწერა, მაგრამ განმარტეთ ყველა გამოყენებული სიმბოლო და აბრევიატურა. თავი აარიდეთ ვერტიკალურ მწკრივებს;

ილუსტრაციებზე წარწერისათვის გამოიყენეთ შემდეგი შრიფტები: სტატიის ქართულ ვერსიისათვის Sylfaen; ინგლისური ვერსიისათვის Times New Roman; სტატიის სხვა ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში უნიკოდის შრიფტები. შრიფტის ზომა უნდა იყოს არანაკლებ 9. ილუსტრაციების წარწერები შესაძლებელია იყოს დახრილი შრიფტით;

შესაძლებელია ილუსტრაციები ტექსტში მხოლოდ დაინომროს, ხოლო გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ დაერთოს ჩამონათვალი შესაბამისი განმარტებებით;

თუ ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) დასკანერებულია წიგნიდან, უნდა მიეთითოს წიგნის სრული დასახელება. ასევე, თუ ილუსტრაცია გადმოღებულია ინტერნეტიდან, უნდა მიეთითოს სრულყოფილად, როგორც ეს მინიშნებულია ლიტერატურის დამოწმების წესში. ასეთ შემთხვევაში ილუსტრაციის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილ ფორმატს;



ტექსტში ჩართული ილუსტრაცია არ შეიძლება გაყოფილი იყოს გვერდიდან გვერდზე გადასვლისას;

ცალკე ფაილად წარმოდგენილი ილუსტრაციის ზომა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატს;

ილუსტრაციების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს.

- ტექსტში ზომა-წონის ერთეულები წარმოდგენილი უნდა იყოს **სი** სისტემით (**ერთეულთა საერთაშორისო სისტემა**, ან შემოკლებით **სი** - **ფრანგ.** *Système international d'unités, SI*). წყაროში სხვა ზომა-წონის ერთეულის დასახელების შემთხვევაში, იქვე, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს **სი** სისტემის შესაბამისი ზომა-წონის ერთეული.
- წელთაღრიცხვისათვის უნდა გამოიყენოთ გრიგორიანული სტილი. წყაროებში სხვა კალენდარული სისტემების თარიღების დასახელების შემთხვევაში, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს გრიგორიანული კალენდრის შესაბამისი თარიღი. ქრისტეს შობამდე მოვლენების დათარიღებისათვის უნდა გამოიყენოთ პეტავიუსის სისტემა ნულოვანი წლის გარეშე (მაგ.: „ძველი წელთაღრიცხვით“; „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“; „ქრისტემდე“).